

44 /
973 / 4



ԿԱՆՈՒՄ

4

1973

ნოღარ ნარსია

ლენინის სატაბა მთვარეზე

ლენინის ღიმი ანათებს მთვარეს,
ლენინის სახე მთვარეზეც ბრწყინავს,
გვიახლოვდება უცნობი მხარე,
მთვარისეული ქარი და წვიმა.
გადახსნილია ზეცის თავანი,
ციმციმებს შუქი სულ სხვანაირად,
მთვარეზე დადის მთვარეშავალი
და აფრიალებს წითელ ბაირადს.
მთვარიდან ხედავს ბელადის თვალი
ჯერ მიუწვდომელ
მილიონ მნათობს
და შორსმჭვრეტელის აზრით და ძალით
ლენინის მზერა სამყაროს ათბობს.
გვიახლოვდება უცნობი მხარე,
მთვარისეული ქარი და წვიმა,
ლენინის შუქი ანათებს მთვარეს,
ლენინის სახე მთვარეზეც ბრწყინავს.

სესე

12.424

190

გამომცემის მეთავესმება წალი

4

აპრილი

1973

თბილისი

საქ. კვ. ცვ-ის გამომცემლობა

ლიბერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტისა და მხარალთა კავშირის ორგანო

ქ. შარტისის საა. საჯ.
სახელმწიფო ბიბლიოთეკა

შინაპარსი

პროზა, პოეზია

- 3. თამაზ ბილაძე. აუზი. დასასრული
- 49. ზაურ ბოლქვაძე. ლექსები
- 51. ვანო ჩხიკვაძე. ლექსები
- 53. ბელა შალვაშვილი. ლექსები
- 54. ნაილი ნეპაჩიშვილი. ლექსები
- 55. ნელი ბატიაშვილი. აბები ძილის წინ. მოთხრობა
- 79. ნოდარ ხვედელიძე. კოსმონავთები. ლექსი.
- 80. ვაჟა ფოლბაია. ლექსები
- 81. ელდარ კერძავაძე. ლექსები

ახალგაზრდა კოეტიტა ფიქტივალის

- 83. ანატოლი ნენცინსკი. გალინა კოტეშენცხანია. ჩინგიუ ალი-ოღლი. მირკულაბ მირზაბევი. ონე ბალუკონიძე. შარბახან აბდირაშვიდი. კალკიბ. ლექსები. თარგმნეს თეიმურაზ ქორიძემ, მიხეილ ქურდიანმა, პაატა ნაცვლიშვილმა. მზიბა შეჭირული. პაატა ნაცვლიშვილი. ლექსები.

ახალი თარგმანები

- 89. შანდორ პეტეფი. ლექსები. თარგმნა მორის ფოცხიშვილმა
- 91. ანდრეი კლატონოვი. ძროზა. სემიონი. მოთხრობები. თარგმნა გივი კვიციანიშვილმა. ნიკიტა. მოთხრობა. თარგმნა ედიშერ გიორგაძემ.

წერილები

- 106. დევი სტურუა. „და ვგანძობ, — არასდროს მოვკვდები!“
- 112. ანდრო მირიანაშვილი. დიადი ბრძოლების მატინე
- 122. სერგო ჯორჯანაძე. რევენიის სანაცვლოდ
- 126. ლალი ბერძენიშვილი. ძარბთული ხალხური აფორიზმების კოლექცია
- 131. დალი კოკაია-შანჯიკია. „ძარბიანი ძარბთული“
- კუგლიციტისტიკა
- 134. კონსტანტინე კინეზუაშვილი. ინტელიგენცია ახალგაზრდობის ალფრედის სამსახურში
- 141. ვახტანგ ქუთათელაძე. თანამედროვე რევოლუციონერი და ბურჟუაზიული ხელოვნება

რუსთაველის ნაბეჭდილებები

- 145. დიმიტრი ქუხიშვილი. ისევე პროლოგის გამოცემა
- სკოტის
- 154. დათო აბიასვილი. მიხილ მისი გუგინ, დღეს, ხვალ

- 158. ყოველი მხრიდან

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ჩარკვიანი

ხარედაქციო კოლეგია:
გურამ ასათიანი,
პაპი ბაქრაძე,
გივი ვეგიშკორი,
გურამ გვირგვინი,
ვიკტორ ელიშვილი,
ქარლო კალაძე,
კონსტანტინე
ლორთქიფანიძე,
ოტინა პაპოკინა,
(პასუხისმგებელი მდივანი),
ნუზარ ფოცხაძე,
ნოდარ წულუიციანი,
ტარიელ ზანტური,
სერგი ბილაია,
თამაზ ბილაძე,
ლავა ჯანაშია.

ბ უ რ ი

ბეკოსაც სციოდა. ზღვის პირას იჯდა, ლოდზე. ალიონის ბინდბუნდში ჯერ ნისლი გამოჩნდა, ზღვას რომ გადაჰფენოდა, მერე ნისლი ალაგ-ალაგ გადაიფხრია.

აღტაცებისა და სიხარულის გრძნობა ჯერ კიდევ არ გამოხელებოდა. რალაც მოიშორა, განთავისუფლდა. ახლა ყველა უყვარდა, ვისაც იცნობდა თუ არ იცნობდა. ყველაზე მეტად კი პატარა დათო, რამდენიმე საათის წინ სევდიანი თვალეზით რომ გამოაცილა, თითქოს თხოვდა, მეც თან წამიყვანო. ეს იყო სინაზესა და სიბრალულში არეული სიყვარული უმცროსი ძმისადმი. ასეთი რამ მას აქამდე არ განეცადა. აქამდე შეგნებულად ატყუებდა ბავშვს, იმიტომ იახლოვებდა, რომ დედის სუნი ასდიოდა. აქამდე მათ შორის სხვა იდგა. ბავშვს რომ ხელს ჰკიდებდა, ეგონა იმ სხვასაც ეხებოდა ოდნავ, თითქმის შეუმჩნევლად, თითის წვერებით, მორიდებით, ქურდულად. დათო იმ ქვეყნის ნაწილი იყო, რომელსაც მისთვის ჯადოსნური საბურველი ეფარა. იმ ქვეყნის კარის სახელური იყო, ანდა მორევზე გადმოშვებული ტოტი, რომელსაც ის გამწარებით ჩაფრენოდა. ახლაც ჯადოსნური ფარდა გაქრა, ყველამ თავისი ჩვე-

ულებრივი იერი მიიღო და ბეკომ ბავშვი გარკვევით დაინახა, მისკენ სევდიანი თვალეზით რომ იცქირებოდა.

სიხარულთან ერთად, ბეკოს ვალდებულების გრძნობაც გასჩენოდა: დღეიდან მას ამ პატარა ბიჭზე უნდა ეზრუნა! უპირველეს ყოვლისა, აქედან არ უნდა წასულიყო, ფეხი არ უნდა მოეცვალა, არ უნდა მიმატებოდა მუდმივი აბიტურიენტების მწკრივს, რომელსაც, მედროშეებით, მუსიკალური ტექნიკუმის გამგის ქალიშვილები მიუძღოდნენ.

დაიღრჩია, იმდენად უსიამოვნო იყო იმ გზის წარმოდგენა, რომელიც აქედან უმალღეს სასწავლებლამდე მიდიოდა. საყვირით ხელში კარიდან კარზე სამათხოვროდ რომ ევლო, ამ გზას აღარ დაადგებოდა. ვეღარ შეხედავდა ინსტიტუტის წინ გაგანია სიცხეში დგომისაგან ჩამოწყვეტილ და არაქათგამოცლილ დედებს, რომლებიც ინსტიტუტის ადგილობრივი კვანძის რადიოს ისე უსმენენ, როგორც ომის დროს საინფორმაციო ბუროს ცნობებს. ვეღარ დაინახავდა გულწასულ გოგონებს, კიბეზე ამხანაგებს რომ ჩამოჰყავთ. მისაღები გამოცდები რატომაც იმ სპექტაკლს აგონებდა, რომელზედაც ბავშვები არ დაიშვებიან და შეპარულებს პანდურის კვრით აძევენ-

დასახრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 3.



ბენ. უცებ თვალწინ დედა დაუდგა და გულში სითბო ჩაედგარა.

— მაპატიე, — წაიხურჩულა ღიმილით, — მაპატიე...

რა იცოდა დედამ, რომ ბეკო ახლა მეორე კურსის სტუდენტი უნდა ყოფილიყო, შარშან ბოლო გამოცდაზე „აბიტურიენტისთვის შეუფერებელი საქციელი“ რომ არ ჩაედინა. ასე გამოაცხადა სწორედ რადიომ: ბეკინა სისორდია გაძევებული იქნა გამოცდიდან აბიტურიენტისთვის შეუფერებელი საქციელის გამო.

წერის დროს ბეკომ რატომღაც ყურადღება მიაქცია ერთ-ერთ გამომცდელს, რომელიც მერხებს შორის თითისწვევებზე დადიოდა. ზოგჯერ შეჩერდებოდა, ცალ ფეხს ასწევდა, ცერსა და საჩვენებელ თითს ისე მიატყუებდა, თითქოს ავტომატში ჩასაგდებად გამზადებული ორკაპიანი უჭირავსო და გაიჩინებოდა, მერე უცებ მოწყდებოდა ადგილიდან, აბიტურიენტს მივარდებოდა და ხელიდან პაწაწინა გარმონივით დაკეცილ ქალაღს გამოგლეჯდა, საიდანაც აბიტურიენტი თემას იწერდა. ნადავლს კომისიის თავმჯდომარეს მიუბრუნებდა, ხანში შესულ კაცს, რომელიც თავდახრილი და დარცხვენილი აძევებდა აბიტურიენტს აუდიტორიიდან.

ბეკომაც ხელი ისე დაიჭირა, ვითომ შიგ ქალაღის ნაგლეჯი ედო. ზურგიით იგრძნო, როგორ ჩაასო გახარებულმა გამომცდელმა თვალები, ცოტახნის მერე ხელიც წაატანეს:

— აჰა, ჩავარდი?

ბეკომ მუშტი შეკრა.

— გაშალე ახლავე ხელი!

— რატომ? — იკითხა ბეკომ მიამიტად.

— გაშალე-მეთქი!

ყველამ მათკენ მოიხედა.

— რატომ უნდა გავშალო?

— მაჩვენე, რა გიჭირავს!

— არაფერი.

— როგორ თუ არაფერი, მე ვიცი, რომ...

ლი? მაჩვენე ხელი!
ყველა გამომცდელი აქეთკენ გამოეშურა. აბიტურიენტებმა თავი წამოყვეს, ზოგი წამოდგა კიდევ. ყველა ცდილობდა, დაენახა, რა ხდებოდა აქ.

— დასხედით, დასხედით, გეთაყვა, — იძახდა თავმჯდომარე.

ბეკომ მუჭი გაშალა.

— რა უყავი ქალაღი? — დაუყვირა გამომცდელმა.

— ქალაღი? — გაიკვირვა ბეკომ.

— ქალაღი, ქალაღი, საიდანაც იწერდი!

გამომცდელი დაიხარა, მერხის უკრასი შეიხედა, მერე იატაკზე ხელები მოათათურა:

— შექამე ხომ, შექამე, არა?

— არა, პატივცემულო, — უპასუხა ბეკომ, — მე ქალაღი არ მქონია და არც არაფერი შემეძამია.

გამომცდელი გამწარდა, თვალზე ცრემლი მოადგა, ნიკაპი აუცახცახდა:

— ხულიგანო!

თითქოს ყველაზე მეტად ის ეწყინა, ბეკომ რომ ქალაღი არ შექამა.

არა, ბეკო აქ დარჩება. მეფეზეთა ბრიგადაში ჩაეწერება. ბადეს თუ ვერ ამოსწევს, სეინერზე მინც გამოადგებათ, საყვირს დაუკრავს, გაართობთ. თუკი ხელეჩო, ჩაქუჩი, ხერხი, ბადე-სამუშაო იარაღია, რით არის საყვირი ნაკლები? მერე რა, რომ მე სხვა იარაღის ხმარება არ შემიძლია, მეც მინდა ვიმუშაო. თუ ეს საყვირი თქვენც დედაჩემით არ მოგწონთ, რამე საქმე გამიჩინეთ, დარაჯი მინც არ გჭირდებათ ნაფხე? მამალივით შემსვით ანძაზე და დილით დავიყვილებ ზოლმე, თუ საყვირი არ მოგწონთ. ისე რითია ცუდი საყვირი? თუ არა და, კარტოფილს გავფუქვნი, ჭუჭყიან წყალს გადავდგრი, რა ვიცი, რამეს გავაკეთებ. მეც მინდა, რომ ვიმუშაო, იმიტომ რომ პატარა ძმა მყავს, — ასე ეტყვის ბეკო ბრიგადის წევრებს.

მერე, დათო რომ გაიზრდება. შეიძლება ისიც წაიყვანოს სეინერზე. მაგ-



რამ ამ ზაფხულს დათო რომ ბორჯომში მიჰყავთ? რა ვუყოთ მერე, ბორჯომში წავა ბეკოც. იქ დიდი ტყეებია, ტყისმკველად დადგება, ლაფანჰამიას დაუწყებს დევნას, კოდალასავით. ერთ კოდალობას ვერ გასწევს ბეკო? კოდალას ისედაც ჰგავს, თავისი გრძელი ცხვირით, აჭრება ფიჭვის ხეზე და კაკ-კუკუ, კაკ-კუკუ, მთელი დღე საქმით იქნება გართული.

არა, მარტო კარტოფილის ფცქენა და კოდალობა არ გამოადგება, კიდევ რაღაც უნდა გააკეთოს. მეტი რაღა, საყვირზეც ხომ უკრავს? არავის არ უნდა შენი საყვირი, ბრიყვო! აი, დათოს უნდა, დათოს უყვარს, როცა ის საყვირზე უკრავს. ბავშვებს უყვართ საყვირის ხმა. ჩადგება ბეკო ბავშვების გუნდში და ყველანი ტყისკენ გასწევენ, ლაფანჰამიასთან საბრძოლველად. ბავშვს პატარა ხელი აქვს, კოდალას ნისკარტზე სწრაფი და მოქნილი, ჩაძვრება ჭიის სოროში და ამოათრევს იქიდან და ააა, ტყეც შვებით სუნთქავს, როგორც კაცი, თევზის ფხა რომ ამოაცალეს ყელიდან. იქ იქნება ზინა მასწავლებელიც.

ბეკოს გაეღიმა:
— ზინა მასწავლებელი...
ზინა აივანზე დგას და იძახის:
— ბავშვებო, ბავშვებო, მოდით რძე დალიეთ!

და ბეკოსაც დიდი ჭიქა უჭირავს ორივე ხელით და რძეს სვამს. რძე მკერდზე ეღვრება და ყველანი იცინიან და ზინა მასწავლებელიც იცინის.

„ზინა მასწავლებელი!“
და მერე წავა ბეკო და „იმედის წყაროსთან“ საყვირს ჩაბერავს და უამრავი ბავშვი გამოცვივდება გარეთ, ბავშვების ზღვა, რადგან, როგორც ირაკელი ამბობს, ბავშვი ბევრია, მშობელი კი ცოტა და ამიტომ ყველა ბავშვს არა ჰყავს მშობელიო და ახლა ის ზღვა მოედება ახალ ტყეს და ბეკო კი დგას და საყვირს უკრავს...

ასეთ ფიქრებში იყო გართული ბეკო, რომ რამდენიმე ლილიპუტმა ჩაუარა გვერდით. ლილიპუტები ნავისკენ გაე-

მართნენ, ზღვის პირას, სილაში რომელიღაც ვა. შარვლის ტოტები დაიკაპიწეს, ფენსაცმელები ნავში ჩაჰყარეს. მერე ბეკომ გაიგონა, როგორ გახრიგინდა ნავი ქვებზე. ლილიპუტები, ეტყობა, სათევზაოდ აპირებდნენ წასვლას. ერთმა ლილიპუტმა რამდენჯერმე მოხედა ბეკოს, მერე ნავს ხელი გაუშვა და ბეკოსკენ წაწვიდა.

მხარზე ხელი დაადო და ალერსით ჰკითხა:

— რამე ხომ არ გიჭირს, ბიჭუნავ?
ბეკოს ძალიან გაუხარდა ლილიპუტი რომ დაელაპარაკა, ფეხზე წამოდგა, მაგრამ მაშინვე ისევ დაჯდა, რადგან ძალიან მაღალი გამოჩნდა ლილიპუტთან შედარებით.

— არა, — უპასუხა, მერე სწრაფად დაუმატა, — გინდათ, ნავის ჩათრევაში მოგესმარებით? — წამოიწია კიდევ.

— იჯექი, იჯექი, — ლილიპუტმა ლოყაზე ხელი მოუცაცუნა, — ნავი უკვე ჩავთრით...

და წავიდა.
ბეკო წამოდგა და უკვე მუხლებამდე წყალში შესულ და ნავის კიჩოზე ხელჩაკიდებულ ლილიპუტს დაუძახა:
— ლიუმოზ კელმინ პესსო დეემარლონ ემპოზო!

ეს სიტყვები „გულივერის მოგზაურობიდან“ იყო და დათო იმეორებდა ხშირად. „რა დროზე გამახსენდაო“, — გაიფიქრა კმაყოფილმა ბეკომ.

ლილიპუტმა ხელი აუჭნია, ვერ გაევიგო.

— ლიუმოზ კელმინ პესსო დეემარლონ ემპოზო! — გაიმეორა ბეკომ.

დედა კიბეზე ჩამომჯდარი უცდიდა.
— სადა ხარ აქამდე?

ბეკომ ხმა არ გასცა, ჰასთან მივიდა, ვედროთი წყალი ამოიღო, მოიყუდა და დალია.

— შენ მოუკვდი, შვილო, შენ დედას. — დაიწყო ნუცამ, — ასეთი უსაქმური

თავაზი მილამაძე
აუზი

ვისში გამოხვედი, ვის გამოემსგავსე, ან ვინ დამწყევლა, იმ მართლა დასაწყევ-
ვარმა და ამოსადგებმა. ნიკოსთან რამ
წაგიყვანა, რა პირით მიხვედი, სირცხ-
ვილ-ნამუსი აღარა გაქვს?..

„ლიუმოზ კელმინ...“ — გაეპასუხა
ფიქრში დედას.

— ქვეყნის სამასხარაო უნდა გაგვხა-
დო? ასეთი რა გავგიჟირდა, დამკვრელად
რომ არ იარო სუფრებზე...

„კელმინ პესსო...“

— მთელი სიცოცხლე წელზე ფეხს
ვიდგამდით მე და მამაშენი, ო, ისა მყავს
კუბოში ჩასაწვენი, იმის ბრალია ყველა-
ფერი, ასე აშვებულნი რომ ხარ...

„დეემარლონ ემპოზო...“

— ხომ გცემა დუხუმ, ვენაცვალე ხე-
ლებში. მოვიდა აქ და ბოდისი მომიხა-
და, კინალამ ხელები დავუკოცნე. აღარ
უნდა ისწავლო ჭკუა? თმა კი ჩამოგი-
გრძელებია გოგოსავით, გოგოდ მაინც
გამჩენოდი, თმით გათრევიდი, რა გიყო,
რომ ვერ მოგერევი, რა ვქნა?

„ემპოზო დეემარლონ...“

ბეკო ჭაზე ჩამოჯდა და დაამთქნარა.

— გამოცდები კარზე მოგადგა, რას
აპირებ, შე უტვინო, გარეთ გინდა კი-
დევ დარჩე? თუ სხვებზევით ბიძები
გყავს თბილისში და ისინი მოგაწყობენ
უმჯლესში. რას გადაეკიდე, ბიჭო, იმ
ქალს, რა შენი ტოლია, რა გინდა. რა-
ტომ არ გამოგადგო სახლიდან, საყვი-
რით რომ გამოეცხადე. არ მოგაკრეს
თუმნიანი შუბლზე, შე უბედურო? ერ-
თი მივუარდები იმ ქალბატონს, გაბრან-
ჭული რომ დაბრძანდება და სალმის
მოცემის არ კადრულობს, თვითონ კია
ხიზანი და შეჰყურებს ნიკოს ხელებში
და ჩვენ კი ზემოდან დავგვქქერის. ფუი.
მიმიფურთხებია მაგის ქალობისთვის,
იატაკს მოვწმენდდი ყაზარამში და იქ
არ გავჩერდებოდი. ქმარმა მიმატოვოს,
მასხრად ამიგდოს და მე მამამთილს
ხელისგულზე გავუფორდ-გამოუფგორ-
დე? არა, ბატონო. უკაცრავად, არც მი-
ნდა მაგისი სალაში, მაგის გვერდზე ავ-
ტობუსში არ დავჯდები. ტუჩზე სველი
ტილო მაინც მიიდე, შე უბედურო. შენ

რომ ქალი შეგხედავს, იმ ქალს ცეტლი
უნდა წაუტილო და დაწვა... იმასაც ამ-
ბობენ, ქალობა არ ქონია თურმე და
იმიტომ მიატოვა ქმარმაო.

ბეკო ჭიდან ჩამოხტა, კიბეს აუყვა
და მეორე სართულის აივანზე ავიდა.
იატაკზე ჩაჯდა, ზურგით კედელს მიე-
ყრდნო, ფეხები გაწვართა და მაშინვე
ჩაეძინა, თუ ბურუსში ჩაინთქა.

გრძნობდა, მის ირგვლივ უამრავი
ხალხი ირეოდა, აყაყანებული, ახმაუ-
რებული, ამობოქრებული, როგორც
სტალიონზე მატჩის დამთავრების მერე.
ხალხის მორევში ტრიალებდა, ბრუნავ-
და, ფარფატებდა, ცურავდა, დაფრინავ-
და. სიმძიმე დაჰკარგვოდა. ცდილობდა,
რამეს მთქვიდებოდა, ჩაფრენოდა ალა-
მიანთა მხრებს, ხელებს, ფეხებს, თმას,
მაგრამ ყველაფერი ხელიდან უსხლტე-
ბოდა.

თვალი გაახილა, მზე მოსდგომოდა და
ოფლში გახვითქულიყო.

ეზოში ჩამოვიდა, ჭიდან ვედროთი
წყალი ამოიღო და თავზე გადაისხა. ეს-
მოდა, როგორ ეძახდა დედამისი ქათ-
მებს: ჯუ-ჯუ-ჯუ-ჯუ! მერე მამა დაინახა,
ვაშლის ხის ძირას იჯდა და სურას
აკოწიწებდა.

ქუჩაში გამოვიდა, ზინას სახლისკენ
გასწია. ჭიშკართან დათო დაინახა, მისი
საყვირი ეჭირა ხელში.

— ვიცოდი, რომ მოხვიდოდი, —
უთხრა დათომ, — საყვირი დაგრჩა.

— ჰო, ამისთვის მოვედი.

— სად მიდიხარ? — ჰკითხა ბავშვმა.

— არსად, — ბეკომ საყვირს ჩაბერა.

— დაუკარი!

— არა.

— მაშინ მეც წამიყვანე.

— სად?

— მოდი. ზღვაზე წაივდიეთ.

— არა, — უთხრა ბეკომ, — საქმე

მაქვს.

— ჰოდა, მეც წამიყვანე, დედამ ერ-

თი საათით გამომიშვა.

— კარგი, წამოდი, — ბავშვს ხელი

ჩაჰკიდა.

— ხელი გამიშვი, — უთხრა დათომ.

— პატარა ხარ, — გაიღიმა ბეკომ.
— არაფერიც. — დათომ ხელეები ჯიბეში ჩაიწყო.

— მეც პატარა ვარ, — ბეკომ შერიგება სცადა.

ბავშვმა ხმა არ გასცა.

გზა მწერლის სახლამდე უხმოდ გაიარეს. ჭიშკართან რომ მივიდნენ, ბეკომ უთხრა დათოს:

— შენ აქ დამიცადე, ახლავე გამოვალ.

— არა, — უთხრა დათომ, — მეც წამოვალ. აქ მწერალი ცხოვრობს, ზღაპრებს იგონებს.

— ზღაპრებს?

— დედამ მითხრა.

კობეზე ავიდნენ და კარზე დააკაკუნეს.

კარი სპინოზამ გაუღოთ:

— რა გინდათ?

— ბატონი მწერლის ნახვა თუ შეიძლება?

— რატომ?

— იმას ვეტყვი.

— შენც წიგნი გინდა?

— შინ ბრძანდება?

— აქ დაიცადე!

კარი ცხვირწინ მიუხურათ.

— ეგ არის სპინოზა? — ჩამოქაჩა სახელო დათომ.

— ჰო.

ცოტახნის მერე სპინოზა დაბრუნდა და კარი გაუღოთ:

— შემოდით!

ისინი დიდ, ნათელ ოთახში შევიდნენ. ოთახს ზღვის მხარეს სამი მაღალი ფანჯარა ჰქონდა. მზის სხივები, გარედან შემოყოფილ სამ ბრჭყვიალა დროშასავით, დახრილიყო ოთახში. ერთი კედელი ჰერამდე წიგნებს დაეფარა. გრძელ, მსხვილფეხებიან მაგიდაზე ხმლები, თოფები, დამბაჩები, ფარები, მუზარადები, ჯაჭვის პერანგები, კაპარუები და შუბები ელაგა. კედელში გამოჭრილ ნიშში ვერცხლის ვეება სასანთლე იდგა. იმავე კედელზე ცხენის მოკაზმულობა ეკიდა. ვერცხლით მოჭედირებული უნაგირები, ალვირები, დეზები, მათ-

რახები. კედლის ძირას, მთელ სიგრძეზე სპილენძის ჭურჭელი გაემწკრივებინათ.

ამ დროს ოთახში მწერალი შემოვიდა, ხელში წიგნი და კალმისტარი ეჭირა; — ახალი რომ არაფერი მაქვს...

— მოვედი, ბატონო, რომ, — დაიწყო ბეკომ, მაგრამ მწერალმა გააწყვეტინა:

— თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, ავტოგრაფს აი ამ წიგნზე წაგიწერთ. უცებ დათო დანახა:

— ვისია ეს ლილიბუტი?

— ეს, ბატონო, ზინა მასწავლებლის შვილია.

— არა მართლა? — გამოქანდა სპინოზა. ჩაცუცქდა და დათოს მიეფერა:

— რა გქვია, გენაცვალე?

— დათო.

სპინოზამ ბეკოს ამოხედა და რატომღაც საცოდავად გაიღიმა:

— მართლა იმისი შვილია?

— დიახ.

— ამოდენა შვილი ყავს უცვე? — ეკითხა მწერალმა, რომელიც გადაშლილ წიგნს დასცქეროდა, ეტყობა, ფიქრობდა, რა დაეწერა.

— დიახ.

მწერალმა წიგნს თავი მიანება და ბავშვთან მივიდა, რომელიც მაგიდაზე გაფენილ იარაღს ათვალეირებდა.

— მოგწონს? — ჰკითხა.

— კი, — უპასუხა დათომ, ორივე ხელით ხმლის ტარს წაეტანა, მაგრამ ძვრა ვერ უყო.

— ნიკოს შვილიშვილი ხარ შენ?

— კი.

— აა, გამახსენდა, გამახსენდა, — სპინოზას მოუტრიალდა. — რა მივართვით ახლა ბიჭუნას?

სპინოზამ არაფერი უპასუხა, მხოლოდ მხრები აიჩეჩა.

— რძე ხომ გვაქვს! — მწერალს სახე გაუბრწყინდა, დათოს მიუბრუნდა, — ხომ გიყვარს რძე, ბიჭუნავ?

— არა, — უპასუხა დათომ.

თავის მიღამო
აუხი

— ჰოდა, ახლავე დაგაღვივებთ.
ბონდო, გეთყავა, მოიტანე რძე!

სპინოზამ ბეკოს შეხედა.

— არ უნდა რძე, — თქვა ბეკომ, —
რატომ წუხდებით.

— ბონდო, მოიტანე რძე-მეთქი, —
თქვა მწერალმა, დაიხარა, დათოს მხარ-
ზე ხელი მოხვია, — კითხვა იცი?

— აბა, მოვიტანო რძე? — თქვა სპი-
ნოზამ და ოთახიდან გავიდა.

— არა, — უპასუხა დათომ მწერალს.

— აი, კითხვას რომ ისწავლი, მოდი
ჩემთან.

— მე დედა მიყვება ზღაპრებს, —
უთხრა დათომ და ახლა შუბს წაეტანა.

— დედა თუ გიყვება, კარგია.

— ეს შუბი კაცს მოკლავს? — ჰკითხა
დათომ.

— კაცს კი არა, სპილოს მოკლავს,
— უპასუხა მწერალმა.

— მე ავტომატი მაქვს, — უთხრა და-
თომ, ორივე ხელი ისე შემართა, თით-
ქოს ავტომატი უჭირავსო, — ტრა-ტა-
ტა-ტა-ტა! ავტომატით უფრო ბევრს
მოკლავ.

მწერალი ისევ გადაშლილ წიგნს მი-
უბრუნდა, ცოტახანს დასცქეროდა, მე-
რე ბეკოს შეხედა და ღიმილით უთხრა:

— თქვენი სახელი რომ არ ვიცი?

— ბეკო მქვია, ბატონო.

— ბეკო, ბეკო, — რატომღაც ორჯერ
გაიმეორა მწერალმა, მერე წიგნს რა-
ღაც წააწერა, დახურა, ბეკოს მიაწოდა.

— დიდი მადლობა, — უთხრა ბეკომ.

— მომეცით აქ, — მწერალმა ისევ გა-
მოართვა წიგნი და ავტოგრაფს თარიღი
დაუსვა.

— მე ბოდისის მოსახდელად მოვედი
აქ, ბატონო, — ჩაილაპარაკა ბეკომ ჩუ-
მად.

— ბოდისის?

— აი, წუხელ რომ არ დაგაძინეთ...

— ჰო-ო. მთელი ღამე არ მეძინა...

— მაგიტომ მოვედი. ბოდისი, ბატო-
ნო.

მწერალი ფანჯარასთან მივიდა და გა-
რეთ გაიხედა.

— ძალიან კარგი იყო, — თქვა ცო-

ტახნის მეტე, — თქვენი ამხანაგები
არიან?

— არ ვიცი, ბატონო.

— თქვენ იყავით, რომ მელაპარაკე-
ბოდით?

— არა, ბატონო.

— მოდით ხოლმე, — უთხრა მწე-
რალმა, — მართლა, რად მინდა ეს აუ-
ზი?

ამ დროს სპინოზა შემოვიდა, რძე
ლამბაქით მოჰქონდა, კატას რომ დაუს-
ხამენ ისე.

— რძე ჰქვით უნდა! — ჩაიღიმა მწე-
რალმა.

— ჰქვით ღვინო უნდა, — ღიმილით-
ვე უპასუხა სპინოზამ.

— არ მინდა რძე! — თქვა დათომ. ბე-
კოსთან მივიდა და ხელი ჩააგლო, — წა-
ვიდეთ!

— რატომ არ უნდა? — გაიკვირვა
მწერალმა და ბეკოს შეხედა, ძალიან
შეწუხებული სახე ჰქონდა.

ბეკოც შეწუხდა:

— დალიე, დათო.

— არ მინდა, არ მინდა, — გაჭიუტდა
ბავშვი.

ბეკომ მწერალს ლამბაქი ჩამოართვა
და თვითონ დალია ცივი რძე.

— გმადლობთ

— ხომ კარგია? — მწერალს თვალები
უციმციმებდა.

— დიახ.

— აი, შენ კი არ გინდოდა, — უთხრა
მწერალმა დათოს საყვედურით. ქუჩაში
გამოვიდნენ თუ არა, ბეკომ წიგნი გა-
დაშალა და წარწერა წაიკითხა:

„ჩემს პატარა მეგობრებს ავტო-
რისაგან“. — წიგნი ხმაურით დახურა:
— კი მაგრამ, სახელს რილასთვის მე-
ციხებოდა?

მერე ბეკო და დათო ზღვაზე ჩავიდ-
ნენ. ბეკო დათოს ცურვას ასწავლიდა.
მერე სილაში იწვნენ და მზეზე იხრუკე-
ბოდნენ. მერე ლილი მოვიდა, შორიახ-
ლოს დაჭდა, ჩანთიდან წიგნი ამოიღო
და კითხვა დაიწყო. ბეკო ლილისთან მი-
ვიდა:

— აი მეცა მაქვს წიგნი, — უთხრა.



ლილიმ წიგნი ჩამოართვა, გადაფურცლა:

— მათხოვე რა, მაგის არაფერი წამიკითხავს.

— წაიღე.

— გცემეს? — ჰკითხა ლილიმ.

— ვინ გითხრა?

— ვინ მეტყოდა?

— ტყუილია.

— ახია შენზე.

— ძალიანაც კარგი, რომ გცემეს, — თქვა ბეკომ.

— მომშორდი, — უთხრა ლილიმ, — ხომ ხედავ, ვკითხულობ.

ქალაქი უკვე თავის ჩვეულებრივ საქმიანობას შესდგომოდა. ნათელა თორღუას ბიბლიოთეკა გაეხსნა და მაგიდაზე ჟურნალ-გაზეთებს ალაგებდა. სასაბუღალტროებსა და კაფეებში ტევა არ იყო. დამსვენებლები საუზმობდნენ. სასამართლოს შენობის წინ ხალხი შეგჯუფუღუღიყო. რაიკომის მდივნის კაბინეტში ბიუროს სხდომა მიმდინარეობდა, ფანჯრიდან მოჩანდა მთიერეთის ბრიგადირის, სოციალისტურის შრომის გმირის ექვთიმე მაკალათიას ჭაღარა თავი. საზღვრული თეატრიდან მუსიკის ხმა გამოდიოდა, ლილაპუტები დილის წარმოდგენისათვის ემზადებოდნენ. კინოთეატრის წინ რიგი იდგა, „განთავისუფლება“ გადიოდა, აფიშაზე განრისხებული ჯარისკაცი ეხატა. თევზის ქარხნის ენჯინი მანქანიდან მარლით სავსე კასრებს ცლიდნენ. უნივერსიტეტის წინ ათასობით, წასასვლელად გამზადებული ავტობუსი იდგა.

— ეს ავტობუსი სოხუმში მიდის არა? — ჰკითხა დათომ ბეკოს.

სოხუმში ისინი ბაზართან ჩამოვიდნენ და გრძელ ქუჩას დაადგნენ. დათოს გემის ნახვა უნდოდა. კარგახანს იარეს, მერე სხვა ავტობუსში ჩასხდნენ და იმ ავტობუსმა ნაყსადგურთან შეიყვანათ.

ნაყსადგურში „ადმირალი ნახიშვილი“ იდგა. დიდხანს შეჰყურებდნენ გემს, კიბეზეც სცადეს ასვლა, მაგრამ დარაჯმა

არ აუშვათ. მერე დათოს მოწყურებდა წყლის საძებნელად რუსთაველის ქუჩაზე გამოვიდნენ. ქუჩის კუთხეში წყლის ავტობმატი დინახეს, მაგრამ ავტობმატი არ მუშაობდა.

— ეს ტყუილი ავტობმატი ყოფილაო, — გაიცინა ბეკომ.

მერე ნაპირთან პალმის ძირას სკამზე ჩამოსხდნენ, აქედან კარგად მოჩანდა თეთრი, ლამაზი გემი. იქვე, მათ ახლოს, კატერი პლიაჟზე წამსვლელ მგზავრებს ელოდებოდა. გემბანზე ზანგივით მავი ბიჭი იდგა და პაპიროსს სწევდა.

— ეს ბიჭიც მეზღვაურია? — იკითხა დათომ.

— ალბათ.

— მეც მინდა, მეზღვაური გამოვიდე.

— ეგ კარგია, — უპასუხა ბეკომ.

ორივე ხელი სკამის ზურგზე გაეშალა, ფეხი ფეხზე გადაედო და კიბეზე კატერისკენ ჩამავალ მგზავრებს უყურებდა:

— გინდა პლიაჟზე წავიდეთ?

— პლიაჟი ჩვენთანაც არის, — უთხრა დათომ, — მწყურია.

წამოდგნენ და ისევ წყალს დაუწყეს ძებნა, მალეც იპოვნეს. სასტუმრო „რიწას“ ქვემო სართულში ტბილ წყალს ყიდდნენ.

ორ-ორი ჭიქა დალიეს.

— ფულიც გაგვითავდა, — თქვა ბეკომ, გაშლილ ხელისგულზე კაპიკიანი უბრტყვილებდა.

— ფული რად გვინდა? — ჰკითხა დათომ.

— უკან ხომ უნდა დავბრუნდეთ!

— ჯერ აღრეა, — თქვა დათომ.

მერე ისევ სკამზე დასხდნენ, თითქოს სოხუმში იმიტომ ჩამოვიდნენ, რომ სულ იქ უნდა მსხდარიყვნენ.

— ერთი გემოზე დავიძინებდი, — ბეკომ გაიზმორა, თითქოს ორივე ხელით თავს ზემოთ ესპანდერი ბოლომდე გაქიმაო, — თანაც მშობა. შენ თუ ჰამე რამე? კიდევ კარგი, ის რძე დავლიე, მწერალთან...

თამაზ ზილაძე
აუზი

— მე კი დედამ გოგლიმოვლი მაჭამა, არ მიყვარს, მაინც მაჭმევს, არც თავლი მიყვარს, შენ?

— თავლი კარგია, გოგლიმოვლიც. სიამოვნებით შევჭამდი ერთ ვედრო გოგლიმოვლს.

— ერთ ვედროს?

— და ერთ ვედრო თავლს.

— მწყურია, — თქვა დათომ.

— ახლა არ დავლიეთ წყალი?

— კიდევ მინდა.

— გაწყენს.

— დედაც სულ ასე მეუბნება.

— დედას უნდა დაუჭერო.

— ჩვენში თუა სპილო?

— კი, ზოოპარკში.

— არ მინახავს.

— არც მე.

— აბა რა იცი?

— ვიცი.

— ლომი?

— კი.

— მწყურია.

— ლომიც ზოოპარკშია, ვეფხვიც, კენგურუც და ბეჭემოთიც.

ვილაც ბიჭებმა ჩამოიარეს, ერთს ბეკოს საყვირზე დარჩა თვალი.

— მწყურია, მწყურია, მწყურია, — გაჯიუტდა დათო.

წამოდგნენ და კაპიკიანი წყლის საძებნელად წავიდნენ. ბევრი იარეს, ბევრი ავტომატი შეხვდათ, მაგრამ არც ერთი არ მუშაობდა. მერე რომელიღაც ეზოში შევიდნენ და იქ ონკანიდან დალიეს წყალი.

— მეძინება, — თქვა ბეკომ და წყალი ორივე ხელით პირზე შეისხა.

დათომაც მიბაძა.

— შენ ნუ, — უთხრა ბეკომ.

ეზოდან გამოვიდნენ, ბეკომ გაიხედ-გამოიხედა, თითქოს არჩევდა, საით წასულიყო. მერე ქუჩას ზღვის საწინააღმდეგო მხარეს დაადგნენ. გზაზე ვილაც კაცი შეხვდათ. უამრავი მედლით ყელდამშვენებული ბულდოგი მოჰყავდა. დათო იმ ძაღლს გაეკიდა და ამიტომ ისევ სანაპიროზე დაბრუნდნენ. მათი დაუფარავი ალტაცებით გაამპარტავენ-

ბული კაცი იმ სკამზე ჩამოჯდა, ისინი რომ ისხდნენ. ბულდოგი შეხვტა, უკანა ფეხი ჩამოუტყურდა, კინაღამ შერცხვა, მაგრამ იმარჯვა და ავიდა. სკამზე გაწვა და თავი პატრონს კალთაში ჩაუღო.

ბეკო და დათო შორიანლოს გაჩერდნენ. კაცი მათკენ არ იყურებოდა, ბულდოგი კი მოჭუტული თვალებით უტყქერდათ.

— წავიდეთ, — უთხრა ბეკომ დათოს.

— დაიცა, — წაიჩურჩულა დათომ.

ბეკოს შიშმილისაგან გული უწრიალებდა, წუხანდელს მერე არაფერი ეჭამა. ბულდოგის პატრონთან ვილაც კრელქოლგიანი ქალი მივიდა. კაცი წამოდგა, ბულდოგიც ჩამოიხლაზნა სკამიდან, ეტყობოდა, ეს მედლები ხტომაში არ ჰქონდა მიღებული. კაცმა ქალს ხელზე აკოცა. ქალმა რატომღაც ხმამაღლა გადაიქისკისა. კაცმა ხელმკლავი გამოსდო და წავიდნენ, ბულდოგიც გაჰყვათ, ერთიორჯერ კი გამოიხედათ ბიჭებს.

— რამოდენაა! — თქვა დათომ.

— მაგის ერთი მედალი რომ მომცა, უმაღლესში უგამოცდოდ შევიდოდი, — გაიცინა ბეკომ.

— ბაბუ მეუბნება, ექიმი უნდა გამოხვიდეო.

— ექიმობა კარგია.

— მე კი მეზღვაურობა მინდა.

— ეგეც არ არის ცუდი.

— მაინც რომელია უკეთესი?

— ისე ექიმი გემზეც კი ჰირდებათ.

— რამდენი მედალი ჰქონდა!

— აბა!

— მწყურია!

— კარგი, დათო, რა. — გაუწყრა ბეკო, — სულ როგორ გწყურია!

— აღარ ვიტყვი.

— თუ გინდა, წამო, დავლითო.

ისევ იმ ეზოში შევიდნენ, ისევ დალიეს ონკანიდან წყალი. ბეკომ ახლა კისერი შეუშვირა ონკანს:

— მეძინება!

— არა, — თქვა დათომ, — ბულდოგი უნდა გამოვიდე!



— ეგ ძნელია, — უთხრა ბეკომ.
 — რატომ?
 — იმიტომ რომ ძნელია.
 — თუ კი ვისწავლი?
 — არა, ეგ ძნელია...
 დათო გაჩერდა, სახე დამანჭა.
 — რა იყო?
 ბავშვმა ტუჩები მოკუმა მაკრად.
 — დიდი გინდა თუ პატარა? — ჰკითხა ბეკომ.
 — პატარა.
 — ხომ გითხარი, ბევრ წყალს ნუ სვამ-
 მეთქი. შედი ისევ იმ ეზოში.
 — მარტო ვერ შევალ, — ბავშვმა თა-
 ვი ჩაღუნა.
 — ვაჟაკი მეგონე, — უთხრა ბეკომ,
 — წამო!

ცოტა ხნის მერე დათომ ქუჩის მეორე მხარეს გაჩერებული უცხოური მანქანა დაინახა, ბეკოს ხელიდან დაუსხლტა და იქითკენ გაქანდა. ბეკოც გაედევნა. მანქანასთან ბიჭები შეგროვილიყვნენ. დიღახს იდგნენ ბეკო და დათო იმ მანქანასთან, მერე მანქანის პატრონი მოვიდა, ჯიბიდან გასაღები ამოიღო, მანქანის კარი გახსნა, ჩაბრძანდა და, ვითომც არაფერიო, წავიდა.

— „ბიუკია“ — თქვა დათომ.
 — ჰო, — დაეთანხმა ბეკო.
 — მწყურია, — თქვა დათომ, მაგრამ ბეკოს რომ შეხედა, შესძახა — არა, არა, მოგატყუე!

წავიდნენ და ისევ იქ, პალმის ძირას სკამზე დასხდნენ.

— მეძინება, — თქვა ბეკომ,
 დათო სკამზე გაწვა და ბეკოს კალთაში თავი ჩაუღო.
 — რამოდენა ბულდოგი იყო!
 — ჰო.
 — აქ კარგია, — თქვა დათომ.

მწვანე, სლიპინა ლოდებს ზღვა უხმოდ ელამუნებოდა. კატერი აღარ ჩანდა, ბილეთების სალაროსთან ხალხის რიგი გაჭიმულიყო.

ბეკოს თვალები ეხუჭებოდა. ალაპლაპებული ზღვა, მზე, ხალხი და ევკალიპტი. მუყაოს ჩამოძინძილ დეკორაციას რომ გავდა, ერთმანეთში არეული-

ყო, ერთნაირად ირწეოდა. უხმოვანდ თანაბრად. ბულდოგის მედლეზე ხეების კენწეროებში გაიბრჭყვიალებდა, ხან კი სანაბიროს ქვის ყორეზე. „როგორ მეძინებო“ — ფიქრობდა და ეგონა, რომ არ ეძინა, რადგან რასაც ხედავდა, აშკარად სიზმარი არ იყო, ყოველშემთხვევაში, თვითონ ასე სჯეროდა. ხეებზე ბამბუკის წაარჩოებში ჩასმული სურათები ეკიდა და ამ სურათებზე ისა და დათო წყალს სვამდნენ, ანღ „ბიუკის“ ფანჯრიდან ხელს უქნევდნენ სპინოზას, რომელიც თოკის კიბით კოსმოსურ ხომალდზე ადიოდა. ხომალდის გლუვ ზედაპირზეც ბულდოგის მედლეების ათინათები ციალებდა და სადღაც მატარებელი კიოდა, არა, კი არ ისმოდა, მოჩანდა, როგორ კიოდა. ბავშვებით დახუნძლული მატარებელი ზედ ზღვის პირას მისრიალებდა და, მართალია, მატარებელი უფრო კატერს გავდა, მაგრამ მაინც მატარებელი იყო, რადგან ორთქლმავალი ება და იმ ორთქლმავლის მიღზე ბეკო ჩამომჯდარიყო (სად ზიხარ, შე დებილო!) და საყვირს უკრავდა.

— მივიღვარ, — იძახდა საყვირი, — მივიღვარ!

და აქ, პალმის ძირას სკამზე ჩამომჯდარ მეორე ბეკოს უკვირდა, ნეტავ სად მიდისო და თვითონაც უნდოდა წასვლა, მაგრამ წამოდგომა არ შეეძლო, რადგან მუხლებზე ბულდოგის მძიმე თავი ედო და მუხლები გაოფლდა. ის კი, მეორე ბეკო, უღარდელი და მხიარული, უკვი ქუჩაში მიბროდა და ჩამწკრივებულ წითელ ავტომატებში ბულდოგის მედლეებს ყრიდა და ავტომატებიდან გაზიანი წყალი თქრიალით მოდიოდა. გუბებში შიშვილი ბიჭები დახტოდნენ და წყლის მტეირში ცისარტყელა გაჩენილიყო. სალამი სოხუმიდან, სალამი ბათუმიდან, სალამი მოსკოვიდან, სალამი გრენლანდიდან, სალამი მოზამბიკიდან, სალამი ვლადივოსტოკიდან, სალამი სიცილიიდან — ეწერა

თავაჯი პილაკი
 აუზი

სურათების ბამბუქის ჩარჩოებზე და ამავე სიტყვებს ხმამაღლა მიიმღეროდა მეორე ბეკო, რომელიც ახლა მალაზიისკენ მიემართებოდა, სადაც თაროებზე სურნელოვანი, ღიწინა პურები და გოგლიმოვლით სავსე ჯამები ეწყო.

ბეკომ თვალი გაახილა.

— გეძინა, — უთხრა დათომ.

— ჰო, — გაიღიმა ბეკომ.

მერე ისევ იმ ეზოში შევიდნენ და წყალი დალიეს.

— რომელი საათია? — იკითხა დათომ.

— არ ვიცი.

ეზოდან რომ გამოვიდნენ, აფთიაქის თავზე საათი დაინახეს, სამის ნახევარი იყო.

— დედას შეეშინდება, — თქვა დათომ.

— წავიდეთ.

ავტობუსის სადგურის ნაცვლად ბოტანიკური ბაღისკენ გასწიეს. ბაღში კი ვერ შევიდნენ, რადგან ბილეთის ფული არ ჰქონდათ.

მერე მაიმუნების სანახავად წავიდნენ, მაგრამ უფულოდ იქაც არ შეუშვეს.

მოწყენილები ჩამოსხდნენ ქვაზე.

— მშია, — თქვა დათომ.

— გშია თუ გწყურია? — ჩაეკითხა ბეკო.

— არა, მშია, მაგრამ მაიმუნების ნახვა უფრო მინდა.

— შენ აქ დამიცადე, — უთხრა ბეკომ, — ახლავე მოვალ.

— სად მიდიხარ?

— ახლავე მოვალ-მეთქი, საყვირი შენთან იყო.

ბავშვს, საყვირს, რასაკვირველია, ვერ ანდობდა, მაგრამ იმიტომ დაუტოვა, რომ დათოს მარტოს არ შეშინებოდა, საყვირი რას მოეხმარებოდა, მაგრამ დარწმუნებული იქნებოდა, რომ ბეკო მალე დაბრუნდებოდა.

ზინამ პირველად რომ დათო მოიკითხა, თერთმეტის ნახევარი იყო.

— დათო, დათუნა! — გადასძახა ეზოში. ისე, ცალყბად დაუძახა, არ უნდო-

და, ბავშვი ასე ჩქარა რომ ამოსულიყო, ერთი საათიც არ იყო, რაც გადმოვიდა. ეს უფრო გაფრთხილება იყო, პირველი ზარი. პირველს მეორე მოჰყვებოდა, მეორეს — მესამე.

— ენა მეტკინა ამდენი ლაპარაკით. — ეუბნებოდა ხოლმე შვილს, — პირველად რომ დაგიძახებ, მაშინვე უნდა ამოხვიდე.

დათო კი ალბათ გუმანით ხვდებოდა, რომ პირველად ისე ეძახდნენ, ყასიდად, მეორე დაძახებას უნდა გამოპასუხებოდა, მოვდივარო, მაგრამ თავისუფლად შეეძლო არ აჩქარებულიყო, ნახევარი საათი ან ცოტა მეტი კიდევ ჰქონდა დრო. მესამე დაძახება პირველსა და მეორეს არ ჰგავდა, მოუთმენლობითა და სიბრაზით გაუხეშებული დედის ხმა საყელოში ჩააფრინდებოდა ხოლმე და სახლისკენ ექაჩებოდა. თუმცა ბავშვი უძალიანდებოდა, მაგრამ ამავე დროს იცოდა, რომ წინააღმდეგობის გაწევას არავითარი აზრი არ ჰქონდა.

ზინა სამზარეულოდან გამოვიდა, ხელები წინსაფარზე შეიმშრალა, ფანჯარასთან მივიდა, დაძახება დააპირა, მაგრამ შეეწყვანდა, არა, ჯერ ადრე იყო, დათო მაინც არ ამოვიდოდა. გამოტრიალდა და ამ დროს კარადაში თავისი თავი დაინახა. სარკესთან ახლოს მივიდა. როგორც ყველა სიმარტოვეს შეჩვეულ ქალს, თავისი გამოსახულებისადმი ცოტათი გაუცნაურებული დამოკიდებულება ჰქონდა. ისე აკვირდებოდა, როგორც უცხოს, ანდა როგორც კრეაში ჩამდგარ მეგობარს, გასაქანს რომ არ გაძლევეს, წამდაუწუმ თვალში გეჩხირება, რაღაცას გახსენებს პირდაპირ კი არა, გადაკრული სიტყვით, ირონიული ღიმილით, რისი გახსენებაც არ გინდა, რომელსაც მახსოვრობის ყველაზე შორეულსა და ბნელ კუნძულში მალავ, როგორც საკუქნაოს კილობანში ნახმარსა და გაცვეთილ ტანსაცმელს და ის კი, შენი კარგი მეგობარი, იმ საკუქნაოსკენ გეძახის. კალთაზე გეწევა და იკითხენ მიკათრევეს. მერე შენც ბნელ-



ში დგახარ და სახე ძველისძველ, დაფხრეწილ პერანგში ჩაგმილავს, აკაციის ტოტივით თავბრუდამხვევი სუნი რომ ასდის.

ყელზე და ყურის ძირას ძარღვები ისე მოუჩანდა, როგორც ქარვაში ჩატყვევებული მცენარის სუსტი, ცისფერი ღეროები. ძარღვები დაბერვოდა ხელისზურგზე, თითები გაშალა, თითქოს ხელთათმანის ჩაცმას აპირებსო და ისე დააკვირდა ხელს.

მისი სხეული თითქოს ლურჯ, წვრილ ტოტებიან მცენარეს აევსო, ახლა ორანჯერის გამჭვირვალე კედელს რომ მოჰკვროდა.

ქალის ნიღბიანი ლურჯი ხე!
 ბოტანიკის საოცრება!
 მოთმინება მართლაც მცენარისა ჰქონდა ..

მოთმინება თუ უძლურება?
 და ყველაფერი ეს ნებაყოფლობითი პატიმრობის ფასად.

— ცოლ-ქმრობა უსიტყვო გარიგებაა, — ამბობდა სიცილით თეიმურაზი, — ერთ-ერთი მათგანი, ცოლი ან ქმარი, სულერთია, ყოველთვის ციხეში უნდა იჯდეს, რათა მეორემ მოსაკითხი მოუტანოს.

პატიმრობა ზინას შეხვდა, თეიმურაზმა მოსაკითხი კი არა, აქეთკენ გზაც დაივიწყა.

გაეღმა, თეიმურაზმა ასეთი ხატოვანი ლაპარაკი იცოდა.

პირველად ერთად რომ მოსეირნობდნენ, თეიმურაზმა უთხრა:

— მარტო ვარ, მარტო, როგორც მინდორში სახედარი!

ამ სიტყვამ მისი წარმოდგენების ნაზი, თითქმის თეატრალური ქსოვილი გაგლიჯა დაუნდობელი უბრალოებითა და სიციხადით. დაინახა კიდევ მინდორში გარინდებული სახედარი. მისი არსება უსაზღვრო სევდამ თუ სიბრალულის ცრემლით გაუღწეოდა გრძნობამ მოიცვა. შეიძლება იმიტომაც, რომ ბიქისაგან, რომელმაც პირველად მოხვია ხელი და პირი ყურთან ახლოს მიუტანა, თითქოს ღუმელიდან ცხელი

ჰაერი გამოვარდაო, ამას არ ელოდა ისევე, როგორც არც ერთი გოგო არაფერს და არ მოითხოვს თავიდანვე წრფელ აღსარებას, რადგან სასიამოვნო გაურკვეველობა, რასაც ის სიყვარულს ეძახის, სიმართლეს ურჩევნია. მხოლოდ მერე, როცა უკვე ყველაფერი მოხდა, სახედრის ჩვენებას ყოველგვარი პოეტურობა ჩამოშორდა და დარჩა მხოლოდ სიციხით აზუზუნებულ ჰაერი: სიცარიელე... და კიდევ იმის განცდა, რომ მოატყუეს, მაგრამ არა ჩვეულებრივი. ძველისძველი, ათასჯერ და ათიათასჯერ ნახმარი, შემოწმებული და უკვე გაცემთილი, მაგრამ მაინც ყოველთვის ნადი, უტყუარი აღუბლის რტოებით, მთვარით, ვარსკვლავებით, ცრემლში გაწურული ცხვირსახოცი, ლუმიწლის თორმეტი აბით, არამედ სახედრით, მინდორში გარინდებული, ბეხრეკი შინაური ცხოველით, კუდიტ ბუზებს რომ ძლივს იგერიებს.

გაეცინა. აქ რომ იყოს (ნეტავი!) ეტყოდა, თემურ, თემურ, გახსოვს ის სახედარიო?

— რომელი სახედარი? — გაიკვირებდა თეიმურაზი, მას ხომ დავიწყების გასაოცარი უნარი აქვს, — რა სახედარი, რის სახედარი?

— დამაცადე, — პირზე ხელს დააფრებდა, — დამაცადე. აი, ის, მინდორში გარინდებული სახედარი...

— კარგი ერთი...

— დამაცადე-მეთქი! აი, ის მარტოდ-მარტო რომ დგას მინდორში...

რა თქმა უნდა, თეიმურაზი ვერ გაიხსენებდა, მაგრამ მაინც გაიცინებდა და ორივენი იცინებდნენ გულიანად.

„მატყუარა, — იღიმება ზინა, — მატყუარა“.

რა დაემართა დღეს, იმის მაგივრად, რომ იჯდეს და ტიროდეს, სულელივით იცინის.

სარკეს ზურგი შეაქცია, ისევ ფანჯარასთან მივიდა და დაიძახა:

— დათო, ამოდი, დედიკო!

თაბაჯი პილაქა
 აუზი

ნახევარ საათში, ნათელა თორღუაც მოვა. დილით დაურეკა, კუთრქლის დარეცხვაში მოგვხმარებო. ზინამ იუარა, ოთხი შვილი გყავს მოსავლელი, ჩემოვის სად გცალიაო. სწორედ მაგიტომ არ მეზარება საქმე, ოთხი შვილი რომ მყავსო, — უპასუხა ნათელამ.

ზინას მარცხენა თვალი უთამაშებრა, ეს კარგად ჰქონდა დაცდილი, რაღაც გაუხარდებოდა.

ამ დროს კი გამოძიებული თეიმურაზ გეგეჭკორი მანქანის საქესთან იჯდა და თბილისიდან ჩვენი ქალაქისაკენ მოეშურებოდა.

ვიღაც ხულოგენებმა პროფესორ გაბრიჩიძის ავარაქზე ავტომანქანა „ვოლგა“ დაწვეს. მართალია, ეს დიდი ვერაფერი შვილი საქმე იყო, მაგრამ მაინც... მერე და მერე უკეთესიც გამოჩნდებოდა.

პროფესორი გაბრიჩიძე ორმოცდახუთი წლის, ჭალარა, წარმოსადგეი კაცი. პროფესორი და თეიმურაზი ადრეც შეხვედრიან ერთმანეთს, ტელესტუდი-ში. თეიმურაზი მაშინ ტელედიქტორად მუშაობდა და სწორედ მან წარუდგინა პროფესორი მაყურებელს. პროფესორი კარგად ლაპარაკობდა და მისი გამოსვლა ტელესტუდიამ რამდენჯერმე გაიმეორა მაყურებლის თხოვნით.

თეიმურაზი, სანამ აქეთკენ გამოსწევდა, პროფესორს შინ ესტუმრა.

პროფესორი თავჩაღუნული ზის. გრძელი, ლამაზი თითებით სიგარეტს აწვალებს.

— რაზე ფიქრობთ? — ეკითხება თეიმურაზი მორიდებით.

— ერთი სათხოვარი მაქვს...
— ბრძანეთ.

— დაანებეთ თავი გამოძიებას, არ არის საჭირო...
— კი მაგრამ, თქვენი „ვოლგა“ რომ დაწვეს?

— მე მანქანა არ მჭირდება...
— ამ საქმეს ასე ვერ დავტოვებთ.
— მე მანქანა არ მჭირდება...
— ჩვენ მოვალენი ვართ...
— უნდა შევიძინო რკინის ჯოხი ოა ტყავის ჩანთა...

— და აი მე მიმავლინეს...
— შეიძლება უკეთესიც დაწვეს...

— ბატონო?
— რკინის ჯოხი და ტყავის ჩანთა...
ოთახში შემოდის პროფესორის მეუღლე, უფრო სწორად — ყოფილი მეუღლე, მალალი, გამხდარი, შავგვრემანი ახალგაზრდა ქალი. მსუბუქად დადის, თითქოს მოცეკვავს.

— ჩაი ხომ არ მოგიტანოთ? — ეკითხებათ.

მაგიდიდან საიგარეტს იღებს და უკიდებს.

თეიმურაზმა იცის, რომ ისინი ორი წლის წინ გაიყარნენ, მაგრამ მაინც ხშირად არიან ერთად, იმიტომ რომ მეგობრებად დარჩნენ.

— მაინც ეწევი? — საყვედურობს პროფესორი.

— ეს მეხუთეა დღეს, — პასუხობს ქალი. ტახტზე ჯდება და ჟურნალს ფურცლავს.

— მე მაშინვე ვთხოვე მილიციის იქაურ განყოფილებას, გამოძიება შეეწყვიტათ, — ეუბნება პროფესორი თეიმურაზს.

— ამ საქმის ასე დატოვება არ შეიძლება!

ისმის მანქანის საყვირის ხმა.
— შალვა! — ამბობს ქალი, დგება და ფანჯრიდან იხედება.

— რატომ არ ამოდის?
— ერიდება, — იღიმება ქალი. პროფესორთან მიდის, მხარზე ხელს ადებს: — ნახვამდის.

პროფესორი ხელზე ეფერება:
— რომ მიხვალ, დამირეკე.

— ჰო. — ქალი თეიმურაზს თავს უქნევს და მიდის.

— გეკითხებით, რატომ კვდებიან ადამიანები? — პროფესორი თითქოს გაწყვიტილ საუბარს აგრძელებსო.

თეიმურაზისაგან აშკარაო პასუხს არ მოითხოვს. ან რა უნდა უპასუხოს თეიმურაზმა?

— უყურადღებობისა ოა უვიცობის გამო. — ამბობს პროფესორი. — ოიახ, უყურადღებობისა და უვიცობის გამო...

ჩემდგება, ცოტახნის მერე ეკითხება:
— რამე ხომ არ დაგველია?
— გმადლობთ, მე არ ვსვამ, — პასუხობს თეიმურაზი.

— ცოტა!
— არა, გმადლობთ.

პროფესორი დგება, კონიაკის ბოთლი და ორი ჭიქა მოაქვს. კონიაკს ასხამს, ჭიქას იღებს:

— გაგვიმარჯოს! — სვამს, — თქვენც მიირთვიეთ.

თეიმურაზი ხათრით წრუპავს კონიაკს.

— უყურადღებობისა და უვიცობის გამო, — იმეორებს პროფესორი.

თეიმურაზი იძაბება. თვითონაც არ იცის რატომ. ისეთი გრძნობა აქვს, თითქოს ეს უცხო, თავისი პირადი უბედურებისაგან დაღლილი კაცი რაღაცაში აღნაშაულებდეს.

პროფესორი ისევ ისხამს კონიაკს.

— ახლა ერთ კურორთულ ამბავს გეტყვი: ექიმს მით უფრო მეტ პატივს გცემთ, რაც უფრო გვშორდება ჩვენ, რაც უფრო მეტად იფიწყებს თავის უპირველეს მოვალეობას, რაც უფრო მიუღწეველი ხდება უბრალო, რიგითი ავადმყოფისთვის. საკვირველია, მაგრამ ფაქტია...

— კი მაგრამ, ექიმი სხვაა და მამა — სხვა, — ამბობს თეიმურაზი ღიმილით.

ამ დროს ტელეფონი რეკავს. პროფესორი ყურმილს იღებს, თეიმურაზს კი რატომღაც დათო ახსენდება.

— გისმენთ... აააა, უკვე მიხვედით... გმადლობ, რომ დამირეკე, არა, ძილის წამალი არ დალიო, ეცადე, ისე დაიძინო... აღარ მოწიო იცოდე, თორემ შალვასთან დავაბეზლებ... მე კარგად ვარ, კარგად, ნუ ფიქრობ... ჩემგანაც გადაეცი მოკითხვა... არა, არ წასულა... გმადლობ, ჩემო ძვირფასო...

პროფესორი ყურმილს დებს, ხელი ზედ რჩება, ცოტახანს ჩაფიქრებული ზის, მერე ამბობს:

— ექიმი, რომელიც იღლება, ის ექიმი აღარ არის...

კონიაკს სვამს, უმატებს:

— ეს იცოდეთ, ჩემო ძვირფასო.

„დათუნა უკვე დიდი ბიჭი იქნება“
— ფიქრობს თეიმურაზი, თვითონაც უკვირს: რამდენი ხანია არ გახსენებია შვილი.

●

მამიდამისის სახლამდე სულ უნდა ერბინა, თუ უნდოდა, რომ დროზე დაბრუნებულყო. მამიდა საკმაოდ შორს ცხოვრობდა, მთავარი ფოსტის გვერდით. გზაში ერთი-ორჯერ დაისვენა, შიმშილისგან გული მისდიოდა. აქლო-შინებული, მივარდა ქიშკართან. შეაღო, ძაღლმა დაუყეფა.

— ჭეკა, ჭეკა, — მიეფერა ძაღლს, რომელიც ფეხებზე მიელაქუცა.

— მამიდა! — დიძახა, — თინა მამიდა!

სახლიდან არავინ გამოხედა. კიბე აორბინა, კარზე ბოქლომი ეკიდა. კინალამ იქვე ჩაიკცა, ამას არ ელოდა. კიბეზე ჩამოვარდა და სახეზე ხელები აიფარა: რა გქნა?

წამოდგა, ეზოში ჩამოვიდა. ლედვის ხის ძირას, ქვის მაგიდაზე ორი ცალი სიყვითლეშეპარული კიტრი ეგდო. ბეკო კიტრს ეცა, ჩაკბიჩა, მაგრამ მამინევე აღმოაფურთხა — დამპალი იყო. გამოიქცა. ზოგჯერ ნაბიჯს შეანელებდა ხოლმე, მოდიოდა გულამომჯდარი, ოფონსურწურით ჩამოსდიოდა. ამასობაში შესაღამოვდა კიდევ; ფანჯრებზე არეკილი მზის სხივებს მოწითალო ფერი გაერია. ახლა ნანობდა, რატომ დათოც არ წამოვიყვანეთ. მართლა, რატომ არ წამოვიყვანა?

რამდენი დრო გავიდა მინც, როგორ გაიპარა, არც კი შეუძინებია.

შორიდანვე უგრძნო გულმა, რომ დათო იქ არ დახვდებოდა, სადაც დატოვა. შიშმა აღრევე გაკენწლა, მაგრამ წაუყრუა. ახლა აღმართზე არბოდა, რომლის მოსახვევშიც დათო ეგულებოდა. რა იცოდა, რომ დათო უკვე კარგახნის წასული იყო აქედან, ბიჭობს გამოეკიდათ. რომლებმაც საყვირი წაართვეს. დიდ-

თავაზ ბილაძე

აუზი

ხანს მისდევდათ ტირილ-ტირილით, მერე ის ბიჭები ავტობუსს შეახტნენ და გაუჩინარდნენ. ბავშვმა დიდხანს იტანტალა ქალაქში. გზა აერია. მერე გვიან საღამოს ის შემთხვევით გამოვლილმა დუხუმ დანახა, მანქანაში ჩასვა და შინ წამოიყვანა.

ბეკო მიიმუნების საღვთისმამის დარაჯს მივარდა:

— პატარა ბიჭი ხომ არ გინახავთ?

დარაჯმა ქისიდან ერთი მწიკვი თუთუნის ამოიღო, ქაღალდის ნაგლეჯზე დაყარა, გაახვია, ქაღალდს ენა გაუსვა, სიგარეტი პირში ჩაიღო, მოუქიდა და კვამლს ამოაყოლა:

— არა!

— საყვირი ეჭირა, აი, ამოდენა იყო, პატარა!

— არა-მეთქი!

ბეკო თავდაღმართში დაეშვა, ვიღაც გოგოსა და ბიჭს წამოეწია, ხელგადახვეულები რომ მიდიოდნენ.

— პატარა ბიჭი ხომ არ შეგხვედრიათ?

გოგომ თავის მეგობარს გაკვირვებით შეხედა და სახეში შესცინა.

— ხელში საყვირი ეჭირა...

— ხომ გითხრეს, არაო, — უთხრა შუბლშეკრულმა ბიჭმა ბეკოს.

— დათო! დათო! — დაიყვირა ბეკომ და გაიქცა.

ქუჩის ბოლომდე ირბინა, მერე კედელს შეაწყდა, ეტყობა, რაღაცას აშენებდნენ და ქუჩა გადაეკეტათ. ნელი ნაბიჯით დაბრუნდა უკან. ფიქრობდა, ნეტა, სად უნდა წასულიყო. ჩიხიდან გამოვიდა თუ არა, ისევ იმ გოგოსა და ბიჭს შეეჩხა. ცოტათი გასცდათ თუ არა, ბიჭმა დაუძახა:

— მოიცა!

ბეკო გაჩერდა. ბიჭი მივიდა, მკლავში ხელი გამოსდო, გვერდზე გაიყვანა:

— მაშ, საყვირი ეჭირა არა?

— ჰო, — ბეკოს სიხარულისაგან გული შეუხტა.

ბიჭმა ხელი გაუშვა:

— ახლა რომ გამოგიქანებ და გფერთხავ!

ბეკომ უნებურად თავი უკან გადასწია.

— შენ ამ გოგოს იცნობ?

— არა.

ბიჭმა თითი დაუქნია:

— იცოდე...

— არა, დედას გეფიცები!

— თუ კიდევ შემხვდები, — დამეუქრა ბიჭი, — გაჩვენებ საყვირს!

ბეკო ქუჩაში მიდიოდა და ფიქრობდა: „სად უნდა წასულიყო, ნეტავ, სად უნდა წასულიყო...“

ბავშვს თუ არ იპოვნოდა, შინ ვერ დაბრუნდებოდა, მაგრამ როგორ უნდა ეპოვნა ამოდენა ქალაქში?

გაიარა ბოტანიკური ბაღი, სანაპიროსკენ მიმავალი ქუჩა, იმ ეზოშიც შეიხედა, სადაც წყალი რამდენჯერმე დალიეს. მერე პალმის ძირას სკამზე ჩამოჯდა. სანაპიროზე ხალხი მომატებულიყო. ეს იყო უცნაურესად მოსიერნე, უსაქმოდ გამოსული ხალხი. ზღვა ალისფრად ლაბლაპებდა, თუმცა ჩამავალი მზე არ მოჩანდა. ხალხით გატენილი კატერი პლიაჟიდან ბრუნდებოდა, კატერიდან მუსიკის ხმა მოისმოდა. „რა ვქნა, — ფიქრობდა ბეკო, — რა ვქნა...“

ადგა და ნავსადგურისკენ გაემართა, თან ხალხს ათვალიერებდა, იქნებ დათოს თვალი მოგვრათ. ნავსადგურში შევიდა, იქაც ბევრი ხალხი იყო. გემის კიბეზე ხალხის ნაკადი მიედინებოდა. ცოტახანს იდგა იქ. გამობრუნდა. ნავსადგურის შესასვლელთან ქვის ჯებირის იქით პატარა ბიჭები წყალში, რომელიც უკვე გამუქებულიყო, ჭყუპალობდნენ და ცნობისმოყვარეთა მიერ გადაყრილ ხურდა ფულს ფსკერიდან იღებდნენ. ცოტაც და მათი სამუშაო დღეც დასრულდებოდა, ისე ჩამოხვედებოდა, რომ ვერაფერს დაინახავდნენ. მართლაც, ათი-თხუთმეტი წუთის მერე, ბიჭები წყლიდან ამოვიდნენ. ხურდა ფულით პირგამოტენილებმა ტრუსები გაიხადეს, გაწურეს, ისევ ჩაიცვეს და სველი ფეხების ტყაპატყუპით შინისკენ მოკურცხლეს. სიბნელემ ბეკო კიდევ უფრო შეაშინა: „სად წავიდე?“, შიშმა გული

მოუწერა, უკვე ფეხაჩქარებული მიპყვებოდა ქუჩას.

თეატრის წინ ფერადი ნათურებით განათებულმა შადრევნებმა მოწყვიტეს თვალი. გაჩერდა და შადრევნებს დაუწყო ყურება. აქაც უამრავი ხალხი ირეოდა.

— სისორდია! — დაუძახა ვიღაცამ.

მოტრიალდა და მუსიკალური ტექნიკუმის გამგეს, ბატონ კირილეს შეეფეთა.

— როგორ ხარ, სისორდია?

— გმადლობთ...

— სახლში როგორა ხართ?

— კარგად, პატივცემულო.

— ყველანი კარგად ხართ? — ისე ეკითხებოდა, თითქოს თხოვდა, აბა, გაიხსენე, იქნებ ვინმე მაინც არ იყოს კარგადო.

— ყველანი, პატივცემულო.

— თეატრში მოდიხარ? — გამგეს ილიაში „აბესალომ და ეთერის“ პარტიტურა ამოედო.

— არა, პატივცემულო.

— აბა, აქ რა გინდა?

— ისე, — ბეკომ ხელები ზურგზე დაიწყო და თავი ჩალუნა.

— რას შერები, აბარებ ხომ წელს გამოცდებს?

— არა, პატივცემულო.

— არა? — გამგეს სახე გაუბრწყინდა, მის ქალიშვილებს ერთი კონკურენტი მოაკლდათ, — რატომ, ბიჭო?

— რა ვიცი...

— მუშაობას ხომ არ იწყებ?

— მე ხომ ვმუშაობ...

— სად? ჰო-ო, კარგია, კარგი. ნიკოს შვილიშვილი რომ მოიტაცეს, გაიგე?

ბეკოს თავხარი დაეცა:

— რა-ა?

— აბა! დაიკარგა ბავშვი. იცოდნენ ალბათ ბაბუამისს დიდი ქონება რომ აქვს და მოიტაცეს. ნიკო იმ ბავშვის გულისთვის ქონებას კი არა, სიცოცხლეს არ დიდებულებს. ამერიკაში კი, მარა ჩვენში თუ მოხდებოდა ეს, არ მეგონა. მთელი მილიცია ფეხზე დგას და ხალხიც გამოვიდა საქებნელად. სპინოზა თოფით დაღის, — გამგემ გაიცინა, მაგრამ

მაშინვე მოწყვიტა სიცილი, თითქოს პირით ბუზი დაიჭირაო, — თავს იკავებს საწყალი დედამისი, რა კარგი ქალია შერე, რა ადამიანი, ჩემს გოგოებს ეგ ამეცადინებს უფასოდ. არ იცოდი, ბიჭო, შენ ეს ამბავი?

— უფასოდ?

— აბა! მაგრამ მაგას არ გეკითხები.

„ვაიმე, — ფიქრობდა ბეკო, — ვაიმე. აბა რა იქნებოდა, მთელი დღე წამოსულები ვართ“.

— არ გესმის, სისორდია?

— ჰა? — ამოიგვინა ბეკომ, მაშინვე დაუმატა, — ბატონო?

— ხეზე უნდა ჩამოვიდო ფეხით ის ბანდიტები, ფეხით, — ამბობდა ტექნიკუმის გამგე, — მე რომ მკითხო, სტადიონზე გამოვიყვანდი და დავხვერტდი. ახლა ჩემი ქალიშვილები რომ მოიტაცოს ვინმემ, — გამგე წამით გაჩუმდა, ბეკოს შეაშტერდა, შემთხვევით ჩემი დიდიხნის ფარული ნატვრა ხომ არ იცისო. გამგე სულ ამაზე ოცნებობდა, ნეტა ჩემი ქალიშვილები მოიტაცონ, ყოველ ზაფხულს პროტექტორებთან წანწალს გადავრჩებოდე, იმათ პატრონი გამოუჩნდებოდეთ და მეც დავისვენებდეთ. საიდან უნდა იცოდესო, დიამშვიდა გული და განაგრძო, — ჩემი ხელით არ მოვკლავ იმ ყაჩაღს? მითხარი, ხომ მოვკლავ, მითხარი! — „აბესალომ და ეთერის“ პარტიტურა ორივე ხელით ასწია ზემოთ, თითქოს იმით უპირებდა მოკვლას თავისი ქალიშვილების მომტაცებლებს, — მითხარი?

— კი, ბატონო, — თქვა ჩუმიად ბეკომ.

— ჩემი ხელით დავაბრჩობ, — გამგე თანდათან ბრაზდებოდა, რაღა ის ცინგლიანი ბიჭი მოიტაცეს, სამი მარწყვივით გოგო აგერ არ იყოო. კარგი, ბატონო, სამს არ ვჩივი, ერთი მაინც მოეტაცათ, მაგრამ მაგასაც ფული ჭირდება. მე ჩემი ჯამაგირით მატარებლის ბილეთების აღებას ვერ აფუგვდი იქით და აქეთ, აქეთ და იქით, ნიკოს კი თირ-

თამაზ ჰილაძე

აუზი

კმელებშიც ძვირფასი ქვები უწყევიაო, ასე ამბობენ: — სტადიონზე უნდა დახვრიტო, რომ ყველამ დაინახოს და აღარავინ აღარ გაბედოს. მაგრამ რად გინდა, ნამეტანი კეთილია ჩვენი კანონი, შეიღ წელს მიუსჯიან და გათავდა, — წარმოიდგინა, რომ ამ შეიღი წლის განმავლობაში ყოველ ზაფხულს თბილისში უნდა ჩაეყვანა თავისი სამი ქალიშვილი და მერე უკან წამოესხა, — ბენზინით უნდა დაწვა, ბენზინით! — იყვირა უცებ.

ბეკოს კი ხელ-ფეხი წართმეოდა, აღარაფერი ესმოდა, გარდა თავისი გულის ბავუნისა. ვერც კი ვაიგო, როდის გაჩუმდა გამგე, როდის წავიდა, როდის დარჩა მარტო. ალბათ დიდხანს იდგა ასე გაოგნებული, რადგან თვალში რომ გამოიხედა, ირგვლივ აღარავინ იყო. მარტო იდგა ახლა შადრევნების წინ. მერე მის ჩაბნელებულ გონებაში ისევ შიშმა გამოაუყიტა: „მომკლავენ!“ ის კი აღარ უფიქრია, რატომ უნდა მოეკლათ. ცახცახმა აიტანა, აუზთან მივიდა და წყალში ჩაპყო ორივე ხელი. ესაიამოვნა ცივი წყალი. მუხლები ეკვეთებოდა, კინაღამ ჩაჯდა აუზთან. თავს დამნაშავედ გრძნობდა და გული ეწურებოდა.

„დათო უნდა მოვძებნო, დათო უნდა მოვძებნო!“

უცებ მოწყდა ადგილიდან და გაიქცა. დამძიმებული, უღონო ხელები ისე მიჰქონდა, თითქოს კუპრში ამოველოს. მოულოდნელად წაიფორხილა, თითქოს ქვას წამოჰკრა ფეხით, თავი შეიმაგრა, მაგრამ ახლა მთლიანად მოწყდა, მოეშვა, ხის ძირას მიჯდა და მოიკუნტა. იჯდა და კვნესოდა, ცივი ოფლი ასხამდა. როდის-როდის წამოდგა და ისევ გაიქცა, ეგონა სირბილში იყო მისი ერთადერთი ხსნა, სანამ სირბილი შეეძლო, საქმეს კიდევ ეშველებოდა. ახლა უკვე აღმართზე მიბრბოდა, თვითონ ეგონა, მივრბივარო, ნამდვილად კი მილასლასებდა. გული ისე უცემდა, თითქოს მკერდიდან ამოხტომას აპირებდეს.

მერე ნათურა დაინახა, რკინის ჰიშკრის თავზე რომ ეკიდა. მაიმუნების სად-

გომთან მოსულიყო. ისევ აქ უნდა ეძებნა, აქ უნდა დაეცადა, შიშმა გამეფიქროსა, ყვანა თორემ მაშინვე უნდა მიხვედრილიყო, დათო, თუ თავისით იყო სადმე წასული, უსათუოდ აქ დაბრუნდებოდა, რადგან იცოდა, ბეკო აქ უნდა მოსულიყო.

იქითკენ წავიდა, სადაც ხეები იდგა. მიწიდან ამოყრილ, უზარმაზარ დაგრეხილ ფესვებს შორის ჩაჯდა, მოიბუზა. ჩქარ-ჩქარა სუნთქავდა, როგორც რინგის კუთხეში გალახული მოკრივე. ცოტა სული რომ მოითქვა, აზროვნების უნარიც დაუბრუნდა. კარგი იყო, აქ რომ დაბრუნდა, თავიდანვე არ უნდა მოეცვალა ფეხი აქედან. მაგრამ ვაითუ დათო მილიციელმა წაიყვანა: მას ხომ ეძებენ! მაშასადამე ბეკოსაც ეძებენ, ეძებს მილიცია და არა მარტო მილიცია, თოფებით შეიარაღებული ხალხიც. კი მაგრამ, რატომ, რა დააშავა? მაგრამ ხალხმა ხომ არ იცის, მას რომ არაფერი დაუშავებია? ბავშვი სახლიდან მან წამოიყვანა, ის ბავშვი დაიკარგა, ხალხის შემფოთება სამართლიანი იყო.

უცებ ზინა დაუდგა თვალწინ, სიმწრისგან ხელებს რომ იმტვრევდა. შეიძლებოდა ქალს მართლა დაეჯერებინა, რომ ბავშვი ბეკომ მოიტაცა. რატომ? იმიტომ რომ... იმიტომ. საშინლად შერცხვა, თითქოს ტანზე ცეცხლი წაეკიდაო. უცებ ახალმა აზრმა გაუელვა: მათ ხომ ჯერ არ იციან, ბავშვი მე რომ წავიყვანე! სასწრაფოდ უნდა იპოვნოს დათო და შინ დააბრუნოს. უმწეოდ მიიხედ-მოიხედა, თითქოს ვინმეს ეძებდა, რომ თავისი გასაჭირი შეეჩვილა.

„მივალ მილიციაში და ყველაფერს მოვუყვები, — გაიფიქრა, — ასე აჯობებს.“ წასვლა დააპირა კიდევ, მაგრამ შეყოყმანდა: კი მაგრამ რომ მკითხავენ, ბავშვი რა უყავიო, რა ვუთხრა. ვინ დამიჯერებს, აქ ქვაზე ჩამომჯთარი რომ დავტოვე და, როცა დავბრუნდი, აღარ დამხვდა. ხომ მეტყვიან, რატომ თან არ წაიყვანეო? მართლაც და, რატომ არ წაიყვანეო? იმიტომ რომ გავიქცეოდი და ფულს მოვარბენინებდი, ასე უფრო ჩქა-



რა იქნებოდა. რა თქმა უნდა, ამას მილიცია არ დაუჯერებდა, მაგრამ თვითონ კი გული გაეხსნა:

— დათო ნამდვილად აქ არის!

მაიმუნებთან ან ვინმე მაღლიანმა შეიყვანა, ანდა თვითონ შეიპარა. ისე გაძვრებოდა, დარაჯი ვერც კი შეამჩნევდა, თანაც ისეთი დარაჯი, მთელ თავის ყურადღებას თუთუნთან ერთად ქალაქში რომ ახვევს და მერე არხვინად აბოლებს. შეიპარა ალბათ, გაერთო და დაღამება ვერც კი შეამჩნია. ზის ახლა საღამო კუთხეში მიყუქუელი, შეშინებული და ბეკოს გამოჩენას ელოდება.

ბეკოს გაეღიმა, დამშვიდდა.

მაიმუნების სადგომს დაწულნი მავთულის მაღალი ღობე ერტყა. ღობეზე გადაძრომა შეიძლებოდა, მაგრამ საქმე ის იყო, რომ ღობეს მთელ სიგრძეზე ელექტრონათურები ანათებდა. ბეკომ კარგახანს იარა, სანამ ისეთ ადგილს იპოვიდა, სადაც ნათურა გადამწვარი იყო. ბადეს მოეჭიდა. არა, ასე ადვილად ვერ ავიდოდა, ფეხსაცმელი უნდა გაეძრო. გაიხადა კიდევ ფეხსაცმელი და ღობის იქით გადაყარა. წვალეებით გადაძვრა ღობეზე. ფეხის ცერა თითზე ტყავი გადაეყვლიფა. ბალახში ხელი მოაფათურა და ფეხსაცმელები იპოვნა. მიწაზე დაჯდა, ჩაიცვა. ზონარს რომ იკრავდა, ცას ახედა: ნეტავ, რომელი საათია? ბნელში ცოტახანს იარა და ნათურით განათებულ პატარა მოედანზე გავიდა. მოედანზე დაფხვნილი აგური იყო მოყრილი, ბავშვების სათამაშო ადგილს გავდა. მართლაც, რა არ იყო აქ: აიწონა-დაიწონა, საქანელა, სასრიალბეგელი, ხის ვეება ბურთი, პატარა კარუსელი, მოეჩვენა, კარუსელის ეტლში ვიღაც იჯდა.

— დათო, — დაუძახა ჩუმად.

ხმა არავინ გასცა. ფრთხილად წავიდა იქითკენ, ეტლი ცარიელი იყო. ფეხსაცმელა გადაყვლეფილ თითს ტკენდა. ორივე გაიხადა და ილიაში ამოიჩარა. გზაზე მოყრილ ხვინჯაზე წვალეებით გაიარა და შენობის კარს მიადგა. კარი ღრვივით იყო დატოვებული და იქიდან

სუსტი სინათლე გამოდიოდა. ღრიჭოში თავი შეჰყო და შეიხედა: ეს იყო მანქანა, ნახევრად ჩაბნელებული დარბაზი, რომელსაც ორივე მხარეს ერთმანეთზე მჭიდროდ მიდგმული გალიები მიუყვებოდა. ბოლო გალიაში შუქი ენთო. ღრიჭოდან რაღაც უცნაური, პირუტყვული სიმშვიდე იღვრებოდა. მთელმა მისმა დაქანცულმა სხეულმა უცებ შეისრუტა ეს სიმშვიდე. გაყურდა, გაინაბა. სიამოვნებით შეძვრებოდა რომელიმე გალიაში და ამ სიჩუმეში დაიძინებდა.

უცებ სიმშვიდე საზარელმა, გაბმულმა წივილმა დაარღვია და გალიების ბადეს ერთბაშად იმდენი მიიმუნი მოაწყდა, ბეკოს შიშისაგან თავზარი დაეცა. მიიმუნები ბადეს აჯანჯლარებდნენ, ფეხებს აბაკუნებდნენ, კბილებდაკრეკილები ჩხოდნენ, წიოდნენ, ჰყაოდნენ და ერთმანეთს თავზე ახტებოდნენ.

ბეკო რომ გონს მოეგო, უკვე ქუჩაში იყო, ფეხსაცმელები ხელში ეჭირა და გარბოდა. გული ამოვარდნაზე ჰქონდა.

დიღხანს ირბინა, მერე მილიციის შენობა დაინახა და შეჩერდა. შესვლა დააპირა, მაგრამ ვერ გაბედა.

დიღხანს იწრიალა კართან, სანამ მილიციელმა, რომელიც, ეტყობა, უთვალთვალბდა, არ დაუძახა:

— წადი, ბიჭიკო, შინ, გვიანია!

მილიციელი კედლის ჩრდილს გამოეყო და ბეკოსკენ წამოვიდა. ბეკომ უკან-უკან დაიხია და გაიქცა. შემოესმა, როგორ გაიცინა მილიციელმა.

ფეხები ტკიოდა, მხრებიც ჩამოწყვეტაზე ჰქონდა. სანაპიროზე ისევ იმ სკამზე ჩამოჯდა, ის და დათო რომ სხდებოდნენ. სკამზე ვიღაც მოხუცი კაცი იჯდა და ყურთან მიდებულ ტრანზისტორით მუსიკას უსმენდა.

— ლიუძოვ კელმინ ჰესსო დიემარლონ ემპოზო! — თქვა ბეკომ ხმამაღლა.

— მე მითხარით რამე? — ჰკითხა მოხუცი და ყურიდან ტრანზისტორი მოიშორა.

თავაზ ბილაძე
აუზი

— არა, — უბასუხა ბეკომ და გაიმეორა, — ლიუმოზ კელმინ პესსო დემარლონი ემპოზო!

მოხუცი წამოდგა და საჩქაროდ გაშორდა იქაურობას. ბეკოს ესმოდა, როგორ იწრითებოდა მუსიკის ხმა, ნაკადულივით. ნავსადგურში ერთიანად გაჩაღებული გემი იდგა, როგორც წყლიდან ამოზიდული საახალწლო ნაძვის ხე. ოქროს ბრწყყვილა ძაფები ეფინა ამ ხეს ირგვლივ და განათებული წყლის ზედაპირი მოკრიალებულ ყინულს გავდა. ნაპირთან უფრო ახლოს ნიჩბების ჩქაფანი მოისმოდა. იტყობა, ვიღაც ნავით სეირნობდა. სიმშვიდე იდგა, მაგრამ დაძაბული და ფხიზელი. ამ სიმშვიდის ნდობა არ შეიძლებოდა, ყურდაცქვეტილი უნდა ყოფილიყავი, ხელეზით მერხზე დაყრდნობილი, წამოსახტომად გამზადებული, როგორც სტარტზე, დამბაჩის ხმის მოლოდინში.

ცოტახანს რომ კიდევ ასე მკდარიყო, უსათუოდ დაეძინებოდა, მას კი უნდა ეარნა, ეარნა დაუსრულებლად, იქნებ სადმე წასწყდომოდა დათოს. წამოდგომა კი ეზარებოდა, არც შეეძლო, ეგონა, ფეხები დამისივდაო.

მაინც იძალა და წამოდგა, იმ ეზოს მიაშურა, სადაც ონკანი ეგულებოდა. წყალი დალია და ქუჩაში გამოვიდა. განათებულ ვიტრინასთან გაჩერდა. ზანგების ჯგუფმა ჩაიარა. ჯგუფს მაღალი კაცი მიუძღოდა, თავისიერი შუაში გადაჭრილ განტელს მიუგავდა. მხრებზე ბავშვი შეესვა. ბავშვმა ბეკოს შეხედა და რაღაც დაიძახა, ყველამ მოიხედა. ბავშვი დიდხანს უქნევდა ხელს, სანამ თვალს მიეფარებოდა.

ბეკო ქუჩას დაუყვა. ერთი სახლის კარი გამოღებული იყო და იქიდან ტროტუარს სინათლე ეცემოდა. ბეკომ კარში შეიხედა და პირდაპირ იმ ბიჭის თვალებს წააწყდა, გოგოსთან ერთად რომ ნახა დღისით. ბიჭი ბილიარდის მაგიდაზე იყო გადმომხობილი, ხელში ჯოხი ეჭირა და ბურთს უმიზნებდა. კარგახანს უყურეს ერთმანეთს, მერე ბეკო გამოტრიალდა.

გადაწყვიტა, სადგურში წასულიყო. შეიძლება იქ მივიდა დათო, სადგურში ადვილი საპოვნელიაო. მაგრამ ვაი თუ ცოცხალი აღარ არის! — შეუხტა უცებ გული. ხომ შეიძლება მანქანის ქვეშ ჩავარდნილიყო. ათასი საფრთხეა ქალაქში. ტუჩს კბილი დააჭირა და წუხანდელი ჭრილობა გაეხსნა. პირი სისხლით გაეფსო, გადმოაფურთხა. ჯიბიდან ცხვირსახოცის ამოღება დააპირა, მაგრამ ცხვირსახოცი დაჰკარგვოდა. სახელოთი მოიწმინდა სისხლი. ასე, პირზე მაჭაათარებული მიდიოდა სადგურისკენ.

„ნეტავი რომელი საათია?“

თორმეტი საათი იყო, ზინამ რომ მესამედ დაუძახა დათოს. დათო არ გამოპასუხებია. ზინამ ეზოში გადაიხედა, ბავშვი არ ჩანდა.

— ჩადი, ნათელა, გენაცვალე და დათო ამოიყვანე, დედა გეძახისთქო.

— დათო. ეზოში არ არის, — ამოუტანა ამბავი ნათელამ.

— კარგი, თვითონ ამოვა, ქუჩაში გავიდა ალბათ.

ნათელა თავის ამბავს უყვებოდა, როგორ გადაიყვანა ვიღაც ბიჭმა ფოსტის უკან და აკოცა.

— შვილი ხომ არ გამიჩნდებაო? — ეკითხებოდა გოგო.

ზინა კისკისებდა.

— იმ ბიჭს ცხვირზე მეჭექი აზის და მეშინიაო, — ამბობდა ნათელა, — თანაც ჯარში მიჰყავთ და, სანამ ჩამოვა, დავავიწყდებიო.

— არ დაავიწყდებიო. — ეუბნებოდა ზინა, — თუ ეყვარები, როგორ დავივიწყებო.

— მე საიდან შევატყობ, ვეყვარები თუ არა, შორს იქნებაო... მერე ნათელამაც გაიცინა და უთხრა:

— მართლა, რა მოგიყვებ, ზინა მასწავლებლო, რა მოგიყვებ!

— ჰო?

— ირაკლის იცნობთ?

— არა.

— არც ლადოს?

— არა.

— ლილის კი იცნობთ ალბათ, რესტორანში რომ მღერის..



— ვიცი, ვიცი.
 — კარგი გოგოა, მე რომ ბიბლიოთეკაში ვარ, ჩემს შეილებს ეგ უფლის. სპინოზა ხომ იცით?

— კი.
 — ჰოდა, ლილის, ირაკლისა და ლადოს სპინოზასთვის უმკითხავით... მეცინება ძალიან...

— უმკითხავით?
 — ლილის კარტი გაუშლია სპინოზასთვის... ნიღაბი კეთებია, აფრიკული, საღ უშოვია, არ ვიცი და სპინოზას ვერ უცვნიან... კოსმოსში გაფრინდებიო. მოვევდი, აღარ შემიძლია...

— მოდი, ჯერ სიცილით გული მოიჭერე და მერე მომიყვივი, — უშბლი შეიკრა ზინამ.

— ეგ უნდოდა მაგ საწყალს! — იცინოდა ნათელა.

თორმეტს რომ გადასცილდა, ზინა თვითონ ჩავიდა ეზოში. ნათელაც გაჰყვა. დათო არც ეზოში იყო, არც პლიაჟზე, არც ფოსტასთან, სადაც ბავშვები გროვდებოდნენ ხოლმე. შეშინებული ზინა ისევ შინისკენ გამობრუნდა. ამ დროს ნიკომ დარეკა, დათო როგორ არისო?

— კარგად, ბატონო, კარგადო, — უპასუხა ზინამ და მაშინ შეშინდა. ქუჩაში გამოვარდა. ნათელაც გამოჰყვა. დათო არ ჩანდა.

— ნიკოს დავურეკოთ, — უთხრა ნათელამ.

— არა! რა? ჰო, ჰო, დავურეკოთ. ისევ შინისკენ გავარდნენ.

სკამზე ჩამოჯდა, ხელები მუხლებზე დაიწყო:

— რა ვქნათ?
 — რა ვქნათ და დავურეკოთ, — ნათელამ სავადმყოფოს ტელეფონის ნომერი აკრიფა.

— არა, არა, — დაუჭირა ხელი გოგოს, — არ დარეკო!

რა უნდა ეთქვა მამამთილისთვის?

— აბა, მე წავალ და მეზობლებში გავიკითხავ, — უთხრა ნათელამ, — ნუ გეშინიათ.

— არა, არ მეშინია, — გაიღიმა უნი-

ათოდ, მერე კი, ნათელა რომ წავიდა, ნამდვილად შეეშინდა, — რატომ უნდა ხრა, ნუ გეშინიაო, რისი უნდა მეშინოდეს?

ნათელამ, ეტყობა, ნიკოს მინც შეატყობინა, ნიკო გაეჩუბული მოვარდა:

— ბავშვი სად არის? — იყვირა კარებშივე.

— არ ვიცი, — ზინამ სცადა პასუხი მშვიდად გაეცა, ოღონდ აცხვებულ ხელებს ვერაფერი მოუხერხა, ბოლოს ზურგს უკან დამალა.

— არ იცი? — გაუკვირდა ნიკოს, თითქოს ზინამ იცოდა და უმაღავდა, — როგორ თუ არ იცი! — უყვირა, პირველად უყვირა რძალს.

— მე რას მიყვირით, ჩემი ბრალია თუ? — ხმას აუწია ზინამაც უნებურად, შეიძლება იმიტომ, რომ ძალიან ეშინოდა, მაშინვე უღარდელი კილოთი დაუმატა, — მოვა ალბათ საცაა...

— მოვა? თავისით მოვა, არა? აქამდე არ მოგიკითხავს, არა?

— როგორ არა, — ზინამ თვალი გაუხსწორა მამამთილს, — როგორ არ მოგიკითხავს...

— მერე?

— თქვენ ანებივრებდით! — წამოცდა უცებ ზინას. ეს დანაშაულის გადაბრალება იყო, თანაც უსინდისოდ. შეწუხდა, თავი ჩაღუნა, კბილებში გამოსცრა, — ჩემი უბედურებაც მეყოფა, — თავი შეაცოდა, ესეც უსინდისობა იყო. მოულოდნელად გაბრაზდა: „რა ტონით მელაპარაკებთან, ბოლოსდაბოლოს, ღედა ვარ თუ ძიძა!“ — ნუ მიყვირით, — თქვა მან.

ნიკო ცოტახანს უხმოდ შეაცქერდა, მერე ჰკითხა, უფრო რბილად, თითქმის დაყვავებით, თითქოს უნებური შეცდომისთვის პატიებას თხოვსო:

— სკოლის ეზოში ნახე?

— კი.

— პლიაჟზე?

— კი.

თავაზ ბილაძე
 აწუხი



— ფოსტასთან?
 — იქაც ვიყავი.
 — მეზობლებში თუ გაიკითხე?
 — მეზობლებში? — ისე იკითხა ზინამ, თითქოს ვერც კი წარმოედგინა, რომ მეზობლებში ბავშვის მოძებნა შეიძლებოდა. გულში კი მაშინვე გაიფიქრა: „რა თქმა უნდა, დათუნა რომელიმე მეზობელთანაა. რატომ არ ვიკითხე, რა მომარბენინებდა შინ?“

— ჰო, მეზობლებში!
 — წავალ, ვნახავ, — წამოდგა.
 — არა, მე წავალ, აქ იყავი, — ნიკო გატრიალდა, კარებში ერთი წამით შეჩერდა, არ მოუხედაის, ისე უთხრა, — ნუ გეშინია...

ორი საათის მერე დაბრუნდა, კართან სკამზე ჩამოჯდა და სახე ხელებში ჩამალა. დიდხანს იყვნენ ჩუმად, მერე ზინამ ტირილი დაიწყო.

— წამოდი, მილიციამი წავიდეთ, — უთხრა ნიკომ.

მილიციის შესასვლელთან უფროსის მოადგილე დახვდათ.

— ბატონო ნიკო, რაზე შეწუხებულხართ.

— ილია თუ არის აქ?

— კი, ბატონო.

კაბინეტის კარი შეაღეს, შევიდნენ, მოადგილეც შეჰყვათ.

— სულ შინ ზის, ბაბუამისი ყოველ ნახევარ საათში რეკავს, მეკითხება, დათო სად არისო. სხვა ბავშვები კი თამაშობენ, ზღვაზე დადიან. არასოდეს არ მიფიქრია, რომ რამე შეიძლებოდა დამართნოდა, წყნარი ქალაქია, ყველა ერთმანეთს იცნობს, აქ არაფერი ხდება ისეთი, რომ ბავშვი შინ გამოვკეტო. რა ვიცოდი... რა ვიცოდი... ზუსტად თერთმეტი იყო, როცა მეორედ დავუძახე დათოს. ფოსტალიონი მოადგა ჩვენს კიშკარს და ყუთში გაზეთები ჩაყარა. ის კი ყოველთვის ერთსა და იმავე ღროს მოდის, არც აღრე და არც გვიან. მერე სპინოზამ ჩამოიარა გზაზე...

— სპინოზამ? — ჰკითხა მოადგილემ, — აჰა, ბონდო ლეჟავამ არა?

— დიახ, ბაზრიდან ბრუნდებოდა.
 — მარტო იყო?
 — დიახ.
 — სხვა ვინმე ხომ არ დაგინახავთ?
 — არა, სხვა არავინ დამინახავს, რადგან მაშინვე მოვშორდი ფანჯარას, სამზარეულოში საქმე მქონდა... დიახ, ბაზრიდან ბრუნდებოდა, ხელში ჩანთა ეჭირა...

— მტერი ხომ არა გყავთ ვინმე? — ჰკითხა ისევ მოადგილემ.

— არა, არავინ არ მყავს მტერი. მე ვინ უნდა მიმტროს, ან რა უნდა შემურდეთ ჩემი? — მწარედ გაიღიმა, მაგრამ იმ წამსვე მიხვდა, რომ შედმეტი თქვა, ვიდრე საჭირო იყო. მისი პირადი განცდები აქ არავის. აინტესებდა, — პირებით, დარწმუნებული ვარ, რომ აქ ყველას ვუყვარვარ.

დაინახა, როგორ დაიქნია მისმა მამითილმა თავი, თანხმობის ნიშნად.

— მოწათფევებს, მათ მეზობლებს, ყველას. პატავს მცემენ. შედმეტსაც კი, ვიდრე ვიმსახურებ, თანაც არა მგონია, რომ, — შეჩერდა, შეყოყმანდა, აღარ იცოდა რა ეთქვა.

— რა არ გგონიათ? — ჰკითხა მილიციის უფროსის მოადგილემ, ახალგაზრდა სათვალთანაა კაცმა. მას ძალზე შეთხელებული თმა ჰქონდა, რომელშიაც ბავშვის კანივით ნაზა და ვარდისფერი მელოტი გამოსჰკვიოდა. ეტყობა, გულმოდგინედ მალავდა, მაგრამ ვერაფერს უხერხებდა, როგორც აჩხავლებულ ბავშვს. მძიმე-მძიმედ და მშრალად ლაპარაკობდა, თითქოს სიტყვას კი არა, სიტყვის კურკას ისროდა პირიდან, — რასაკვირველია, განა შეიძლება დღეს ჩვენში ვინმემ მოიტაცოს ბავშვი? რატომ? რისი გულისთვის? ის ან პათოლოგიური პიროვნება უნდა იყოს, ანდა... ანდა არ ვიცი, ბატონო, — გაშალა ხელები მოადგილემ, — ჩვენში კიდნაპინგისტვის სოციალური საფუძველი არ არსებობს, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოება დაზღვეული არ არის პათოლოგიური პიროვნებებისაგან. არა, მე თქვენი შეშინება არ მინდა. პი-

რადღაც მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი შვილი ახლა სადღაც თამაშობს. თამაშის დროს კი ბავშვები დროს ვერ გრძნობენ. ბავშვები კი არა, ჩვენც კი ვერ ვგრძნობთ, როგორ გადის დრო, როცა ვერთობით, — გაიღიმა, ღიმილთან ერთად, მისმა სათვალის შუშამაც გაიბრტყევილა, ყველამ რატომღაც უფროსისაკენ გაიხედა, რომელიც ჰადრაკის დაფას დასჩერებოდა — ამდენად პანიკისთვის, მე მგონი, მიზეზი არა გვაქვს.

— არასოდეს დაუგვიანებია ასე, — ამოიკენესა ზინამ.

— მესმის, მესმის, — ისევ გაიღიმა მოადგილემ, — ბუნებრივია, რომ გეშინიათ.

— ხომ არ დაიხრჩო? — ნიკოს ხმა ჩაუწყდა, ჩაახველა.

— ეჰ, ნიკო, ნიკო, — როგორ შეიძლება ასე, — ჩაერია საუბარში ილია, თავი შეახსენათ, რადგან აქ ჯერჯერობით ის იყო უფროსი და არა მისი მოადგილე.

— გეყოლება შვილიშვილი და მაშინ გაიგებ. — თქვა ნიკომ.

— ჰო, აბა, შენს მეტს არავის ყავს შვილიშვილი, — უთხრა ილიამ, თან ჰადრაკის დაფას თვალს არ ამორებდა, — არაფერი აღარ ეშველება ამას!

— რა თქვი? — ჰკითხა ნიკომ.

— შე კაი კაცო, ბავშვი დაიხრჩოს და ვერ გავიგოთ? შენისთანა შეშლილი ბაბუა არ მინახავს მე. წაუგია ბუხუტის. ნიკოსთან მივიდა, მხარზე ხელი დაადლო:

— წადი ახლა შინ, დამშვიდებული, ჩემს ბიჭებს გავაგზავნი და მოგიყვანენ სახლში ნახევარ საათში, ყური აუწიონ თუ არა?

— კი, — უთხრა ნიკომ.

ილიამ გაიცინა:

— კაი, არ აუწივენ. რომელი საათია ახლა?

— სამის ნახევარია, — უპასუხა მოადგილემ.

— ჰოდა, ზუსტად სამზე შენი შვილიშვილი კისერზე შემომჯდარი გეყოლება.

ოთახიდან გამოდიოდნენ, რომლებსაც მოადგილემ დაუძახათ:

— უკაცრავად, ვინმეს ხომ არ დაურეკავს თქვენთვის დღეს?

— არა, — ნიკომ ზინას შეხედა, — დარეკა ვინმემ?

— არა, ბატონო.

— არც გუშინ? არც გუშინწინ?

— არა, ბატონო, — თქვა ზინამ, რადგან ნიკომ ისევ მას შეხედა.

— კარგად ბრძანდებოდეთ, — გამოემშვიდობა მოადგილე.

მერე გახდა სამი, გახდა ოთხი, გახდა ხუთი, გახდა ექვსი საათი, დათო არსად ჩანდა...

არც მილიციიდან ისმოდა ჩამიჩუმი. მილიციამ ბავშვი ვერა, თორემ ისე ბევრი საინტერესო რამ იბოვა. უპირველეს ყოვლისა, ერთი კვირის წინ ხრამში გადაჩეხილი მანქანა, რომლის ახლოს წვერმოშვებული შოფერი იჯდა და საეჭვოდ იღიმებოდა. იბოვა უფაქტურო საქონელი გასტრონომიული მაღაზიის საწყობში. იბოვა კაცი, რომელსაც ცოლ-შვილი აგერ უკვე მესამე წელია თითქმის უიმედოდ ეძებდა. ის კაცი მაგნოლიებით დაბურულ ეზოში ჰამაკში იწვა და ორი წლის ბუთხუხა ბიჭს მუცელზე ათამაშებდა.

● ასე გარინდებული იდგა მდინარის პირას ბეჭემოთი მურთაზიკო და მის ცხოვრებაში არაფერი ისეთი არ მომხდარა, რომ თქვენ დაგაინტერესოთ. მხოლოდ ეს იყო, რომ დროთა განმავლობაში ნელ-ნელა ისე დაპატარავდა, ერთხელ მდინარეზე საბანაოდ ჩამოსულმა ბიჭმა დაინახა, აიყვანა და ხელისგულზე დასმული, თითქოს პეშვით წყალი მიაქვსო, შინისკენ გაარბენინა: რა გაჩვენოთ. რა გაჩვენოთ, ლილიპუტი ბეჭემოთი დავიპირეთ.

ბიჭმა მურთაზიკო ტელევიზორის ყუთში ჩასვა. დაუძახებდა ხოლმე მე-

თამაზ ზილამა
აუზი



გობრებს, ჩართავდა ტელევიზორს და შესცქეროდნენ ბავშვები პატარა ბეჭე- მოთს.

მწერალი აივანზე იდგა და უყურებ- და, როგორ ივსებოდა ქვიშითა და მი- წით აუზი. დილით რაიადმასკომში და- რეკა და თხოვა, თვითმცლელი მანქანა გამომივზავნეთო. ნახევარ საათში ორი მანქანა მოადგა კარზე. ქვიშაც აქვე იყო, ზღვის პირას. მთელი ქალაქის ბავშვებმა როგორც კი გაიგეს, აუზი მიწით ივსებოა, მოცვიდნენ, პატარა სათამაშო ვედროებითაც კი ეზიდებოდ- ნენ მიწას და აუზში ყრიდნენ.

მარტო სპინოზა არ იღებდა მონაწი- ლეობას ამ საქმეში, განზე იდგა და დაბღვერილი შესცქეროდა.

შორიდან რომ შეგეხებათ, -ფიქრებ- დით, ბავშვების დღესასწაულიაო, ისე- თი სიცილ-კისკისი და ყრიაშული მოის- მოდა ეზოდან.

— გაქრა მურთაზიკოს აუზიო, — ჩაილაპარაკა მწერალმა.

ეს სიტყვები ყველამ გაიგონა, მაგ- რამ ვერავინ მიხვდა, რას გულისხმობ- და მწერალი.

10.

ჩემი აზრით, სკოლაში ბავშვს შეიძ- ლება ვერაფერი ასწავლო, მაგრამ თუ იმას არ დაავიწყებ, რაც მან გაჩენის დღიდან იცის — რომ ის ადამიანია — ეს უკვე დიდი საქმეა.

გული ტკივილით მეწურება. ვცდი- ლობ წარმოვიდგინო, თუ რას განიცდი- და ბეკო, როცა დათო დაკარგა.

აქამდე არასოდეს უგრძვნია ასე თა- ვისი აუცილებლობა. აქამდე ცალკე ცხოვრობდა, ცაში, ზის კენწეროზე გა- კეთებულ წეროს ბუდეში. ბუდეს ღრუბლის სუნი ასდიოდა, თოფისწამ- ლისა და ზღვის სუნი. ცხოვრება სად- ლაც დაბლა თავისთვის მიიზღაზნებო- და, არ ჩანდა, მდინარეზე გაშენებულ ჩინურ სოფელივით, აყაყანებული და კვამლით გაჟღერთილი ბინდი ეფარა.

ცაში ცხოვრობდა, ჩიტივით კენკავ-

და საკენკს და ჩიტივით უსტვენდა. სი საყვირი გრძელი, პრიალა ნისკარტი იყო, მეტი არაფერი. მისი სიყვარულიც ჩიტის სიყვარული იყო, ჩიტის ლტოლ- ვა უსაზღვრო სივრცისადმი, ჩიტის ცალმხრივი, გაუმხელელი სიყვარული, ბრმა ინსტინქტი არსებობისა.

თუმცა მისი არსება გამუდმებით ას- ხივებდა და იძლეოდა ნიშანს, მისდა- უნებურად მოითხოვდა ყურადღებას. მაინც ყველაზე მეტად თვითონ ეშინო- და ამ ყურადღებისა, რადგან გრძნობ- და, სივრცეში მანამდე შეეძლო თავი- სუფლად ეფრინა, სანამ შეამჩნევდნენ. ეს სივრცე მისთვის უცებ დაიხურა. სცენის ფარდასავით ნელა და ნარნა- რით კი არა, ტელევიზორის ეკრანივით გამოირთო, ჩაქრა. ისიც იგრძნო და ალბათ ეს იყო მისი გამოფხიზლების პირველი ნიშანი, რომ ჩიტი სულ ცაში ვერ გაძლებდა, ეს მხოლოდ უსიცოცხ- ლო ვარსკვლავს შეეძლო, მას კი სი- ცოცხლე სწყუროდა, რომლის ტკბილ- მწარე გემოც უკვე პირში უტრიალებ- და. ქარმა, რომელმაც ის ბუდიდან გდ- მოავდო, თავისი მარადიული, შეუცნო- ბელი დანიშნულება შეასრულა: მიწაზე დაავდო თესლი, რათა არ გამოფიტუ- ლიყო, არ გამხმარიყო. მართალია, ის ახლა ხიდან პირველად ფეხჩამოდებულ- სა და ჭერ კიდევ წელში მოკაკულ მაი- მუნს გავდა, მაგრამ გრძნობდა, გრძნობ- და თუ გულის ყრუ გუგუნი ჩასჩიჩი- ნებდა, რომ სიცოცხლე მისგან იწყებო- და და ახლა მის მიერ გადადგმულ პირ- ველ ნაბიჯზე იყო დამოკიდებული ბე- დი არა მარტო მისი, არამედ უამრავი პაწაწინა არსებისა. რომლებიც დაძაბუ- ლები და სუნთქვაშეკრულები შორიდან შესცქეროდნენ, როგორ წვალობდა მუნ- ლებგადაყვლეფილი, დამსკდარ ტუჩებ- ზე ხელაფარებული, მშოიერი და დაქან- ცული ბელადი.

ცხოვრების კართან ისეთივე ტურნი- კეტი დგას, როგორც მეტროში. თუ ავ- ტომატში რამეს არ ჩაავდებ, ტურნიკე-

ტი არ გაიხსნება და არ გაგატარებს. მაგრამ თუკი არაფერი გაქვს, თუკი მხოლოდ ადამიანი ხარ, ასანთის ღერივით იაფი და ამავე დროს აუცილებელიც? მაშინ შენი საკუთარი აუცილებლობა უნდა ჩააგდო ავტომატში...

მას დათო უნდა ეპოვნა. არა, თავისი უღანაშაულობის დამტკიცება კი არ უნდოდა, ამაზე ამ წუთას სრულებითაც არ ფიქრობდა, არამედ უნდოდა მოფერებოდა, გულში ჩაეყრა, მეტი არაფერი. ფიქრობდა, ბავშვი მარტოა და ეშინაო. თვითონაც ეშინოდა, მარტო რომ იყო. მაგრამ მისი შიში არაფერი იყო იმასთან შედარებით, რასაც ალბათ ახლა ბავშვი განიცდიდა. თვითონ აღარ იყო ბავშვი, თვითონ უკვე უფროსი ქმა იყო, რომელსაც თავისი ტკივილი უნდა დაემალა, რათა პატარას არ შესინებოდა.

და აჰა, სადგურის შენობაც გამოჩნდა.

სადგურის მოსაცდელი დარბაზი თითქმის ცარიელი იყო. რესტორანშიც შეიხედა, ისე, ყოველშემთხვევისთვის. რესტორანი თუთუნის კვამლით იყო დაბურული. ვიღაც მსუქანი, მაღალი ქალი, რომელსაც ღრმად ამოჭრილი შავი ატლასის კაბა ეცვა, მთელი ხმით გაჰკიოდა: „ცოცხალი ვარ, ცოცხალი“. ორკესტრი ცუდად უკრავდა, პიანინოც, ეტყობოდა, აუწყობელი იყო. დიდხანს იდგა ბეკო კარებში, სანამ გაწრიბულმა, დიდულვაშა ოფიციალტმა არ შეუყვირა: ან შემოდი, ან გადი, ფეხებში ნუ გვეჩრებო.

რესტორნიდან გამოვიდა და კიდევ ერთხელ მოათვალიერა მოსაცდელი დარბაზი, იქნებ სადმე სკამზე მიწვა და დაეძინაო. მერე სადგურის ბაქანზე გამოვიდა.

პირველ ხაზზე მატარებელი იდგა: „მოსკოვი — თბილისი“. პირველი ვაგონიდან ფოსტას ტვირთავდნენ. ერთი კაცი ვაგონის მთლიანად გამოღებულ კარში იდგა, მეორე კი — დაბლა, ბაქანზე. იქვე ურიკაც მოეგორებინათ,

რომელზედაც ის მეორე კაცს გონიდან გადმოყრილ ტომარებს, ბანდეროლებსა და ამანათებს აწყობდა. ბეკო შორიახლოს გაჩერდა.

— გაიარე, გაიარე, რას დგახარ! — დაუძახა რკინიგზელმა.

ცოტახნის მერე მატარებელი წავიდა. ბეკო ბაქანზე მარტოდ დარჩა. გრილოდა. მასუთიანი მიწა ლიანდაგებს შორის ნაწვიმარევივით ბზინავდა.

ნახევარი საათის მერე საგარეუბნო მატარებელი ჩამოვივლიდა. თუ იქამდე დათოს ვერ იპოვნიდა, იმ მატარებელს წაყვებოდა შინ. ძებნას აზრი აღარ ჰქონდა. „იქნებ ახლა დათოს თავის ლოგინში გემრიელადაც კი ეძინოსო“, — გაიფიქრა. არა, შეუძლებელი იყო; როგორ უნდა წასულიყო მარტო სახლში? მაინც იმედის თოკს ჩაეჭიდა, აღარც თავისი მდგომარეობა მოეჩვენა ისე შემადარწუნებლად. ბოლოსდაბოლოს, რა მოხდა, რა დააშავა, მართლა ხომ არ მოუტაცნია ბავშვი. თვითონაც არ უნდოდა, მაგრამ ასე მოხდა. გაელიმა — იმ ბონდო ლეჟავა სპინოზას ისედაც სულ თოფი უჭირავს ხელში, ნეტავი სროლა მაინც თუ იცისო.

ბაქანზე გაიარ-გამოიარა. კი მაგრამ, ბილეთის ფული რომ არა აქვს? ამის გულისთვისაც ხომ არ მოკლავენ! ჩააწერინებს კონტროლიორს მისამართს, ანდა ვინმე შეხვდება ნაცნობი. უცებ ტანში გააყრიალა: ვაითუ. ვაითუ დათო შინ არ არის, ვაითუ მართლა რამე დემართა...

— ბიჭო, ეი, ბიჭო! — შემოესმა უცებ, — მოდი აქ!

მოიხედა, ის რკინიგზელი ეძახდა, წელან ურიკას რომ ტვირთავდა. სკამზე იჯდა და სიგარეტს წევდა.

მივიდა. — დაჯექი, — რკინიგზელმა სკამს ხელი მსუბუქად დაჰკრა, თითქოს აჩვენა, სადაც უნდა დამჯდარიყო.

ბეკო სკამის კიდეზე ჩამოჯდა.

— რას აკეთებ, ბიჭო, აქ? — ჰკითხა

თამაზ ზილბაძე
აუზი

ხა რკინიგზელმა, დაღლილი კაცის ხმით, რომლისთვისაც სულერთია რას უპასუხებენ.

— არაფერს...

კარგახანს ისხდნენ ჩუმად.

მერე რკინიგზელმა ჰკითხა:

— სიგარეტი ხომ არ გინდა?

— არა, ბატონო, გმადლობთ.

— არ ეწევი?

— კი, ვეწევი.

— მოწიე აბა, — რკინიგზელმა უბის ჯიბიდან „პრიმის“ კოლოფი ამოიღო დაქუჩქუჩული, გაასწორა, გახსნა, შეამოწმა, თუ არის შიგ რამეო და ბეკოს გაუწოდა.

ბეკომ მისი მაგივრად რომ ის ეთქვა, რისი თქმაც დააბირა, — გმადლობთ, ბატონო, არ მინდაო, — თქვა:

— მშია...

შეკრთა, პირზე ხელი აიფარა. ამას, რომც მომკვდარიყო, უცხო კაცს არ ეტყოდა. ვიდაცამ ამოიძახა მის მაგივრად გულიდან.

— გშია? — გაიმეორა რკინიგზელმა.

ბეკო წამოდგა.

— წავალ.

დროზე უნდა გასცლოდა აქაურობას, სანამ მართლა მათხოვრობას დაიწყებდა.

— დაჯექი, — უთხრა რკინიგზელმა, — დაჯექი.

ბეკო დაჯდა.

„რამ მათქმევინა მშიაო, დათოც კი არ იტყოდა ამას!“

რკინიგზელი ხმას არ იღებდა. იჯდა და სიგარეტს წევდა.

„ნეტავი მალე მოვიდოდეს მატარებელი“, — ფიქრობდა ბეკო.

რკინიგზელი წამოდგა:

— წამომყევი, — უთხრა ბეკოს.

— მე მატარებელს ველოდები, ბატონო, — ბეკომ ორივე ხელი სკამს ჩასჭიდა, თითქოს ძალით უპირებდნენ წაყვანას.

„შეიძლება გადაცმული მილიციელიც კია, — გაიფიქრა, — აბა, ასე ტკბილად რატომ მელაპარაკება?“

— წამო-მეთქი! — კი არ უთხრა,

უბრძანა კაცმა, ხმაშიც გაბრაზებული ეტყო.

ბეკო მოეშვა. კი, წაყოლა აჯობებდა. მილიციაში დაიძინებდა მაინც, სანამ... სანამ დილით სიმართლეს გაიგებდნენ.

წამოდგა. რკინიგზელი უკვე შენობისკენ მიდიოდა. დაბალი, მსუქანი კაცი იყო, ოღონდ მხრები ჰქონდა ვიწრო და კისერიც გრძელი და გამხდარი, დიდი, ჩაფართხუნებული შარვალი ეცვა, ფეხებს განგანზე ადგამდა და რაღაცით, სამთვლიან ველოსიპედს გავდა.

არც მოუხედავს, ისე დაუძახა ბეკოს:

— წამომყევი!

და ბეკოც ლასლასით წაჰყვა. თუმცა სხვა გამოსავალს ვერ ხედავდა, მაინც არ უნდოდა მილიციაში მისვლა. დედის სახე წარმოუდგა თვალწინ.

— ბეკო, ბეკო, სად მიდიხარო? — დაუძახა კიდეც დედამ.

მამაც დაინახა და მხოლოდ ახლა შეამჩნია, როგორ დაბერებულიყო, როგორ მოხრილიყო წელში.

ისინი ალბათ ჩემი დაქერის ამბავს ვერც კი გაიგებენ, დილით შინ ვიქნებიო, ეს არის, რომ ამალამ შეეშინდებათო. მაგრამ დათოს თუ ვერ იპოვნიდნენ, ვერც დილით მივიდოდა შინ. რომც გამოეშვათ, თვითონ არ წავიდოდა, დარჩებოდა ციხეში მთელი სიცოცხლის განმავლობაში, ფანჯრის გისოსებზე აკრული.

მართლაც და რა ბრყევია, რატომ თავიდანვე არ მივიდა მილიციაში, ორივენი უკვე შინ იქნებოდნენ, დათოც და ისიც. რაღადროსია!

დათო კი ალბათ დგას სადმე კუთხეში, ანდა რომელიმე ბაღის სკამზე ზის მობუზული და იმედი აქვს, ბეკო მიაკითხავს. ბეკო კი ამ დროს მილიციაში მიბლყუნობს, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ შიმშილის ატანა აღარ შეუძლია, თანაც ეძინება ძალიან. განა სულერთია ვინ იპოვნის დათოს? რა თქმა უნდა, არა. დათო მან უნდა იპოვოს, მან, დათოს მისი იმედი აქვს.

ერთმა გულმა უთხრა, გაიქეციო.

გაქცევა მართლაც შეეძლო, ეს მოხუცი კაცი მას ვერ დაეწეოდა, მაგრამ სირცხვილი იყო, წარმოიდგინა, რიგორ გარბის სადგურის ბაქანზე და როგორ შესცქერის ნირწამხდარი, გაკვირვებული რკინიგზელი.

„ეს კაცი რომ ცოტათი ახალგაზრდა იყოს, შეიძლება მართლაც გავქცეულიყავიო“ — გაიფიქრა.

სადგურის შენობაში შევიდნენ, სარდაფის კიბეს ჩაუყვინნ და, რადგან სარდაფში ჩადიოდნენ, ბეკო დარწმუნდა, მართლა დაგუპატიმრებივართო.

რკინიგზელმა ჩაბნელებულ დერეფანში შუქი აანთო, ჯიბიდან გასაღები ამოიღო და პირველივე ოთახის კარი გააღო. შევიდა, ოთახშიც შუქი აანთო და ბეკოც შეიპატიჟა:

— მობრძანდი!

ძალიან პატარა ოთახი იყო: ვიწრო მაგიდა და რკინის საწოლი იდგა. ოთახი მართლაც საკანს გავდა, მაგრამ კედელზე კურნალიდან ამოჭრილი აკაკი წერეთლის სურათი იყო ქინძისთავით მიმაგრებული და ამიტომ ბეკოს მაშინვე გულზე მოეშვა.

ორივენი საწოლზე ჩამოსხდნენ.

მაგიდაზე თუნუქის ტოლჩა და მუყაოს ყუთი იდო, რომელშიაც დომინოს ქვეები ეყარა. კაცმა მაგიდის უკრა გამოხსნა, იქიდან ქალაღში შეხვეული რაღაც ამოიღო. შეკვრა გახსნა, პური, ძხვები და დანა ჰქონია შენახული. დანის პირი სახელოზე შეიწმინდა, ძხვები და პური ორ თანაბარ ნაწილად გაპყო, ერთი ბეკოს მიუჩოჩა, მეორე კი ისევ გაზეთში შეახვია და უკრამში ჩააბრუნა. დაიხარა, საწოლის ქვეშ ხელი მოაფათურა, ლიმონათის ბოთლი ამოაძვრინა, მაგიდაზე დადგა; ბოთლს საცობი დანის პირით ააძრო და ლიმონათი ტოლჩაში მოაპირქვეავა, ტოლჩა ბეკოს დაუდგა წინ:

— დალიე!

— გმადლობთ, არ მინდა, — ბეკომ ხელები მუხლებს შორის ჩაიწყო და გვერდზე გაიხედა. გული მისდიოდა შიმშილისაგან.

რკინიგზელმა უკრიდან თავისი წილი პური და ძხვები ამოიღო. ძხვები ჩაბიჩა, პური მიატანა და პირგამოტენილმა უთხრა:

— ახლახან ვივასშე.

ბეკომ პური მოციცქნა და პირში ჩაიღო, კინაღამ თავბრუ დაეხვა. ლიმონათი მოსვა, თბილი იყო, დუბელა.

— სწავლობ? — რკინიგზელმა ბოთლს საცობი დაახურა.

— არა.

— მუშაობ?

— არა, — იცრუა ბეკომ. რომც ეთქვა, ვმუშაობო, რკინიგზელი მაინც არ დაუჭერებდა, მუშა კაცი ასეთ დღეში როგორც ჩაეარდებოდა?

— რატომ?

— რა ვიცი...

— ჭამე, რატომ არ ჭამ?

ბეკო გათამამდა, რკინიგზელმა სიგარეტს მოუკიდა, მაგიდაზე იდაყვი დააყრდნო, ლოყაზე ხელი მიიღო და ბეკოს შეაქცერდა.

— გემრიელია? — ჰკითხა.

ბეკომ ღიმილით დაუქნია თავი.

— ასეა, — დაიწყო რკინიგზელმა, — როცა გშია, ყველაფერი გემრიელია. ჭამე, შვილო, ჭამე, ნუ გრცხვენია, პური ყველასია. პურს პატრონი არა ჰყავს. გამვლელსაც აჭამე და გამომვლელსაც, შინაც მთელი მოიტანეო, ნათქვამია ჩვენს ზღაპარში. შენ კი გეგონა, მართო შენ გშოიდა, გამვლელსაც აჭამე და გამომვლელსაცო. პური გულსა ჰყავს, თუ გინდა, რომ მთელი დაგჩრეს, ყველას უნდა გაუნაწილო.

ბეკომ ჭამა დაამთავრა, ხელები შარვალს შეახოცა და რკინიგზელს თვლებში შეაშტერდა.

— ახლა სიგარეტი გინდა ხომ? — ჰკითხა რკინიგზელმა.

ბეკომ თავი დაუქნია.

რკინიგზელმა სიგარეტის კოლოფი მაგიდაზე დადო. ბეკომ სიგარეტი ამოიღო, გაასწორა, ღერი ერთ ადგილას

გამსკდარიყო, ენა აუსვა, პირში ჩაიღო და ასანთი მოუკიდა.

ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს მთელი სიცოცხლე შიოდა და ახლა დაწყებდა პირველად.

აქედან წასვლა აღარ უნდოდა. თითქმის ბურანში ესმოდა რკინიგზელის სიტყვები, ყველა სიტყვას პურის გემო ჰქონდა. რა იქნებოდა სკოლაში გაკვეთილზე პურის ჭამის ნება რომ დაერთოთ, რამდენ რამეს ვისწავლიდიო...

რკინიგზელი კი ამბობდა:

— პური... გულსა... ჰგავს... ყველას... პური... გამვლელს... გაუნაწილოს... მთელი... მთელი... ყველას... გაუნაწილოს...

მერე მისი ხმა გარკვევით გაიგონა:

— შენ რა, გძინავს?

ბეკო წამოდგა, თვალები მოიფშვნიტა, გაიღიმა:

— ჰო.

— წადი, შენი მატარებელი საცაა ჩამოდგება.

— გმადლობთ, — ჩაახველა, ხმა ჩახრინწვოდა.

— გაიქეცი აბა!

და ბეკოც გამოიქცა.

მისი მატარებელი ჯერ არ ჩამომდგარიყო. მატარებელს რამდენიმე კაცი უცდიდა. ნაცნობს დაუწყო ძებნა, მაგრამ ვერ ნახა, არც ერთი მისი ქალაქიდან არ იყო. ამ დროს საღვურის შენობიდან მუსიკალური ტექნიკუმის გამგე გამოვარდა გაჩქარებული, სავსე მატარებელი რომ ვერ დაინახა, შეჩერდა, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და სახეზე მოისვა.

ბეკოს გაუხარდა, გაემართა კიდეც მისკენ, მაგრამ გამგემ შორიდანვე გააფრთხილა:

— სისორდია, შეჩერდი მანდ!

ბეკო გაჩერდა და შეაცქერდა.

— შენ აქ ხარ, სისორდია? — გამგემ „აბესალომ და ეთერის“ პარტიტურა მეორე ხელში გადაინაცვლა.

— დიახ...

— იცი თუ არა, დათო რომ იპოვეს?

— დაუყვირა გამგემ.

— იპოვეს?! — იყვირა ბეკომაც.

თითქოს მდინარის შობირდა პირებზე დგანანო, ისე უყვიროდნენ ერთმანეთს.

— არ გაქანდე, სასორდია! — გამგე ბეკოსკენ წამოვიდა, მაგრამ მთლად ახლოს არ მოსულა, შორიახლოს გაჩერდა.

— სად იპოვეს? — ჰკითხა ბეკომ.

— ჰო, იპოვეს.

— სად?

— რა გაყვირებს შენ? — შეუწყრა გამგე.

ცხვირსახოცით ისევ მოიწმინდა სახე და თქვა:

— არ იცი, სად იყო?

— არა.

— აბა თუ არ იცი, აქ იპოვეს, სოხუმში!

ბეკომ ტაში შემოჰკრა:

— უჰ!

— ახლა შენ გეძებენ, — გამგე კიდევ უფრო ახლოს მოვიდა.

— მე-ე? მე რატომ?

— სისორდია, — უთხრა მშვიდად გამგემ, — უკეთესია, შენი ფეხით მიხვიდე...

— სად?

— და ყველაფერი აღიარო.

— რა უნდა ვაღიარო?

— ასე აჯობებს.

გამგემ გაიხედ-გამოიხედა, თითქოს ვილაცხას ეძებოს.

— კი, ასე აჯობებს, — გაიმეორა, — დამიჯერე.

ბეკომ საწყლად გაიღიმა:

— რა უნდა ვაღიარო?..

— არ მოაკვლევინო თავი ვინმე გადარეულს. მიდი და თვითონ აღიარე. ვითომ არ იცი, რა უნდა აღიარო არა?

— გაჯერდა გამგე.

— არა, პატივცემულო, არ ვიცი.

— სისორდია? — გამგემ საყვედურით შეხედა და თავი გააქნია, — ჩემი მოწაფე იყავი, ბიჭო, შენ. ხომ იყავი ჩემი მოწაფე?

— ვიყავი...

მთელი მისი არსება საფრთხის გრძნობამ შეებოჭა, წაადუნა. რაღაცა ზღე-

ბოლა მის თავს, ოღონდ არ იცოდა რა...

— მილიცია გეძებს. ზინამ ბარგი შეკრა და შევილიანად თბილისში წავიდა, შეეშინდა ალბათ.

— რატომ მეძებს? — უნებურად შეკრთა, უკან მიიხედა, თითქოს ძალღებარეობდა.

— რატომ, რატომ, რატომ, — გამოაჩავრა გამგემ, — ჩემზე კარგად იცი, რატომაც. აგერ არის ა, მილიცია, შენი ფეხით მიდი, გირჩევნია.

— არა, — წაიჭურჩულა ბეკომ, გამგეს კი არ უპასუხა, ფიქრში წარმოდგენილმა სურათმა შეზარა: ენაგადმოგდებული ძაღლები თასმებზე ხელებჩაქიდებულ მილიციელებს მოარბენინებდნენ, რომლებიც თითქოს კატერზე გამობმულ წყლის თხილამურებზე დგანანო.

— არა? არა ხომ? — ჰკითხა გამგემ და ისე ახლოს მივიდა, რომ ბეკომ ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, — დამიჭირე ერთი წუთით ეს წიგნი!

ბეკომ წიგნი ჩამოართვა თუ არა, გამგემ ორივე ხელი სტაცა მკლავში და იყვირა:

— ახლა სად წამიხვალ!

ბეკომ ხელი გამოგლიჯა და ასე, წიგნიანად გაიქცა. მირბოდა და ესმოდა, როგორ უყვიროდა გამგე:

— დაბრუნდი, სისორღია! დაბრუნდი! დაიჭირეთ! დაიჭირეთ!

დიღხანს ირბინა, მერე ქლოშინი აუვარდა და ფეხი შეანელა. წიგნი ორივე ხელით მკერდზე მიეკრა. ვადავადებო, გაიფიქრა, მაგრამ რატომღაც ვერ გაბედა.

ვიწრო, ნახევრად ჩაბნელებულ ქუჩაზე გამოსულიყო, სოფლის შუკას რომ გავდა. ქუჩას ორივე მხარეს თეთრად შეფეთილი ერთსართულიანი სახლები მიიყვებოდა. ხის ღობეების ვადავადმა ქის ოწინარები მოჩანდა.

გაჩერდა, ღობეს ზურგით მიეყრდნო.

კი მაგრამ, ტექნიკუმის გამგემ საიდან გაიგო მაინც ასე დაწვრილებით მისი, დათოსი და ზინას ამბავი, საიდან გაიგო. რომ მილიცია ეძებს, ის ხომ მთელი საღამო თეატრში იჯდა?

„ნუთუ... ნუთუ უკვე მოასწრეს და ჩემს ამბავს თეატრში აჩვენებენო“, — გაიფიქრა, გული ჰვალმა გაუკავა: ეს ხომ უსინდისობა იყო. როგორც უკანასკნელი ავაზაკი, ისე გამოუყვანიათ სცენაზე. განა შეიძლება ასეთი ტყუილი?

წარმოდგინა დაძაბული, სუნთქვაშეკრული დარბაზი, თვითონ კი სცენაზე პროექტორის წრეში გარბის, ილიაში ბავშვი ამოუჩრია და მილიციელები ძაღლებით მოსდევენ, მათ უკან კი სპინოზა მოტუსტუსებს ორლულიანი თოფით ხელში.

თუმცა ეს მხოლოდ მისი ფანტაზიის ნაყოფი იყო, მაინც გული დაწყდა, გაბრაზდა კიდევ, ნუთუ ასე მიცნობენ, ნუთუ დაიჯერებენ, რომ მე ბავშვი მოვიტაცეო. უცებ ტექნიკუმის გამგის ნათქვამი გაახსენდა: ზინამ ბარგი შეკრა და თბილისში წავიდაო. მხოლოდ ახლა ჩაწვდა მის აზრს. გაიღმა, გულზე მძიმე ლოდი მოწყდა და უფსკრულში შთაინთქა. ეს ლოდი მას უკვე რამდენი ხანია, რაც გულზე აწევს და სუნთქვას უშლის. მაშ, ზინა წავიდა, განთავისუფლდა, გაფრინდა! მაშ, ბეკოს სულს აღარ შეუხუთავს იმის წარმოდგენა, რომ ზინა რალაცის ან ვიდაცის გულისთვის ამდენ დამციერებას ითმენს!

მაშ, ზინა წავიდა, წავიდა მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ მან — ბეკომ.. დიახ, მან აგრძნობინა, თავისი უნებურად ჩადენილი დანაშაულით მიახვედრა, ასე არ შეიძლება ცხოვრებაო. დღეს რომ დათო არ წამოეყვანა, ეს არ მოხდებოდა. გამოდის, რომ გულის სიღრმეში მარტო ეს უნდოდა ძალიან, მეტი არაფერი, ოღონდ თავის თავსაც კი უმაღავდა, ატყუებდა, ნეტავი ზინა აქედან არ წავიდოდესო, ნამდვილად კი... უცებ ინანა, რატომ მართლა არ მოვიტაცე დათო, ამისთვის თუნდაც დანაშაულის ჩადენაც ღირდაო.

გული თანდათან ჩაუწყნარდა. ისევ გზა განაგრძო. ღობეს მომწყდარი ძაღლები ყუფით მიაცილებდნენ.

თამაზ ზილავა
აუზი

„წავალ, — ფიქრობდა, — წავალ სადმე შორს. მტვირთავად დავდგები. ყველა სადგურზე ტვირთავენ ფოსტას. მერე კი იტყვიან, რა კარგი ბიჭი იყოო. დედაჩემი სანთელს დანთებს, წანდილს გააკეთებს, მეზობლები მოვლენ და ვაშლის ხის ძირას ჩამოსხდებიან. გულზე ყველას ჩემი სურათი ექნება დაბნეული, შავი არშით, არა, — გაიღიმა, — ბამბუკის ჩარჩოში ჩასმული. ჩარჩოზე ეწერება: სალამი ბათუმიდან, სალამი კიევიდან, სალამი მოსკოვიდან, სალამი ნალჩიკიდან, ყველა სადგურზე ტვირთავენ ფოსტას, ყველა სადგურსა აქვს პაწაწინა ოთახი სარდაფში, ყველა მაგიდის უჯრაში დევს ერთი ლუქა ბური, იმათ კი ძაღლებით მეძებონ“.

ღობეს ფეხი მიართყა და ისედაც გაანჩხლებული ძაღლი მთლად გადარია.

— მეძებონ!
ამ წიგნს ტექნიკუმის გამგეს ფოსტით გაუგზავნის, ზედ დააწერს: მე თქვენ მუსიკოსი მეგონეთ... მეტს არაფერს დაწერს, მიხვდება.

შუკის ბოლოში გავიდა, იქ ღობეზე გადმოხრილი ხის ჩრდილში შეყუყუული „მოსკვიჩი“ დაინახა. ის-ის იყო უნდა გაცლოდა, რომ ვიდაცამ მანქანიდან დაუძახა:

— ეი!
შეჩერდა, ოღონდ არ მიტრიალებულა.

მანქანის კარი გაიღო, თითქმის მაშინვე ვიდაცამ დაადო მხარზე ხელი:

— შენა ხარ, ძველო?
მოიხედა, მის წინ აქაური ბიჭი იდგა, დიდის ამბით რომ გააფრთხილა, ქუჩაში არ შემხვდე, თორემ გცემო.

— ისევ დადიხარ? — ჰკითხა ბიჭმა.
— ჰო.
— ნოდარ! — დაიძახა გოგომ მანქანიდან.

— დაიცა! — გასძახა ნოდარმა და ბეკოს ღმილით მოუბრუნდა:

— იბოვე?
— ჰო.
ბიჭმა თვალით წიგნზე აჩვენა:
— ეგ იყო?

— ჰო, — ბეკომ უფრო მაგნიტურად ამაკრდზე წიგნი.

— აკი ბიჭიო, საყვირიო...
— ნოდარ, — ისევ დაიძახა გოგომ.
— ახლა საით? — ჰკითხა ნოდარმა ბეკოს.

— რა ვიცი:...
— წამო, გინდა ჩემთან წავიდეთ!
— არა,
— რატომ? — ეწყინა ბიჭს.

მაქანიდან გოგო გადმოვიდა, ორივე ხელით თმა გაისწორა, ბეკო გატრიალდა.

— დაიცა, — უთხრა ბიჭმა.
— მეჩქარება!
— სად?
— რა ვიცი.

ბიჭმა ტოტს ფოთოლი შეაწყვიტა, მუშტი ისე დაიჭირა, თითქოს ჰიჭა უჭირავსო, ზედ ფოთოლი დაიდო და ზევიდან გაშლილი ხელი დაარტყა: ტყაც!

— მანქანითა ვარ, წაგიყვან, — უთხრა.

— გამაღობო.
— საბილიარდოში რატომ არ შემოხვდი?

— რა ვიცი.
— ეგ რა წიგნია?
— „აბესალომ და ეთერი“.
— ეთერი ჩემს გოგოს ჰქვია, — უთხრა ბიჭმა.

— აჰა, გამომართვი — ბეკომ წიგნი ძალით მიაჩეჩა და გატრიალდა, — წავედი, — თქვა ჩუმაღ.

— წადი, ძმაო, რა გიყო! — გაბრაზდა ბიჭი.

— ნოდარ! — დაუძახა გოგომ.
— რა გინდა, რა, — მიუტრიალდა გოგოს გაანჩხლებული, — შენ მინც მოგივლი!

— ნოდარ? — გაკვირვებულმა გოგომ უკან დაიხია, — რა დაგემართა?

ბეკო უკვე თავისი გზით მიდიოდა.
— ეი! — დაუძახა ბიჭმა და წიგნი ორივე ხელით ასწია.

ბეკომ მოიხედა:
— რა გინდა?

— კარგად იყავი!

— კარგად იყავი, — თქვა ბეკომაც და წავიდა.

შუკას გასცდა თუ არა, მარცხნივ გაუხვია, რადგან იქით შლაგბაუმი დანახა. რკინიგზას გვერდით ბილიკი მისდევდა. იმ ბილიკს დაადგა.

ისეთი გრძნობა ჰქონდა, რომ თავის სახლს ვერასოდეს ვეღარ ნახავდა, ვეღარც „იმედის წყაროს“ კვიპაროსებს დანახავდა, ვერც რესტორნის უკან გარინდებულ ვერხვებს, ნიავის წამოქროლვაზე უცებ რომ ქალარავდებიან. ყველაფერი უკვე ენატრებოდა, თითქოს დიდხანს წინათ ყოფილიყოს წამოსული შინიდან. ჯუ-ჯუ-ჯუ-ჯუ-ჯუ, — ესმოდა დედის ხმა.

მინდორში სატვირთო მატარებელი იდგა, ორთქლმავალი არ ება. ერთი ვაგონის კარი გამოღებული იყო, ვაგონში აფოფხდა. მთვარის შუქი ვაგონში ხალჭისავით ეფინა. ბეკო ბნელ კუთხეში მიწვა; ჯუ-ჯუ-ჯუ-ჯუ, — იძახდა დედა. მერე მოვიდა და სახეზე გაყინული, ხაოიანი ხელი მოუსვა. ბეკომ ხელზე აკოცა.

— ყველას უნდა გაუყო, — თქვა ჩურჩულთ, — თუ გინდა, რომ...

თვალი დახუჭა:

-- თუ გინდა, რომ... გამვლელსაც და გამომვლელსაც...

— ჯუ-ჯუ-ჯუ-ჯუ, — ყურში ჩასძახოდა დედა.

— ლიუმოზ კელმინ პესსო დემარლონ ემპოზო...

— ჯუ-ჯუ...

— თუ გინდა, რომ...

მატარებელი შეუმჩნეველად დაიძრა, თითქოს ნაპირზე მიბმული ნავი თავისით აეშვაო...

11.

ბუნების საჩუქარი დასიზმრებულსა ჰგავს, ძილში გული გიბერება უსაზღვრო სიხარულისგან, გაიღვიძებ და ზუსტად იმოდენა სიცარიელეს აღმოაჩენ შიგ. ჩვენ გამუდმებით ვხედავთ და ვეჩვენით. ვეჩვენით კი არა, სრულიად სპარტოლიანად მიგვაჩნია ხიდან ნაყოფის

ცვენა, მაგრამ შვილის მოშორება წარმოუდგენელია ჩვენთვის, როგორც საკუთარი სიკვდილი, თუმცა ისიც ვიცით, რომ ყველანი მოკვდავები ვართ.

ნუცა მორიდებული, ხათრიანი და მშიშარა ქალი იყო. მაგრამ სამივე ეს თვისება ფუფუნების ნებიერ სამყაროს ეკუთვნოდა, მას კი ფუფუნებისათვის არ ეცალა. ოჯახი აწვა კისერზე, თანაც ისე, რომ თითქმის მარტო ეწეოდა ამ უღელს. ამიტომ კრამტივით გამომწვარ მის პირისახეზე ღიმილს იშვიათად ნახავდით. ლაპარაკიც მწარე იცოდა. რა ჭინჭარივით ისუსხებიო, — ეტყოდა ხოლმე ალექსანდრე, რომელსაც ტრესტის ეკონომისტის მოსაწყენი, ერთფეროვანი ჯაფა მთელი სიცოცხლის განმავლობაში მხოლოდ იმისთვის გაეწია, რომ ახლა, ვაშლის ხის ძირას მიმჯდარს, დამტვრეული ჭურჭელი გაემთელებინა.

პენსიონერი გახდა თუ არა, ალექსანდრეს თითქოს თვალი აეხილა და თავისი ნამდვილი მოწოდება დაინახა. ზოგიერთი დამცინავი ღიმილით უცქერის მის საქმიანობას. ალექსანდრე ამ ღიმილს სიბრძივის ნიშნად თვლის, ამიტომ ყურადღებას არ აქცევს.

ერთხელ მის ეზოში გლახა შემოეხეტა და დასვენების ნება ითხოვა.

— შინ შემობრძანდიო, — შეიბატიყა ალექსანდრემ.

ბერიკაცმა სახლში შესვლაზე უარი თქვა. ქასთან, მიწაზე დაჯდა, ჩექმები გაიხადა, ოფლისაგან გაყვითლებული და აქოთებული ტილო მოიხსნა და მოხარულ კარტოფილივით კანდამსკდარი ფეხები ორი დღე იფხანა ნეტარების ცრემლმორეულმა.

წყალს დოქის ნამტვრევიდან სვამდა, რომელიც ნუცას ქათმებისთვის დაედგა. ალექსანდრე ამანაც შეაწუხა:

— რას შვრები, ჭიქას გამოვიტანო.

— არა, — გაიღიმა გლახამ, — ოდესღაც ესეც ხომ დოქი იყოო.

ეს სიტყვები ალექსანდრეს გულში

თავისი ხილავა
აუზი



ჩარჩა. დოქის ნატეხი შინ შეიტანა და მაგიდაზე ისე სათუთად დასვენა, თითქოს ნატეხზე ჭეშმარიტება ეწერა... „რაც ტყდება, სასწრაფოდ უნდა გამთელდეს, თორემ ისე ქვეყანა ვერ იარსებებსო. აღამიანს პერანგი რომ ეხევა, მაშინ მთელ ქვეყანას სცივაო“ — ფიქრობდა ალექსანდრე.

ალექსანდრე ხელოსანი გახდა. ზის და დამტვრეულ ჭერჭელს ამთელებს. „ზოგი ჭეშმარიტებას ისე დაეძებს, როგორც თვალმარგალიტის განძს, ანდა, როგორც სახელს ან წოდებას. მეტი არ იყოს ჩემი მტერი, იმან ჭეშმარიტება ვერ იპოვნოსო. ჭეშმარიტებას ისევე ვერ ვხედავთ, როგორც საკუთარ თვალებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის არ არსებობსო, ჭეშმარიტება ჩვეწმია და ჩვენ კი სხვაგან დავეძებთო. რამდენი აღამიანიცაა, ჭეშმარიტებაც იმდენია, მაგრამ ბევრის ჭეშმარიტება უქმად კონწიალობს ცალკე, როგორც კარადაში, ტანსაცმელი, მისი პატრონი კი ცალკე დასეირნობს, შიშველი, როგორც პლიაჟზე უდარდელი დამსვენებელიო.

თუკი არც სახელია, არც წოდება და არც სიმდიდრე, რა ყოფილა მაშინ ეს შენი ჭეშმარიტება, ეკლის გვირგვინი? არა, ბატონო, გატეხილი დოქის გამთელება ყოფილა ჭეშმარიტებაო“ — ფიქრობდა ალექსანდრე.

ბევრს სასაცილოდ არ ყოფნის ალექსანდრეს შრომა, არ ესმის მისი და რა ქნას? „ისეთ ჭეშმარიტებას რა ვუთხრა, ყველას რომ ესმოდესო“, — გულში იცინის ალექსანდრე.

ნუცასაც სჯეროდა, ალექსანდრე ამ ქვეყნისა რომ არ იყო, ზნორად წაჰკიდებია კიდევ ქმარს: ადექი, ხელი გაანძრე, ოჯახში ათასი საქმეა, რა კაცის შესაფერია დამტვრეული ჯამ-ჭურჭლის გამთელებაო, მაგრამ გულის სიღრმეში ეცოდებოდა და ცოტათი კიდევ ეამაყებოდა, ასეთი ხელით შესანახი ქმარი რომ ყავდა. ნუცა კეთილი იყო, მაგრამ სიკეთის გამოსამჟღავნებლად დრო არ ჰქონდა, ესეც ფუფუნებად მიაჩნდა, უფრო სწორად — სიფხიზლის დაკარგვად. მაგრამ

მანც ზოგჯერ აძლევდა ხოლმე თავს უფლებას, რომ გულში დაგუბებული სიკეთის ნაწილი გარეთ გამოეშვა, გულისთვის შეება მიეცა. შეიძლება გრძნობდა, დაგუბებული და დამალული სიკეთე იგივე ბოროტება რომ იყო. ამასაც მოზომილად აკეთებდა, იმ გლახივით, რომელიც, მთელი კვირის ნაჯაფი და დაქანცული, სადგურის პავილიონში ლუდსა სვამს, ერთ ტოლჩა ლუდს, რადგან იცის, მეორე რომ დალიოს, მაშინ მის ღობეს ერთი მეტრი მავთული მოაკლდება.

რა იყო მათი ცხოვრება, — ნუცამ მუქი მიიღო პირზე, — გაუთავებელი მოთმინება. აი, სახლს ავაშენებთ და... აი, ბიჭი გაიზრდება და... მერე? — ნუცას გული მოეწურა, ვაშლის ხის ძირას, ალექსანდრეს ნაცვლად, ჭადარა ბეკო დაინახა, საყვირს უკრავდა.

„ეს ერთი სიამოვნება აქვს და იმასაც ვუშლიო“ — გაიფიქრა. მთელი ტანი ეტკინა მწარედ. გაახსენდა, როგორ დაბრუნდა ბეკო დილით დაქანცული, სახეშეშლილი, კიბეზე ავიდა და იმ ოთახის კართან, მიწვა, სადაც არავის უშვებდა დედამისი.

„ძალიევით მიწვა კართანო“, — ამოიგმინა:

— შვილო, შვილო!
კიბეს აუყვა, ფეხები ტკიოდა, ხელს ბარძაყზე იბჯენდა და ისე აღიოდა. წინსაფრის ჯიბიდან გასალეგების მძიმე აცმა ამოიღო, ამ ოთახის გასალეგი გამოარჩია, კარს მოარგო.

ოთახში ბნელოდა.
„რას უნახავ ამდენ რამეს, რად გინდაო!“ დაიძახა ვიღაცამ მისი გულიდან, რადგან იმ ვიღაცამ უკვე იცოდა, ბეკო რომ აღარ დაბრუნდებოდა.

„ჩემი კუბო რომ იღვეს ამ მაგიდაზეო!“

ქეჩის ნაჭრებზე შედგა და ფანჯარასთან ისე მივიდა. დარაბა გამოაღო. „ცულს მოვიტან და სულ დავლექნავ აქაურობასო“.

კედელზე ბეკოს სურათი დაინახა: ბამბუკის ჩარჩოდან დიდთვალება, გამ-



ხდარი, გაყვიციანებული ბავშვი შემოს-
ცქეროდა. არა, თავისი ბეკო აქ ჰყავდა,
ბეკოს ბეკო წასულიყო მხოლოდ. გაუ-
ხარდა, თუმცა ვერ კი მიხვდა, რა უხა-
როდა. კაცი რომ ქონებას დაკარგავს
და ჯიბეში ჩარჩენილ მანეთიანს იპოვ-
ნის — ისე.

ღარაბა ფრთხილად მიხურა. ქეჩებზე
შემდგარი, სრიალ-სრიალით მივიდა კარ-
თან. ცოტახანს იდგა იქ, ორივე ხელით
კარის სახელურს ჩაფრენილი, თითქოს
აქედან წასვლა არ უნდა და ვიღაცას
უძალიანდებო.

მის გულიდან ამოზრდილი ტოტი
ქარს ჩამოეგლიჯა, მაგრამ ჯერ კიდევ
ეკიდა ზედ ქერქით. ახლა მთავარი იყო
გულს გაეძლო, მოეთმინა. სანამ თვითონ
იქნებოდა, იმ ტოტს კიდევ არაფერი
უჭირდა.

ეზოში ჩამოვიდა და სწორედ ამ დროს
მოადგა ზინა მის ჰიშკარს.

— ქალბატონო, — დაიწყო ზინამ გა-
უბედავად. მას ყველაზე მეტად აქ მოსვ-
ლა უძნელდებოდა, — ქალბატონო, დათო
ხომ არ არის შემთხვევით თქვენთან?

ნუცა შეკრთა. ამ ქალს თვალის დასა-
ნახად ვერ იტანდა, მაგრამ ახლა მის-
მა ხმამ, რომელიც ძალიან ეცნო: ჩემი
ხმა ხომ არ შემომესმაო, პირდაპირ იქ
ჩაჰკრა ნემსი, სადაც დაფარულ სიკეთეს
ეძინა. უცებ ისიც იგრძნო და ეს კი
ნამდვილად მოულოდნელი იყო, მოუ-
ლოდნელი კი არა, წარმოუდგენელი,
რომ ამ ხნის განმავლობაში ეს ქალი
მისთვის მახლობელი გამხდარიყო. ეგო-
ნა, პირველსავე შეხვედრაზე თმით და-
ვითრევე და გავლანძღავო, ქალის ხმამ კი
უცნაური სითბო ჩაუღვარა გულში,
თითქოს შენ დედა და მე შვილიო,
ეთქვას.

„ესეც შვილს ეძებსო“, — გაიფიქრა
და რატომღაც მოუნდა ღობეზე ხელი
გადაეწვდინა და ქალს თმაზე მოფერე-
ბოდა.

— არა, — უთხრა მკაცრად, — აქ
არ არის.

ზინამ, ეტყობა, კიდევ რაღაცის თქმა
დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა და იმის

ნაცვლად-უჟაკრავად, ბატონო, გაბრუნდა
გატრიალდა და წავიდა.

ნუცა დიდხანს უყურებდა გზაზე მი-
მავალ ქალს.

„რაღაცა უჭირსო“, — ფიქრობდა.
ერთმა გულმა ურჩია, გაეკიდე, ჰკი-
თხეო, მაგრამ თავი შეიკავა.

ზინა კი მიდიოდა და ერთსა და იმა-
ვეს იმეორებდა:

— ბეკოც არ არის შინ... ბეკოც არ
არის შინ...

თითქოს ნუცას ეთქვას ასე: ბეკოც
არ არის შინო.

„დათუნა ცოცხალია, — გაუელვა
გულში, — ცოცხალია!“

აქამდე უკვე მოესწრო და დაეჯე-
რებინა, რომ დათოს რაღაც საშინელი
რამ შემთხვევოდა: ან მანქანის ქვეშ ჩავა-
რდნილიყო, ან დამხრჩველიყო. გაახ-
სენდა, შარშან თორმეტი წლის ბიჭი
რომ გამორიყა ზღვამ. დედამისის კი-
ვილიც ჩაესმა, მაშინ ის კვილი მის-
თვის გამწარებული ქალის ხმა იყო
მხოლოდ, რა თქმა უნდა, შემზარავი,
მაგრამ მაინც სხვისი კვილი, ახლა კი
ეგონა, მაშინ თვითონ კიოდა, ის ქალი
კი არა.

„დათუნა თუ მალე არ გამოჩნდა, მეც
ზღვაში გადავევარდებიო.“

ჩაბნელებულ უაზრობად ეჩვენებოდა
ცხოვრება.

— არა, არა, — იძახდა, მაგრამ ფიქრ-
ში ათასი ფათერაკი ენაცვლებოდა
მაინც ერთმანეთს, ბავშვისათვის დაგე-
ბული ათასი მახე და ყველა ამ ფათე-
რაკისა თუ მახის მსხვერპლი დათუნა
იყო.

ახლა კი უცებ დამშვიდდა. ბეკოს
მადლობელიც კი იყო, დათუნა საღდაც
რომ წაიყვანა. კი, ნამდვილად ბეკომ
წაიყვანა დათო, ხომ მითხრა დედამის-
მა, არც ბეკოა შინო. ბეკომ ბავშვს ხე-
ლი ჩაჰკიდა და ყველა ფათერაკს გა-
დაარჩინა. მწერლის ეზოში შეგროვილი

თამაზ ჰილაძე
აუთი

ხალხი დაინახა. ბეკოს ამხანაგებიც იქ იყვნენ. სიკვდილი ვერცა ბეკოს სახელის ხმამალა თქმას, მაგრამ ირაკლის მინც ჰკითხა, ბეკო ხომ არ გინახავთო. ეს რომ თქვა, დაიძაბა, ეგონა ხარხარი ატყდებოდა, მაგრამ არაფერი მომხდარა, ირაკლიმ მშვიდად უპასუხა, ბეკო დღეს არ გამოჩენილაო და ზინამაც ვითომ იმისთვის მოსულიყოს აქ, რომ გაეგო, რა ხდება მწერლის ეზოშიო, ახლა ეს იკითხა:

— რა ამბავია, რა ხდებაო?

— აუზს ვავსებთ მიწითო, — შემოსძახეს აქეთ-იქიდან ბავშვებმა ხალისით.

— მე ვნახე ბეკო, — უთხრა ამ დროს ლილიმ, — დილით პლიაჟზე იყო.

— ჩემი შვილიც ხომ არ გინახავსო?

— ჰკითხა ზინამ გაუბედავად, რადგან პასუხისა ეშინოდა და აკი შიში გაუმატოდა კიდევ:

— არაო, — უპასუხა ლილიმ.

გული დაუცარიელდა, იმედი იმ წამსვე გაუქრა.

წამოვიდა, ვერაფერს ხედავდა, ისე მილასლასებდა გზაზე.

„დათო უნდა წავიყვანო აქედან, აქედან უნდა წავიყვანო“, მარტო ამას ფიქრობდა. მეტი არაფრის თავი არ ჰქონდა. ცივი თფლი ასხამდა. გრძნობდა, რომ სწორედ ახლა არ შეიძლებოდა მისი აქედან წასვლა, აქ უნდა მომკვდარიყო, მაგრამ მაინც იმეორებდა:

„უნდა წავიყვანო... უნდა წავიყვანო...“

მწერლის სახლს კარგა შორს იყო გამოცილებული, ლილი რომ დაეწია:

— ქალბატონო ზინა!

შეჩერდა, გული გადაუტრიალდა:

„დათუნა ცოცხალია!“

— როგორ არა... უჰ, დავიღალე... როგორ არა... ბეკოსთან ერთად იყო, გამახსენდა!

მუხლები მოეკვეთა, კინაღამ ჩაიკეცა, ძლივსძლივობით გაიღიმა:

— გმადლობთ, — წაილულულა, — გმადლობთ...

რაიკომის წინ სკამზე ჩამოჯდა. სახე ხელებში ჩამალა და ტირილი დაიწყო.

ნელ-ნელა გულზე მოიოგნა, კოს აქამდე კომპარულ სინამარს ხედავდა და ახლა გამოეღვიძა.

— აქედან უნდა წავიდე! — თქვა ხმაბალა.

— რა ბრძანეთ? — ჰკითხა ვილაცამ.

ზინამ თავი ასწია, მის წინ სპინოზა იდგა.

— აქედან უნდა წავიდე, — გაიმეორა ზინამ უნებურად, რადგან როცა ამას ამბობდა, ჯერ კიდევ იქ იყო, თავის ფიქრებში.

უცებ გამოერკვა:

— რა გნებავთ? — ჰკითხა მკვახედ.

სპინოზა მუხლებზე დაეცა, ხელები მკერდზე დაიკრიფა და ამოიგმინა:

— მომკალით ან დამარჩინეთ!

ზინა წამოვარდა:

— რას შვრებით?

მიიხედ-მოიხედა:

—ღმერთო ჩემო!

სპინოზა კი ერთსა და იმავეს იმეორებდა:

— მომკალით ან დამარჩინეთ, მომკალით ან დამარჩინეთ!

— მომწყდით თავიდან! — დაუყვირა ზინამ და გამოიქცა. ესმოდა, სპინოზა რაღაცას უყვიროდა, მაგრამ ვერ არჩევდა, რას.

„ესლა მაკლდა, ესლა მაკლდა, — იმეორებდა გულში, — ესლა მაკლდა“.

მორბოდა და ცრემლი დაბა-ღუბით ჩამოსდიოდა, მაგრამ ეს სიხარულის ცრემლი იყო, დათოს პოვნით გამოწვეული სიხარულის ცრემლი. სპინოზას საქციელი მას არც ვაჰკვირვებია და არც სწყენია, რადგან დიდხანია უკვე არანორმალურად თვლიდა. არც უხეშად დაელაპარაკებოდა, ასე მოულოდნელად რომ არ დასცემოდა თავს. ესლა მაკლდაო, იმიტომ ფიქრობდა, რომ შერცხვა, ვინმემ ხომ არ დაგვინახაო, დაჩოქილი სპინოზა სიყვარულს რომ უხსნიდა. ახალი ჭორი მოედებოდა ქალაქს, თუმცა არ შეიძლებოდა, რომ ესეც არ ცოდნოდით, მისი ამბავი ხომ ყველამ დაწვრილებით იცოდა!

გამხიარულდა. იცოცხლე, მთხოვნე-
ლები ბევრი მყავსო, არც ისე ცუდად
არის ჩემი საქმეო, თეიმურაზს ჰგონია,
მარტო იმის ანაბარა ვარო. დუხუმაც
გამოუგზავნა ერთხელ ყვავილები ოფი-
ციანტის ხელით, არც ცნობილი მწერა-
ლი დარჩენილა ვალში, მათთან სტუმ-
რად რომ იყო და მურაბას მიირთმევდა,
სხვათაშორის ჩაილაპარაკა: ასე მარტოდ
მარტო იმიტომ დავრჩი, რომ თავის
დროზე თქვენისთანა კარგი და განათ-
ლებული ქალი არ შემხვდაო. იმიტომაც
ვერ მიტანენ აქაური პრონწყია —
პრონწყია გოგოები, პენელოპესავით
უამრავი მთხოვნელი რომ მახვევია
გარსო. ზინამ გუნებაში ჩამოთვალა:
ერთი, ბატონო, დუხუ, მეორე, ბატონო,
საქვეყნოდ ცნობილი მწერალი, მესამე
— გიჟი სპინოზა, მეოთხე... მეოთ-
ხე... ჰო, ჩვენი ქართულის მასწავლე-
ბელი, ჩემს დანახვაზე რომ წითლდება
ყავაჩოსავით, მეხუთე... შეყოყმანდა, მე-
ხუთეს სახელი გუნებაშიც კი ვერ ახ-
სენა.

შინ რომ მივიდა, საკუჭნაოდან ჩემო-
დანი გამოიტანა და მაგიდაზე დადო.
ჩემოდანში თავისი და დათუნას ტანსაც-
მელის ჩაყრა დაიწყო, როგორც ოცნე-
ბაში ხშირად გაუყეებობია ხოლმე. საქ-
მეში ისე გაერთო, რომ წაიღიღინა კი-
დეც.

ოთახის კარი ნიკომ შემოაღო:

— გაიგე აშბავი? — მამამთილს სახე
უცინოდა.

— კი, ბეკოს წაუყვანია, ბატონო.

— ნამდვილად?

— ერთად უნახავთ, ბატონო...

— ავაშენა ომერთმა. აბა, საცაა გამო-
ჩნდება.

— კი, საცაა გამოჩნდება, ბატონო.

— ეგ ჩემოდანი რად გინდა?

— მე და დათუნა მივდივართ, ბა-
ტონო.

— სად?

— თბილისში, ბატონო.

მერე ისინი ჩაბნელებულ ოთახში
ისხდნენ, ზინა ლაპარაკობდა:

— განა მე და თეიმურაზს ცოლ-

ქმარი გვექვია? განა ჩემი მდგომარეობა
სამარცხენო არ არის? დროა, ეს შეც-
დომა ყველამ გამოვასწოროთ. თუმცა
მხოლოდ მე უნდა ვიძალო ისევ, აღარ
შემიძლია.. აქამდე ვიცდიდი. სიმართ-
ლე გითხრათ, მე თვითონ არ მინდოდა
წასვლა, ჯერ კიდევ ვებლაუჭებოდი იმ
ბავშვურ გატაცებას. არა, ის გატაცება
მხოლოდ ბოროტება არ ყოფილა, მაშინ
ბედნიერი ვიყავი, მაგრამ მხოლოდ წა-
მით. იცით რა ძნელია მარტო მოგონე-
ბით ცხოვრება? გარდა ამისა, დედა ვარ
და ვგრძნობ, რომ კიდევ ახალი უბედუ-
რება მელოდება. აი, თქვენ დათუნა გი-
ყვართ, ანებებებთ, რა თქმა უნდა,
ვერავინ გაგამტყუნებთ, ასეც უნდა
იყოს, მაგრამ თქვენი საქციელით შვილს
მასობებთ, თუმცა დარწმუნებული ვარ,
ეს უნებურად მოგდით, მაინც ასეა და
რა ვქნა. დადგება დღე, როცა სულ
მარტო დავრჩები. სულ, სულ, სულ
მარტო. ამიტომ სჯობს, რომ წავიდე,
დროზე გავასწორო აქაურობას. ჩემი გა-
დაწყვეტილება მტკიცეა და ამავე დროს
სამართლიანიც. ისიც ვიცი, რომ არავის
დიდ ტკივილს არ მიაყენებს ეს, გარდა...
ვიცი, ყველაზე მძიმე მაინც თქვენთვის
იქნება, თქვენც მარტო რჩებით, რა
ვქნა, დათუნას ხომ ვერ დაგიტოვებთ?
იმასაც გეტყვით, რომ მე თეიმურაზი
აღარ მიყვარს და თუკი აღარ მიყვარს,
თავი რატომ უნდა დავიტანჯო, ან იმას
რალას ვერჩი?

გაჩუმდა, რადგან უცებ ის სიტყვები
შემოესმა, სპინოზა რომ უყვიროდა,
მხოლოდ ახლა გაიგონა გარკვევით:
ბეკოს მოვკლავ, იცოდე, შენი გამწარე-
ბისთვისო! გაეღიმა.

ნიკომ თავი ასწია და გაკვირვებით
შეხედა, ზინას მონოლოგი წესით აქ არ
უნდა დამთავრებულიყო, რადგან, ისევე
როგორც ზინამ, მანაც ეს სიტყვები
უკვე დიდიხანია ზებირად იცოდა,
თუმცა არც ერთს უთქვამს აქამდე ეს
ხმამაღლა და არც მეორეს მოუსმენია,

თინათინი
აუხი



ოლონდ ფიქრში, როცა ამ დღეს წარმოიდგენდა, რძალი სწორედ ამას ეუბნებოდა ხოლმე.

ზინამ შუბლი შეკუმუნა და გააგრძელა:

— ხშირ შემთხვევაში ჩვენ თვითონვე ვიბორკავთ ხელ-ფეხს და მხოლოდ სხვების დასანახად ვცხოვრობთ: როგორა ხართ? კარგად, ძალიან კარგად. ნამდვილად კი სუნთქვაც აღარ შეგვიძლია. სარკეში ვიხედები და ჩემი თავის ნაცვლად სხვა ადამიანს ვხედავ, როგორც გრემწასმული მსახიობი. ეს ერთი წუთის ილუზიაა ზოგჯერ სიმართლეზე ძლიერია, მაგრამ საბოლოოდ მაინც ილუზიაა და მეტი არაფერი. მე კი მინდა, სანამ ცოცხალი ვარ, ერთხელ მაინც ჩემი ნამდვილი სახით გამოვჩნდე.

ნიკოს ხმა არ ამოუღია, გახევებული იჯდა. არც მაშინ უთქვამს რამე, როცა დუხუმ ბავშვი მოიყვანა, არც მაშინ, როცა ისინი უკვე წასასვლელად გაემზადნენ და დატუნა მის წინ გაჩერდა. ეგ იყო, რომ ტელეფონით ტაქსი გამოიძახა, მანქანამდე მიაცილათ და სანამ მანქანა დაიძვებოდა, ბავშვის ხელი გულში ჩაკრული ეჭირა.

— რად მინდოდა ეს თოფი, რისთვის წამოვიღე, რად მინდოდა? აბა, გავიხსენო, აბა, კარგად გავიხსენო. არა, არ მახსოვს, — ამბობდა სპინოზა და შუა ქუჩაში მიაბიჯებდა თოფით ხელში.

კეფა ეწვოდა, მალიმალ მოისვამდა ხოლმე ხელს. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს თავში რაღაც მძიმე საგანი ჩაურტყამთო.

„რა დავაშავე, — ფიქრობდა, — რა მოხდა მერე?“

— არაფერიც არ მოხდა, — წაიმღერა, თავისსავე ხმას ყური მიუგდო, ეუცხოვა, რადგან ძალიან შორიდან მოესმოდა, თითქოს სხვა ვიღაც უჩინარი მღეროდა.

— არაფერიც, — გაიმეორა და მაშინვე გაჩუმდა, მიიხედ-მოიხედა. ახლომახლოს არავინ მოჩანდა.

— ახია ჩემზე, — თქვა და მივიწყებული იყვინა:

— რატომ, კაცო, რატომ?

სჯეროდა, რომ უსამართლოდ მოექცენენ, დასცინეს, კინწის კვრით გამოაძუნძულეს, რისი გულისთვის? მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ წლობით გულში ფარულად ნახარდი, ნალოლიანები სიყვარული — ეს სიტყვა სპინოზას ცრემლს გვრიდა — ჩვილივით სათუთად ჩაუწვინა კალთაში ქალს, რომელიც მას ანგელოზი ეგონა, ეგონა კი არა, ნამდვილად ანგელოზი იყო. კამეჩი დაიზმუვლებს ხოლმე თავის სადარდელს და მას რომ ეთქვა, ვითომ ამით არა და შევდებოდა. დაშავდა კი არა, იმ ანგელოზმა ისე დაიწვილა, თითქოს ფეხებზე თავვემა გადაურბინაო. სპინოზა ხომ არაფერს თხოვდა — თავის თავს უკვე სპინოზას ეძახდა, რადგან ეგონა იმ ცხოვრებისთვის, რომლისთვისაც უკვე გამზადებული იყო, ძველი სახელი ბონდო აღარ გამოადგებოდა — დამარჩინეო, მეტი ხომ არაფერი უთქვამს. ეს სიტყვები კედლისთვის ბევრჯერ შეუბღავლია, მაგრამ კედელი სხვა იყო, ის ქალი კი სხვა, ვისაც ეს სიტყვები უნდა მოესმინა, თუნდაც კედელზე ყრუც რომ ყოფილიყო. ალბათ ვერ გააგებინა იმ ქალს, რაც უნდოდა, ვი სირცხვილო, იქნებ იმ ქალმა სხვა რამეც კი იფიქრა, სპინოზა კი მხოლოდ საკუთარი სიცოცხლის უფლებას თხოვდა, არსებობის უფლებას. თუ ქალი ეტყოდა, მოგისმინე და გავიგეო, სპინოზას მეტი არაფერი უნდოდა. წაიყვანდა ქალი იმ უპატრონო ჩვილს, მიუჩენდა პატარა ადგილს სამოთხის წალკოტივით მშვენიერი გულის კუნძულში, ის ჩვილი არც რძეს მოსთხოვდა, არც ნანინას, იქნებოდა მიყუჩებული და ბედნიერი. სპინოზაც დამშვიდდებოდა, მოისვენებდა, აქედან ფეხს აღარ მოიცვლიდა.

„რად მინდოდა ეს თოფი, რატომ წამოვიღე?“

არა, სპინოზა კაცს როგორ მოკლავს, მართლა კი არ გაგაყებულა ჯერ, რო-



გორც ეს ზოგიერთ ცხვირმოუზოცავ ლაწირაკს ჰგონია და მკითხავივით კარტს რომ აფარებს სახეზე, შენი ბედი ვარსკვლავზე სწერიაო. იცის მაგათი ამბავი სპინოზამ, მაგათ არივ-დარიეს ეს დაწყობილი ქვეყანა, ეგენი რომ გაჩნდნენ, მაშინ დაიწყო ხალხმა ვარსკვლავებზე ლაპარაკი, სად იყვნენ იქამდე, თავის დღე და მოსწრება ვარსკვლავებს უყურებდნენ, მაგრამ არავის მოსვლია თავში, ავდგეთ და იქ გადავსახლდეთო. კი მაგრამ, მწერალმაც ხომ ასე უთხრა, ერთ მშვენიერ დღეს მოგაკითხავენ და იქ წაიყვანენო.

იმ დღის მერე შეიძულა სპინოზამ მწერალი, ოღონდ სიტყვაც არ დასცდენია, წარბიც არ შეუხრია. შეიძულა მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ძალიან მშვიდად უთხრა ეს ამბავი, ალბათ მეც რომ მოვმკვდარიყავი, ასე მშვიდად მომამყრიდა მიწასო. საკვირველია, მაგრამ სიძულელიმა კიდევ უფრო განუმტყიცა რწმენა, რომ მწერალი ძალიან დიდი კაცი იყო და ასე მშვიდად ალბათ ამიტომაც იქცეოდა. მას კი, — სპინოზას — კამეჩივით ზმუილი შეეძლო მხოლოდ, ცეცხლწაკიდებულ ბოსელში გამომწყვდეულ კამეჩივით, წითელი შიში ურახუნებდა კეფაში, იმიტომ რომ აქამდე კამეჩივით ძოვდა იმ ტყილ ბალახს, მისთვის ცხოვრება რომ ერქვა. ძოვდა, მეტი არაფერი. რამოდენა დრო გასულა, — დაუცარიელდა უცებ გული, — გათავებულა ეს ცხოვრება და ეს არისო. ისიც გაიფიქრა, ხომ არ ვკვდებიო, რადგან უკვირდა და თანაც ეშინოდა, ასე რომ ფიქრობდა; ეს მისთვის უჩვეულო რამ იყო.

„კი მაგრამ, თოფი... თოფი რად მინდოდა?“

მოულოდნელად უცნაური რამ შეამჩნია: ყველაფერს უფრო გარკვევით, მკაფიოდ ხედავდა, ვიდრე ადრე, თუნდაც რამდენიმე წუთის წინ. ისე მკაფიოდ, რომ თვალები ატყვიდა. საგნებიც თითქოს ადგილს იცვლიდნენ, მაგალითად, რამდენჯერმე გადაურბინა ერთმა ხემ წინ, სანამ ისევ თავის ადგილს დაუ-

ბრუნდებოდა. უნდოდა ვინმესთვის ჩაეგლო ხელი და ეთქვა, ნახე, ნახე რა ხდებაო, მაგრამ ვერ ბედავდა, რადგან ისეთი გრძნობა ჰქონდა, რომ ამ ქალაქში არავის იცნობდა. სმენაც უცნაურად გამაფრებოდა, ესმოდა, როგორ ზუზუნებდნენ მავთულები, როგორ მიჩხრიალებდა წყალი ტროტუარის გასწვრივ ქვის ღარში, რომელიც აქედან შორს, ქალაქის ცენტრში იყო, როგორ ტკაცუნობდა ცეცხლი რესტორნის სამზარეულოს ღუმელში, როგორ წრიბინებდა მწერლის კალმის წვერი ქალღალღზე და ყველაფერი ეს ისე მკაფიოდ ესმოდა, რომ ხედავდა კიდევ: ელექტროდენის გველივით მწივანა სხეულს, მღვრიე. ნაპირებთან ხავსმოკიდებულ წყალს, მოტკაცუნე ცეცხლს, მეღვინით მოთხუპნულ თითებს, და კიდევ ბევრ რამეს, რაც მისი თვალისგან დაფარული იყო და მხოლოდ სმენით აღიქვამდა. ამგვარად, ის უამრავ საგანსა და ადამიანს ხედავდა ერთად, ერთდროულად, ერთმანეთში არეულს, გათქვეფილს, მაგრამ ამავე დროს ისე, რომ თვითველ მათგანს თავისი თვალისმომჭრელი დამოუკიდებლობა ჰქონდა შენარჩუნებული.

გაიქცა, დიდხანს ირბინა. მინდორში გავიდა, ტყის პირას, ფიჭვის ძირას მიწვა, ყურებზე ხელეზაფარებული, თვალდახუჭული. ასე იყო კარგახანს, სანამ მის არსებაში ახლა გაუზზარავმა სიჩუმემ არ დაისადგურა. სიჩუმე ძილსა ჰკავდა. რასაკვირველია, თუკი ისეთი ძილი შეიძლება, რომ გეძინოს, მაგრამ შენი გონება ფხიზლობდეს, იცოდე, რომ გძინავს. სიჩუმე მის სხეულში ისე გარინდებულყო, როგორც ჭაში წყალი.

პირაღმა გადმოტრიალდა, ხელები თავქვე ამოიწყო. თვალის გახელას ჯერ ვერ ბედავდა, ეშინოდა, ეგონა, მთელ ქვეყანას ერთად დაინახავდა. მერე იმის შეეშინდა, რომ საერთოდ ველარაფერს ვეღარ დაინახავდა, რადგან ეგონა, სიჩუმეს უსათუოდ სიბნელეც მოჰყვებოდა.

თამაზ ზილამაძე
აუზი

უბედავად გამოაქყიტა ცალი თვალი, მაგრამ მაშინვე ხელი აიფარა ზედ და შეჰკვივლა, თითქოს ქვა მოხვდაო, ისე ეტყინა. როდის-როდის გაახილა თვალი ისევ: ცას სიფრიფანა ღრუბელი აწებებოდა, ბაბუაწვერასავით, მეტი არაფერი ჩანდა, არც არაფერი ისმოდა, თუმცა როგორ არა, ჭრიჭინას ხმა გაიგონა და ამ ხმამ ისეთი მწუხარებით მოუწურა გული, რომ ვაი დედაო, ამოიკვნესა. მაშინვე წელში მოხრილი ქალი დაინახა, იატაკს ჰკვიდა. ბნელ დერეფანში საიდანდაც შემოპარულ მზის სხივში ათასფრად აჭრილი მტვერი ბზინავდა. ისმოდა ცოცხის ფხაკუნის და ქალის ფლოსტების მსუბუქი ტყაპატყუბი, თითქოს გომბეშო მიხტისო ფილაქანზე. მივიდა და ქალს ფეხებზე მიეგლისა. ქალმა ორი თითი ჩაავლო კისერში და, როგორც ცინდალი, კუთხეში დასვა. ახლა სიჩუმეს, რომელიც მთელ ტანში გაყუჩებულიყო, ცხელი ტალღა შეერია, სიჩუმე ამიღვრა და ქალის ხმით დაილაპარაკა: ნეტავი შენ არ გამჩენოდი, შვილო. სპინოზას ცრემლმა გაუფსო თვალი: დედა, — წაიჩურჩულა, — დედა.

„გვიყდებიო“; — გაიფიქრა. წლობით დაგუბებულმა სათქმელმა თითქოს მის ყელში კი არა, თვალებში გამოიარა, გამოწმინდა მისი ჩაყანგული, ჩაკირული ხერელები, ნიაღვარივით გამოიტანა გარეთ დამპალი მიწა თუ ფოთოლი და სინათლეს გზა მისცა. ეს უნდოდა მხოლოდ სპინოზას, როცა ქალს უთხრა, მომკალი ან დამარჩინეო. იმ ქალს კი ისე შეეშინდა (სპინოზას გაეღიმა), თითქოს სპინოზა მოკვლას უპირებდა.

— გამდლობთ, — წაიჩურჩულა, — გამდლობთ...

აი, ლაპარაკიც ცოდნია, ის კი კამეჩი ეგონათ. ნურას უკაცრავად! ოთხზე დადგა, დაიზმუვლა, ურჩინა კიდევ ვილაცას. გაეცინა:

— ნურას უკაცრავად!
წამოდგა. შარვალი ჩამოიბერტყა, მიიხედ-მოიხედა:

— რა ლამაზია ქვეყანა, კაცო! აგე, ზვართქლა, როგორა ხარ. გრამაფონავ, დაიძახე აბა კუკუ! აგე, ბაყაყის ყვავილიც, შენც წავიყვან თან, მაგრამ ვაითუ იქ შენი დედოფალი ბაყაყი არ იყოს? აბა შევატებოთ ტოტი ქყერიასა და ასკილს, აიტ, შე ეშმაკის მითრახო, კვიპაროსი და ბზაც არ დაგვავიწყდეს. კვიპაროსს ხეთუფალს ეძახიან და უფლის ხე კი ბზაა, გადამრია ამ ხალხმა, სპინოზაა გიჟიო, მე ვარ გიჟი? აუ, მამბუალიავ, აგერ არ ყოფილხარ შენც, დამალევინე რძეი, დაიკო, არა, გენაცვალე, ახლა არა, მერე, ულუმბოც მოგკრიფოთ, ფოთოთიც, ქაფუნაცა და ბამბა-ბუერაც. რაო, კეწეწურავ, არ წამოხვალ იმ დასაქცევში? წამო, ჭირიმე, ფეხები კი გაქვს გრძელი. აგე, ლენცოფაც. აჰა, იორდანესაც ჩემი სალამი. ეს რაღაა, ამას რას ვხედავ, ქრისტესგვირგვინა ხარ შენ? წამო, წამო, იქაც დაგვჭირდები, ნუ გეშინია. არღვანას ტოტიც წავილოთ, საცა ქრისტეა, იქ იუდაც უნდა იყოს. ასეა, ბატონო, მე კი არ მომიგონებია ეს! დაფნა, დაფნა, გაკოცო თუ არ გაკოცო. უი, ჩორჩხოთავ, როგორ ანათებ, გაგოვ. ბაია და ბალბა, ბურბურა და ბურჩხა, — წაიმღვრა სპინოზამ, — მიმაქვს ბლუჯა-ბლუჯა... უი, გვიმრა! მივიდა და გვიმრის ძირას ჩაჯდა, ფოთოლზე მოეფარა:

— გვიმრა, გვიმრა...

თითქოს ტყეში დაკარგული და იპოვნაო.

ამასობაში იმდენი ტოტი, ბალახი თუ ფოთოლი დაუგროვდა, ჯიბეებში და უბეში ვერ ჩაეტეოდა. ქილეტი და პერანგი გაიხადა, მიწაზე გაფინა, ყველაფერი მოაგროვა და ზედ დაჰყარა, ფუთა შეჰკრა, გამოკვანძა, აიღო და წამოვიდა: უცებ ბალახში თოფს მოჰკრა თვალი: „კი მაგრამ, თოფი რად მინდაო?“ — გაუკვირდა, მაინც დასწვდა და წამოიღო. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ვილაცა დატოვა ხის ძირას.

ასე შიშველი, ცალ ხელში თოფით და ცალ ხელში კიდევ ფუთით შემოვიდა ქალაქში. გამვლელები ფეთიანივით

აწყდებოდნენ კედლებს, თითქოს სპინოზა კი არა, ქუჩის სარწყავი მანქანა მოდისო.

სპინოზა კი მოაბიჯებდა და აქეთ-იქით ესალმებოდა ყველას:

— გამარჯობათ, ბატონო ვანო, გამარჯობათ, ქალბატონო ნინო, გამარჯობათ, ბატონო ექვთიმე, გამარჯობათ, კუდრაქებო, თამუნიავ და ქეთინო, გამარჯობათ, ბატონო ბენედიქტე!

თურმე ყველას სახელი სცოდნია. ეს აღმოჩენაც სიხარულით ავსებდა. მისი თავი საათივით ხალისიანი წიკწიკით მუშაობდა. უნდოდა ყველას დაენახა, ეგრძნო, რომ ის ადამიანი იყო. იცოდა, რომ აქამდე არ იქცეოდა სწორედ, მაგრამ, ნუ გამამტყუნებთ, თქვენნი ჭირიმე, არ ვიცოდი, როგორ უნდა მოვქცეულიყავო, ამის თქმა უნდოდა სპინოზას, მაგრამ გრძნობამორეული ხმას ვერ იღებდა.

— სპინოზა, — დაუძახეს სადალაქოს წინ ჩამომჯდარმა დალაქებმა, — გამარჯობა, სპინოზა!

საიდან გავვოთ არ ვიცი, სპინოზას დაძახება რომ აღარ წყინდა, მაგრამ დალაქებს რა გამოეპარებათ.

სპინოზამ თავი დაუქნიათ.

— იქნება ფეხი შემოგიცდეს ჩვენთანო, — დაუძახეს ისევ დალაქებმა. სპინოზა შეჩერდა.

— ჰო, შემობრძანდი! — წაათამამეს დალაქებმა.

სპინოზამ წვერზე ჩამოსვა ხელი, უკვე მკერდზე რომ სცემდა, საცოდავად გაიღიმა, თითქოს არ ელოდა, თითქოს ერთ ღამეში ძილში გაზრდოდეს. სპინოზამ გაუბედვად შედგა ფეხი სადალაქოში. დალაქებიც შეჰყვნენ. ორნი იყვნენ, ორივეს უნდოდა, თვითონ გაეპარსა სპინოზა, ასეთი შემთხვევის ხელიდან გაშვება არ შეიძლებოდა, მისი გამპარსავი ქალაქში სახელს გაითქვამდა. დალაქებმა კენჭი ყარეს.

სპინოზა მოთმინებით უცდიდა.

მერე სავარძელში ჩაჯდა, ფუთა იქვე იატაკზე დადო, თოფი მუხლებს შორის მოიქცია და სარკეში თა-

ვის თავისე შეაშტერდა, თითქოს მათს უღებნო.

— არ გავარდეს ეგ თოფი! — უთხრა დალაქმა.

— არა, — უპასუხა სპინოზამ, თმასა და წვერზე ხელი ჩამოსვა და თქვა: *

— სულ!

— სულ? — ჰკითხა დალაქმა.

— სულ!

— თმაც?

— სულ!

— სულო, — მიუბრუნდა დალაქი ამხანაგს, რომელიც ამ დროს სალესი ღვედით ბუზს ეპარებოდა. ამხანაგს ხელი გაუშეშდა, თავი ძლივს მოაბრუნა, ასე წელში მოკაკული წამოვიდა და სარკეში სპინოზას გამოსახულებას დააკვირდა, თითქოს იმას ეთქვას სიტყვა და არა იმას, ვინც სარკის წინ იჯდა.

— ს-უ-ლ? — ამოდერდა, როგორც იქნა.

— სულ! — გაიმეორა სპინოზამ.

მეორე დალაქი წამოვიდა, კარი გამოაღო და ქუჩაში შეგროვილ ცნობის-მოყვარეთა გუნდს გასძახა:

— სულო!

— სულო? — ამოიგმინა გუნდმაც.

სანამ დალაქი თავს დასტრიალებდა, როგორც ფუტკარი ყვავილს, სპინოზა იმაზე ფიქრობდა, თოფი, თოფი რად მინდოდაო. როგორც იქნა, გაიხსენა, რატომაც წამოიღო თოფი შინიდან და დამშვიდდა. იმ უაზრო აღტაცებამაც გაუარა, აქამდე მთელი მისი არსება რომ შეეპყრო. საათის წიკწიკიც შეწყდა.

„რა იყო ეს რა დამემართაო, — ფიქრობდა სპინოზა, — როგორ მომივიდა, რომ პატარა ბიჭივით ავცერცვტდი და სიყვარულობანას თამაში დავიწყეთო. ან ბეკოს რატომ ვემუქრებოდი, ყველაზე კარგი ბიჭი ჩვენს ქალაქში ბეკოაო“.

გაახსენდა, როგორ მივიდა ქალთან, როგორ დაეცა მის წინ მუხლებზე. „ნუ-თუ, ნუთუ მართლა ეს მე ვიყავიო“. კი

თავის მიღება
აუზი



მაგრამ, ის რა იყო, რა დაემართა ამ ერთი საათის წინ, კინაღამ მართლა გაგვიდა. ესეც შენი სიყვარულიო, ჩაიღიმა მწარედ. ალბათ ყველამ არ უნდა შეეყოს იმ ცეცხლში თავიო, თუმცა არც ყველას მიუშვებენ, გულით რომ უნდოდეს იმ ცეცხლამდე. თვითონ კიდევ რა უჭირდა, პაწაწინა ნაპერწკალი მაინც გამოსტაცა კოცონს, იმ ნაპერწკალს წაიღებს და ხელისგულებს შორის შეინახავს, სულს შეუტებრავს და აცოცხლებს. ზოგს არც ის ნაპერწკალი აქვს, ზის მაგიდასთან და ფურცელზე ერთსადიამევე ქალის სახელს წერს. ავსებს ფურცლებს, ხევს, კალათაში ყრის, მერე სპინოზას ის სავსე კალათა სანაგვეზე მიაქვს და ასე იქნება სულ, ღრმა სიბერემდე. მხრებზე საბანმოხურული, მაგიდაზე მიბმული, მაგრამ სპინოზა აღარ იქნება მასთან, სხვამ გადაყაროს ახლა ის ქაღალდები, ლატარიის უვარგისი ბილეთებივით დაფხრეწილი. სხვას გადაუსვას ახლა თავზე ხელი, როგორც ფეხებთან მიწოლილ მონადირე ძაღლს, რა სჭირდა სპინოზას მისი შესაცოდი, მან იმდენი მაინც შეძლო, რომ ხმაძაღლა თქვა, დაიხმუვლა, იყვირა, რასაც ფიქრობდა, რაც გულში ჰქონდა, რასაც გრძნობდა.

გაკრეკილსა და გაპარსულ სპინოზას დალაქმა კისერთან გაკვანძული ზეწარი მოხსნა თუ არა, სპინოზამ მკერდზე ხელები აიფარა, თითქოს ახლა შეამჩნია პირველად, ტიტველი რომ იყო, თითქოს კი არა, ნამდვილად არ ახსოვდა, როდის ან რატომ გაიხადა ტანსაცმელი. ცოტახანს ასე იჯდა, მერე ფუთას დაწვდა, გახსნა და რაც შიგ ჰქონდა გამოკრული: ათასნაირი ბალახი თუ ყვავილი, ტოტი თუ კენჭი, იატაკზე დაყარა. „რა არის ეს, რად მიწოდდა, რას იფიქრებს ეს ხალხი, სირცხვილია“, — გაიფიქრა. არც ერთი ბალახისა თუ ყვავილის სახელი არ ახსოვდა.

— რას შვრები, სპინოზა? — იყვირა დალაქმა.

სპინოზამ მას ყურადღება არ მიაქცია,

პერანგი და ჟილეტი დაბერტყა, ჩაიკვანძლა და წამოდგა.

— ფული არა მაქვს, — უთხრა დალაქს.

— არა უშავს, შენზე იყოს, — მიუგო დალაქმა, — მაგრამ ნავით რომ აგვაგვს, რაა ერთომ ეს.

— ცოცხი მომეცით, — თქვა სპინოზამ.

— არა, არა, ჩვენ გავხვეტავთ, — შესძახა ორივე დალაქმა ერთად, ეტყობა, სპინოზას შეცვლილმა ხმამ და სახემ შეაკრთოთ.

სპინოზა სადალაქოდან გამოვიდა და ქუჩას დაუყვა.

ცოტახანის მერე სადალაქოში, საიდანაც ჩამიჩუმე არ ისმოდა, ერთ-ერთმა ცნობისმოყვარემ შეიხედა: გაშტერებული დალაქები ერთმანეთს მისჩერებოდნენ, იატაკი ბალახითა და ფოთლებით იყო მოფენილი.

— რა ქენით, ბიჭო, ეს, — იკითხა ცნობისმოყვარემ, — სპინოზა გაკრიკეთ, თუ ბოტანიკური ბაღი?

სპინოზა ეზოში შევიდა და გაჩერდა. მწერალი აივანზე იდგა. მართალია, შეაკრთო სპინოზას შეცვლილმა გარეგნობამ, მაგრამ არ შეიიჩნია.

— ამოდი, ბონდო, რას უდგებარ?

— დიდი მაღლობელი ვარ თქვენნი, — უთხრა სპინოზამ.

— რატომ, ბონდო?

— ხუთი წელი რომ შემეფარეთ.

— კარგი ერთი, შეეკაცო.

— წავალ, მივხედავ ჩემს თავს...

— რა თქვი?

— ცხოვრება გათავდა...

— რას ამბობ, ბონდო?

— აქამდე კამეჩივით ვძოვდი ბალახს...

— რა გადაგრია, ბიჭო, შენი! — შეუწყრა მწერალი.

— გათავდა ცხოვრება. როდისმე აღამიანი ხომ უნდა გავხდე მეც.

— ვინ გითხრა, აღამიანი არ ხარო?

— ყველა რაღაცას აკეთებს, მე კი ვარ ტყუილრივით. ან თქვენ რა დარაჯი

გპირღებთ ყველა პატივს გცემთ, წავალ, რამე საქმეს მოვეკიდები, გათავ-და ცხოვრება.

მწერალმა რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ სპინოზა გატრიალდა და წავი-და.

დიდხანს იდგა მწერალი აივანზე, მერე ოთახში შევიდა და მაგიდასთან ჩამო-ჯდა. „კი მაგრამ, რა ბზიკმა უკბინა, რა მოელანდა დღეს? — ფიქრობდა მწერალი, — ასე მეგონა სხვა კაცი მე-ლაპარაკება-მეთქი“.

სხვა კაცი! იქნებ დაჭკვიანდა? დაჭკვი-ანდაო? კი მაგრამ, თოფი რაღად უნდო-და? ვინმეს რამე არ აუტეხოს!

მწერალი სპინოზას დალაგებულმა ლაპარაკმა შეაკრთო, ამიტომ ფიქრობდა ასე. სიბრყივესა თუ სიგიჟეს კბილის გასინჯვა არ უნდა, უკბილოა. ჭკუა კი იკბინება, ძალივით კი არა, რომელსაც სახრეს მოუქნევ და მოიშორებ, არა-მედ სინდისივით.

ვინმეს რამე არ აუტეხოსო!
შეამჩნია, რომ ხელი ტელეფონის ყურმილზე ედო.

თითქმის რამდენიმე საათი იჯდა ასე გაუნძრევლად და ხელი ტელეფონის ყურმილზე ედო. და მერე, როცა მილი-ციის უფროსს უკვე ელაპარაკა, როცა ყურმილი დადო, როცა სავარძელში გადაწვა და თვალები ჰერს გაუშტერა, იგრძნო, რომ ტირიდა...

— ესეც შენი დიოგენის ცრემლი!
— თქვა მან ხმამაღლა.

სპინოზამ ბევრი იხეტილა. ისე დაა-ლამდა, არც გაუგია. მერე ცეცხლი დაი-ნახა და იქითკენ გასწია. „იმედის წყა-როს“ ხანძარი გასჩენოდა, მთელი ქალა-ქი იქ იყო. სპინოზამ ძალით გაარღვია ხალხი და ცეცხლწაქიდებული სახლის კიბემდე მიადწია. — შენ სადღა მი-დიხარ, დამთხვეულოო, დაუძახა ვილა-ცამ.

მაშინვე ცივად გამობრუნდა.
ბევრი იარა და ბოლოს ზღვის ნაპი-რას გამოვიდა. თოფს ლულაში ჩაავლო ხელი და ზღვაში ისროლა. მერე ნაპირ-ზე ამოთრეული ნაგები დაინახა. მივი-

და. ნაგებს შორის ჩაწვა და თითქმის მაშინვე ჩაეძინა.

და აი, როგორი სიზმარი ნახა:
ბალის საცეკვაო მოედანზე მარსიდან ჩამოფრენილი კოსმოსური ხომალდი იდგა. ხომალდი უზარმაზარ ბზრიალას ვაგდა, მის პრიალა. ზედაპირზე ბალის ნათურების შუქი ირეკლებოდა.

ხომალდს თითქოს თავისით შეება კარიო, იქიდან კიბე ჩამოეშვა. მერე კი-ბეზე ვილაც ჩამოვიდა. მიწაზე ფეხი რომ დაადგა, ერთი-ორჯერ მსუბუქად შეხტა ჰაერში. მარსიდან ჩამოფრენილი კაცი ხეივანს გაჰყვა. დაბალი იყო, გამ-ხდარი, დიდი, ბუდიდან გადმოცვენი-ლი თვალები ჰქონდა. კი არ მოდიოდა, კალიასავით მოხტოდა, თითისწვევებით ეხებოდა მიწას, სახეზე აფრიკული ნი-ღები აეფარებინა.

ამ დროს სპინოზაც გამოჩნდა.
— სადა ხარ, კაცო, ამდენხანს, მოვ-კვდი ლოდინით! — შეეგება ჩამოფრე-ნილი კაცი.

— მატყუებ, — უთხრა სპინოზამ.
— ნამდვილად ურწმუნო თომა ხარ, გადმოადგი ფეხი, გათენდა და ეხა. ორი-ვენი ხომალდისკენ გაემართნენ. კიბეზე ავიდნენ და კიბეც თან აიტანეს. კარი მიიხურა. ცოტახნის მერე ხომალდი ნელ-ნელა აიწია ადგილიდან, სრულიად უხმა-უროდ. კეპაროსის წვერს რომ გაუ-სწორდა, ნაპერწკლები გაჰყარა და გაქ-რა კიდეც.

— გაიღვიძე, ბიჭო, მოვედით! — წა-ჰკრა ამ დროს ვილაცამ ფეხი სპინოზას.
თვალი გაახილა, მაგრამ როდის-რო-დის გამოიხედა, რადგან ჯერ კიდევ იქ იყო, სიზმარში. მერე კაცმა, ის რომ გაა-ღვიძა, ასანთი აანთო და სიგარეტს მო-უქიდა. სათვალეთი იცნო, მილიციის უფროსის მოადგილე იყო.

12.

სალამო ხანს რესტორანში უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. გარდა ტურის-ტებისა და ადგილობრივი ერთგული

თამაზ ზილაძე
აუზი



მუშტრებისა, აქ იყო ლილიპუტების ცირკის მთელი დასიცი, რომელიც გასტროლების დამთავრების აღსანიშნავ ბანკეტს იხდიდა. ზურგზე ხელებდაწყობილი დუხუ მავიდებს შორის დინჯად დასეირნობდა. ის დღევანდელი დღის გმირი გახლდათ — მან ხომ ბავშვი იპოვნა! — და ამიტომ შესაფერისადაც იქცეოდა. ადრე თუ ერთი ჰიქის დაღვევაზე უარს არავის ეუბნებოდა, ახლა თავაზიანი ღიმილით იცილებდა უამრავ მოპატიჟებას. დუხუს მართლაც ღირსეულად შეეფერებინა თავისი ახალი როლი და თავი ისე ეჭირა, თითქოს ამოდენა ხალხი მხოლოდ მისი გულისთვის შეყრილიყოს აქ. ერთი-ორჯერ ორკესტრანტებთან მივიდა:

— ბეკო არ მოსულა? — ჰკითხათ.

— არა, ბატონო, არ გამოჩენილა, — უპასუხეს.

— ვერ უყურებ, იმ ცივანს, — ვადააქნია ღიმილით თავი.

თუნდაც უნებურად ჩადენილი კეთილი საქმე ადამიანს კარგ გუნებაზე აყენებს, კიდევ ახალი კეთილი საქმისთვის განაწყობს.

„სად დაიკარგა ის ბიჭი?“ — ფიქრობდა შემფოთებული დუხუ. ეს შემფოთება, რომელიც მისთვის სრულიად ახალი განცდა იყო, სასიამოვნოდ უღიბინებდა გულზე, რაც მთავარია, საკუთარი თავი მოსწონდა ძალიან.

ორკესტრი უკრავდა.

ლილი მღეროდა.

უცებ დედას მოჰკრა თვალი.

სიმღერის დროს ვილაცის დაჟინებულ მზერა იგრძნო, ნელა მოატრიალა თავი და ხალხში თითხმეტი თუ თხუთმეტი წლის ბიჭის ანთებული თვალები დაინახა.

„ყოჩაღ, რომეო!“ — გაიფიქრა ლილიმ და სწორედ მაშინ დაინახა დედა. ისიც იმ მაგიდასთან იჯდა, იმ ბიჭის გვერდით. მათ გარდა, მაგიდას უსხდნენ ჭადარა, წარმოსადგევი კაცი და გრძელთმიანი, პატარა ბიჭი, თითქმის ბავშვი.

დედა ხორცს ჰჭრიდა და რაღაცას ლა-

პარაკობდა. ამ ბიჭების უფროსს ვაგდა და არა მათ დედნაცვალს.

ჭადარა კაცი წამოდგა, რაღაც თქვა, პატარა ბიჭმა ტაში შემოჰკრა, კაცი რესტორნიდან გავიდა. ლილი ფანჯრიდან ხედავდა, როგორ მივიდა მანქანასთან, როგორ გააღო კარი, როგორ გადმოიღო მანქანიდან საესე პარკი. მერე მანქანის კარი გასაღებით დაკეტა და რესტორნისკენ გამოემართა. შეჩერდა, თითქოს რაღაც გაახსენდაო, დაბრუნდა, მანქანის კარის სახელური გამოსწია, შეამოწმა, დაკეტილია თუ არაო, მერე წინა საბურავს ფეხსაცმლის წვერი წაჰკრა. დაიხარა, მანქანის ქვეშ შეიხედა და ამის მერე ისევ რესტორნისკენ გამოსწია. მაგიდასთან რომ მივიდა, პარკიდან ლეღვი ამოიღო და თეფშზე დააწყო, ფრთხილად, სათითაოდ ამოჰქონდა პარკიდან ნაყოფი, თითქოს წიწილები ამოჰყავსო. ცოლმა გაუღიმა და ჩამოშლილი თმა ხელისშურგით უკან გადაიწია. კაცმა პარკი გაასწორა, დაკეცა და პიჯაკის ჯიბეში ჩაიღო. უფროსმა ბიჭმა ისევ შეხედა ლილის და სწორედ ამ დროს დედამაც გამოიხედა მისკენ. სახეზე ღიმილი შეეყინა, თვალები გაუღიდა. ასე უყურებდნენ ერთმანეთს, სანამ ლილი სიმღერას დაამთავრებდა. მერე ლილი ესტრადიდან ჩამოვიდა და კარისაკენ გაემართა, გრძნობდა, რომ დედა უყურებდა.

დიდხანია არ უნახავს, მაგრამ არ აღეღვებულა. წამიერი სიხარულიც ბრაზმა ჩაუკლა: როგორ ტკბილად ქღურტულებსო. ამდენი ხნის მერე სრულიად უდარდელი და მოკისკისე დედის ნახვა მისთვის მოულოდნელი იყო, რადგან ფიქრში ყოველთვის ესმოდა დედის შეწუხებული ხმა: მაპატიე, მაპატიეო და, თქვენ წარმოიდგინეთ, სევდიანი და სინანულით დატანჯული დედა ეცოდებოდა კიდევ. ეს ჭალი კი, რომელსაც სევდისა და სინანულის ნატამალიც კი არ ეტყობოდა და რომელიც ლაღი, ნებიერი და დაჭვრებული მოძრაობებით ანაწილებდა ხორცსა და ხილს, მისთვის უცხო იყო.

ლილის გული ყელში მოაწვა. „ალარ ვახსოვარო“ — გაიფიქრა.

ახლა ის დერფანში იდგა. იცოდა, რომ დედა უსათუოდ გამოვიდოდა და მოქებნიდა. მართლაც, ცოტახნის მერე დანახა კიდევ დედა, რომელიც დერფანში გამოსულიყო და აქეთ-იქით იხედებოდა.

ლილი დაენახვა და საპირფარეოში შევიდა. გუმანით გრძნობდა, დედას ყველაზე მეტად ახლა მასთან ერთად გამოჩენა არ უნდოდა.

— ჩვენ გაგრაში მივდივართ და აქ სავაზუმოდ შეეჩერდით, — თქვა დედამ.

— მოწვეე? — ჰკითხა ლილიმ და სიგარეტის კოლოფი გაუწოდა.

— გამნდარხარ, — უთხრა დედამ. კოლოფიდან ერთი ღერი სიგარეტი ამოიღო და მაშინვე შუაზე გადატეხა, არ გადაუგდია, ასე ეჭირა ხელში გადატეხილი სიგარეტი.

— მოგწონს ჩემი სიმღერა? — ჰკითხა ლილიმ. და მოსაკიდებლად გამზადებული სიგარეტი კოლოფში ჩააბრუნა, რატომღაც მოერიდა დედასთან მოწვევის.

— აქ თუ იყავი, არ ვიცოდი, — თქვა დედამ.

„ახლა ტირილს დაიწყებს“, — გაიფიქრა ლილიმ.

ზურგი შეაქცია და ფანჯარაში გაიხედა. გრძნობდა, ცოტაც და თავს ვერ შეიკავებდა, მივარდებოდა, მკერდში ჩაეკვროდა დედას, დაუკოცნიდა ყელს, მკერდს, ხელებს, აბღავლდებოდა. ქვეყანას შესძრავდა, იყვირებდა: არ წახვიდე, არ წახვიდეო.

ჩუმად თქვა:

— ძალიან ლამაზი ხარ!

დედამ მაინც გაიგონა, ესიამოვნა შვილის ქათინაური, გაიღიმა:

— კაბებში ალარ ვეტყვი!

— გიხდება.

ლილი მოტრიალდა, დედა საფულეში რაღაცას ეძებდა.

— არა! — იყვირა ლილიმ და მაშინვე ჩუმად დაუმატა, — არ მინდა ფული...

— გამომართვი!

— მე სიმღერაში მაძლევენ ფულს, უთხრა ლილიმ და სიმღერა დაიწყო. მათ გარშემო ქალები მოგროვდნენ.

— უსირცხვილო, — წაიხურჩულა დედამ და გაიქცა.

მერე ისინი უცებ აიშალნენ. ლილიმ დანახა, როგორ ამოიღო კაცმა ჭიბიდან პარკი, გაშალა, შიგ ლედვი ჩააწყო. უფროსი ბიჭი სულ უკან-უკან იხედებოდა. მერე მანქანაში ჩასხდნენ და წავიდნენ.

გვიან, როცა რესტორანი დაიკეტა, ლილი ქუჩაში გამოვიდა. ცოტახანს შეჩერდა, უყურებდა, როგორ სხდებოდნენ ლილიბუტები ავტობუსში, რომელსაც ისინი სოხუმში უნდა წაეყვანა.

მერე ყორვებ ჩამომგდარი ირაკლი დანახა, ჩანთა ეღო გვერდით.

ირაკლი ლილისთან მოვიდა:

— შენ გელოდებოდი...

— ვერ დამიძახე?

— მივდივარ.

— სად?

— მამამ დამირეკა...

— სად მიდიხარ?

— აი, რომ ვითხარი...

— რა მითხარი?

— ბათუმში, ტანკერზე. მამას საქმე გაუყეტებია, ავტო ლილიბუტებს მოველაპარაკე, სოხუმამდე წამიყვანენ, იქიდან მატარებელს წავეყვები თბილისში, ერთ-ორ დღეს გავჩერდები, მერე პირდაპირ ბათუმისკენ! არ გახსოვს, რომ გელაპარაკებოდი?

— აჰა!

— რა იყო?

— არაფერი.

ირაკლიმ გაიცინა:

— ჰოდა, მე მელოდებიან ლილიბუტები...

— რატომ აცდევინებ, წადი!

— ლილი...

— ძალიანაც კარგი! — თქვა ლილიმ. სიჩუმე ჩამოვარდა.

— გინდა მაკოცო? — ჰკითხა გოგომ.

თაბაგ ზილაძე
აუზი

— არა...
— არც მე..
ბიჭმა რაღაცის თქმა დააბირა.
— წაღი-მეთქი! — თქვა ჩუმად გოგომ.

გვიან ღამით, დაახლოებით თორმეტ საათზე „იმედის წყაროს“ ჭიშკარს „ვოლგა“ მოადგა. ჭერ ხანძარი არ იყო გაჩენილი, ბავშვებს ჭერ მშვიდად ეძინათ. მანქანიდან ის ცოლ-ქმარი გადმოვიდა, რომელმაც გუშინ ამ სახლიდან ბავშვი წაიყვანა, იშვილა.

კაცს მაგრად ჩაევლო ბავშვისთვის ხელი, ბავშვი უძალიანდებოდა, გასხლტომას ცდილობდა.

— მე შენ გაჩვენებ სეირს, — ყვიროდა კაცი. — არ გამაგოთა, კაცი?!
— რომ არავინ დაგხვდეს? — ჰკითხა ცოლმა. — ვის უნდა ჩავაბაროთ.
— დაგხვდებოდა.
— გვიანია.
— კიბეზე დავსვამ და კისერიც უტეხია.

— ბიჭი უნდა წამოგვეყვანა.
— შენ დაიჯინე, გოგოო და ა, ბატონო, ესეც შენი გოგო.

— ეგ გოგო კი არა, ქაჯია.
ასე ლაპარაკ-ლაპარაკით კიბემდე მივიდნენ. სწორედ ამ დროს კიბეზე დირექტორი ჩამოდიოდა, გვიანობამდე შერჩენოდა საქმეს.

— პატივცემულო, — დაუძახა შორიდან კაცმა, — ბავშვი დავაბრუნეთ! დირექტორი შეჩერდა, სანამ ახლოს არ მოვიდნენ, ხმა არ ამოუღია.

— შემაშინეთ, — თქვა მან.
— ქალბატონო, ბავშვის დაბრუნება გვინდა, — უთხრა კაცმა.

— კაბინეტში მობრძანდით, — უთხრა დირექტორმა და წინ გაუძღვათ.

— რა მოხდა? — დირექტორი მაგიდასთან დაჯდა — გისმენთ.

— ცხვირზე მიკბინა.

— მე კიდევ მაიმუნი დამიძახა! მიიყარა სხაპასხუბით ცოლ-ქმარმა.

— მერე? — იკითხა დირექტორმა მშვიდად.

შუახნის ქალი იყო, გამხდარბ. შიშველედ შეჭრილი, ერთიანად გათეთრებული თმა მოულოდნელად მეტად ახალგაზრდულ იერს აძლევდა მთელ მის გარეგნობას.

— რა მერე? — კაცმა ხელები გაშალა და ღიმილით მიმოიხედა, — მეტი რაღა გინდათ? ორჯერ კინაღამ გამოგვექცა, ძლივს დავიჭირე. ჩემს მეუღლეს ცხვირზე უკბინა, აჩვენე, მეგი.

მეგი დირექტორთან ახლოს მივიდა: — აი დარწმუნდით.

— არ გეტყობათ, — უთხრა დირექტორმა.

— როგორ, მთლად რომ დავესახიჩრებინე, მაშინ დამეტყობოდა არა?

— დაბრძანდით, — დირექტორმა ხელით სკამზე აჩვენა.

მეგი ჩამოჯდა: — აღმაშფოთებელია!

— ახლა რა გნებათ?

— ჭერ მილიციში მინდოდა მიყვანა...

— მილიციაში? — დირექტორმა კუთხეში ატუხულ ბავშვს შეხედა.

— ცისიას შეძახდნენ. — თქვა ბავშვმა.

— დიახ, მილიციაში, მაგრამ თავი ვალდებულად ჩავთვალე, თქვენთვის დამებრუნებინა...

— მე ცისია არ მქვია, — ბავშვმა ხელები ზურგზე დაიწყო და თავი ჩალუნა.

— რა, ცუდი სახელია? იქნებ თქვენც არ მოგწონთ? — ჰკითხა მეგიმ დირექტორს.

— ამ გოგონას კატო ჰქვია, — თქვა დირექტორმა.

— ნება მომეცით, ჩემს შვილს რაც მე მინდა, ის დავუძახო! — ქალმა ჩანთიდან ცხვირსახოცი ამოიღო და ცხვირზე მიიღო.

— ქუთათსიდან დავბრუნდით. — თქვა კაცმა, — თქვენ ეს ადვილი გგონიათ?

— რა თქმა უნდა, არა, — უპასუხა დირექტორმა.

პასუხით გათამამებულმა კაცმა განაგრძო:

— ჯერ ლიმონათით გაიჟყია, მერე ნაყინი რომ დაინახა, გადაირია...

— ახალთახალი კაბა მთლად მოითხუნა, — ჩაურთო მეგიმ.

— მერე ჩემს მეუღლეს ცხვირზე უკბინა.

მეგიმ ტირილი დაიწყო.

— სიგარეტი ხომ არა გაქვთ? — თხოვა კაცმა ღირექტორს.

— კი ბატონო, ინებეთ, — ღირექტორმა უჯრიდან კოლოფი ამოიღო და გაუწოდა, — ოღონდ ფრთხილად მოსწიეთ, ხის სახლია, ძველისძველი...

— ათი წელია, არ მომიწევია, — თქვა კაცმა და გოგონას მოხედა. ბავშვმა მაშინვე ენა გამოუყო, — აი, ხომ ხედავ! — იყვირა კაცმა.

— რა ბრძანეთ? — ჰკითხა ღირექტორმა.

— ენა გამომიყო!

— არ დამინახავს!

— ჰო, დაფარეთ ხელი, დაფარეთ, იმიტომაც არის ასეთი უზრდელი!

— მოკლედ, რა გნებავთ ახლა? — ჰკითხა ღირექტორმა, — ბოდინს მოვიხდის, მეჩქარება, როგორც გავიგე, ბავშვს აბრუნებთ, არა?

— გადავწყვიტეთ, ბიჭი ვიშვილოთ, — ამოისლუკუნა მეგიმ.

— ეგ გამორიცხულია! — უთხრა ღირექტორმა.

— რატომ? — ჰკითხა კაცმა.

— იმიტომ.

— ეგ რა პასუხია?

— ჩემი პასუხი ეს არის. სხვა რა გნებავთ?

— მეტი არაფერი. ცოლ-ქმარი წამოვდგა, — ოღონდ იცოდეთ, რომ ვიჩივლებთ!

— თქვენი ნებაა!

ღერფანში რომ გამოვიდნენ, ღირექტორმა უთხრა ბავშვს:

— კატო, გენაცვალე, წადი, დეიდა ბაბოს უთხარი, დაგაწვინოს.

— ცისიას მეძახდნენ, — თქვა ბავშვმა.

ბავშვებს თეთრი, კოჭებამდე გრძელი პერანგები ეცვათ. ორ მწკრივად დაწყობი-

ბილნი, ხელიხელჩაკიდებულები მობი-
ჯებდნენ ლერწამში, თითქოს საბავშვო
ბაღი სასეირნოდ გამოუყვანიათო. ბე-
კოც იქ იყო და დათოც, ლადოც, გუ-
ლიკოცა და ლილიც. სიხარულისგან
გულაჩუყებული ბეკო თვაწეული მია-
ბიჯებდა. ლერწამი შრიალებდა, მაგრამ
ბავშვების შიშველი ფეხების ტყავა-
ტყუპი მაინც გარკვევით მოისმოდა. მერე
ლერწამი გათავდა და ტბა გამოჩნდა,
ბავშვები წყალში შევიდნენ და როცა
წყალი კისრამდე მიწვდათ, მაშინ შე-
ჩერდნენ.

წყალი თბილი იყო და სასიმოვნო.
ლერწამი ტბას კედელივით შემორტყ-
მოდა ირგვლივ. მაღლიდან ვარსკვლა-
ვებით სავსე ცა დასცქეროდათ.

ამ დროს მაღალი კაცი მოადგა ნა-
პირს და დაიძახა:

— ჰეი, ჰეი, არ გესმით?!

— როგორ არა, — უპასუხეს ბავ-
შვებმა, — გვესმის.

— ვინა ხართ და რატომ მოსულ-
ხართ?

— გვეძინება, — უპასუხეს ბავშვებ-
მა.

— გაიღვიძე-მეთქი! — შეანჯღრია
ვილაცამ ბეკო.

ბეკომ თვალები დააჭყიტა:

— ჰა?

— ჰა კი არა, მოვედით.

— სად?

— სად და პარიზში. ჩამობრძანდი,
ეუბატონო.

ბეკო ვაგონიდან ჩამოხტა. რკინიგზე-
ლები ორნი იყვნენ.

— წადი, ბიძია, სახლი არა გაქვს? —
თქვა მაღალმა, ბექებში მოხრილმა რკი-
ნიგზელმა.

— კი, ბატონო, — ბეკოს სიცივისა-
გან აძაგაძაგებდა, ჯერ კიდევ ვერ მოსუ-
ლიყო გონს. არც ის იცოდა, სად იყო.

— წადი, ბიძია, სახლში, წადი! —
უთხრა მეორემაც.

და ბეკოც წამოვიდა.

თაბაჯ მილამძ
აუხი

ისევ სოხუმის სადგურში მოეყვანა მატარებელს. ეტყობა, ძალიან ცოტა ხანს ეძინა. სიცივე ტანში გასჯდომოდა, კბილს კბილზე აცემინებდა. ერთი-ორჯერ ჩაბუქნა.

სადგურის მოედანზე გამოვიდა, როგორც იქნა, ჩაუწყნარდა კანკალი.

„ამ სიტყეში რამ შემაცივია, — გაიფიქრა, — იმ რკინიგზელებს უპატრონო ბავშვი ვეგონე. კი მაგრამ, ბავშვს რა მიგავს, თანაც უპატრონოს. რა უბედურებაა, ყველა რომ ერთხმად ამას დამძახის: ბავშვი ხარ, ბავშვი ხარო“.

დრო იყო, თავისთვის მიეხედა. თბილისში წასულიყო, ესწავლა, ეკონომისტი ან პროკურორი გამხდარიყო, თორემ სულ ასე ბავშვად დარჩებოდა, მუღმივ ბავშვად.

ბავშვისთვის ადამიანს სამოთხესავით ლამაზი ქვეყანა აქვს ცალკე გამოყოფილი. ის ქვეყანა მან სათამაშოებით, ხელითა და ზღაპრებით აავსო. სანამ ერთ დღეს, ლობიოს ყვავილივით, ლობის ზემოთ არ ამოყოფს ბავშვი თავს, მანამდე იმ ქვეყანას ეკუთვნის. ნამდვილი ცხოვრება მერე იწყება, მაგრამ მისთვის რომ ივარგო, ბავშვობის ქვეყნიდან უნდა მოხვიდე აქ, რადგან ცხოვრებას ფესვიცა და ნაყოფიც ერთი აქვს.

მაგრამ საქმე ის არის, რომ ბავშვობის სამეფოს საზღვრები უფრო შორს არის გადგმული, ვიდრე ჩვენ გვგონია. მოულოდნელად, სიბერეშიც კი, დაგვეუფლება ხოლმე გაურკვეველი და გამოუვალი სევდა, და ასე გვგონია, რომ საშველი არ არსებობს, თუმცა ხანგრძლივი გამოცდილების წყალობით კარგად ვიცით, რომ ამქვეყნად ყველაფრის მკურნალი მოიძებნება — დრო!

მოკლედ არავის უნდა, ბავშვი რომ იყოს, არც დიდსა და არც პატარას. ზოგჯერ თუ ვინმე იტყვის, აჰა, ნეტავი ახლა ბავშვი ვიყო, არ დაუჭერთ, ტყუის! პირიქით, უხარია, ბავშვობას რომ მშვიდობით გადაურჩა, გამოასწრო, ბებრები დიდხანს ცხოვრობენ, ბავშვები კი არა. თუ ბავშვობის ზღუდეს უზენბელი გადალახავ, თავისუფლად ამო-

ისუნთქე. უკვე ღრმა სიბერემდე ხლებ.

დიდხანს იდგა ბეკო სადგურის მოედანზე. მერე რომელიღაც სატვირთო მანქანამ ჩამოიარა და იმას წამოყვავ შინისაკენ. შოფერმა გადასახვევთან ჩამოსვა და თვითონ გზა გააგრძელა, ზუგდიდში მიდიოდა.

ბეკო ჩქარი ნაბიჯით მიუყვებოდა ბილიყს. ეს ბილიკი „იმედის წყაროსთან“ გაიყვანდა, იქიდან კი სახლამდე არც ისე შორს იყო.

ხვალღანვე ჩაუკდება წიგნებს. ყველაფერს ისე გააკეთებს, როგორც ეტყვიან, ისე მოიქცევა, როგორც დედას უნდა. და საერთოდ... საერთოდ დროა, რამე საქმეს მოკიდოს ხელი. საქმე ჯოხივითაა, თუ ხელში დაიჭერ, ვეღარავინ გაგიბედავს აბუჩად აგდებას.

რა კარგია, რომ ზინა წასულა. დაისვენა ბეკომ. ოღონდ ზინა ბედნიერი იყოს... არა, ბეკო იმას კვალში აღარ ჩაუდგება, აღარასოდეს აღარ ეცდება, რომ ნახოს. ის კი არა, სირცხვილისგან იწვის ახლა, როცა იხსენებს, ტელეფონით როგორ ურეკავდა. ბავშვობა იყო ეს, აბა რა! თუმცა... თუკი ეს ბავშვობა იყო... თუკი ეს ბავშვობა იყო... ჰო ამოღერღე! არც ისე ცუდი ყოფილა... აი, ხომ ხედავ, ისევ შენსას ამბობ, ჭკუა აღარ უნდა ისწავლო?

რასაკვირველია, მიხვდებოდით, რომ ასეთი ფიქრები ბეკოს მე მივაწერე. დიდხანს მერე, როცა ყველაფერი უკვე მომხდარი იყო. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ თავი შეგახსენოთ, თუმცა არც უამისობაა. ახლა წვიმს, შემოდგომის ყვითელი წვიმა უხალისოდ ეგლისება ღობეებსა და კედლებს. ასე მგონია, ხალხი ერთიანად აყრილა და ქალაქი წვიმისთვის დაუტოვებია.

ბეკო არაფერზე არ ფიქრობდა. სახლისკენ მოძუნძუნებდა. არც ახლახან გადატანილი შიში ახსოვდა, უკვლოდ გამქრალიყო. ხანმოკლე ძილს მისთვის სალი აზროვნების უნარი დაებრუნებინა. ის კი იყო, რომ აქამდე უცნობი სიმშ-

ვიდე დაუფლებოდა მის გულს. თითქოს ქარს გაეველო და ყველაფერი თან გაეტანა. ახლა ის უზარმაზარი და ცარიელი იყო, არა, მთლად ცარიელი არა, სიხარულის პაწაწინა შუქი კიაფობდა შიგ, სანთელივით. რა თქმა უნდა, ბეკო თავის სიხარულს სანთელს ვერ შეადარებდა, ეს ჩემი ბრალია. როცა ბეკოზე ვფიქრობ, უნებურად ასეთი შედარებები მომდის თავში და რადგან ჩემთვის ვწერ, არც ვმაღავ. შეიძლება, ქვეცნობიერად შურიც კი მამოძრავებდეს ბეკოს მიმართ. დიახ, შური! ნუ გაგიკვირდებათ, თუმცა მეც გავიცხვისგან პირი დავადე, როდესაც მივხვდი, რომ ბეკოსი მშურდა.

რა უნდა შემშურებოდა მისი, რა საერთო გვქონდა ჩვენ — ოცი წლის ბიჭსა და მის ყოფილ მასწავლებელს? არაფერი!

ბეკო ჩემს ჰადრაკის დაფაზე — ასე ვუწოდებ დღიურს — პაიკი იყო, მე კი, ბედისწერასავით, შემეძლო მისთვის ადგილი შემეცვალა. ეს თამაში საკუთარი უმწეობის შედეგი იყო, მეტი არაფერი, ილუზია, რომელშიაც მე, როგორც კიდობანში, სიმარტოვეს და უთქმელობისგან ხავსმოკიდებულ პრინციპულ სიტყვებს ვმაღავდი. გვიან ღამით ჩემს ღარიბულ სენაკში ხალიფა ვიყავი, ხალიფა ერთი საათით და ის ერთი საათი ცხოვრება, ცხოვრება კი არა, მისი ესენცია, ისე მაბრუებდა, მეგონა, მეც შემეძლო წლობით ტელეფონის ჯიხურში დგომა, ანდა ისეთი სევდისა თუ სიხარულის განცდა, რომელთაც არავითარი ეპითეტი არ ჰქონდა, რადგან ეს ორი მძიმე ქვა საქვეყნოდ ათლექტივით კი არ უნდა ასწიო, არამედ შენი არსების წიაღში უნდა ატარო, ჩუმად და უდრტინველად, როგორც ქალმა — ნაყოფი.

ბეკომ დაინახა, „იმედის წყაროს“ ხანძარი გასჩენოდა. გაჩახჩახებული არე-მარე ხალხით იყო სავსე. ისმოდა ქალების წივილ-კივილი, ბავშვების ტირილი.

ბეკოც იქითკენ გაიქცა.

ზინამ ავტობუსის კიბის საფეხურზე ფეხი შედგა თუ არა, ვიღაცამ მკლავში ხელი ჩაავლო. მოიხედა და კინაღამ იქვე ჩაიკეცა: მის წინ თეიმურაზი იდგა.

— სად მიდიხარ? — ჰკითხა თეიმურაზმა ღიმილით.

ქალმა მღელვარებისგან ხმა ვერ ამოიღო.

— დათო სად არის?

თეიმურაზმა ბავშვი ავტობუსიდან ჩამოიყვანა, ძირს არ დაუსვამს, ატაბებული ეჭირა.

— გახსოვარ, დათუნა?

მანქანაში ჩასხდნენ და შინისკენ გამოსწიეს.

— როგორ ხარ? — გაიღიმა ისევ თეიმურაზმა.

მერე ლოგინში იწვნენ. თეიმურაზი სიგარეტს ეწეოდა. არც ერთს არ უნდოდა სიჩუმის დარღვევა, ისეთი გრძობა ჰქონდათ, თითქოს ყველაფერი უკვე თქვეს.

— უჩემოდ მიდიოდი? — თქვა თეიმურაზმა ჩუმად.

ზინა გაიტრუნა. ჰო, ეს ნამდვილად თეიმურაზი იყო, მას კი აქამდე რატომღაც ეგონა, რომ სხვა კაცის გვერდით იწვა, სხვა კაცთან უღალატა თეიმურაზს, წყალში ჩაჰყარა ამდენი ხნის ლოდინი და წვალება. ეს კი იმიტომ ეგონა, რომ ის სხვა, რომელიც ახლა გვერდით ეწვა, სრულებით არ გავდა იმ გაწირულ ბიჭს, მას რომ უყვარდა. ეს გაცილებით უფროსი იყო, თანაც ძლიერი.

„ნუთუ სრულიად უცხო მამაკაცს ელოდებოდა პენელოპეც!“ — ფიქრობდა ზინა. ძალიან მოსწონდა, თავის თავს პენელოპეს რომ ადარებდა, იყო ამ მსგავსებაში რაღაც ნუგეშის მაგვარი რამ და ამავე დროს ქალური შურისძიების, სამაგიეროს გადახდის განცდაც: სხვა კაცთან ღალატობდა მეუღლეს, რომელიც ერთდროულად მეუღლაც იყო და ის სხვაც.

თამაზ ბილაძე
აშუშ

თეიმურაზმა ჩაიჭირებია.

ზინამ რომ ხმა არ გასცა, თქვა:

— იცი, მე და შენ რამ დაგვაახლოვა?
შენს სახელშიც ზ-ა და ჩემშიაც.

კი, ეს ნამდვილად თეიმურაზი იყო!

— ამდენ ხანს ამაზე ფიქრობდი?

კაცმა იგონო, რომ ცოლს გაეღიმა,
ამიტომ მკვირცხლად უპასუხა:

— ჰო!

— როგორ გამოცვლილხარ, — თქვა
ქალმა.

— დავბერდი...

— არა...

— ასეა...

— იღლები?

— ჰო. ბევრი საქმე მაქვს.

ისინი სიბნელეში იწვნენ.

ამდენი ხნის განმავლობაში დაგროვე-
ბული სიბრაზე და ბოლმა უკვალოდ გამ-
ქრალიყო. არაფერზე არ უნდოდა ფიქ-
რი. თეიმურაზის თითები მის მხარზე
დაცოცავდნენ და მისი ცნობიერება
სწორედ იმ წერტილამდე ვრცელდებო-
და, სადაც ამ თითების შეხებას გრძობ-
და.

— არ უნდა შემომეშვი, — თქვა.

— ახიც იქნებოდა ჩემზე.

— გაისად დათო სკოლაში წავა.

— ჰო.

— როგორ გარბის დრო, არა?

— ჰო.

— ისე დაამთავრებს სკოლას, ვერც
გავიგებთ.

— ალბათ.

— ბაბუამისი ამბობს, ექიმი უნდა
გამოვიდესო.

— თუ მოეწყო, კი.

— მოეწყობა.

— ალბათ.

შეუმჩნევლად ჩაეძინა. დაბურული
ხის ქვეშ გარინდებული წყალი დაინახა.
ზედაპირზე ჰავლი რომ უჩნდებოდა.
წრეები მრავლდებოდა, იზრდებოდა და
ქრებოდა. მზით განახახებულ სივრცე-
ში ინთქმებოდა.

თვალი გაახილა. თეიმურაზს ეძინა,
წამოღდა და ფანჯარასთან მივიდა. მთვა-
რიანი ღამე იყო, პრიტინას ხმა მოის-

მოდა. უცებ მათი სახლის წინ გვერდ-
ბულმა სახანძრო რაზმის მანქანამ ჩაიქ-
როლა.

ბეკოს კვამლი ახრჩობდა. კარს ეჯა-
გურებოდა, რომელზედაც შიგნიდან
უამრავი ხელი აბრაზუნებდა. ბავშვები
ყვიროდნენ, გაგვიღეთ, გაგვიღეთ კა-
რიო. როგორც იქნა, მხრით შეამტვრია
კარი, ოთახში შევარდა და მაშინვე ვე-
ება, ცოცხალი ბორბლის ქვეშ მოჰყვა.
შეჯგუფებულმა ბავშვებმა წივილით მი-
აშურეს ღია კარს, იქ კი ბეკო იყო,
უნებურად რომ ელობებოდათ გზაზე.

— ნუ გეშინიათ, — ყვიროდა ბე-
კო, — ნუ გეშინიათ!

ბავშვებს, რა თქმა უნდა, მისი არ
ესმოდათ. ათასი ხელი მისწვდა ბეკოს,
ათასმა ფეხმა მოიქცია ქვეშ, გადათელა,
გასრისა და გაქრა.

ბეკო წამოღდა, პირზე ხელეზფარე-
ბული, ბარბაცით წამოვიდა კვამლში.
ვერაფერს ხედავდა. კედლებსა და
იატაკს უკვე ცეცხლი ეკიდა, საცაა კედ-
ლები ჩამოიქცეოდა. როგორც იქნა, კა-
რამდე მიადწია, ეს უკვე მთავარი კარი
იყო, ზღურბლზე ფეხი უნდა გადმო-
ედგა, რომ თოფიანი სპინოზა დაინახა
და წამით შეეკონდა. იმ ერთმა წამმა
გადაწყვიტა სწორედ ყველაფერი, და-
ნაკვერჩხლებული ბოძი ჩამოტყდა და
კარი ჩახერგა.

ზინა კი მოულოდნელი, თითქმის წარ-
მოუდგენელი რამის გამო ტიროდა: ბე-
კო გახსენებოდა, სულელი ბეკო სი-
სორდია, ის რომ თავდავიწყებით უყ-
ვარდა. არა, ამ სიყვარულს ზინა მოუყ-
ვლიდა, შეინახავდა და მერე, როცა და-
თო გაიზრდებოდა და ქუთაში ჩავარდ-
ებოდა, იმას მოუყვებოდა, დათოს შვილ-
საც მოუყვებოდა.

„ნეტა მაშინ თუ ეცოდინებათ სიყ-
ვარულიო“, ფიქრობდა ზინა. დაბ-
რუნდა და ქმრის გვერდით დაწვა.

— თემურ, თემურ, — წაიხურჩულა.
— რა იყო? — გაეღვიძა თეიმურაზს.
— არაფერი...



გახსოვდეს, ჩემო კატარავ!

გახსოვდეს, რომ ხარ ქართველი
და გაქვს წარსული ვისაც, —
დიდი, ლამაზი, ნათელი,
როგორც ფერები ცისა!

გახსოვდეს, რომ ხარ ქართველი
და რომ გაქვს აწმყო ვისაც, —
ელვარე, როგორც სანთელი,
როგორც სსივები მზისა!

გახსოვდეს, რომ ხარ ქართველი,
გაქვს მომავალი ვისაც, —
უქრობი, როგორც კანდელი,
გულუხვი, როგორც მიწა!



სირცხვილისაგან მეწვოდა ლოყა!
ძარღვებში სისხლი დაწდა და დაშრა!
პათოსნებას, ვერა, ვერ მოჰკლავს
მლიქვნელთა ყალბი ტაში და ვაშა!

კონსტანტინე გამსახურდიასადმი

თვალშეუდგამი სიმაღლით შენით
ვართ ერთიანად აღტაცებულნი!
გაღმერთებული სიტყვა ხარ ერის
და ღმერთის სიტყვა — განკაცებული!

მცველად უდგახარ მშობლიურ ენას!
დიდებულ მამულს ფარად ეგულვი!
მომაყე გყავს მოყვარე ყველა
და ყველა მტერი — დამარცხებული!



თითქმის ოთხასი მილიარდი ძეხორციელის
გვამით და ფერფლით ავსებული დედამიწიდან
ადამიანი უსაფლავო მთვარეს ესტუმრა
და სამ მილიარდ შინდარჩენილს აჩუქა იგი!

●
ზოგის მდინარე მიჰქუსს და
ზოგისა მიდის მდორედა...
ჭორებით სულს ნუ მისუთავთ,
ჭორები მომაშორეთა!

●
თოვლის თეთრი ელვარება
მოიძულა ბარმა ბოლოს
და მაღალმა მწვერვალებმა
დაიტოვეს სამასსოფროდ.

●
გადაუარა ბალახმა
საფლავს — სიცოცხლის წერტილს...
ჩემთვის შენ როგორ არა ხარ?! —
მე აღარა ვარ შენთვის!

●
მიწა შეიქმნა იმ ტკივილისგან,
უსიცოცხლობით ცას რომ ტკიოდა...
სამყაროს ცხარე ცრემლია მიწა,
ამ ცრემლზე ცხოვრობს კაცობრიობა!

●
ცხოვრება შენთვის უცხო
იყო და... ადრე მოკვდი!
სიკვდილისათვის უცნობს
მაინც შემორჩი მოტივს!

●
უკვდავების შორეთიც
სხეულს არ შეიცოდებს! —
ლეჰსი არის პოეტის
უსხეულოდ სიცოცხლე!

შენც გაიზრდები
მხიარულო პატარა ბარტყო,
ფრთებს დაატოლებ ცას და
მერე დაგტოვებ მარტო,

ჩე-მი სა-მშო-ბლო
სა-ქა-რთვე-ლო,
დამარცვლავ თითით.
და მხრები შენი
დამძიმდება
ვეება ტვირთით.

წარწერა სურათზე

შენი ოცნების ლურჯი ფრინველი
სამოთხის კარის ზღურბლზე დაფრინდა.
იყო სიზმარი და საკვირველი
გამოცხადება ჩიტის ზღაპრიდან.

გაქრა ზმანება, როგორც ზარების
უკანასკნელი გამოძახილი
და სასთუმალთან მზისფერთვალება
შუქი შენიშნე შენსკენ დახრილი.

იდგა სიმშვიდით სავსე ოთახი,
შენ კი უცნობი ნათლისმხილველი
შორს მიდიოდი და შენს მოსვლამდე
ოთახში სტვენდა უცხო ფრინველი.

ქ ა რ ი

ხმაურობს სხვენი.
უხილავი ეშმაკი როკავს.
ამტვრევს თიხის ჯამს,
ლამპის შუშებს,
უძირო ქოთანს.
ფართო სარკმელში
იყურება ლაჟვარდის ფერი.
მალლა ეშმაკი.
დაბლა მე ვარ.
იმედი მაქვს მაგარი ჭერის.

გვიანი მგზავრი

დაცარიელდა ქალაქი უცებ,
ბაზარი, კაფე, სველი გამზირი,
უკანასკნელი სენის მერე
ქარს გადაუგდებ კინოს ბილეთი,
როგორც დამშეულ მეზობლის ნაგავს
შემონახული პურის ნაჭერი.
და გაგატარა ქარმა ქუჩაზე.
შენ უნდა ნახო ღამის ქალაქი.

გაბრწყინებული და ფერწასული.
გაუქმებული ტრამვაის ხაზი,
გაჩერებული ძველი ვაგონი,
გაცოცხლებული საკვამურები,
ხმამილგული მატარებლები,
საქონელივით რომ აწყდებიან
გამოღამებულ მების კიხურს.

სამი კედელი...

მეოთხე სივრცე.

ქარი, ღნიოში,

გულისდამკოდი.

უნელებელი წუხილი ცისფერ
გზებზე, რომელზეც შენ მიამბობდი.

სველია მიწა,

ტაკუნობს ფიჩხი —

ტოტი, რომელზეც ყვოდა კვირტი.

არავინ იცის,

არავინ იცის

სად დასდო შენი დარდი და ტვირთი.

არავინ მეტი.

მყუდროა ბინა,

კედელზე ბზინავს წვეთები ცვილის.

მთელი თვე არის, ჩემს გვერდით ფშვინავ
ბედნიერი და უდარდელ ძილით.

სამი კედელი...

მეოთხე სივრცე.

ქარი,

ღნიოში,

გულისდამკოდი.

უნელებელი წუხილი ცისფერ
გზებზე, რომელზეც შენ მიამბობდი.

რა უნდა მოხდეს,

ჩემს სალოცავს სხვებმა უთიონ,

სხვისი ნათელით

აბრღევიალდეს ვერცხლის კანდელი.

დანაღვლიანდეს

გაიცრიცოს ჩემი ბუტია

პატარა ბიჭი,

ერთი წლის მზე —

მზე შარშანდელი.

მიდის ზამთარი —

მშვენიერი ჩემი მხევალი,

ქარბუქებით და ლოლუების

ბუკით დაღლილი.

კარებთან ტოკავს მზის კარეტა,

ცისკარს ფერავენ

ბედაურები გასაქცევად

ფაფარაყრილი.

რა უნდა მოხდეს,

რომ დაიწვას ყველა ჩირალი,

გაქვავდეს ცრემლი.

დაიფურცლოს ქარში რვეული.

და მარტოსული,

უბადრუკი სსოვნის წინაშე

დარჩეს კედელი

სალოცავის ჩამორღვეული.

რა უნდა მოხდეს

ჩემს სალოცავს სხვებმა უთიონ,

სხვისი ნათელით

აბრღევიალდეს ვერცხლის კანდელი.

დანაღვლიანდეს,

გაიცრიცოს ჩემი ბუტია

პატარა ბიჭი —

ერთი წლის მზე —

მზე შარშანდელი.

მოლოდინი

მაინც რად ჩქარობ
წასვლას, მაისო,
ხომ ვიცი ისევ
მომიბრუნდები...
ნუთუ გახარებს
რომ მთელი წელი,
მე შენი მოსვლის
ლოდინს ვუნდები!
ასე ელოდნენ
შენს მობრძანებას
და შენით თრობას,
მაისო, ოდით?
და თუ ელოდნენ,
რას, რას არქმევდნენ
ამ ნეტარსა და
უსაზღვრო ლოდინს!

ვ ა ნ ი

ახმაურდა ვანის მიწა, ამოდუღდა ვანი,
ამოხეთქა გულს ნადები რა ოქრო და ლალი...
ახმაურდა სახელოვან წინაპართა ძვალი,
აჩურჩულდნენ, ვინაც ერთხელ აქა კპოვეს ვანი.
ვისაც მზის და მიწის მზერით ვერ გაუძღა თვალი,
მაგრამ წუთისოფლის ნებით მოიხადეს ვალი...
ვის შევენოდა დიადემა, საყურე-ცვარ-ნამით...
ო, ხმაურობს გარდასული საუცხოო ჟამი.
დუმდა ვანი... დიდხანს დუმდა, — თითქოს აჩნდა წყლული...
ითმინა და დღეს გაგვიხსნა ოქროვანი გული,
ახმაურდა, აჩურჩულდა, ამოდუღდა ვანი...
ნეტა, მაინც როგორ დუმდა ამოდენა ხანი!



გულო, აენტე, სიყვარულის გზებზე დადიხარ,
შენ გიყურებენ და სინაზეს გთხოვენ წვეთობით,
სპეტაკ თვალეებში უნდა ჩასდო უსპეტაკესი
შენ შენი სულის სამოსელი, ზღაპარი შენი
და გრილ მდინარედ მიეტანო მწყურვალე ხეებს,
შეასვა შენი ლტოლვა ფარული.
განწმინდო ღვარძლით დაფენილი ფოფინა გზები,
მარჯნის საყურე ჩამოჰკიდო ქალწულ სიკეთეს.
იდგე უბრალოდ მსხმოიარე ვაშლის ხესავით
და განურჩევლად განიკითხავდე.

რთველი აქვთ ჩემი სულის ფერიებს,
ლხინი ძვირფასი და უხმაურო,
როგორც სამბახის ფურცლებს ტაში,
ასრულებიათ ყოველი ნატვრა
და ახალშობილს ნატვრათა შორის
რთავენ ცისფერი წამოსასხამით.

მომაქვს სიცილით სავსე უბე და დიდი ტვირთი,
მწიფე მტეენები, ლხინის პური და ლოცვის ცეცხლი.
ვარ ძველი ჩანგი, ტირიფონზე გათლილი სტვირი
და რაგინდარა ნატვრის ცრემლის ჩუმი სიმწარე,
განახლებული გაზაფხულის თბილი წვიმებით
ჩემი წითელი საპერანგე და სიყმაწვილე.



აბები ძილის წინ

ცა ფოლადის გაგარვარებული ფურ-
 ცელივით ეფარა ქალაქს. დაწრტილ
 მდინარესა და ბუდით შენისლულ ქედს
 შორის იმედგადაწყვეტილი კაცის მორ-
 ჩილებით გადაწოლილიყო რამდენიმე
 დაკლანჩილი ხაზი ვიწრო მოკირწყლუ-
 ლი ქუჩებისა, აუჩქარებლად რომ მოუ-
 ყვებოდნენ თავიანთ მარყუჟიან გზას
 და განიერ პროსპექტს უერთებდნენ
 ზევიდან ჩამოტანილ ხეატს.

ქედის კალთებზე გაშენებული ქალა-
 ქის ბებერ, ჩახრამულ ნაწილში მზე კა-
 რგად ვერ ატრიალებდა თავის გაგარვა-
 რებულ ცელს. ალაგ-ალაგ გადადებდა
 შუშაბანდებსაც მოჰკრავდით თვალს. აქ
 თითქოს ჰაერიც მოძრაობდა. ზოგჯერ
 ჩუმი შრიალით ამეტყველებოდა ქუ-
 ჩის ბოლოს მიტოვებული ცაცხვი. ქა-
 ლაქის ახალ ნაწილში კი, სადაც განი-
 ერი და სწორი ქუჩები სერავდნენ ვაკე
 ადგილს, მზე მთელი თავისი სიმხურვა-
 ლით დასწოლოდა ნაცრისფერ სახლებ-
 სა და ტროტუარის გასწვრივ ჩარიგე-
 ბულ ახალგაზრდა ნარგავთა მტვერწა-
 ყრილ ტოტებს. აქ ყველა ფანჯარა ჩა-
 რაზული იყო.

დღე ნელა მიექანებოდა დასასრული-
 საკენ. შებინდებას ფანჯრების გაღება
 მოსდევდა, მაგრამ იმედი, რომლითაც
 ხალხი ფანჯრებს აღებდა, ცრუვდებოდა.
 ჰაერი გუბის წყალივით თბილი, ამღვრე-
 ული, გულსამრევი იყო.

დამის სარქველი მკიდროდ ეხურე-

ბოდა ქალაქს, ჩახუფული სივრცე მძი-
 მედ აწვებოდა მკერდზე. გარინდებულ
 სილურჯეში სუსტად ისმოდა მისი ბორ-
 გვა. ადამიანები ახლა განთიადს ელოდ-
 ნენ.

იფეთქებდა თუ არა ქედის დაკლკ-
 ნილი ხაზი ცის კიდურთან, ჰაერი თით-
 ქოს დაიწმინდაო, შემსუბუქდებოდა.
 ერთი-ორჯერ შეიშრიალებდა ფოთოლი,
 სადღაც ფრინველთა სუსტი წრიბინი
 გაისმოდა. მაღალ, ანკარა ცას ვარდის-
 ფერი ჩრდილი ეცემოდა და განათებუ-
 ლი ქედი ისეთი სიცხადით გამოჩნდებო-
 და, თითოეული ნაკაწრის დათვლა
 შეიძლებოდა ზედ.

მაგრამ ქალაქმა იცოდა, დიდხანს არ
 გაგრძელდებოდა განთიადის გრილი
 მყუდროება. მალე აიმღვრეოდა, ალაპ-
 ლაბდებოდა ჰაერი, ცა ისევ ფოლადით
 გაიქვინებოდა, ხოლო მზეს, ახლა მხო-
 ლოდ ყმაწვილურ ცნობისმოყვარეობას
 რომ ამქვანებდა, შეურაცხყოფილი
 ქალის დაუნდობლობით შეეცვლებოდა
 განწყობა.

ადრევე იწყებდა ქალაქი ქოთქოთს,
 ყველა საჭირო საქმის ადრევე მოგვარე-
 ბას ცდილობდა.

ლალის წყლის შხუილი აღვიძებდა.
 თვალს გაახელდა და შუშაბანდის გადა-
 კეტილი ფანჯრებიდან მხოლოდ ცას
 დაინახავდა, ცისფრად მოხასხასესა და
 უკიდევანოს. არც ერთი ნაოჭი არ ჰქონ-



და მის აღმოსავლეთით ოდნავ შეხუ-
ნებულ ფარჩას.

წყლის შხულის ადამიანთა ხმაც ემა-
ტებოდა.

— შლანგი ეზოში დატოვე! — იძახ-
და ნიკოლოზი. მოსარწყავი მაქვს მეც!

ლიდა კი შლანგს ალბათ უფრო უვიწ-
როებდა ტუჩს, რადგან წყალი მეტი
სისწრაფით იწყებდა ღენას.

— გადაკეტე წყალი, ვერ აღწევს
ჩვენამდე! — ჩასძახოდა ეზოს აივანზე
გასული დედა.

— ტექნიკური წყალი მაინც გამო-
ეშვათ, — წუწუნებდა ნიკოლოზი.

მეზობლებმა შემოდგომაზე მიაქციეს
ყურადღება ღორღით მოფენილ მიწას,
თავში მათი სახლი რომ ედგა საზღვ-
რად. გონიერება არ აკლდათ და იმათ-
ვითვე მიხვდნენ, გამწვანებისათვის იქ-
ნებოდა დატოვებული იგი.

ბულდოზერი იჭირავეს და პირწმინ-
დად გადააფხეკინეს. მერე დანაწილე-
ბას შეუდგნენ, თითოეული ოჯახისათვის
ცალკე ნაკვეთის გამოყოფას. ზოგმა
უარი განაცხადა ამგვარ თვითმოქმედე-
ბაში მონაწილეობაზე, ზოგს თავად არ
არგუნეს წილი, თქვენი ფანჯრები ეზო-
საკენ კი არა, ქუჩისაკენ იყურებო, და
ადგილი სულ ექვს ნაწილად დაჰყ-
ვეს. ერთი, ყველაზე დიდი მონაკვეთი
პირველი სადარბაზოს ოთხივე სარ-
თულს მიენდო. მოსასვლელად, დანარ-
ჩენი ხუთი ხუთმა ოჯახმა დაითითოვა.

შემოდგომაზევე ჩაჰყარეს ხეხილი და
ვაზი, გაზაფხულზე მწვანელიელისა და
ბოსტნეულისათვისაც მოიცალეს. მერე
რიგი დააწესეს, უჩხუბრად რომ მომხ-
დარიყო ნაკვეთების მორწყვა, და ამე-
ნებს რომ მორჩნენ, გადაჰხედეს პირველი
სადარბაზოსათვის გამოყოფილ წილს.
ჩაეცინათ: რამდენიმე ალვის ხე, ორიო-
დე ტყემალი, ერთი ალუბალი და მი-
წას ოდნავ აცილებული იასამნის სუს-
ტი ღეროები დაინახეს მხოლოდ. ბალა-
ხი მოსდებოდა მიწას; ბარი არ მოხვე-
დროდა ჯერ.

— იმას რა სჯობს, მიწას ბარს რომ

დაჰკრავ და ამოსუნთქებო, —
შინ ალექსანდრემ.

— როგორი ბალები გააშენეს, —
ნაღვლობდა დედა, — ჩვენი მხარე კი
რასა ჰგავს! ერთმანეთის ყურებაში გვე-
მართება ასე.

— დედა! ეძახდა ლალი.

ქალი თვალს ავლებდა წასასვლელად
გამზადებულ ქალიშვილს და ისევ ეზოს
ჩასძახოდა.

— აღარ გადაკეტავთ წყალს?

სახელდახელოდ გამზადებულ საუზ-
მეს დაუღეპავად გადაყლაპავდა ლალი,
ღედის გაბმულ ლაპარაკს საერთოდ არ
დაუგდებდა ყურს, კიდევ ერთხელ
გადისვამდა სავარცხელს მხრებზე
დაყრილ თხელ თმაზე და საათს ახე-
დავდა. ადრე გადიოდა სახლიდან. ტრა-
ნსპორტით მგზავრობა არ უყვარდა და
ფეხით ჩაათავებდა გზას. სიამოვნებდა
ფეხით სიარული. დილით მზე ნაზი იყო
და მსუბუქი. იგი გამჭვირვალე წამოსას-
ხამივით ელაციცებოდა მხრებზე და სა-
ნამ მძიმე ტვირთად შეიცვლებოდა, ტე-
ლევიზიის სქელ კედლებს შეაფარე-
ბდა კიდევ თავს.

მსუბუქად მიდიოდა, თითქოს ფეხს
არც კი აკარებდა მიწას, ისე მიაჩნებდა
თავის ტანს. მიდიოდა და წუხანდელი
ნაოცნებარის ბურუსში გახვეული ვი-
ლაცას უღიმოდა.

ყოველდამ ისეთი სისრულით ეძლეო-
და ოცნებას, დილით ვერც ეზოში ატე-
ხილი ხმაური, ვერც ღედის უკმაყოფი-
ლო, გაბზარული ხმა, ვერც უგემური
საუზმე ვერ გამოთიშავდა ხოლმე. ოც-
ნება ქცეულიყო მისთვის მეორე ცხოვ-
რებად, ცხოვრებად, სადაც ყველაფერი
გულახდილი იყო და ნათელი, სადაც
სულ უმცირესი საგანიც კი არ ატარებ-
და დაფარულსა და ორაზროვან არსს.
იქ ლალიც, გულჩახვეული, დაბნეული
და საოცრად მოუხერხებელი, დამოუკი-
დებელ, ენერგიულ და რასაკვირველია,
უაღრესად ნაზსა და სათუთ ქალწულად
გრძნობდა თავს.

დილას მაინც თავისი გაჰქონდა. სინა-

თლე, ავტომანქანების განუწყვეტელი მოძრაობა, ადამიანთა გაბმული ხმაური მეტ ყურადღებას მოითხოვდა, თვალსა და ხელს შუა უჭრობდა დამისეულ ზმანებათ და ტელევიზიის კედლებში შესულს ისევ გულჩახვეულ, დაბნეულ და საოცრად მოუხერხებელ გოგოდ აქცევდა.

ჩვეულებრივი, შეიძლება ითქვას, ულამაზო სახე ჰქონდა. ბაცი, უსაზღვროდ ბაცი წამწამების გამო ძნელი ხდებოდა მისი გახუნებული თვალების აღქმა. სახეზე ყოველთვის ნაცრისფერი ედო და ავადმყოფს ჰგავდა. ღიმილიც რალაცნაირი ჰქონდა, მოკრძალებული და გულდაწყვეტილი. ვერ გაიგებდით სიხარულისა იყო იგი თუ სევდისა.

შევიდოდა თუ არა რედაქციაში, ნატოს ხმა მიეგებებოდა:

— წუხელის ჩემს გოგოს ველაპარაკე, — ნატოს ვერავინ დაასწრებდა სამსახურში მისვლას, — ყოველდღე ველაპარაკები. რატომაც არა? იმათაც სახლში აქვთ ტელეფონი და მეც. პარასკევს საღამოს რომ გავემგზავრო და კვირა საღამოს გამოვბრუნდე...

ნატო არ იყო ლამაზი, მაგრამ თვალები იმდენი გულახდილობითა და ბავშვური მიამიტობით ჰქონდა სავსე, ღიმილის გარეშე ძნელი იყო მისი ცქერა. ყოველ სიტყვას, ყოველ მოძრაობას გაუბედავობის დაღს ასვამდა და შეიძლება ამიტომაც არავინ აძლევდა ორმოც წელს, თუმცა ღიმილის დროს მრავალი მრუდე ნაოქი ჩრდილად ეცემოდა მის თეთრ სახეს.

არაფრის დამალვა არ შეეძლო. ისეთი გაოცებით გადმოშლიდა ყველაფერს, თითქოს ახლა, ამ წუთს, მსმენელთან ერთად სწვდებოდა ნათქვამის არსს. მონაცოლი ყოველთვის ჩვეულებრივი, უბოროტო კოორის ხასიათს ატარებდა და არასოდეს თავდებოდა თხოვნით. იგი ერთხელ კიდევ უსვამდა ხაზს ქალის ხალასსა და სადა ბუნებას. მის უზრუნველ ლაპარაკს სიამოვნებით

უგდებდნენ ყურს და არასოდეს შევეტინებდნენ სიტყვას. ამას თვითონაც მშვენივრად გრძნობდა და დაუყოვნებლივ ამზეურებდა ყველაფერს, სულ უმნიშვნელო წვრილმანსაც კი. ამას არა მარტო სიმშვიდე მოჰქონდა ქალისათვის, არამედ სიხარულიც, უცნაური, აუხსნელი, მაგრამ მაინც სიხარული.

ლალი იყო ერთადერთი, ნატოს ხმაურსა და უდარდებლობას რომ ვერ ეგუებოდა. ნამდვილი უბედურება გასწავლიდაო ჰქუას, — ბრაზდებოდა რატომღაც.

მერე დარდიც გაუჩნდა ნატოს.

ქალის უაღრესი თავდადება ქმრის მიმართ არ წარმოადგენდა საიდუმლოს. ფეთიანივით იცოდა მისი სულ უმნიშვნელო სურვილის შესრულებაც კი. შედარებით გვიან გათხოვდა და ჯერ ვერ მოესწრო ლტოლვის გულგრილ შეჩვევაში გადაზრდა. და ყველამ, როგორც ერთმა, ამოიგინა, როცა გაოცებულმა და გაოგნებულმა ქალმა ძლივს ამოღერდა.

— მას ისეთი ცივი და შეურაცხყოფელი ხმა ჰქონდა... ეს იმდენად უზროა და შეუძლებელი...

ვისთან წავიდაო, იკითხეს. ქალაქი კი არც ისეთი დიდი იყო, ნიშანში ამოღებული ადამიანის ღირსებათა შესახებ ყველა მთარული აზრის დაჭერა რომ გასჭირვებოდათ. მერე აღიარეს, მამაკაცებს, საერთოდ, გემოვნება არ გააჩნიათო, და ქალის დამშვიდებას შეეცადნენ.

ნატო ელოდა. ტელეფონის ყოველ აწკრიალებასზე ჩიტვივით აუფართხალდებოდა გული, აერეოდა მზერა და მოლოდინით ნაწამები შეაკეპრდებოდა უფროსი რედაქტორის მოკლე, დაკუნთულ ხელს, ზარმაცად რომ წავიდოდა მოთუხთუხე ყურმილისაკენ. ტელეფონი უფროსი რედაქტორის მაგიდაზე იდგა.

ნელი ზაბიაშვილი
აბაგი ძილის წინ

სახალწლოდ წასულმა მაისის ბოლოს მოიგონა მიტოვებული ოჯახი.

— ბავშვს რას უშვრები, — ყურმილიდან მამაკაცის ხმამაღალი და გულგრილი ხმა ისმოდა, — ამ სიცხეში თბილისში გეყოლება? დედაჩემთან გავგზავნოთ, კი იცი შენ, როგორ უყვართ სოფელში. შაბათისათვის ავიღებ ბილეთებს. სკოლა ხომ მორჩა?

— სულ ხუთები ჰყავს, — ძლივს მოასწრო ორი სიტყვის თქმა ნატომ, ისე სწრაფად ლაპარაკობდა მამაკაცი.

— მე თვითონ წავიყვან. კი იცი შენ, როდის ვადის მატარებელი.

ნატოს ეგონა, ლაპარაკი გაგრძელდებოდა, მაგრამ მამაკაცმა მაშინვე დაჰკიდა ყურმილი.

მაშინ იყო, რომ შეეცოდა ლალის ნატო. უბედურება და უსუსურება ერთად ჩამდგარიყო ფანქრის წვრილი ნაკვალევით წაგრძელებულ მის მრგვალ თვალებში.

ნატომ ერთი-ორჯერ კიდევ სცადა მოეგონებინა, როგორი ცივი და შეურაცხყოფელი ხმა ჰქონდა ქმარს, რა უაზრო და შეუძლებელი იყო ყოველივე...

გვიან მიხვდა, უყურადღებოდ უქნევდნენ თავს და ცდილობდნენ, მალე გასცლოდნენ. მართლაც, ხომ არ შეიძლებოდა ერთსა და იმავეზე ლაპარაკი? დასცილდნენ? რა მოხდა მერე. უარესებიც ხდება.

ნატომ სიგარეტს მოუკიდა. ადრე ერთობოდა ხოლმე, ბოლო ხანებში კი შეეჩვია.

— ახლა ფანჯრის გაღება თვითმკვლელობას ნიშნავს. გარეთ დუღს ყველაფერი. როგორც კი მზე ამოვა, მაშინვე უნდა ჩაირაზოს ყველა ფანჯარა.

ნატო ისევ ისეთი დარჩა, უდარდელი და ხმაურიანი, — ფიქრობდა ლალი.

მერე შეემატებოდათ ლუიზა.

ლუიზას მანამ ეკერა სახეზე ღიმილი, სანამ თავის ადგილზე არ მოათავსებდა ფაშფაშა სხეულს, თეთრ, მხრებში

მოუქნელად ჩამჯდარ ყელზე რამდენჯერმე არ ჩამოისვამდა მოკლე, მაგრამ უნაკლოდ მოვლილ თითებში მოქცეულ განამებულ ხელსახოცს. მერე, თითქოს ღიმილი უკვე ხელს უშლისო, სწრაფად გადაირღვევდა სახიდან და ღრმად ჩაისრუტავდა ჰაერს.

— სიგარეტი! — ამოისროდა, — ეს რა ზაფხული დაგვიდგა, — მსხვილი, ნაცრისფერი თვალები უნესტიანდებოდა, ახლად ჩამოწმენდილი ყელის ნაოჭზე მძივად ესხმოდა ოფლის რამდენიმე წვეთი.

ნელა უკიდებდა სიგარეტს.

— წუხელის ჩემს გოგოს ველაპარაკე. ყოველდღე ველაპარაკები, რატომაც არა!...

— ბიულეტენზე უნდა გადავიდე, — არ უსმენდა ლუიზა, — ამ სიცხეებს მაინც გავიცლები.

— რას ამბობ?! — შეწუხდებოდა ნატო, — ორნი ვერ გავუძღვებით ამხელა საქმეს. ჯერ გოგი ჩამოვიდეს...

გოგი მათი კოლეგა იყო, მათ გვერდით იჯდა და მათსავე ბედში გაეყო თავისი მელოტი თავი.

— მერე ვახტანგი? — უნდოდა ვახტანგის ხსენებით მაინც მოეღობო ლუიზას გული.

ლალის ვახტანგი აგონდებოდა (ოპერატორი გახლდათ), ბრგე და ამაყი, უფლებამოსილი პროფილითა და რადიკანირი, ღიმილნარევი გამოხედვით. ქალიშვილებს მოსწონდათ მისი მორღვეული სიარული, უყურადღებო, ხმადაბალი საუბარი და თქვენ წარმოიდგინეთ, ზიზღნარევი სიმშვიდით ნათქვამი: — მოგწონს?!

საკუთარ გემოვნებაზე მეტად მაღალი აზრისა იყო და ეს სხვის აზრზედაც მოქმედებდა ალბათ.

ლალის არ მოსწონდა იგი. იყო მასში რაღაც იაფფასიანი, ზოგჯერ უბრალო შემსასავით რომ გამოაჰყუტდა ძვირფასი ქვის მშვიდი დიდებულებით აღსავსე ნათების ნაცვლად.

— რამდენი ხანია არ დაგვირეკია, — მოიგონებდა ლუიზა.

— ნუ გიყვარს ცეცხლთან თამაში, — ბევრის მნახველი ქალის ქადილით იტყოდა ნატო.

რამდენიც არ უნდა ეუარა ნატოს, მას ნამდვილი წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო, ლუიზა მაინც აიძულებდა აეკრიფა სამი ორიანი, ვახტანგი ეთხოვა ყურმილთან და შეყვარებული ქალის ლტოლვით ეჩურჩილა უნაზესი სიტყვები. ნატოს არ შეეძლო მშვიდად აეღო ყურმილი და რაც ენაზე მოადგებოდა, ის ეთქვა. ისე ნერვიულობდა, თითქოს ტელეფონის მეორე ბოლოში იკოდნენ მისი ვინაობა. ვახტანგი ბოროტი ხიზნითი ახშობდა ქალის აღელვებულ ხმით გამოწვეულ სუსტ ტალღებს და ზოგჯერ ყურმილსაც დაუგდებდა ხოლმე. ნატო ისე წითლდებოდა, თითქოს სახიდან ერთი პირი ტყავი გადააცილესო. ყურმილს დაუშვებდა და ისე ამოისუნთქებდა, ტელეფონზე ლაპარაკის მთელი დროის მანძილზე სუნთქვაშეკრული ჰყოლოდათ ვითომ.

— შენ გეკუთვნის მისი ყველა თბილი სიტყვა, — იტყოდა, — და საერთოდ, რაც უფრო მალე მოაწერთ ხელს, მით უკეთესი.

ლუიზას დაუოკებელ, ეჭვიან თუ ვნებიან ბუნებას ეს უცნაურ სიამოვნებას ანიჭებდა. იგი ყოველთვის განიცდიდა ვახტანგის ერთგულების დემონსტრირების წყურვილს და ისეთი მღელვარებით ამეორებინებდა ქალს ვაჟის მიერ უყურადღებოდ წამოსროლილ რამდენიმე სიტყვას, თითქოს ამ სიტყვებს უნდა აეხსნათ მისთვის რაღაც დაფარული, ჩაუღწეველი.

ლალის ესმოდა მისი. თვითონაც ეჭვიანი იყო. იშვიათად თუ ირწმუნებდა ვინმეს. სჭეროდა, არავინ ამბობდა იმას, რასაც ფიქრობდა. ხოლო ის, რაც იფარებოდა, ყოველთვის შეურაცხყოფელი ეგონა.

ერთი კი ვერ გაეგო; ნუთუ სატელე-

ფონო საუბრები შეიძლებოდა ქცეულიყო ეჭვიანი სულის მალამოდ?

შემოვიდოდა ზურაბი, განყოფილების უფროსი რედაქტორი. სწრაფად იცოდა კარის გაღება. ისე მივიდოდა თავის მაგიდამდე, არავის შეხედავდა. ტელეფონს მაგიდის კუთხეში მოათავსებდა, მერე ოთახს მოავლებდა თვალს, ყველას სათითაოდ მიესალმებოდა, ცხვირზე ჩამოცურებულ სათვალეს სახვეწებელი თითით ისე აიწვედა, თითქოს ემძიმებო, და მაგიდას მიუჯდებოდა.

იწყებოდა სამუშაო დღე.

— ფორმა უნდა მოენახოს გადაცემას, ფორმა. — ამბობს ლუიზა, — თუმცა გადაცემაზე რეჟისორმაც უნდა შეიწუხოს თავი, მაგრამ სად არიან ისინი?

— ხვალ ვისა გპირდებით გადაღება? — კითხულობს ნატო, — განაცხადები თორმეტ საათამდე უნდა ჩაბარდეს.

შუა ხნის კაცი ნელა მიდის მთავარი რედაქტორისაკენ და ხელში საწერ კალამს ატრიალებს.

— ვლადიმერ-რეჟისორო, — ნატო მკაცრად შეიკრავს შუბლს და ჰირვეულად კითხულობს, — გადაცემა „მამების ნაკვალევზე“ წაიკითხე?

— აღფრთოვანებული ვარ. ხვალ ჩავუჯდეთ.

— დღეს?

— რეპეტიციას რა გუყო?

— გამაგიყებ! რეპეტიციას სულ ერთი საათი უნდა. რაღაცას მატყუებ!

— აღარ ამომასუნთქო!

— გია, გია! — ლუიზა კარის პირდაპირ ზის და დერეფანში მოსიარულეებს ხედავს, — ეგრე გარე-გარე რომ დადიხარ, ხვალ შენი გადაცემისთვის განაცხადს წერენ, რეჟისორო!

გია ცალი თვალით იყურება ოთახ-

ნელი ხატიაშვილი
ანბანი კილის წინ

ში. მაღალია და ხველი. მწითლური
თმა და საქმიანი კაცის სახე აქვს.

— რომელ საათზე? — კითხულობს.

— რომელზე გინდა?

— რაც შეიძლება ადრე რომ დავამ-
თავრო.

— ვადალებას ცხრაზე ვნიშნავთ და
თერთმეტზე ძლივს ახერხებთ გასვლას,
— ბრაზობს ზურაბი.

— კაკოს გაუმარჯოს.

ოთახში უშტატო ავტორი შემოდის.
ჯერ მოწყვეტით შედგება ზღურბლზე,
სწრაფად მოათვალიერებს იქაურობას,
თავის წყალ-წყალა თვალებს მოაქვებს
ყველას და გაიღიმებს. იცის, ღიმილი
მანცდამანც არ ამკობს მის ჩაქმუ-
ჭნულ სახეს, ნაოჭებს უღრმავებს და
ანჩხლი მოხუცის იერს აძლევს. ღიმილს
სწრაფად გადაირეცხს და ზვიადი ირო-
ნიით იტყვის:

— სალამი კოლეგებს! დაკვირვებულ
ვარ, როცა მამაკაცები ეწევიან, ასეთი
ბული არასოდეს დგება. აი სიცხეც ეს
არის!

რედაქციის ვიწრო და გრძელ ოთახში
ხუთი საწერი მაგიდა ძლივს ეტევა. ხუ-
თივე მაგიდას ჩამოუვლის, გამხდარ
სხეულს მოხერხებულად ააცილებს
მაგიდების გადაცვეთილ კუთხეებს,
ყველგან ააფათურებს თავის ცივსა და
მუდამ ოფლიან, ჩალაქულ ხელებს:

— ერთ ანეგდოტს მოგიყვებით.

ანეგდოტის მოყოლას ნელა და ხმა-
დაბლა იწყებს. თითოეულ ბგერას ისე-
თი სიმკვეთრით გამოსთქვამს, თითქოს
გემოს უშინჯავსო. მერე თხრობას ააჩ-
ქარებს, ხმასაც უმატებს და ბოლო სი-
ტყვებს აუცილებლად უწმარწურ ქირ-
ქილში ჩააღრჩობს.

როცა ხარხარი მიწყდება, ლალისთან
მივა, ხელზე ნაზად ეამბორება და სევდა-
ნაყოფი ხმით იტყვის:

— დიახ! ლალის სუსტი სხეული ქა-
ლური სიამაყის მძიმე გრძნობითაა სავე-
იგი არასოდეს იცინის იქ, სადაც რაიმე,
თუნდაც სულ უმნიშვნელო და უმცირე-

სი, არასასიამოვნოდ ეხება მის
წულობრივ სიწმინდეს.

სახე ამდღერეოდა ლალის, ხელს მოუ-
ქნელად გამოსტაცებდა და ზურგს უკან
წაიღებდა. ეჭვი, შეუცნობელი და უსა-
გნო, კვამლივით შეუბოლავდა გონებას.
— ვაი თუ დამცინისო — აუხანზარებ-
და სხეულს და ტუჩებს მოუკუჟმავდა
სიბრაზით.

უმცირეს ყურადღებასაც ვერ იტან-
და. მაშინვე თავდაცვაზე გადავიდოდა.
არ სურდა ვინმე მიეშვა ახლოს, თით-
ქოს ეშინოდა რაღაც დიდი საიდუმ-
ლოს გამოაშკარავებისა, რასაც შეურა-
ცხყოფა მოჰყვებოდა უცილოდ. ლალი
ზღარბს ჰგავდა, ზღარბს, რომელიც
მზადაა გველიც კი შექამოს, მაგრამ
უნაზეს შეხებაზეც ეკლებს იშველი-
ებს, იმალება სხეულის სიდრემში.

— ჩვენ? — იკითხავს ლუიზა, —
იქნებ ლალი შენი უცვლელი რედაქტო-
რი რომაა იმიტომ ასხამ ხობტას?

— ო, ქალებო, ქალებო... ბატონო
ზურაბ! — ბატონობით მხოლოდ ის
მიმართავდა უფროს რედაქტორს, —
როგორ უვლით ამდენ ქალს ერთად?

— ისინი თვითონ უვლიან თავიანთ
თავს. თქვენი გადაცემა კი შევასწო-
რეთ.

— ვიცი, არ გააფუჭებდით.

— გამაფუჭებელი თუ იყო შიგ რა-
იმე, კი, — ხუმრობს ლუიზა.

— მეტრომშენებლებზე ვისა ჰქონდა
გადაცემა? — კითხულობს ნატო, —
გულისაშვილი გარდაცვლილა.

— საცოდავი, — ოფლიან ყელს
იწმინდს ლუიზა, — რითი ნეტა?

ლალის მშვენიერად ახსოვდა გული-
საშვილიცა და მისი ბრიგადაც.

საგულდაგულოდ დაათვალიერა ნეს-
ტიანი გრუნტი და სიპი კლდე, რომ-
ლის ადგილას სადგური უნდა აშენე-
ბულიყო.

— დღე-ღამეში გავაკვს ოცდაათი
კვადრატული მეტრი გრუნტი. იმისა-
თვის რომ გეგმა შევასრულოთ, საჭი-
როა თითქმის ორჯერ მეტი გრუნტის

გატანა. ძნელი ამოცანა დგას ჩვენს წინაშე...

მერე გულისაშვილის ბრიგადაში წაიყვანეს. ბრიგადა მეტროპოლიტენის ერთ-ერთი სადგურის ღია გადახურვაზე მუშაობდა. შესვენების დროს მივიდნენ. კოცონი დაენთოთ და მოყინულ ხელებს ითბობდნენ. გიამ მუშებს გაზეთები დაჰქვრივინა და ისე გადაილო.

დიღხანს ფიქრობდა გადაცემაზე ლალო.

გვირაბი... მას აქვს თავისი ისტორია.

პირველი გვირაბი ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეოთხე ათასწლეულში გაიყვანეს. იგი გადაყვანილ იქნა ბაბილონში, ეფრატის ქვეშ. მან მეფის სასახლე შეაერთა ზიკურატთან.

უფროსმა რედაქტორმა ბაბილონი ამოუშალა. ეს ახალგაზრდული გადაცემა და ზიკურატი აქ არაფერშეაშიაო.

ლალის მოაგონდა ბრიგადირის მომცრო ტანი, ქერა თავი და დაწმენდილი ცისფერი თვალები.

— რუსთავეში როდის წახვალ? — ეკითხება ზურაბი ლალის.

— რუსთავეში მშვენიერი თერმოსები იყიდება, — ამბობს ლუიზა, — იქნებ მთავარ რედაქტორს რაიმე შეეშალა და კაბინეტში ზის?

— უფროსებს არასოდეს არაფერი ეშლებათ.

ოთახში ერთი დიქტორთაგანი შემოდის:

ოთარი საშუალო სიმაღლისა იყო. ტანის შესუქებული ჰქონდა, მაგრამ მაინც იგრძნობოდა მისი ტორსის სიმკვრივე. მოუსვენარ ბუნებას ყველგან და ყველგან იყო ერთნაირად ამქლავებდა. აქაც, საწერ მაგიდათა ხროვაში მოძრაობას ახერხებდა. აქ მოძრაობა ერთ ადგილზე ტრიალს ნიშნავდა და ისიც ტრიალებდა. წინადადება ჯერ დამთავრებული არა ჰქონდა და ხუთივე მაგიდის პატრონი მის ყოვლისმომცველ, მაგრამ გაფანტულ უყურადღებო მზერაში იცურავდა.

— ვივი სადაა.

— გაგრაში.

— ხუმრობის გარეშე.

— რა გვეზუმრება.

— ჰოდა ერთხელ, — ოთარი ყოველთვის რალაცას ჰყვებოდა, — ჩემს თვალწინ ქალისათვის ოქროს საათის ახსნა გადაწყვიტა სამმა კაცმა. ალყაში მოიქციეს, მაგრამ ბედმა უმტყუნათ. ავდექი და ადგილი დავუთმე. ეს ამბავი, ალბათ მიხვდით, სამოქალაქო ტრანსპორტში ხდებოდა. ქალმა მაღლობა გადაიხადა და დაჯდა. კაცებს სახეში შეეხებდა და გავუღიმიე. ერთმა შემომაგინა. სტუდენტობის დროინდელ ამბავს გიყვებით. ამას წინ სუფრაზე ერთი კაცი მეცნო. დავიტანჯე, ვერ გავინსენე სად უნდა მენახა ადრე. საქართველოს გაუმარჯოს, პატიოსანი კაცისათვის მარჯვენას არ დავიშურებო, იძახდა. მერე დათვრა და შეიგინა. ზუსტად ის ინტონაცია, წარმოგიდგენიათ? ვიღას არ შეხვდები სუფრაზე...

ლალის ახარებდა ოთარის გამოჩენა. მოსწონდა მისი თავისუფალი, იუმორით შეფერილი ლაპარაკი. იგი ხედავდა, დიქტორის მზერა, ყოველთვის თანაბრად რომ უნაწილდებოდა ყველას, სინამდვილეში მხოლოდ საკუთარი ხამყაროსაკენ იყო მიქცეული. ისე ლაპარაკობდა, თითქოს საკუთარი სულის უხილავ ფურცლებზე ტკივილით დაწერილ სიტყვებს კითხულობდა. ღიმილით კი, რომელსაც არასოდეს იცილებდა სახიდან, იმ ტკივილის დაფარვა სურდა.

ზოგჯერ ისიც ეჩვენებოდა გოგოს, დიქტორი ჩემს სათქმელს ამბობსო. მაშინ რალაცისაგან თავისუფლდებოდა, ისე მოეშვებოდა თითოეული კუნთი. სასიამოვნო დაქანცულობა ჩაუდგებოდა სხეულში, რალაც ნათელი სუსტად იელვებდა მასში. მაგრამ ეს იყო წუთით. მერე სხეები ალაპარაკდებოდნენ და ყველაფერი ირღვეოდა.

ნალი გაბიაშვილი
ახალი ძილის წინ

— მე კი მეგონა თუმანს მოხოვდი,
— იცინის ლუიზა.

— შეგეძლო არ გეთქვა. ყოველთვის
წესრიგიანად ვიცი ვალის გადახდა.

როცა გადაცემა ჰქონდა, გვიანობამ-
დე ტელევიზიაში იყო. ქუჩაში რომ
გამოვიდოდა, უსიამოვნოდ შეიშმუშნე-
ბოდა. ისევე ცხეულობდა.

ბინდი ქვაფენილზე იბადებოდა და
შეუქმნევლად მიიწვედა მალდა. ნელა,
მაგრამ გულმოდგინედ ნთქავდა შენო-
ბათა პირველ სართულებს, შავად ალა-
პლაპებდა მინებს და განსაკუთრებუ-
ლად გამომახატველს ხდიდა ქალაქის ყვე-
ლაზე უმნიშვნელო ხაზსაც კი. ბოლოს
თავისი უფროსი, მსუბუქი სხეულით
ჩაახშობდა სინათლის იმ უკანასკნელ
წვეთებსაც, შენობათა სახურავებზე
რომ თვლემდნენ.

ბინდს უცებ სცვლიდა სიბნელე. ლამ-
პიონების შუქი მკვეთრი ხდებოდა. თხე-
ლი ბურუსი ზანტად ატოკდებოდა ნა-
თურებთან. სინათლე უცებ გაჟონავდა
ხეებში. მწვანე ნაზი სიფერმკრთალით
იფეთქებდა და იქ, სადაც სინათლე ვერ
აღწევდა, ტოტებს მანდილივით ჩაეხვე-
ოდა ღამის ჭერ სიფრთვანა სხეული.

— ნეტავი რუსთავში არ წამიყვანა,
— ნატრობდა ლალი.

მასალის ასაღებად წასვლა სძულდა
ყველაზე უფრო. დარწმუნებული იყო,
მეტად სულელურ კითხვებს იძლეოდა
და არც თავის დაჭერა იცოდა რიგიანად.
ეჩვენებოდა, არ ექცეოდნენ პატივისცე-
მით და ამას ბუნებრივადაც თვლიდა.

მისი გაფაციცებული, ერთი მხრით
მიმართული და ეჭვიანი გონება ყოველ
წვრილმანში შეურაცხყოფას ხედავდა,
ყოველი სიტყვის უკან დაფარულ აზრთა
ლაბირინთებს ეძებდა, ყოველ გაღიმი-
ბას დაცინვად აღიქვამდა და თანდათან
უმღვრევდა სულს.

ღდის ბოლოსათვის შეურაცხყო-
ფის მძიმე ტვირთად საკმაო მასალა
უგროვდებოდა. ადამიანები ხომ იშვი-
ათად უწევენ კონტროლს თავიანთ
მეტყველებასა თუ ქცევას.

— გუშინაც იყვნენ ჩვენთან, — წა-
მოსცდებოდა ვინმეს და ეს უკვე საკ-
მარისი იყო.

სჯეროდა, სხვანიარად არც უნდა მო-
მხდარიყო. მას ხომ არაფერი ჰქონდა
ისეთი, პატივისცემა რომ დაემსახურე-
ბინა. არც სილამაზე, არც გონებამახ-
ვილობა... გადამწყვეტ წუთებში დი-
ბნეოდა უთუოდ, რაღაც დაავიწყდე-
ბოდა და ლაპარაკს სწყვეტდა სწორედ
მამის, როცა აუცილებლად უნდა თქმუ-
ლიყო რაიმე.

„არა ვარ ღირსიო“, უმეორებდა საკუ-
თარ თავს მაგრამ მისი ქალური ბუნება
პატივისცემას მაინც მოითხოვდა და
შეიძლება ეს იყო ყველა უსიამოვნება-
თა ძირი, თუ მას იმ გაუხედნავ ეჭვსაც
დავუმატებთ, თავაწყვეტით რომ გი-
ტაცებდა ხოლმე გოგოს და ცოტად თუ
ბევრად ნათელ წამსაც კი, არცთუ ისე
ხშირი რომაა ჩვენს ცხოვრებაში —
წამების ბუდედ უქცევდა...

ღედა სწრაფად გააწყობდა მაგიდას
და უპირველესად იმით დაინტერესდე-
ბოდა, შეიარა თუ არა მამასთან.

მამის გახსენება ლალის აღარ ჰგვრი-
და სევდას. მრავალი წელი გასულიყო
მისი ოჯახიდან წასვლის შემდეგ. გო-
გოს დავიწყებოდა კიდევ ამ ამბავთან
დაკავშირებული გულისწყრომა და
ტკივილი. მას მხოლოდ უკვირდა, რო-
გორ შეეძლო იმ კაცს ჰქონოდა არა მა-
რტო ლალის ნახვის სურვილი, არამედ
დარწმუნებულიც ყოფილიყო პირველ-
სავე მიწვევაზე რომ ესტუმრებოდა
იგი მეორე, სხვა ქალთან შექმნილ
ოჯახში, ჩაჯდებოდა უმცროს და-ძმას
შორის და დედინაცვლის მიერ საგანგე-
ბოდ გამომცხვარ ტორტს შეაქებდა.

რატომ უნდა დაეძალებინა საკუთარ
თავი მათთვის? მიიწვიეს? რა მოხდა
მერე? ათას რამეს აკეთებს ადამიანი
სხვადასხვა მიზეზთა გამო. რა შუაშია
აქ სიყვარული?

მამის გულწრფელობაშიც კი ეპარე-
ბოდა ეჭვი.

მასში უფოთავდა შეურაცხყოფის მძი-

მე გრძნობა. იყო წუთები, როცა იგი იზრდებოდა და კატასტროფულ სიდიდეს აღწევდა. მაშინ უცნაური, უმისამართო ზიზღიც ებადებოდა და ლალიში თავშეუქავებელ ყვირილს იწყებდა რაღაც.

— გამეცალე, გამეცალე....

ვის ეკუთვნოდა ეს სიტყვა, თვითონაც არ იცოდა რიგიანად.

მეორედ აღარ გაუმეორებდნენ კითხვას.

დედა ახლა სამოც წელს მიღწეული ქალისათვის მეტად შეუფერებელი ენთუზიაზმით მეზობლებისას ჰყვებოდა:

— ნიკოლოზმა თავისი ნაკვეთი ბადით უნდა შემოღობოს. ბადე უკვე მოიტანა. არც კი გაუშლია, პირდაპირ სარდაფში ჩაათრია. უნდა ჩავაცემენტო, ამობს. ლიდამაც ბადე უნდა შემოაქრას. ისე როგორ გამიქირდებო... იქნებ ჩვენც დაგვეთესა რამე. ლიდასთან დღეს ქინძი დავკრიფე. ლამარანთ ნაკვეთი რომ მიატოვეს, იმ ნაკვეთზე დღეს ალექსანდრესა და ნიკოლოზს ჩხუბი მოუვიდათ. ნიკოლოზი ამობს, ნაკვეთი ჩემი ფანჯრის წინაა და შიგ ჩემს მეტი ვერაფერს იტრიალებსო. ალექსანდრეს გაყოფა სდომებია...

გულგრილად უსმენდა დედის აღზუნებულ ხმას, ნახევარი არც კი ესმოდა.

— თალარს გააკეთებს...

— ნეტავი რუსთავში არ წამიყვანა, — ნატრობდა ლალი, წყნარად სვამდა ჩაის და ფანჯრიდან უკვე შედედებულ, მძიმე ლამეს გასცქეროდა.

მუქი ცა უცნაური, შინაგანი შუქით ელავდა. მის ფონზე თითქოს ფლომასტერით შემოეწერათ შორეული ქედის რბილი ხაზი.

— იქნებ ჩვენც დაგვეთესა ქინძი, ზოგჯერ მხოლოდ მწვანელიისათვის მივწანწალებ ბაზარში.

საწოლიდან ლოჯში გაიტანდა ლოგინს.

ნელა მოძრაობდა, თითქოს სურდა კიდევ უფრო გაეძლიერებინა ლტოლვა. მთელი დღის განმავლობაში წვეთ-წვეთ-

თობით რომ ივსებოდა და საღამოს დაგუბებულ მდინარესავით ეხეთქებოდა მისი სულის უხილავ ჯებირს, გასაქანს თხოვდა გოგოს.

როგორ შეეძლო დედასთან ერთად ერთ ოთახში დაეძინა?

როგორ შეეძლო თავისი ცხოვრების ყველაზე უნეტარეს წუთებში ვინმე ხორციელი ეგრძნო სიახლოვეს?

„ლოჯში ალბათ უფრო გრილაო“, ფიქრობდა დედა.

დაწვებოდა და მანამ ვერ მოისვენებდა, სანამ სრული სიბნელე არ გამეფდებოდა ბინაში, სანამ არ ჩაქრებოდა უქანასკნელი ნათურა სამზარეულოში. მერე მილულავდა თვალებს და წავიდოდა...

...მას ტანი უგრძნობს თებერვლის სინოტივეს და ტკივილნარევი სიამე იტაცებს.

გამომშრალი ტოტები თითქოს ლორწოთი ივსებიან, იბერებიან. ჰაერიც რაღაცნაირი ხდება, ლალი, თავისუფალი.

მერე კი მარტი წივის.

ზამთარგამოვლილი ფოთლები გადაარეცილი ზეცისაკენ მიეჩანებიან. ხეტა გალუმბულ ფლოქებს ენარტხება ქუჩის გადაჭიმული სხეული. მარტი თითოეულ ჭუჭყურთანას საკუთარი სხეულით ასუფთავებს და მთელ ქალაქს ისე ბერტყავს, მტვერს სულ კაკალ-კაკალ აყრევენებს.

შემდეგ კი გზაბნეული სინათლე იწყებს ბარბაცს და ყველაფერს, რასაც კი ეხება, მზისფერი ლაქებით რთავს. ხალხი ბევრი როდი ირევა.

კრიამული იმ ხეებიდან ამოდის, შეხორბლილი ტანები ზეცისაკენ რომ აუტყორცნიათ. ფერმკრთალ, მაგრამ გათამამებულ მწვანეს კვირტში დატევა აღარ სურს, იზმოვრება, იშლის ჩახვეულ მკერდს, იღიმება და მეჩხერ კბილებს აჩენს.

ნელი ზაბიაშვილი
აბაბი ძილის წინ

უზომოდ და მხიარული ლალი, უმიზ-
ნო ხეტილით დაღლილი და კმაყოფი-
ლი.

— გამარჯობათ, — ესალმება მამა-
კაცი.

ლალი აკვირდება. ვერა სცნობს.

მალაია და ღონიერი. გაუძნელდება
კაცს მისი წლოვანების დადგენა. მსხვილ,
ნაცრისფერ თვალებში გაზაფხულის
წვიმათა სისხარტეც უდგას, ზაფხულის
ხვატში გატრუნული ველის შეკავებუ-
ლი ვნებაც, შემოდგომის მძიმე, შედე-
ღებული შუქიცა და ზამთრის ნისლიც.

— როგორ ბრძანდებით, — იღიმება.

— გმადლობთ, — დაბნეულია ლა-
ლი, — მამატიეთ, ვერ გიცანით.

— მე მინდოდა მეთქვა, — კვლავ
იღიმება და იმდენი სიხალისე უდგას
თვალეებში, ძნელია ცუდი რამ დასწამო,
— თქვენ ძალიან ლამაზი ხართ.

— გმადლობთ, — ნაზად ხრის თავს,
— მეჩქარება.

მიდის ლალი.

წინ ქუჩაა. იგი მათრახივით მოქნეუ-
ლა დედამიწის იღუმალ სიმრუდებზე.
ჰაერის რბილი ნაკადი სულს უბერავს
და აგრძნობინებს საკუთარი სხეულის
უნაკლობას. ყველა მას შესცქერის და
მისი სრულყოფით ტკბება. ყველა მას-
ში, როგორც სარკეში, იწონებს თავს
და მისგანვე ელის აღიარებას. ის კი
მიდის, ნათელი და მსუბუქი. მიდის და
ვერ გაუგია, სად მთავრდება მისი სუ-
ლი და სად იწყება ქვეყნიერება.

მიდის და ივსება მოლოდინის ამა-
ფორიაქებელი ქარივით.

მან უკვე იცის, რომ ბედნიერება
სხვა, უცხო ადამიანმა უნდა მისცეს.
თვალეებს ხუჭავს და ისე მიეჭანება;
კანი მწიფე აქვს და, გამშვივრვალე, რო-
გორც ყურძნის მარცვალს.

- გამარჯობათ.
- ისევ თქვენ?
- ღმერთს სურს ჩვენი შეხვედრა,
- ხუმრობს მამაკაცი.
- თუ ასეა, მესამედაც შევხვდებით,
- ხუმრობითვე პასუხობს ლალი.

...სახლი.

სადილისათვის ყველაფერი მზადაა,
მხოლოდ ხაზვის ყიდვა დავიწყებია. მე-
ზობელი გაუმართავს ხელს.

კარს აღებს და შიშით აცხცხანებულ
ძლივს იმაგრებს მომდგარ კივილს.

— გამარჯობათ, — ჩურჩულებს არა-
ნაკლებ შეშინებული სტუმარი და ფი-
თრდება.

ლალი ვერაფერს ხედავს მამაკაცის
უშველებელი ტანის გარდა, რომელიც
შეუჩერებლად ციმციმებს მის მზერა-
არეულ თვალეებში. მერე, როცა ცოტა-
თი მშვიდდება, ნაცრისფერ შუქს არ-
ჩევს, სტუმრის თვალეებში რომ დგას.

— რა გნებათ? — ძლივს ახერხებს
გოგო.

— ნუ გეშინიათ, — ჩურჩულებს მო-
სული.

— რა გნებათ? — სიმკაცრე ემა-
ტება მის ხმას, რადგან უცხო მამაკაცს
მართლაც არაფერი ესაქმება მასთან,
რადგან უცხო მამაკაცის ამგვარი სტუ-
მრობა შეურაცხყოფაა მხოლოდ.

— ვიფიქრე სახლში თუ იყავით...

— რატომ არ დარეკეთ?

— როგორ გავბედავდი. დაბლა და-
გიციდით, ქუჩაში. როცა ინებებდით
გამოსვლას, მაშინ შეგავლებდით
თვალს. ყურის დაგდება მინდოდა მხო-
ლოდ, თუ სახლში იყავით ხმაურს გა-
ვიგებდი რასმე.

მის ნათელ სახეს სითბო და სინათ-
ლე ადგას ნაცრისფერ შუქად, მუდარი-
თაა აღსავსე მისი დაბალი, მამაკაცური
ხმა.

სახლში შეპატიყებას მაინც ვერ ბე-
დავს ლალი, ვერ ბედავს კი არა, არ
სურს, რადგან უცხო მამაკაცის სახლ-
ში შეპატიყება ქალური ღირსების შე-
ბღალავაა მხოლოდ.

ნელა იხურება კარი, იღვევა ნაცრის-
ფერი, ნათება, იკარგება სითბო. ყრუ
ტივილი სულის ჯერ შეუცნობელი
ნაწილისა თენთავს მის ქარჩამდგარ
სხეულს.

...ზღვა.

ლალი გრძნობს მის თბილსა და მლა-
შე სუნს.

იგი მოთენიერებული მხეცივით
მშვიდად წევს თეთრად შეღებილ ბარი-
ერს იქით და სრულიადაც არა აქვს
საშიში იერი. წყნარად ტოკავს, რაღაც-
ნაირად, მთლიანად ტოკავს, თითქოს
ერთ სხეულად ქცეულა, ისე.

კარგ ამინდში ზღვას გადარეცხილი
ფერი აქვს. ისეთი წმინდაა, ფსკერს და-
ინახავ სიღრმეში შესული. წყლის ქვეშ
უზარმაზარი ლოდები ლივლივებენ.
ალაგ-ალაგ მონანავე წყალმცენარეე-
ბი ამუქებენ ნათელ ფსკერს.

მოულოდნელად ამოვარდება ქარი.
ძლივს შესძრავს დამძიმებულ ჰაერს,
ფენა-ფენად დაუწყებს რღვევას და
შრილით გაუფანტავს სითბოს. ზღვა
შავდება. ორთქლისფერი ღრუბელი
ნელა, დაყინებით იწვეს დაბლა, ნთქავს
ზღვას და მის ადგილას აბოლებულ
უფსკრულს აჩენს. ჰაერს რამდენიმე
მსხვილი წვეთი ხვდება და კიდევ ერთ-
ხელ იძვრის ისედაც შედღვებილი სივ-
რცე.

მთელი დღე წვიმს. წვიმის ძაფები
რბილი და მოღვარეა. სახლები ღია
ფანჯრებით ეგებებიან წვიმას და აივ-
ნებს პეშევივით უმარჯვებენ ცას.

— ეს ისევ მე ვარ, — ამბობს მამა-
კაცი, — რატომ დადიხართ წვიმაში?

— მივემგზავრები და მიჰირს ზღვას-
თან განშორება.

ლალი ფეხშიშველი მიაბიჯებს ზღვის
ქვიშიან ნაპირზე და გამკვირვალე კაბა
ტანზე აქვს მიტმასნილი. მაღალი მკერ-
დი უტოკავს მღელვარედ.

თქვენ? თქვენ რაღა გინდათ წვიმაში?

— თქვენ დაგეძებდით.

— მე?! — უკვირს გოგოს.

— აღარ შემიძლია უთქვენოდ.

მას თვალები ებინდება და სახეზე
ღვარვივით ჩამოსდის წვიმა.

— ალბათ მეც სველი ვარ, — ფიქ-
რობს ლალი და გრძნობს თავის სველ
თმასა და სახეს, სველ სხეულს.

მამაკაცი სუსტად აცურებს დიდ,

დაძარღვეულ ხელს ლალის სველ სახეზე
და ყელზე...

ლალი გრძნობს თავის გამკვირვალე
კანს ზღვისაგან ძვლის მიმქრალი ფერი
რომ შეუწოვია. ეს აღელვებს და თენ-
თავს, ემორჩილება მამაკაცს და თეი-
თინეე მოსწონს ეს მორჩილება.

თენდება გრილი და ნათელი დღე.
შორს, ჰორიზონტთან, თეთრი ქაფი
თოლიასავით ფარფატებს. ზეცა სხივს
აწვიმებს ზღვის მკვირვ ზურგს. სხივე-
ბი ლითონის ბურთულევივით ხტაან
და ელავენ ლურჯ წყალზე.

ზღვა იცინის.

— წუხელის უნდა წავსულიყავი.

— დღეს წავალთ.

...ქალაქი.

— სახლი საყვავილეს დამიმსგავსე.

— მართლა? — სიამოვნებისაგან
იღიმება მამაკაცი და ისე შედის ამო-
ჩემებულ საყვავილეში. თითქოს მხო-
ლოდ აქ ეძლევა საშუალება საკუთა-
რი ღირსების დემონსტრირებისა.

მეყვავილე საიდუმლოებით სავსე ლი-
მილს შეაგებებს.

ღროშასავით მოაქვს გაზეთის სველ
ნახევში გახვეული რამდენიმე მაღალ-
ღეროიანი ვარდი. ისეთი თვალებით
შესცქერის ლალის, თითქოს ამ თაიგუ-
ლის მიღება-არმიღებაზე იყოს დამო-
კიდებული მისი ყოფნა-არყოფნა.

— ექვსია.

— წყვილის ყიდვა შეიძლება?

— სიყვარულისათვის გამოწაყლი-
სის დაშვება შეიძლება.

ვარდის სურნელი ნელა აღწევს ლა-
ლიმდე და ნაბიჯი ერევა. მამაკაცი ლო-
ნივრად ავლებს ხელს და ლალი
გრძნობს ამ ხელიდან როგორ იღვრე-
ბა მასში სითბო. აყრუოლებს, თითქოს
სციოდეს, ისე.

ქალაქს მის თვალწინ ეუფლება დამე-
ბინდი ქვაფენილზე იზადება და შე-
უმჩნევლად მიიწვეს მაღლა. ნელა, მაგ-
რამ გულმოდგინედ ნთქავს შენობათა

ნალი ბატიასვილი
აბიბი ძილის წინ



პირველ სართულებს, შავად ალაპლაპებს მინებს და განსაკუთრებულად გამომატველს ხდის ქალაქის ყველაზე უმნიშვნელო ხაზსაც კი. ბოლოს თავისი მსუბუქი, უფორმო სხეულით ანშობს სინათლის იმ უკანასკნელ წვეთებსაც, შენობათა სახურავებზე რომ თვლემდნენ.

ბინდს უცებ სცვლის სიბნელე. ლამპონების შუქი მკვეთრი ხდება. თხელი ზურუსი ზანტად ტოკავს ნათურებთან. სინათლე უცებ ჟონავს ხეივანში. მწვანე ნაზი სიფერმკრთალით ფეთქავს და იქ, სადაც სინათლე ვერ აღწევს, ტოტებს მანდილივით ეხვევა ღამის ჯერ სიფრიფანა სხეული.

— შუადღისას ქალაქი ისეთი ცარიელი იყო, მიტოვებულს ჰგავდა, — ამბობს ლალი, — ამ სიცხეებს არაფერი ეშველათ.

— შუადღისას ქალაქში რა გინდოდა? — მამაკაცს ექვიანობისათვის სულ მცირედიც ჰყოფნის.

— ჰაერი ისე ლაპლაპებდა, თითქოს ცხიმს გაეჟონა მასში, — აბრაზებს ლალი.

გვიან ბრუნდება სახლში. გამომშვიდობებისას მხრებზე ჩამოაწყობს მძიმე მკლავებს და ეს სიმძიმე სიამოვნებს ლალის. წყნარი და სევდიანი თვალები აქვს მამაკაცს.

— ყველაზე ძნელი დამკვნარი ყვავილების გადაყრაა, — ამბობს ლალი, ვარდებს მკერდზე იკრავს და სადარბაზოსაკენ მიდის.

სანამ აივნიდან არ გადმოიხედავს, მამაკაცი არ წავა. გადმოიხედავს და სინაზით აივსება. მამაკაცი ხეს მიყრდნობია და წასვლას არ აპირებს.

ლალი მას ხომ არ აუწყევია მადლა, ძალიან მადლა, ცამდე ხომ არ აუწყევია? ცამდე აუწყევია და შეჰხარის?

...ლალი ხედავდა მის ნაცრისფერ თვალებს და მშვიდი, ნათელი ძილი ეუფლებოდა.

ავტობუსი ნელა მიიწეოდა და სუსტი ნაკადი გამთბარი ჰაერისა, ღრიჭოდ

დარჩენილი სარკმელიდან რომ აბრუნდებოდა, ვერ ანიაგებდა მანქანაში მოქცეულ შმორის სუნს.

ავტობუსს ჯერ ქალაქის გარეუბანი გაუბოდა მტვრიან ქუჩებში მოთამაშე ტიტლიკანა ბავშვებითა და მორყეული ღობეებით. ალაგ-ალაგ ლითონის მაღალ ბოძებზე პლაკატები ფრიალებდნენ, მაგრამ სიცხესა და მტვერში ისინი მეტად უადგილოდ იწონებდნენ თავს.

მიიღია უკანასკნელი ქობის ყორღნაგები გალავანიცა და სარკმლის წინ მზეში გათანგული მიწა დატრიალდა. ამაზე ერთფეროვანი გზა ჯერ არსად ენახა ლალის. სიცხისაგან ამღვრეული სივრცე თვალებს სწვავდა. მკვდარ მიწაზე მხოლოდ ალაგ-ალაგ წამოეყო თავი გამხმარ ბალახს. შორს, მიწის კედელზე, სიცხიანი თავი ჩამოვარდნოდა ჰორიზონტს.

ლალი დეღავდა და თუმცა არ იცოდა როგორ წარიმართებოდა მისი ხანმოკლე მოგზაურობა, უკვე გადაცემის პირველ სტრიქონებზე ფიქრობდა.

გზა ისარივით იყო გაჭრილი და ბოლო არ უჩანდა. მიწა კი ტრიალებდა და ტრიალებდა. რაც უფრო სწრაფად მიდიოდა მანქანა, მით უფრო სწრაფად ტრიალებდა მიწა. ლალის ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ამ ტრიალ მინდორს უვლიდნენ ვარს.

მერე დაინახა როგორ აირეკლნენ მრავალსართულიან სახლთა კონტურები გამომწვარ ცაზე.

შეიძლება ასეც დაეწყოს...

ქალაქი უცებ იელვებს მზით გათანგული, მკვდარი მიწის შემდეგ მრავალსართულიანი სახლების კაშკაშა კონტურებით და ისეთი გრძნობა გეუფლებოდა, თითქოს ღმერთს დაუკრავს კვერთხი ამ მიწისათვის და ქალაქის აღმოცენება უსურვებია. და ისიც აღმოცენებულა, როგორც თაზისი უდაბნოსა შინა, როგორც იმედისა და რწმენის სიმბოლო.

— მობრძანდით.

— ტელევიზიიდან ვარ. ჩვენს რედაქციას სურს თქვენი ქალაქის ახალგაზრდათა ცხოვრებას მიუძღვნას გადაცემა. გადაცემისათვის დათმობილია ერთი საათი.

— დაბრძანდით, — გაიღიმა მეორე მდივანმა.

მაღალი, გამხდარი ახალგაზრდა იყო. თხელი და წაგრძელებული სახის ნაკვთები ჰქონდა.

— თქვენ დაინტერესდებით ქიმიური კომბინატით, მეტალურგიული ქარხნით... შრომისმოყვარე ახალგაზრდები გვყვანან, აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ახლავ დაგრეკავ ყველგან, — და მან ყურმილი წამოსწია, — ჰო, მართლა! — მდივანს გასაძახა, — შუროჩკა, ერთი ნათელას დამიძახე, — შემდეგ ლალის შეხედა და ისევ გაიღიმა, — ნათელა იქნება თქვენი გიდი... ალო, რომელი ხარ? ტელევიზიიდან გვესტუმრა ამხანაგი, ჩვენი ცხოვრება აინტერესებს... როგორ თუ რა, როგორ ვშრომობთ...

შემოვიდა ნათელა, ტანდაბალი და კმაყოფილი.

— გაიცანით.

— პირველად ქიმიურ კომბინატში წავიდეთ.

— თქვენ უკეთ მოგეხსენებათ.

ქიმიური კომბინატის ახალგაზრდებს შეხვდნენ თუ არა, ნათელამ თქვა:

— მე უკვე აღარ გჭირდებით. ძალიან გთხოვთ, გამანათავისუფლოთ. ცუდად ვგრძნობ თავს, ალბათ სიცხემ ამიწია. შემდეგ მეტალურგიულში გადახვალთ. იქ უკვე ყველაფერი რიგზეა.

— გმადლობთ.

დღის ბოლოს კომკავშირლებმა სთხოვეს მათთან ერთად ესადილა. ლალიმ იუარა. კიდევ ერთხელ გაუმეორეს თხოვნა. მეორედაც იუარა. ბოლოს გაცილებდა შესთავაზეს. ერთი ნაცნობი მყავს სანახავი და ნულარ შეწუხდებითო, მოიმისეზა.

შებინდებისაკენ გადახრილი დღის

ზბილი, მოთენთილი შუქი უკიდველურად ხრიოკ მიწას სევდით ავსებდა.

თვალდასუქული მინებებოდა ავტობუსის რყევას. მოქანცული სხეული ისეთი მსუბუქი ჰქონდა, თითქოს საერთოდ არა ჰქონდა იგი. სამაგიეროდ ერთი ათად დამძიმებული თავი სადღაც, უკან ეწეოდა, წუთით ისიც მოეჩვენა, რომ წამოვდგე, თავის სიმძიმე გადამძლევისო.

ქუთუთოები შეატოკა. თვალთა ვიწრო ნაპარალთაგან სხეულში რძისფერი შუქი ჩაელვენთა. ლებინების ამაფორიამებელი გრძნობა დაეუფლა და ნერწყვი გადაუღაბა ძალდატანებით. გამომშრალი ყელი ნერწყვმა ჩაკაწრა და წყურვილის დაუოკებელმა სურვილმა შეიპყრო.

თვალები გახუნებულ ჰორიზონტს მიაყრდნო და მძიმედ ამოისუნთქა.

ისევ შეურაცხყოფა...

მეორე მდივანმა ხომ არ იკადრა და არ იკადრა, გოგომაც შუაგზაზე მიატოვა. ალბათ სულ იმაზე ფიქრობდა, როდის გავეცლებიო ამ სულელს... კომკავშირელებმა კი იფიქრეს ჩვენიათ ბურთი და მოედანი, არც აცივეს, არც აცხელეს, პირდაპირ რესტორანში დაპატიჟეს. გულში კი ალბათ როგორ დასცინოდნენ!.. დაცინვაზე მეტია, როცა ცხრამეტი წლის ბიჭები რესტორანში დაპატიჟებას გაგიბედავენ...

არა, მე ფილოლოგი არ უნდა გამოვსულიყავი.

დედის ძალდატანება რომ არა, ლალი დღემდე ვერ გაბედავდა უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელ გამოცდებზე გასვლას. სულ ის ეჩვენებოდა, არაფერი ვიცით, და კიდევ ერთ წელს თხოვლობდა მოსამზადებლად. დედამ იცოდა „ერთი წელი“ არ დაეღეოდა ლალის და შვილის სასოწარკვეთილი თხოვნა ახლოსაც არ გაიკარა.

— თუ არ მოხვდები, არავინ მოგკლავს.

არა, არა, არა...

ნელი აბაიაშვილი
აბეგი ქილის წინ



— ტელევიზიაში მაინც რამ მიმიყვანა...

აქაც დედა იყო დამნაშავე. არ მოასვენა მამის არც ერთი ნაცნობი შვილი წესიერ სამსახურში რომ ჩაეყენებინა. მერე რისთვის? არც წერა იცის, არც განათლება აქვს, მოქცევა არ შეუძლია რიგიანად და სიტყვა-პასუხი გონებალუნგისა აქვს.

ეს უკვე ბოდვას ჰგავდა. სახლამდე ძლივს მიათრია ქვასავით დამძიმებული თავი. დერეფანში სარკის წინ აღმოჩნდა.

— ლალი მაინც არ მერქვას... რა დაცინვაა!...

ოთახში შევიდა და ხანუმას დარცხვენილ სახეს წააწყდა.

— რალაცემები მოიტანა, — თქვა დედამ, შავ ჩანთაში ჩაკმუშუნული ცისფერი კაბა ამოიღო, ამას გრძელსახელოიანი შავი სვიტრი და პატარა ვარდისფერი კაბაც მოაყოლა.

— ეგ რალად ვინდა?

— ერთი გათხოვილიყავი, — ინატრა დედამ, — ბავშვებისათვის რა აღარ იშოვება. ძველი დრომ ზომ არ არის, ჩითიც სანატრელი რომ გვქონდა. კაბას გასინჯავ?

— დიდი მექნება. თანაც სინტეტიკას ვერ ვეგუებო.

— ქურჭი ჰქონია, ექვსასს აფასებს.

— ძალიან ლამაზია, ოქროსფერი ღილები აქვს, — თქვა ხანუმამ, — ფირმენია. ეს კაბაც ძალიან კარგია, კარგად ირეცხება, არც იკლებს, არც იწელება.

— რა ამბავია ექვსასი?! — ევაჭრება დედა.

— მორიგების საქმეა, — პასუხობს ხანუმა და ისევ დარცხვენილი სახე აქვს.

— პალტო გპირდება, — სწუხს დედა, — მამამუნისათვის რომ გვეთქვა...

— არა.

— ერთს არაფერს იყიდით ჩემგან. — სწყინს ხანუმას.

— შარშან ზომ ვიყიდეთ შარტისა და ძვირე ხარ.

— რა ვქნა, შენი ჭირიმე, — ისაწყლებს თავს ხანუმა, — მეც ძვირად მაძლევენ. თითო მანეთი თუ მოვიგებ, ეგაა.

იმ დამეს ლალი სასელგანთქმული ჟურნალისტი იყო. მას ეკუთვნოდა გადაცემათა ციკლოგან ყველაზე პოპულარული ციკლი, სადაც მოთხრობილი იყო მკვდარი ქალაქების შესახებ.

ამ ციკლის შექმნისათვის საჭირო არ იყო მასალებისათვის სიარული, უცნობი ხალხის შეწუხება და ათასი სულელური კითხვის შეთხზვა. აქ მხოლოდ სიყვარული იყო საჭირო, სიყვარული სიუკუნეების ნისლით მოცული ცივილიზაციისა, ზოგი მათგანი ომში რომ დაეცა მებრძოლივით, ზოგი ფანატიზმით დაბრმავებული და ნგრევის ინსტინქტით შეპყრობილი ადამიანების მსხვერპლი რომ გახდა.

პერგამი, ანკოთი, ანეტატონი...

...დიდხანს დაეხეტებოდა ნილოსის დაბლობში, სწორედ იქ, სადაც კლდეები ჯერ ნილოსის კიდევებზე ეშვებოან, მერე უკან იხევენ და ადგილს უთმობენ ქვიშიან დაბლობს.

აქ იყო ქალაქი, რომელიც ყველა ქალაქზე ახალგაზრდა დაიღუპა.

აქ იყო სასახლე, რომელიც ანდენილ ზღაპარსა ჰგავდა.

სვეტები... სვეტები...

ერთნი პალმის ტოტებივით გადაშლილან, მეორენი პაპირუსის ყვავილობას იჩემებენ, მესამენი ლოტოსის კოკრები არიან, გადასაშლელად გამზადებულნი. ჭერი კი, სვეტებს რომ დასცქერის. სამხრეთის ცის ფერია.

უზარმაზარია სასახლე. მთელი სიუკუნეა წმენდენ და ნახევარიც ვერ გაწმინდეს ჯერ.

ეხნატონი...

აი როგორი ყოფილა იგი, პოეტი და მოაზროვნე, სიყვარულიც რომ იყო და და ლალაც, ღრმა მწუხარებასაც

რომ შეეძლო აეცო მისი სამყარო და უმიზეზო, ხელმწიფურ გაბოროტებასაც, ოცნება და ამბოხი ერთმანეთს რომ ერწყმოდა მის მღვლეარე გულში... ავადმყოფურად გრძელი სახე, მაღალი, ნათელი შუბლი, მძიმე, მეფური ნიკაპი, მასიური თავის ქალა...

ავადმყოფი იყო ფარაონი. ეპილეფსია ორივე ეგვიპტის პატრონზე ძლიერი აღმოჩნდა. მხოლოდ ორს რასმეს ემორჩილებოდა არწივისა და გველის მფლობელი: — მშვენიერ ნეფერ-ნეფრუ-ატონსა და ეპილეფსიას. პირველისადმი მორჩილება დაუძლევია, ეპილეფსიას კი ღირსებით იტანდა თურმე.

თოთხმეტი წლისა გამეფდა და ჩვიდმეტი წელი იმეფა. თერთმეტი წელი ახეტატონში გაატარა და არასოდეს დაუძრდევია ერთხელ დადებული ფიცი — არ დაეტოვებინა მის მიერ ატონის სადიდებლად აგებული ქალაქის საზღვრები.

რა ძალა ჰქონდა ისეთი, ეგვიპტის ყველა ღმერთი ერთის დაკვრით რომ ჩამოჰყარა ქეშმარიტი ღმერთის, მზის დისკოს სადიდებლად? მართლა მზის პირმშო ხომ არ იყო უსაყვარლესი? მას ხომ არ უზიარებდა თავის ძლიერებას ატონი?

თუ არა ატონმა, სიცოცხლისა და სიყვარულის ღმერთმა, მამ ვინ შთააგონა ფარაონს, მშვენიერება რომ ვერასოდეს გადაუხვევს სიმართლეს?

ნეფერტიტი...

ცისკრის ყვავილსა ჰგავს უნაზეს ყლორტზე გადაშლილს. ეს ქეშმარიტი მშვენიერებაა ყოველგვარ მღვლეარებას აცილებული, ეს ქალური ბედნიერებაა დედოფლურ სიამაყესა და ადამიანურ სიყვარულს შორის ჩამდგარი...

ღვთიური სიყვარული ჰქონია ნათესავისა და მეუღლისა, მაგრამ ღვთიურ სიყვარულსაც ჰქონია ბოლო. გაუძევება ქალთა შორის უმშვენიერესი ჩრდილოეთის სასახლეში. იქ მშვენიერი ზოოლოგიური პარკით სამხრეთის დამესავით დამძიმებული გულის გადაყოლებ-

ბას ცდილობდა დედოფალი. ტყუილად ცდილობდა თურმე...

ვინ იყო ის, ვინც გაბედა და შეეცილა მეუღლესა და მბრძანებელში? რა ვნება უღუღდა სისხლში, ყმაწვილივით შეყვარებულ ფარაონს ჯერ ეგვიპტის კირქვესავით რომ გაუქვავა გული და მერე საკუთარი ხატებით ნილოსის ტალღასავით მოუღებო... ვინ უნდა ყოფილიყო ის, დიდების მოყვარე ფარაონს საკუთარი ტანტიც რომ გაენაწილებინა მისთვის...

სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა ფარაონი. წამოჰყვეს თავი უკუგდებული ღმერთების ქურუმებმა...

...ხოლო ბრბოს არაფერი გაეგება. ბრბო უგუნურია და ბოროტი. სულ მცირედიც ჰყოფნის, ნერვეისათვის რომ აღმართოს ხელი.

...დაე, შთამომავლობას ნუ გადაეცემა ახეტატონის სიკამყაშე, ამოიშალოსო ესნატონის სახელი ეგვიპტის ისტორიიდან...

ქალაქი დაანგრის და მერე ქვიშას დაუთმეს სათარეშოდ. ადამიანზე კეთილი ყოფილა ქვიშა.

ყველამ უღალატა ფარაონს, ყველამ, ხელოვანის გარდა, რადგან ხელოვანი ყოველთვის რჩება სიმართლის ერთგული, მაშინაც, როცა მას ყველა ღალატობს...

და დიდხანს, დიდხანს იმეორებდა ლალი დიდი ტუტმოსის წმიდა სახელს...



— არ ვიცი, როდის გადაეჩვევი ღმერთების ხსენებას, — სრულიად მოულოდნელად განაცხადა უფროსმა რედაქტორმა. მას ისეთი მოთენთილი და უზაღისო შეხედულება ჰქონდა, არავის ეგონა, ლალის მიერ წინა დღით ჩაბარებულ გადაცემას თუ კითხულობდა. მერე სათვალე მოიხსნა და ოფლიან სახეზე ზანტად ჩამოისვა ცხვირსახოცი.

შუადღის ხვატისათვის თუმცა ყველა

ნალი ახტიაზვილი

აბიბი ძილის წინ



ფანჯარა ჩაერაზათ, სიცხე მაინც თავისას აკეთებდა, აღუნებდა ხალხს, მოძრაობისა და ლაპარაკის სურვილს უკარგავდა.

მხოლოდ ოთარის შერჩენოდა ლაპარაკის ძალა.

— ლალი, თქვენ გწამთ ღმერთი? — იკითხა მან სავსებით სერიოზულად.

ლალი დაიბნა და მხოლოდ მხრების აჩეჩვა მოახერხა.

— აი ხედავთ? ჯერ ვერ გაგორკვევით გწამთ თუ არა, ტელემაყურებლებს კი თავს ახვევთ.

— ნეტავი შენ. არასოდეს არაფერი არ ვაწუხებ! — წამოსწია თავი ნატომ.

— დღეს მაწუხებს, — ოთარმა ლუიზას გადახედა.

— ფული შემოგაკლდა? — გაუღიმა ნატომ.

— ვერ მიიღებს, — თქვა უბრალოდ ლუიზამ და ის იყო ყველას უნდა გაეცინა, მაგრამ ლუიზასაკენ რომ გაიხედეს, გახვედნენ: იგი სავსებით სერიოზულად დასცქეროდა ქაღალდს, რომელზედაც წვრილი, გაუგებარი ასოებით ეწერა რაღაც.

— რატომ? — ღიმილი სახეზე შეაშრა ოთარს.

— მე არ ვეკუთვნი ისეთ ადამიანთა რიცხვს, რომელთაც რაიმეს გულში ჩამარხვა უყვართ. ჩემი გული სასაფლაო არ არის.

— ვერ გავიგე.

— რატომ? ვახტანგს მამაჩემის ქონება რომ აინტერესებს, ის ხომ იოლად გავიგია?

— ვერ გავიგე, — გაიმეორა ოთარმა და სახე ნიღაბივით შეუვალი გაუხდა.

— ორი დიდებული ბინა ქალაქსა და ქალაქგარეთ, ერთი დიდებული მანქანა, შავი ბრილიანტივით რომ ელავს, სავსებით საკმარისია იმისათვის, ვახტანგი რომ დაინტერესდეს. მაგრამ როცა ყოველივე ამას და კიდევ უამრავ სხვას (ღმერთმა და მამაჩემმა რომ იციან), ლუიზაც თან ახლავს, ვახტანგის გადარევა უწერია. ასე თქვი, არა?

— და შენ გეწყინა, რომ გეგანაწილებს? — გადიხარხარა ოთარმა. ტუჩების გამრუდებულმა ხაზმა ირონიით აავსო მისი ფერმკრთალი სახე.

— მაღლობელი ვარ, საერთოდ რომ გამიხსენე.

— მე რად მიხდი მაღლობას? ვახტანგის გაუხსენებიახარ.

— გეყოფა ხუმრობა! — იკივლა ნატომ.

ლალი ლუიზას აღშფოთებამ გააკვირვა.

თითქოს პირველი დღეებიდანვე ნათელი უნდა ყოფილიყო ქალიშვილისათვის ვახტანგის გატაცების ჭეშმარიტი მიზეზი. ზოგჯერ, როდესაც ლუიზა ვაქზე ალაპარაკდებოდა, ლალის ზიზღნარევი გრძნობა ეუფლებოდა, ასეთ შეურაცხყოფას როგორ იტანსო მისი ქალობა.

მაშ რაღა ამძვინვარებდა?

არსებობს სიმართლე, რომელიც ყველამ იცის, მაგრამ რომლის თქმა ხმამაღლა არ შეიძლებაო, გაიფიქრა ლალიმ და ადამიანის საკუთარ თავთან კუჭუმალობამ გააცინა.

თვითონ არ ეკუთვნოდა ასეთ ადამიანთა რიცხვს. საკუთარი თავის მოტყუება არ ეხერხებოდა ყველაზე უფრო. მეტიც, მხოლოდ საკუთარი თავისთვის შეეძლო სიმართლის დაუზოგავად პირში მიხლა, ისეთი ძალით მიხლა, თითქოს დაუძინებელ მტერს უკეთებდა ამას.

— თქვი თუ არა! — იკივლა ისევ ნატომ.

— თქვენ როგორ გგონიათ?

— ძნელია, — ამოიკენესა ნატომ, — როდის უნდა მოედოს ბოლო ჭორს. ვახსოვთ შარშან რა თქვეს ლალიზე?

...«Соглядатай и разносчик сплетен на свете больше сотворили злам чем яд или кинжал в руках убийцы».

— მორჩი ხუმრობას!

— ეს შიღერია, — თქვა ოთარმა, — ჩვენ მაინც შეუხელებელი ინტე-



რესით ეუსმენტ მათ. რა დავარქვათ ამას? შიში? დაფარული სიამოვნება, სხვისი ძაგება რომ გვანიჭებს? იქნებ, საკუთარი არასრულფასოვნებით გამოწვეული ტკივილის გაყუჩება გვიანდა სხვისი გარეწრობით? ნარკოზის როლს ხომ არ თამაშობს ჭორი?

— მე ვიცი რასაც ვუზამდი! — დაიმუქრა ნატო.

— საინტერესოა, — გაეცინა ოთარს, — შემძლია შემოგთავაზოთ იმ კაცის სახელი, რომელმაც ლალიზე ილაპარაკა ის საძაგლობა.

ნატო გაფითრდა.
— კაკო! — ხალისიანად წამოიძახა ოთარმა.

— რომელი? — ნატო შანთივით დასწვა წამოსროლილმა სახელმა.

— ნეტავი თქვენ თუ რამდენიმე კაკო გყავთ!

„კაკო“? გაიფიქრა ლალიმ.

ჭერ რომ მოწყვეტით შედგება ზღურბლზე, სწრაფად მოათვალიერებს ოთახს, თავის წყალ-წყალა, მუდამ მოხტუნავე თვალებს მოაველებს ყველაფერს, მერე გაიღიმებს. იცის, ღიმილი მაინცდამაინც არ ამკობს, ანჩხლი მოხუცის იერს აძლევს მის ჩაქმუქნულჩანაოკებულ სახეს. ღიმილი სწრაფად ეცვლება ზეიანი ირონიით და ანეგდოტის მოყოლას იწყებს. ანეგდოტის უკანასკნელ სიტყვებს უწამურ ქირქილში ატრიალებს და მერე ლალის ჰკოცნის ხელებზე.

— ერთ დროს შილერზე ვოცნებობდი... მერე ქალაქი დიზენტერიის ბრწყყალებში მოექცა და შვებულემაში გასული იძულებული გავხდი ჩემი სიცოცხლისუნარიანი სხეული მოგონებებით მესაზრდობინა. — ჩვეულებრივი, ხუმრობანარევი ლაპარაკი დაიწყო ოთარმა, — დავრწმუნდი რა, რომ დიზენტერიით დაავადება სამარცხვინო უფრო იყო. ვიდრე საშიში, ხოლო აღამიანეები, მოგეხსენებათ, სამარცხვინოს გაცილებით იოლად იტანენ, ვიდრე საშიშს, მივწევი ტახტზე, მაქვს ერთი ზამბა-

რებჩაწყვეტილი ტახტი, მოგხადე ჩემს ბავშვობას სარქველი და ერთი ისეთი რამ ვიპოვნე შიგ, მთელი კვირა მეყო ვასართობად.

— ტყუილად ცდილობ, — თქვა ნატომ.

— მომცემდნენ მტრედის ფიტულს და მთელი კვირა მატარებდნენ რეპეტიციებზე. ბევრნი ვიყავით. დაგვაყენებდნენ დარბაზის ყოველი რიგის თავსა და ბოლოში და „ვას“ გვაყვირებდნენ. მერე გვლანძღავდნენ, ერთხმად არ ყვირითო, ფიტულები და დროშები კარგად არ გიჭირავთო.

— ასეთი რა ხდებოდა? — მაინც დაინტერესდა ნატო.

— გაიგებ? ვეტერანებთან შეხვედრისათვის თუ გვამზადებდნენ. იქნებ ვინმე სახელმწიფო მოღვაწეს ელოდნენ სტუმრად. პიონერების ერთი ჯგუფი სცენაზე აჰყავდათ და იწყებოდა მონტაჟი. ერთი ბიჭისა მშურდა. ხუტუჭი თმა და მაღალი ხმა ჰქონდა. მსახიობი უნდა გამოვიდესო, ჩურჩულებდნენ ბიჭები. მსახიობი კი, რასაკვირველია, სრულიად შემთხვევით, მე გამოვვდი. ბახვას როლიც ვითამაშე და ისეთი პოპულარული გავხდი, ჩემი სახელიც კი დაივიწყეს, ყველა ბახვას მეძახდა. ის ბიჭი კი გამელოტდა, ერთი უშველებელი პორტფელი იშოვნა და უხარია. მე, როგორც ხედავთ, უმშვენიერესი მამაკაცი დავდექი, ქალების რისხვა.

— ამდენს რომ არ სვამდე, — დანანა ნატოს.

— თეატრს რომ დაუბრუნდე? — თქვა ზურაბმა.

— ისე, არც დირექტორობაა ცუდი. ზინარ შენთვის, თვალს აყოლებ დღევებს, კარგად გაწვრთნილი ჯარისკაცებივით რომ მიაბიჯებენ, და არაფერზე არ ფიქრობენ, სიტყვით მისდევ ფეხდაფეხ და რატომღაც გინარია.

— ხან სიტყვით, ხან ჭიქით, — შეუსწორა ნატომ.

ნალი გაბიაშვილი
აბაში ძილის წინ

— უსაქმურობამ იცის, — თქვა ზურაბმა, — თეატრს უნდა დაუბრუნდე.

— ისინი უჩემოდაც კარგად ასერხებენ ერთმანეთისათვის ყოველ წელს რეჟისორების გაცვლას, ასე ვთქვათ. შრომითი პრაქტიკის გაზიარებისათვის

— მაშ კაკომ იკადრა? — იკითხა ნატომ.

— მოიტანდა ტუტუცურ ტექსტს და მერე ლალი იმტვრევდა თავს, — თქვა ლუიზამ.

ლალის ყველაზე მეტად ის აწუხებდა, იმ საძაგელ ჭორში აჩიკოს სახელი რომ იყო გარეული.

ჭორი მით უფრო ძნელი ასატანი ყოფილა. რაც უფრო მეტი სიმართლეა შიგ.

...აჩიკო.

ახლაც ახსოვს უნივერსიტეტის წინ ხესთან ატუზული როგორ ელოდა ლალის. ხეს აცლიდა შემხმარ კანს. მაგრამ ეს იშვიათად ხდებოდა. უფრო ხშირად იგვიანებდა და ზოგჯერ, საერთოდ, არ მოდიოდა.

ახლა მიხვდა, რატომ სიამოვნებდა ოთარის ცქერა. აჩიკოს ჰგავდა ძლიერ. მასაც ოთარივით ქონშეპარული, მაგრამ მკვრივი ტორსი ჰქონდა. ვერ გაიგებდით ხუმრობდა თუ სერიოზულად ლაპარაკობდა. დღემდე ახსოვდა მისი დაბალი ხმა და გადაქანებული სიარული.

აჩიკო...

მოვიდოდა, მხრებზე გადაჰხვევდა ხელს და ტატიტ გაუყვებოდნენ ქუჩას. ლალის აღარ ახსოვს, უხაროდა მის გვერდით ყოფნა თუ არა. სამაგიეროდ შიში ახსოვს, უცნაური, გამოუთქმელი, მაგრამ მაინც შიში, მთელი მისი სამყარო რომ აეცხო.

ეშინოდა, რაიმე ისეთი არ წამოსცდებოდა ვაჟს, გულს რომ ატკენდა, შეურაცხყოფას რომ მიაყენებდა, ეშინოდა, ვაი თუ პაემანზე დაეგვიანა, ვაი თუ საერთოდ დავიწყებოდა მოსვლა.

აჩიკო არც თავის სიტყვებს უწევდა კონტროლს, არც მოქმედებას, არც პუნქტუალობას იჩენდა და ზოგჯერ უზრ-

დელადაც იქცეოდა, მაგრამ ლალე ჩემს... არ იღებდა. მას ღრღნიდა ყველაზე მეტად. შუბე საშინელი შიში — ვაი თუ აჩიკოს მიეტოვებინა იგი.

მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა, ბევრმა გაზაფხულმა ჩაიარა. არც ერთი გაზაფხული არ გაუტარებია ლამაზად. მხოლოდ ზომამზე მეტად მოასკდებოდა ხოლმე სინაზე და ამ სინაზის ჩაყვლას ეწირებოდა მთელი მისი ენერგია.

თუ არავინ შემოგვეშველა, მათხოვრის ტომარასავით სამარცხვინო ყოფილა მისი ტარება.

— ეს რა ხალხია! — რაღა გააჩერებდა ნატოს, — ოღონდ რაიმე ცუდი გაიგონ, ჩასაფრებულნი არიან, იქნებ სადმე შეგეშალოს, იქნებ წაბორძიკდე... დღის ბოლოს ლუიზამ ნატოს ვახტანგისთან დარეკვა სთხოვა.

ნატომ უარი ვერ უთხრა განაწყენებულ გოგოს. გასულიათ, უპასუხეს ქალს...

— დაინახე? — ჰკითხა დედამ, როცა სახლში დაბრუნდა ლალი.

— არა.

— როგორ თუ არა, იცი რაზე გეკითხები?

— არა.

— მაშინ რატომ მპასუხობ. ვადაზრევს ეს გოგო! ნიკოლოზმა ბაღე გააბა.

— რა ბაღე?

— ღობე, გოგო. ორი მეტრი აქვს სიმაღლე. ჩიტიც ვერ გადააფრინდება, — და დედამ გაიცინა, — ყველა თავისას ცდილობს.

— ახალი ამბავი!

— დღესაც იყო ხანუმა. ქურქი ჩამოგიტანოს?

— ფული?

— საყვავილე ვაგვეყიდა თუ მოგეწონებოდა. გოგოებს ისე აცვიათ... საიდანაა აქეთ ამდენი, ნეტა?!

— ოჰ!...

— გოგო, დაინახე, ქვეყანა ჩაცნაზეა გადასული!

— ქვეყანა ქვეყანა, მე — მე.

— რისი მაქნისია ვითომ ეგ საყვავილე. ხანუშამ თქვა ძვირად ვაგიყადითო. არავინ იცის რამდენჯერ უოცნებია საყვავილესთან ფეხმორთხბულ ვოკოს. გრაციოზული იაპონელი ქალები წყლის პირას საუბრობდნენ. ყვავილებით იყო მოფენილი სანაპირო ზოლი. ნაზი ვარდისფერით ფეთქავდა გაზაფხული. შორს, ზეცის მიმქრალ ფონზე თეთრად ანათებდა ფუძიამას წაკვეთილი თავი. სიგრილე უბერავდა ფუძიდან. მტრედისფერი და გამჭვირვალე წყალი ელაცეობოდა ყვავილთა ფურცლებს. ქალების ოქროთი ნაქარგი ტანსაცმელი ოდნავ გასაგონად შრიალებდა...

განსაკუთრებით სიბნელეში უყვარდა საყვავილესთან ჯდომა.

საიდანაც შემოპარულ უმკრთალეს შუქზე ცეკვავდა თითოეული ფერი. იგი ზღაპრულ ნივთს ჰგავდა, ხელს რომ შეახებ და ყველაფერს შესცვლის ირგვლივ.

საყვავილე იყო ერთადერთი, ისეთივე აღფრთოვანებაში რომ მ-აყვავდა ახლაც, როგორც მრავალი წლის წინ, როდესაც ის-ის იყო საგანთა ავკარგიაზობაში იწყებდა გარკვევას

— გახსოვს რა სერვიზი გავყიდეთ? — მოიგონა დედამ, — თუშეცა რა გემასხოვრება. პატარა იყავი. იმ ფულით კიკეთში წაგიყვანე დასასვენებლად. მამაშენი რომ წავიდა, მთლად უკაპაიოდ დავრჩით...

...მთელი ღამე პარტიზანული რაზმის მეთაური იყო. ყოველი მისი გამოჩენა შიშის ზარსა ჰგვრიდა მტერს. აფეთქებდა აეროდრომებსა და შენიღბულ საომარ მასალას, უფსკრულში ჩებდა მატარებლებს და აძლიერებდა თავის რაზმს

მერე გამცემიც აღმოჩნდა მათში.

ბევრი სდიეს და დაიჭირეს. მაშინ დაიჭირეს, ლალის ზურგში რომ უპირებდა დანის ჩაცემას.

— კაკო, — ეუბნება ლალი, — შენ ადრეც მოინდომე ჩემი მოკვლა, მაგრამ ამისათვის პასუხი არ მომიტხოვია. დღეს

შენ სამშობლოს უღალატე და მეგობრული ვარ ჩემი ხალხის წინაშე, დაგსაჯო.

კაკო ოთარისა და აჩიკოს გაჰყავთ.

პარასკევს შეთანხმდნენ. კვირა ქალაქგარეთ, ლუიზას აგარაკზე გაეტარებინათ. შაბათ დღეს ლუიზა სტუმრების საკადრისად მიღებისათვის მზადებას შესწირავდა. ადრე დილით უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს ლალი და ნატო.

ლალიმ წინა საღამოს კაბები გადაათვალიერა. თეთრწინწკლებიანი ლურჯა კაბა აირჩია, დიდი თეთრი საყელო რომ ჰქონდა. დაუთოვა და სკამის საზურგეზე გადააფინა.

დაწვა და დიდხანს ადევნებდა თვალს საკუთარ სილუეტს, აგარაკზე, ხეხილის ხეებს შორის რომ დაფარფატებდა. მიმოხვრა ისეთი ნაზი ჰქონდა, დახვეწილი, თითქოს გრძნობდა, ვილაც ტუბებოდა მისით.

დილით კი, სახლიდან რომ გავიდა, გადაიფიქრა წასვლა. სულ სხვა მიმართულებას გაჰყვა და ერთი ძველი ნაცნობის ზღურბლთან აღმოჩნდა.

ზოგჯერ შიმშილის სიმწვავეთ განიცდიდა ქეთის ნახვის სურვილს. ეს მაშინ ზღებოდა, როცა განსაკუთრებული სიცხადით შეიგრძნობდა თავის მარტოსულობასა და მერყევობას. ახლა, როცა მთელმა სხეულმა წინათუგრძნო, აგარაკზე რედაქციაში მომუშავე რამდენიმე აღამიანის გარდა ლუიზას სხვა ნაცნობებიც მრავლად მოიყრიდნენ თავს, ხოლო გამოცდილებით იცოდა, მარტოსულობა მრავალრიცხოვან მსგავს არსებათა შორის გაცილებით ძნელი ასატანი იყო, ვიდრე მაშინ, ოთხ კედელს შუა რომა ხარ გამოკეტილი, სრულიად შესცვალა წინა დღით დალაგებული გეგმა და ქეთის მიაღდა.

სალი. უდრეკი, ცხოველყოფელი იყო ქეთის ბუნება.

ერთხელ რომ შემოეხედა, ერთი სი-

ტყვაც რომ ეთქვა, ისეთი გრძნობა შეგოპყრობდათ, თითქოს ძალა გემატებოდათ.

— ოჰო! — წამოიძახა მან — ამდენი ხნის დაკარგული მოვედი!...

— ერთთან ვიყავი დაპატიებულნი და სახლიდან რომ გამოვედი, მაშინ გადავიფიქრე წასვლა, — თავი გაიძაბრთლა ლალიმ, — თქვენები სად არიან?

— ფაბრიკაში.

— კვირას?

— გეგმას შესრულება უნდა.

ქეთის მშობლები ერთ ფაბრიკაში მუშაობდნენ. დედა მკერავი იყო, მამა — ზეინკალი.

— როგორ მიღის შენი საქმეები?

— ვერ დავიკვებნი. ორი პორტრეტი გავაკეთე, ეგ არის და ეგ. ერთი წელი ხომ იქნება, რაც არ მინახხარ.

ძველებური ტანსაცმლის კარადასთან მივიდა. ჯერ სარკეში ჩაიხედა, მოკლედ შეჭრილი შავი თმა შეისწორა, მერე კარადის უკან გადაჰყო ხელი და ორივე ნამუშევარი ამოათრია. დიდხანს იწვალა, სანამ ისე მოათავსებდა მათ, ფანჯრიდან შემოსულ შუქს თანაბრად რომ გაენათებინა. ზეთის საღებავით შესრულებული ნახატი ფანჯრის რაფაზე შემოდგა, გრაფიკულს კი ვერაფერი მოუხერხა, ბოლოს იატაკზე დადგა და საწოლის ფეხს მიაყუდა.

ლალი ჯერ ფანჯრის რაფასთან მივიდა.

ტილოზე ახალგაზრდა მუსიკოსი იყო დახატული. ხელში ვიოლინო ეჭირა. დაბლა დაეშვა იგი და თავი ხორბლის-ჟერი ფონისათვის მიეყრდნო. თვალბ-ში შუშასავით ჩასდგომოდა ცრემლი. ფონი ანცალკეებდა მას ყოველდღიური ცხოვრებისაგან, უფრო ინტიმურს ხდიდა ნახატს.

მუსიკოსი უსმენდა ბგერას, წამით რომ აუღერდა და მიილია: ბგერას, წამით რომ გააცისკროვნა მისი სამყარო და ჩაქრა: აგრძნობინა კეშმარიტი ხელოვნების ზეციურობა და ისევ მიწაზე დააბრუნა; ბგერას, თავად რომ მიაგნო და თავადვე დაჰკარგა. გაოგნებული და

დაღლილი უსმენდა საკუთარ სხეულს სადაც ჯერ კიდევ ირწოვდა სინამოვნების ღვთიური სიმი, უმცირეს ტალღებად რომ აწყდებოდა მკერდს და ილეოდა, ილეოდა...

ლალი დაიხარა და გოგონას პორტრეტს დააკვირდა.

მისი სუსტი სხეული ძლივს იგრძნობოდა თეთრი ტანსაცმლის შიგნით. სევდიანი მზერა ხვალისდელი დღისადმი შიშს გამოსთქვამდა.

— ავადა?

— არა, — გაეცინა ქეთის, — მე ევკოდები, — დაამატა ხუმრობით, — არ ვიცი საერთოდ უნდა ვხატო თუ არა.

გაოცდა ლალი. რაღაც ჩასწყდა გულში. ქეთის მერყეობა მისთვის არა მართო მოულოდნელი იყო, არამედ მტკივნეულიც.

— როგორ გაქვს, აღარ გახსოვს?

— ვიღას არ აქებენ! — ჩაიქნია ხელი ქეთიმ, — თუ მართლა ყველაფერი მოსწონთ, ბრმები ყოფილან, ბრეიგელის ბრმები.

ორივენი გაჩუმდნენ. მერე ქეთი ალაპარაკდა.

— მოდი, წამომყევი ბიძაჩემთან. გუშინ გვესტუმრნენ და ასვლას შეგპირდი. დედაჩემს ისევ შემოუტია ღვიძლმა და ასწავლეს მაყვლის ფესვების ნახარში დალიეო. ამოთხრილიც ექნებათ უკვე.

— ისევ სოფელში ცხოვრობენ?

— მშვენიერი სახლი აიშენეს, გოგოც გაათხოვეს. ყოველდღე ელიან შვილიშვილს, — ლალის პასუხს აღარ დაელოდა, წიგნების კარადასთან მივიდა, ერთი ბრტყელი, ქაღალდში გახვეული წიგნი მძიმედ გადმოიღო და ფრთხილად დაუშვა ლალის გვერდით, ტახტზე, — შენ დაათვალიერე, მე კი გავემზადები.

— ხოკუსაი? — ლალიმ პირველი ფურცელი გადაშალა.

ლურჯია ცა, ხოლო ღრუბელთა ქულებს თითქოს სული ჩაჰბერესო, სუნ-

თქვენ, ლელავენ. ფუძიამას უწმინდესი სხეული მათ შორისაა ამაღლებული. იგი ისეთივე მშვიდია, გრანდიოზული და ყველაფრის მომცველი, როგორც სამყარო.

— ყველა ხედავ?

— როგორ არა, — გაეცინა ქეთის, — ასივგს დაგიბეჭდავენ.

აი ფუძიამა ბამბუკის ტევრს იქით, ფუძიამა მზის ჩასვლისას, ფუძიამა ქარიშხალში... იგი ყველგან წმინდაა, როგორც ოცნება და ნათელს, როგორც მიზანი.

თორმეტს არაფერი უკლდა, ავტობუსი რომ ჩამოდგა. ტომრებითა და პირმოკუმული კალთებით დატვირთული ხალხი ღია კარს მიაწყდა და გოგონებმა ძლივს მოახერხეს ადგილის დაკავება.

ავტობუსმა შეუღრინა აღმართს, მილია ქალაქი, მერე ახალგაზრდა ტყე, და შეუყვავა მტკრიან გზას...

ალაგ-ალაგ ერთმანეთზე შემსხდარ, გადაყვითლებულ გორებს ჩრდილი დასცემოდათ. ჩრდილის მოსაზღვრე სინათლე თავისი სიკაშკაშით თვალებს სწევდა გოგოს.

— დიდებულია ხოკუსაი! — თქვა ქეთიმ, — ყველა მხატვარს უნდა ჰქონდეს თავისი ფუძიამა და როგორც ხოკუსაი, ყოველთვის ხედავდეს მას, ყოველთვის.

— ყველა აღამიანს, — თქვა ლალიმ.

— მე? — იკითხა ქეთიმ.

მძლოლს მანეთიანი გადასკენ და ავტობუსიდან ჩამოვიდნენ.

მზეს სიუხვის გამოჩენაში არაფერი უშლიდა ხელს. ჰაერი მაინც გრილი იყო და სიცხე არ იგრძნობოდა. ცა მაღალი იყო და წმინდა. გადასახედიდან ქალაქი მოჩანდა, თითქოს ქვაბში იჯდა იგი, ნაცრისფერი ბული ედგა თავზე.

შარა გადაქრეს და ორღობეში ჩაუხეივს. რამდენიმე ფართოაიენიანი სახლის შემდეგ ბიძის სახლიც დაინახა ქეთიმ.

ბიცოლა ეზოში საქმიანობდა და, როგორც კი ნათესავი დაინახა, შესძახა:

— ბიძაშენი ეხლა გავიდა! დღეს დან ვეჩიინებოდი, ამოვა ის გოგო და რა პირით უნდა დახვდე-მეთქი...

— ფიქრო?

— გუშინ ჩემთან გადმოვიყვანე. რა ვიცი, მეშინიან.

— გაიცანი!

— აკი ვიცნობ. ბებიას დასაფლავებაზე არ იყავით?

— აი, მასხოვრობა, — აღფრთოვანდა ქეთი.

ბაღში შევიდნენ და მაშინვე დაინახეს ფიქრო.

მწითური ხვეული თმა ჰქონდა, ვარდისფერი ლოყები და წამოწეულა მუცელი. ქრელი ფარფარა ხალათი ეცვა. ქლიავის ხესთან იდგა და ღიმილით სწყვეტდა ნაყოფს.

— ჯერ არ მინახავს ქალი, ასე რომ უხდებოდეს ორსულობა, — ისეთი სიფრთხილით თქვა ქეთიმ, თითქოს ქალის დაფრთხობისა ეშინოდა.

— სულ ასე იცინის, — თქვა ბიცოლამ, — არ ვიცი, რა ვუყო.

— იცინოს მერე, — ესიამოვნა ქეთის.

— გიყი ხომ არ არის?! — იწყინა ბიცოლამ.

— ჩამოხვედით? — იკითხა ფიქრომ წყნარი ღიმილით.

— აბა. როგორა ხარ?

— ველოდები, — თქვა და შერცხვა. ბაღში მხოლოდ ქლიავის ხეები იდგა. ალაგ-ალაგ მსხალიც ვარეულყო, მაგრამ ცუდად ესხა. ქლიავი კი იმდენი იყო, თვალს იტაცებდა თავისი ბინდ-შეპარული სიწითლით.

— ქლიავი იმდენია, ბატებს საჭმელს აღარ ვუყრით, ჩამოცვენილი ქლიავითაც მშვენივრად გადიან იოლას.

ბალიდან გავიდნენ.

— ეგ რამდენი ამოვიტხრია! — თქვა ქეთიმ, როცა წერაქზე დაყრდნობილ კაცს წაადგნენ თავზე.

კაცმა უშუბლიდან ოფლი ჩამოიწმინდა და ლალის მიესალმა.



— იცანი?

— ჩვენთან არ იყო?

ბექობზე იდგნენ.

დაბლა წყალი მიწანწკარებდა. ლალი ხედავდა, როგორ მოძრაობდა წყალი. მზეზე ელავდა მისი სუსტი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ტანი. წყალთან ეშვებოდა ფერდი, მწვანით მოსილი და აღავ-აღავ ეკალ-ბარდების ვერცხლით ჩა-ლაქული. ხელმარცხნივ ფშატის ხეები კრთოდნენ. ნიავი ალბათ იქაც ქროდა, რადგან ფოთლები ტოკავდნენ. მათი ელვარება ხან ვერცხლისფერი იყო, ხან ზღვისფერი. ფერდი დაღარულიყო ბი-ლიკებით. სადღაც ორი ცხენი სძოვდა ბალახს.

მალა, ფერდის თავში სოფელი იდგა. მისი სახურავების სიწითლე ისე ღვიო-და, თითქოს პეიზაჟის უკანა პლანზე კი არ იყო დალაგებული, წინ წამო-წეულიყო და ცენტრი დაეჭირა.

საიდანღაც გოჭები გამოჩნდნენ. ისი-ნი წყლისაკენ ეშვებოდნენ და ისეთი უღარდელეები იყვნენ...

არსებობს წუთი, როდესაც ამოვარ-დები ყოველდღიური ცხოვრებიდან და ისეთი გრძნობა შეგვიპყრობს, თითქოს ყოვლისმომცველი ხარ, დაინახავ ჯერ უხილავ ფერს, გაიგონებ ჯერ აუქლე-რებელ ბგერას. დაგებადება ჯერ უთქ-მელი სიტყვა... მხოლოდ წუთით...

და რა საცოდავია იმ წუთში ყველა-ფერი, რაც იმ ფერის, იმ ბგერის იმ სიტყვის გარეთ დარჩება...

— ფიქროს დავხატავდი ამ პეიზა-ჟის ფონზე, — თქვა ლალიმ, როცა იმ წუთმა გაიარა.

— ფიქროს არა. — შენ.

— მე?! — სისხლი მოაწვა ლალის სახეზე, — ბუნების სრულყოფილების ფონზე არასრულყოფილი ადამიანი?!

ქეთის გაუქვირდა, იქნება ხუმრობ-სო, გაიფიქრა, მაგრამ სახეზე რომ შე-ხედა, გაფიქრდა. იმ უსახლგრო სიმ-შვიდისა თუ ბედნიერების ნაცვლად, ნათელივით რომ ადგა ლალის სახეს, სულ რამდენიმე წამის წინ, შეურაცყო-

ფილი ქალის ამდგრად სახეს წააქვდა...

— რა სთქვი? — ისეთი ძალის იყვი-რა, ფერდს შესეული ფშატის ხეები დიდ-ხანს იმეორებდნენ ექრდ. — მეორედ ეგეთი სისულელე წამოგცდება და გცემ. ეგლა მაკლია რაღაცეები დამწიამო.

— აკი აღარ უნდა ვხატოო, — ძლიეს მოახერხა ლალიმ.

ქეთი ერთხანს დუმდა. მერე ლალის შეხედა და დააკვირდა.

— დალილი, მაგრამ ბედნიერი სა-ხე... ბუნებასთან ყოველი შეხვედრა ბედ-ნიერებაა... დგახარ და ფერდს გას-ცქერი. სული შენი ტოვებს სხეულს შენსას... სახე სავსე გაქვს სიმშვიდითა და ნდობით, მთლად ხარ გახსნილი, ბოლომდე...

— ქლიავი უნდა გაგატანოთ, — ამ-ბობს ბიცოლა.

მზე ჩასულიყო ქალაქისაკენ რომ იბრუნეს პირი.

ქალაქი ისევ ვარვარებდა.

— არ შეიძლება დიდხანს გაგრძელ-დეს ასე, — თქვა ქეთიმ, — ერთს ისეთს დაიქუხებს...

გვიან, როცა დედამ ლაპარაკით იჯე-რა გული, მერე დასაძინებლად მოემ-ზადა და ბინაში ყველა ნათურა ჩააქ-რო, ლალი ისევ იქ დაბრუნდა, ქლიავის ხეებთან, ფიქროსთან, ფერდთან.

...ლალი ზევით დგას. უცებ სწყდება ადგილს და ქვევით მიექანება.

წყალთან ის უცდის. ხელები გაუშლია და თვალს ადევნებს ლალის.

თანდათან მატულობს სისწრაფე, მკვრივად ეტმასნება ჰაერი, სუნთქვას უქრავს, სულს უხუთავს.

— შემაკავებს? — შიში სძალავს გო-გოს, — თუ ვერ შემაკავა, თუ ავცდი...

ის კი დგას და სრულიად არ ღელავს, იღიმება და ნაცრისფერ შუქს აფრქვევს.

...ლონიერი მკლავები ჰქონია, სცოდ-ნია ხმამაღალი სუნთქვა...

თვალეები დაუხუჰავს და ისე ჩარგუ-ლა მამაკაცის მკერდში. შიშს მთლად მოუტავს მისი სუსტი სხეული.

— კარგი, — ჩურჩულებს მამაკაცი და ნაზად ეფერება თმაზე, — კარგი...



კაკო ფანჯარასთან იდგა და ჩუმაღ
ეწეოდა სიგარეტს.

— რატომ არ ამოხვედით? — იკითხა ლუიზამ, — ნატო, შენ რაღა დაგემაართა?

— სხვათა შორის, ავტობუსის სადგურში უნახავთ ნატო, — გავლიმა ოთარს.

— შენი გაუგებარი ხომ არაფერი დარჩება! ბავშვის ჩამოსაყვანად ვიყავი.

— აჟი სამშაბათს ჩამოვიყვანო.

— სამშაბათს რანაირად ჩამოვიყვანდა, სამსახური? — თქვა ოთარმა.

— ხვლიდან შევებულეებაში გავდივარ. გივი გამოცხადდება და... მამამისმა მითხოვა, ერთად ჩამოვიყვანოთო. სამშაბათს არ ეცლებოდა.

— მერე? იფეთქა ლუიზამ.

— არ ვიცი. როცა გასული თვეები მაგონდება, როგორ ვეწამე, ის კი ბედნიერი იყო და ერთხელაც არ მოგვონებოდა...

ნატო ხმადაბლა და უხასიათოდ ლაპარაკობდა.

— კარგი დრო გავატარეთ, — თქვა ოთარმა, — მხოლოდ ვახტანგი გადამეკიდა უშნოდ, გინდა თუ არა, არ მიყვარს კაცი, რომელიც ლუქმა პურისათვის მუშაობსო, უფრო მეტიც, ეს შეურაცხყოფააო. ერთი ათჯერ მითხრა.

— თავხედი, — თქვა ლუიზამ, — ბოლოს იქამდე მივიდა, მამაჩემის საწოლზე გაიშობა ტალახიანი ფეხებით. გადამირია კაცი.

ზურაბმა განაცხადა:

— დღეიდან ახალი ციკლური გადაცემა გვემატება, „ორბიტა“. ეს იქნება ტელეჟურნალი, სადაც თავს მოიყარის ისტორიული, ეთნოგრაფიული, მეცნიერული ხასიათის გადაცემები.

— მაგალითად, ყალბი შედეგები, — თქვა ლუიზამ.

— მკვდარი ქალაქები, — წამოსცდა ლალის.

— მკვდარი ქალაქები, — გაიმეორა კაკომ, — ლამაზად ჟღერს.

— ხომ არ ითაგებთ? — ჰკითხა მისი მამა, — კარგი იქნებოდა მათი გაცოცხლება ეკრანზე.

ოთარს გაცინა.

კაკო დაფიქრდა.

— არა, — თქვა, — მე თანამედროვეობა უფრო მიტაცებს, — და გაიღიმა.

— თუ აგრე მოგწონთ, ვინც მოიგონა იმანვე დაწეროს, — თქვა ლუიზამ.

— კეთილი, ლალი, რომელი ქალაქი გქონდათ მხედველობაში?

— მაგალითად, — ლალი შეყოვნდა, — მაგალითად, პერგამი.

— ანტიკური ქალაქია, ჯერ ქრისტიანებმა დაუწყეს ნგრევა...

— ქრისტიანებიც ანგრევდნენ? — დაეჭვდა კაკო.

— ველურები, — თქვა ნატომ.

— მარმარილოს ქანდაკებები კირის გამოსაწვავად გაგზავნეს, რელიეფები ლოდების ნაცვლად იხმარეს სიმაგრეების აგების დროს. ბოლო კი თემურლენგმა მოუღო. ახალგაზრდა ქალაქი ტყვედ წაასხა, მოხუცებსა და ბავშვებს თავები დააყრვენა.

— მანდ იყო პერგამის საკურთხეველი? — იკითხა ოთარმა.

— განთქმული იყო პერგამის ბიბლიოთეკაც. ქალაქის ალყის დროს ბიბლიოთეკის ნახევარი განადგურდა, ნახევარი კი ალექსანდრიაში გაგზავნა ცეზარმა, კლეოპატრას უძღვნა.

— მგონი მანდ შეიქმნა პერგამენტი,

— საინტერესოა პერგამენტის შექმნის ისტორიაც, — გავლიმა ლალის.

— დაწერეთ, ვნახოთ, — ზურაბმა სათვალე გაწმინდა.

— როდის მომცემ ტექსტს? — ოთარი ნატო. მიუბრაუნდა.

— მოგცემ, — მატო წამოდგა, — ალბათ გადაბეჭდა უკვე. ახლავე შემოვიტან, — და ოთახიდან გავიდა.

როცა მისი ნაბიჯების ხმა მისწყდა, ოთარმა თქვა.

წალი ზაბიაშვილი
აბიგი ძილის წინ

— ქალს ყოველთვის სჭირდება ყუ-
რადღება და სითბო, განსაკუთრებით
მაშინ, როცა იცის, დრომ თავისი წაი-
ლო.

— შეურიგდეს, რა, — თქვა კაკომ.
— რას ეპრანჭება?

— პატიება არაა ადვილი. თუმცა
შენ ამას ვერ გაიგებ.

— რატომ ვითომ, — ეწყინა კაკოს,
— ერთი მე ვარ გაუნათლებელი?

— გაუნათლებელი რათა, ბინძური,
— შეუსწორა ოთარმა.

— რაა? — რამ გაგამწარა?

— სიტყვის თქმისაც კი გვეშინია.
შეგვეშინდება, აბა რა, — და მან საწერ
მაგიდათა შორის ჩვეული მოძრაობა
დაიწყო, — ვაი, კიდევ უფრო რომ
ამყარალო აქაურობა!...

ოთარმა ისე შეიკუმუნა სახე, თითქოს
მართლა საშინელი სუნი იგრძნო.

— შენ რალაცეები გეშლება! — კა-
კომ არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.
სრულიად მოულოდნელი იყო ოთარი-
საგან ასეთი სიტყვების მოსმენა.

— თავი გაანებე, — ჩაერია ლუიზა,
— მაგ უბედურს თავისიც ეყოფა.

კაკო ტყვიასავით გავარდა ოთახიდან.
ოთახში ნატო შემოვიდა.

— ტექსტი ათ წუთში იქნებაო.

— ათი წუთი აღარ დაელოათ!

— კაკოს რა დაემართა? ისე გარბო-
და, კინალამ დამეჭახა.

— სიმართლის მოსმენა ძნელია, —
ცხროლა ლუიზამ.

— თქმაც. — თქვა ლალიმ და რა-
ტომღაც შერცხვა.

— აბა, — გაეცინა ოთარს, — თქმაც
ძნელი ყოფილა, — აწითლებულ
სახეზე ხელი ჩამოისვა და ლალის მა-
გიდაზე უწესრიგოდ დაყრილ ფოტო-
ებში ხელი აურია.

— ეხლა ნახეთ რაებს იკისრებს, —
გაეცინა ლუიზას.

— კაკომ თავისნაირები შეაშინოს, —
თავი გამოიღო ზურაბმა.

ლუიზამ რომელიღაც გადაცემის მა-

სალა ამოიღო მაგიდის უკრძან და
დასჭექა.

— ვლადიმერ-რეჟისორო!

ლუიზა უცნაურ სიმსუბუქეს გრძნო-
ბდა. თითქოს ყველაფერი, რაც დღემდე
აწუხებდა, რაშიც ეპარებოდა ეჭვი,
საბოლოოდ შევსებულიყო, დამრგვალე-
ბულიყო და გათავისუფლებულიყო მის-
გან.

— გია თუ სადმე ნახოთ, უთხარით,
მომაკითხოს, — სთხოვა ლალიმ ოთარს
და გაიღიმა, — ექსლობრისებზე ხედვი-
თი მასალა უკვე მზადა.

მთვრალივით იყო. მოშვებულ სხეუ-
ლში უჩვეულო ცხოველმყოფელობით
უფეთდა სისხლი. გული ისე უცემდა,
ამოვარდნას ლამობდა თითქოს.

„როგორ ვღელავო?!“ — გაიფიქრა
და გაუკვირდა, სიამოვნებას რომ ანი-
ჭებდა მღელვარება. „არავინ შემატყო-
სო, შერცხვა და უაზროდ დაუწყო თვა-
ლიერება ექსლობრისებს.

● ლალი პირადმა იწვა და მთლიანად
მისცემოდა თავის მდიდარ წარმოსახვას.
მანც უჭირდა შემოილი დედამიწის
წარმოდგენა, სადაც ყველაფერი ცე-
ცხლს მისცემოდა, სადაც ყველა იქნე-
ვდა ხმალს, სადაც არავინ თაკილობდა
ღალატს.

ეს ის დრო იყო, როცა ენით აუწერე-
ლი საზიზღრობაც კი არა თუ პრო-
ტესტს, გაკვირვებასაც აღარ იწვევდა.

როგორ უნდა წარემართათ ერთი
ციცქნა სამეფოს ბედი, აღამიანის გა-
უმამძრობასა და ღვარძლს მისთვისაც
რომ არ გაეკრა თავისი შავი ფრთა,
რომ აღესრულებინა ვალი თვისი დია-
დი ელინური სამყაროს წინაშე, აღეს-
რულებინა ვალი თვისი და ამ აღსრუ-
ლებით საკუთარი უკვდავება უზრუნ-
ველყო.

პერგამი...

ოცნებობდა ლალი...

ღამე კი თავისას აკეთებდა, სიძი-
ლის ქსელში ახვევდა და ჩუმი შრი-
ლით აყურებდა ქალაქს.

კოსმონავტიკი

დამეული ცა ათრთოლებს სოლმე
ცისკენ წამახულ ანძებს, ანტენებს
და შორეთიდან ხმა ჩემი მოდგმის,
ჩემს უნებურად ფეხზე მაყენებს.
თვალი მიუდის წვრილთვალა ბადეს
თუ ვარსკვლავები უხმოდ წყდებიან.
კოსმონავტები ჰგვანან კომეტებს,
როდესაც მიწას უბრუნდებიან.
დედამიწაზე მოაქვთ სინათლე
და წინ უსწრებენ მაღალ ოცნებებს,
ვაჩერებ სუნთქვას, ვიდრე უსიერ
ცაში გაფრენის ნიშანს მომცემენ.
შენ დუმხარ ახლა და მრავლისმეტყველ
დუმილს მივიჩნევ თანხმობის ნიშნად,
მიწისთვის უნდა გაფრინდეს კაცი,
კაცი, რომელიც მიწაზე იშვა.



შენ ასე იტყვი

ხან მხიარული, ხან მოწყენილი —
 თვალეში ედგა საქართველოს
 ცა და ამინდი,
 იყო ბავშვებით გულუბრყვილო
 და მიამიტი
 და მწუხარებად —
 ჩიტის მკვდარი მართვეც ყოფნიდა,
 აღტაცებად კი,
 სიხარულის წვეთი ყოფნიდა, —
 შენ ასე იტყვი,
 როცა წავალ მე ამ სოფლიდან.

წინაპრები

ტაძრებს აგებდნენ... მტერს ებრძოდნენ...
 მიწას ბარავდნენ...
 ეს მღვრიე მტკვარი —
 მათი ოფლია —
 წარსულიდან რომ მოედინება.
 და მაინც რაა
 ქართლის წარსული?!
 — თორ-აბჯარია, ყიეინაა,
 კაჟის თოფია,
 ხმალ-ხანჯალია პირგაბასრული.



სიცოცხლის ტოტზე ზის და გალობს
 პატარა ჩიტი;
 და მიქრის ჟამი —
 ლამაზი დღის
 და ღამის შუა...
 მივსდევ აღმართებს მგლისფერი მუხლით
 ხედავ?
 გალობამ მეც ჩიტივით
 შორს გამიტყუა...



ფიცი მამულისადმი

არა,
 არასდროს დაგეზარებით,
 არა,
 არასდროს დაგუშვებთ აფრებს,
 კვლავ სიჭაბუკის ხმობუნ ზარები
 და გვწამს მამულო, —
 რაც უნდა გვწამდეს...
 „თავი არასდროს შეგირცხვენია“ —
 თუ ვინმეს ეთქმის —
 შენ გეთქმის —
 ქართველს,
 სადაც სხვისია, —
 იქაც შენია —
 აზრი და ნიჭი,
 სიტყვა და საქმე.
 ომში თუ დარში,
 მუშეში თუ ქარში,
 სახლებს აგებდი,
 თუ წერდი ლექსებს —
 არ გაგრევია არასდროს ხმაში
 ვაი და ვიში,
 ოხვრა და კენესა.
 ქვეყნად რამდენი ღამე, ვინ იცის,

ათეე შრომით,
 ბრძოლით,
 ოცნებით, —
 მუდამ ბრწყინავდი
 შენი სინდისით,
 შენი ქართული პატიოსნებით.
 დღეს მეტი გვინდა
 და მეტი გვმართებს —
 შეტყევა,
 ბრძოლა,
 და თაუდალება,
 რომ დაღაღებდეს
 სიტყვა და საქმე,
 ჩვენს საქართველოს
 რაც ეკადრება.
 კვლავ სიჭაბუკის ხმობუნ ზარები
 და გვწამს, მამულო,
 რაც უნდა გვწამდეს...
 ვფიცავთ! —
 არასდროს დაგეზარებით,
 ვფიცავთ! —
 არასდროს დაგუშვებთ აფრებს.

სადგური „მომავალი“

ნათიას და ირინეს.

დღეები — ვითარცა ვაგონები,
 მე კი — ვითარცა ელმავალი,
 ჩემო პაწაწინა გოგონებო,
 ასლოა სადგური „მომავალი“.
 თქვენი სიყვარულით დავიმუხტე,
 გავსხვაფერაკადი
 და გავგულადდი,
 და თუ კი ბედმა არ მიმუხთლა —
 მიგიყვანთ ნანატრ სადგურამდღი.

არ მოეკიდება თვალებს რული,
 ცრუსა და ბოროტს აგარიღებთ —
 ოდენ სიმართლით და სიყვარულით
 ძლიერია ქვეყნად აღამისძე.
 გაჩვენებთ ადგილებს, სად უმეცარ
 აზრებით ღრეობდა კაცთა მოდგმა,
 გაჩვენებთ მსიარულ სადგურებსაც,
 სადაც მამათქვენი ჩერდებოდა.

ო, ბევრი შეგხვდებათ სატირალი,
სამსიარულოც და სასაცილოც,
მე კი არაფერს დაგიმაღავთ,
იცოდეთ ღზინიც და გასაჭირიც...

და ოდეს, ჩემო გოგონებო,
მივადწევთ სადგურამდე — „მომავალი“,
თქვენ, როგორც მსიარული ვაგონები —
მე, როგორც დაღლილი ელმავალი,

ოდეს ეს ხელები გამიცვდება
ალერსში —

ვითარცა ლიანდაგი,
როდესაც ეს გული დამიწდება,
გასსოვდეთ, რაც მე გიანდერძეთ...
დაე, დაგნათოდეთ ცა ნათელი,
ღმერთმა აგარიდოთ ქარაშოტებს.
ო, არ დაივიწყოთ საქართველო —
არ ვღალატების არასოდეს!

გამთრის უკანასკნელი თვე

გაიშლება მალე ღრუბლის გროვა
და ტყემლებზე დაივანებს თოვლი,
ვით მოსულა გაზაფხული,

მოვა, —

არა, აზრი არ არსებობს ორი...

ის ივლისიც,
ის აგვისტოც მოვა,
სექტემბერიც,
ნოემბერიც —
ისევ...
ისევ მზე და,
ისევ სიხალისე,
ისევ ქარი,
ისევ ქარის გლოვა.

ბევრჯერ მოვა ეს წვიმა და თოვლი,
არ დაგვტოვებს... ბოლოს ისიც მოვა...
და სანამდე
და სანამდე დროა —
„პოეზია უპირველეს ყოვლის!“





ახალგაზრდა პოეტთა ფესტივალი

ამას წინათ ტაშვენტში გაიმართა მოკავშირე რესპუბლიკების ახალგაზრდა პოეტთა VI საკავშირო ფესტივალი, რომელიც სსრკ შექმნის 50-ე წლისთავს მიეძღვნა. ფესტივალში მონაწილეობდა ყველა მოკავშირე და ზოგიერთი ავტონომიური რესპუბლიკისი 40-ზე მეტი ახალგაზრდა პოეტი.

ანაგოლი ნენსინსკი
(უკრაინა)

ფ ა ფ ა ს ე ბ ი

ააყირავეს მათ მსოფლიო გმირულ ბრძოლებით,
მერე დაეცნენ დიდი ფიქრით და იმედებით...
ძვეს მუზეუმში ფაფახების ესკადრონები,
ისტორიაზე გადაბმული წითელ ლენტებით.

მათ წლებს სდარაჯობს მეთვალყურე და დანანებით
მეწურჩულება, რომ ფიქრები ეფიფებთან,
რომ ეს ძვირფასი, საოცარი ექსპონატები
მძიმე თაღებქვეშ დილაობით ინესტებიან...

ოფლით არიან ფაფახები გაქვნილილები,
ალბათ იმიტომ, რომ დღეს მკვიდრნი მინის კარადის,
მათ შუბლებს გრძნობენ, ვისაც ომში მოსილს დიღებით,
შეუბრალებელ შეტევაში ახლდნენ მარადის...

თარგმნა თაიშურაზ აჰრიაძე.

მზია შანიკული
(საქართველო)

ღამის სათავად აფხაზეთს ღარჩა

დილის მზემ ისე გააჭიდა ცაზე
ათასი თვალი ოქროსფრად მთრთოლი,
რცმ მათცვებდა, შორეულ მთაზე
როგორ სუნთქავდა აქამდე თოვლი.

მზე იდგა, როგორც სიცოცხლე გულში.
მზე ამღვრებდა ვარძიის ფრესკებს.
მზე ენთო ღვინით ავსებულ თუნგში,
მე რომ სათბობად მომჭონდა შენსკენ.



მზემ გაანათა, მზემ აამაღლა
 საუკუნეთა სივრცენი შორი,
 სვეტიცხოველზე წამოსულ წვიმებს
 მზე აკავებდა და, სხვათა შორის,
 ამბობენ, თურმე მაშინაც, როცა
 მტერმა მოსაზა თბილისი ვრცელი,
 მზემ შეასწავლა ქართველებს ლოცვა,
 მზემ შეუმშრალა დარდი და ცრემლი.

და დღესაც ერთო მთაწმინდოს ^{გერგოვლის}
 გულღია, თბილი, დარდით, ხალისით,
 თავისი ფიქრით, სიცოცხლით საესე
 და მერე, როცა დაჰკრა დაისი
 წამოიკრიფა ცეცხლის ფრთები და
 ცას გადააკრა ვარსკვლავთა ფარნა.
 გადაიმღერა იმერეთი და
 ღამის სათევად აფხაზეთს დარნა.

ბალინა კორქენეცკაია (ბელორუსია)

წ ე რ მ ე ბ ი

თუმც ჭრიჭინები უელიან ფერხულს,
 გაბრუებულნი ფიჭვთა სურნელით,
 წეროთა გუნდი აცილებს ზაფხულს
 და ფრთებით მიაქვს გასული წელი.

სამკალში წვიმა დაიწყებს ცეკვას,
 მთებს შემოახვევს ნესტიან ნისლებს.

დამიტოვებენ მე ფოთოლცვენას,
 მიაშურებენ შორეულ სივრცეს.

წეროთა სვედის უხმო ძახილი
 ალბათ შინაურ ბატებსაც ესმით
 და ულურჯესი ცისკენ აჭრილი
 ძირს ეცემიან უღონო კვნესით.

თარგმანა მინაილ ჟურლიანა.

ჩინგიზ ალი-ოღლი (აზერბაიჯანი)

აქ დავიბადე

ქარი ვეება ცისფერი ხეა,
 ფოთლებადა აქვს ღრუბლის ფთილები...
 და ამ ხის ჩრდილში,
 ვით აქლემების ქარავანი, თვლემენ მთები და
 სულ არ ჩქარობენ გზის გაგრძელებას.
 დასძინებიათ და ვერ ხედავენ,
 რომ ნაკადული, როგორც გოგონა,
 ვეება ქეებზე კისკისით მოსტის
 და ასმიანებს ბავშვის სიცილით
 ძველი ხეობის უცნაურ დუმილს.
 იალაღებზე შავი ხარები
 კმაყოფილები მიბუღრაობენ
 და შორიასლოს ბოჩოლა ანცობს...
 საკვამურიდან ამოდის კვამლი,
 როგორც იმ დიდი ხის ერთი ყლორტი,

ეს — ალბათ დედა პურს აცხობს ახლა,
პურს აცხობს ალბათ თაფლზე უტკბილესს,
რომ შეეგებოს სასურველ სტუმარს...
აქ დავიბადე,
აქვე ვიცხოვრებ.
ქარის ვეება ცისფერი ხე კი
თავისი თეთრი ღრუბლის ფოთლებით
მთების ქარავანს თავს დაადგება.

თარგმან აბაბა ნაცვლიძევილია.

მირკულაჲ მირზაევი
(უზბეკეთი)

მარკლისოგის გრანოვა

უღარდელი ქარით ნაჲ ყვაილებს ბარად
გაზაფხული გაშლის,
და იქროლებს ქარი საუკუნოდ, მარად,
არ ვიქნებით მაშინ.

არც გრანიტებს წყალობს ბობოქარი ტალღა
ჩაძირულებს ზღვაში...

ირუსჩუსებს წყარო წნიარულად ლაღად,
არ ვიქნებით მაშინ.

და პოეტი დიდი, გულჩამწვდომი ჩანგით
არ შედგება გზაში,
ზეცისაკენ წავა ალბათ მისი ჰანგი,
არ ვიქნებით მაშინ.

თარგმან მიხაილ შურლინია.

ონე ბალუკონიგე
(ლიტვა)

წ რ ე

ქვაფენილს ცეცხლის ცრემლებად აღნობ,
დღეს სრბოლას შენი ფლოქვი მეთაურობს...
საით მიმაფრენ ჩემო ბედაურო,
საით მიჰყვები მოჭიქულ ტატნობს?
ესხედავ, რომ ვიღაცა მოჰყვება კვალს.
ეს ალბათ ყორანი მადევნებს თვალს!..

თავზე დამჩხავის ტკივილს და სევდას,
ჩემი დაჯაბნა უნდა.
თუ სიყვარული იქნება ჩემთან,

მე გავიმარჯვებ მუდამ.
რად მინდა მისი წინასწარმეტყველება,
თითქოს მარტოობას არარა ეშველება!...
ვიქნები შენი ხელების ტყვე
და ვერას დამაკლებს მტერი.
წრის მერე — წრე,
წრის მერე — წრე,
წლის მერე — ახალი წელი.
იჩხავლოს ყორანმა რამდენიც სურს,
მე გამარჯვებას მივადწევ სრულს...

თარგმან აბაბა ნაცვლიძევილია.

მუსტარ აუეგოვის საღამო

დე, ნუ აქლერდება ხმა სევდიან თრთოლვით,
უწმინდეს თოვლივით დღეს ლექსი ელავდეს!
წამოდექით ფეხზე,
მუსტარ-ალა მოდის!..
ახლა მისი მოსვლა ნათელს ჰფენს ყველაფერს.
მე ვარ უმაღლესი ნეტარებით მთვრალი, ...
ოი, მაპატიეთ, თუ დამეტყო დაღლა.
განა დღეს არ იყო, —
ფიქრებდაუმცხრალი
ჩემთან საუბრობდა დიდი მუსტარ-ალა...
ლექსის სიტკბოებავ, მოსილს შარავანდით,
გზები უცისფერეს სივრცეს გატოლებენ.
მქუსარ საღამოთა გინმობს ქარავანი,
ყველგან სანდომიან ღიმილს გაყოლებენ.
გზაზედ გაყოფნებენ ზემს აყოლილი
წყება ჭაბუკების ნაზი და მღელვარე.
მერე გაუდგები კვლავ თანაყოლილი
ფიქრით შემოსილი ქუჩებს მოელვარეს.
და სიცარიელეს ავსებს შენი სული,
რომელსაც არასოდეს უგრძენია დაღლა.
ო, წადით სტეპებში — გყვირი მარტოსული —
სადაც გამოჩნდება ალბათ მუსტარ-ალა...

თარგმანა თაიშურაზ ჰორიკაძე.

ქ ა ლ რ ი ა (დაღესტანი)

ფიქრები კველ სასაფლაოზე

სასაფლაოზე დავდივარ ნელა
და ძველ წარწერებს ვკითხულობ კრძალვით...
ამ ლოდების ქვეშ რამდენი სვეა!
რამდენი ცეცხლი! რამდენი ქარი!
აგერ, ვიღაცა ყადის საფლავი,
ალბათ ძალიან დიდი ხნის არის.
აქ კი წერია იმის ამბავი,
თუ როგორ მოჰკლეს ძმისწული ხანის.
მუსულმანები კაცის სახელებს
ბეჯითად წერდნენ საფლავის ქვებზე,

ბეჯითად წერდნენ კაცის სახელებს
და წარწერები შემორჩნენ დღემდე.
ეს წარწერები შემორჩნენ დღემდე
და თუმცა წლები ზედ დასდით წვიმად,
ის იქნებიან ასი წლის შემდეგ,
რანიც ყოფილან ასი წლის წინათ.

აქ სხვა ქვებია. —

ამ ლოდების ქვეშ

განისვენებენ მხოლოდ ქალები,
ტყუილად ვეძებ იმათ სახელებს
და სევდას ვერსად ვერ ვემაღები.

მიცვალებული ქალის ამბავი

საფლავის ქვაზე თავდება იმით,

რომ მისი შვილი იყო თავადი

და ქმარი მისი იმაში დიდი!

ნეტავი, რატომ ხდებოდა ასე?! —

ქალს არც ჰქონოდას სახელი თითქოს,

ხოლო ქალისგან შობილი კაცი

ორივე ქვეყნად პატივში იყო.

როგორც არ უნდა იცხოვრო ქვეყნად,

თავს ვერ დაადწევ სიკვდილის პირობს,

ვერ გაექცევი შენს საფლავს ვერსად —

ყველა სიცოცხლის გარდუვალ ბოლოს!..

დადგება ჩემი სიკვდილის ჯერიც

და წააწერენ საფლავზე ალბათ,

ვიღაცა იყო რომ შვილი ჩემი,

ან რაღაც დიდი ააგო ქმარმა,

ან იქნებ ვინმემ უარყოს ძეგლი

და წააწეროს: „გამეღელო, შესდექ!“

აქ განისვენებს ქალი, რომელიც

ლექსებს წერდა და მღეროდა ლექსებს!...“

თარგმან პაატა ნაცვლითვილია.

პაატა ნაცვლითვილი

(საქართველო)

შემოიტანა მზემ გაზაფხული

და მთაწმინდაზე აყვავდა ნუში...

ნუთუ ხვალ უნდა დღევანდელ დღეს

ასე მზიანს,

დაერქვას „გუშინ“?!

ნუში აყვავდა მთაწმინდაზე და

ნუშზე ლამაზად ატამი ჰყვავის,

უეტრად ჩნდება ცისარტყელა,
ვით სანდღარი ღღვის და ხვალის.
მოდი ჩქარა!
გესმის?! ჩქარა-მეთქი!
მოდი, მე უნდა ჩაგიკრა გულში,
თორემ ხვალ უკვე დღევანდელ დღეს,
ასე ძვირფასს,
ერქმევა „გუშინ“!
ასე იწყება ყველა ზღაპარი
და სინამდვილედ იწყება ასე —
ჩემსკენ მორბიან შენი თვალები
გაურკვეველი სურვილით სავსე.
ჰყვავის ატამი, თითქოს ტოტებზე
გადაასხესო წითელი ტუში...
ეჰ! დღევანდელ დღეს,
ასე ლამაზს,
ხვალე უკვე ერქმევა „გუშინ“!..

გერასიმე ივანსოვი (უღმურტეოი)



იქნებ სავალი აღმოჩნდეს რთული
და უცებ სადღაც ნახევარ გზაზე
მიხედე და მწარედ გმტკინოს გული,
რომ წინსვლას უკვე არა აქვს აზრი.

უცებ შეგიპყრობს სევდა და დაღლა,
მიწას მიაპყრობ თვალებს ცრემლიანს...
შენ იმ შორეულ ქალაქში ახლა
არაფინ გიციობს და არც გელიან.

და ხედები უნდა დაბრუნდე უკან,
ისევე როგორც დაბრუნდი წინათ...
ყვავილინც აღბათ უწყლობას სწუხან
და მაცოცხლებელს ნატრობენ წვიმას.

ვიღაც გეხება ნაზი თითებით
და ჩაგრურჩულებს თრ სიტყვას მხოლოდ,
რადაც დიდი და მტკიცე იმედით,
რომ უპასუხებ ბოლოს და ბოლოს!..

თარგმნა ვახტანგ ნაცვლიშვილმა.



სსსრ ტაქობანაი

შანდორ პეჩევი

თავისუფლება და სიყვარული

თავისუფლებას და სიყვარულს
ელტვოდე ოდით,
ო, უნდა იქცეს გული ნატვრად,
სული სუფევად...
სიყვარულისთვის თუ ოდესღაც
სიცოცხლეს ვთმობდი,
დღეს ჩემს სიყვარულს
მშვიდად ვწირავ
თავისუფლებას!!!

ფოთოლსვენაზე იუპიტერს ქარი

ფოთოლცვენაზე რას მოსთქვამს ქარი,
რა ამწუსარებს შემოდგომის ქარს,
სეთაგან მშვიდად არავეინ არის,
არის წამები წვის და წვდომისა...
დღესა და ღამეს აერთებს წვიმა,
დივანზე ფიქრით ვქსოვ ჩემს სიმღერას,
ჩენს პატარა ცოლს ჩემს მკერდზე სძინავს,
სძინავს გულმშვიდად და ნებიერად.

ცალ ხელს მეუღლის თბილ მკერდზე ვნაბავ,
მეორე ხელით იარაღს ვბღუჯავ,
თავისუფლების უწმინდეს ანბანს
ვითვისებ, როგორც უძველეს გუჯარს,
რომელიც ბრძოლას მასწავლის მალე.
შუქი ვცემა უწყინარ თვალებს...
ჩემს პატარა ცოლს ჩემს მკერდზე სძინავს,
ასე იძინებს ღრუბლებზე მთვარე.

ოქრო გატყუებს და მათრახივით
გაიძულებს რომ ტირანს ჰყვარობდე,
ო, მაგრამ არის ქვეყნად ძახილი,
რომელიც რაინდს ძილშიც აბოდებს, —

„თავისუფლება!“ — ლამაზ ქალივით
სიკვდილის ყვავილს გზად რომ გაწოდებს...
ჩემს ლამაზ ცოლს კი ჩემს მკერდზე სძინავს,
ღრმა ძილით სძინავს, როგორც აროდეს.

დაცემულ გმირთა დგება შემცვლელად
ერი თუ ბერი, შენთვის. შენს გამო,
თავისუფლებავ! კვლავ დაეცემა
ბერი... ო. ვიცი, უნდა ვეწამოთ,
ვიდრე ხმამაღალ სიმღერას შეეძლებთ,
ვიდრე არ ვაგჭრით შენს დიდ ხეივანს...
ჩემს პატარა ცოლს სძინავს ჩემს მკერდზე,
სძინავს ღრმა ძილით, გულარხეინად.

გჭვრეტ ხვალინდელ დღეს — ჭიკჭიკა მერცხალს,
ვშმაკს წყვილიადის ნისლი უჭრება,
ამოდის მზე და ნათდება ზეცა,
როგორც ნანატრი თავისუფლება.
მაჩქვს გულისცემა ისე ვით გრგვინვას,
მწუხრში მამულზე ფიქრი მიელავს...
ჩემს პატარა ცოლს ჩემს მკერდზე სძინავს,
სძინავს ღრმა ძილით და ნებზერად.

ფილოსოფოსნი ძველად...

ფილოსოფოსნი ძველად ვირით მოგზაურობდნენ, —
დრო შეიცვალა, ცხადია,
რადგან მხედრებად ახლა ვირები ქცეულან,
ბრძენნი კი ფეხით დადიან.

პარგი ხარ! — მეტყვი

პარგი ხარ! — მეტყვი. იმედად მყევხარ! —	ო, დამიჯერე, მიწა რას გვაძლევს,
იქნებ ასეა, მაგრამ იცოდე,	რას გვაძლევს ქვეყნად ღმერთი — განგება,
ჩემი სიკარგის სათავე შენ ხარ,	მზე რომ არ იყოს, ამ ქვეყანაზე
ო, დამიჯერე, ჩემო სიცოცხლე!	ბალახის ღერი არ ამწვანდება.

მწუხარება — დიდი ოკეანე

ჰგავს მწუხარება დიდ ოკეანეს,
რომლის ფსკერიდან
სიხარულის მცირე მარგალიტს
ვიდრე მზის შუქზე ამოვიტანდეთ,
ხელში გვიჭრება, როგორც მეღუზა.

ძ რ ო ხ ა

ჩერკასული ჯიშის ნისლა ძროხა ვარედან შეღებულ ფიცრულში მარტოდმარტო ბინადრობდა. ფიცრული რკინიგზის დარაჯის პატარა ეზოში იდგა. შიგ ეყარა შეშა, თევა, ფეტვის ჩალა და ჟამგადასული საოჯახო ნივთები: სახურავმომძერალი სკივრი, ჩაყანგებული სამოვრის მილი, ძველმანი ტანსაცმელი და ფეხმომსხვრეული სკამი. ძროხას ამ ხარახურის გვერდით ედო ბინა. აქ ათევედა ღამეს, აქ გაატარა მრავალი გრძელი ზამთარი.

რკინიგზის დარაჯის შვილი, პატარა ბიჭი, ვასია რუბცოვი, ძროხას ყოველ დილა-სალამოს ესტუმრებოდა ხოლმე და კისერზე ხელს უთათუნებდა. ბიჭი ძროხას დღესაც ეწვია.

— ძროხავ, ძროხავ, — ეუბნებოდა ვასია, ძროხას სახელი არ ერქვა და ბიჭი იმას ეძახდა, რაც სახელმძღვანელოში ეწერა. — შენ ხომ ძროხა ხარ!.. ნუ დარდობ, შენი შვილ გამოკეთდება, მაშინვე სავა, უკანვე მოიყვანს.

ძროხას სახარე ხბო ჰყავდა. გუშინ ყელში რაღაც გაეჩხირა. პირიდან დორბლი და ბაღლამი ამოსდიოდა. მამას შეეშინდა, არ მოკვდესო, და დილას საღვურზე წაიყვანა, ბეითალს ვაჩვენებო.

ძროხა ბიჭს ცერად უყურებდა და მღუმარედ ღეჭავდა სიკვდილისაგან განაწამებ, გამოფიტულ ბალახის ღერს. იგი ბიჭს ყოველთვის სცნობდა. ბიჭს კი ძროხა უყვარდა. მისი ყველაფერი მოსწონდა: დიდრონი, სითბოთი აღსავსე თვალეზი, ირგვლივ შავი წრეები რომ ჰქონდა შემოვლებული, თითქოს მღრმე დაქანცული ან გულჩათხრობილიაო. მოსწონდა მისი რქები, შუბლი და დიდი, გამხდარი სხეული, ძროხა გამხდარი იმიტომ იყო, რომ ძალღონეს ქონად და სორცად კი არ იგროვებდა, არამედ რძედ აქცევდა და მუშაობაში ხარჯავდა. ბიჭმა ერთხელ კიდევ შეხედა ნახ, მშვიდ ჯიქანზე და პატარა, გამზრალ კერტებზე. სიდიდან რძეს წველიდნენ, მერე კი ხელი მოუთათუნა მოკლე,

კორძაღქვეულ დაბაბზე და წინწამოზიდულ მსხვილ ძვლებზე.

ძროხამ ბიჭს ცოტა ხანს უყურა, მერე თავი გეჯისკენ დაღუნა, ორიოდ ღერ ბალახს პირი უხალისოდ მოაგლო და ღეჭვა დაუწყო. ძროხას აქეთ-იქით დიდხანს ყურების ან დასვენების დრო არ ჰქონდა. განუწყვეტლივ უნდა ეღეჭა, რადგან მისი სხეული რძეს განუწყვეტლივ წარმოქმნიდა, საყვები კი უყუათო, ერთფეროვანი იყო და გასაძლომად ყბები დიდხანს უნდა ემუშავებინა.

ვასია ფიცრულიდან ვაიდა. რკინიგზის დარაჯის სახლის ირგვლივ გადაშლილიყო ხელისგულივით სწორი, მოშვივლებული ველი — ზაფხულგამოვლილი, სიმსუყვეამოცილი, დაღუმებული, გადაშკილ-გადათიბული, ჩამკვდარი და დანადგლიანებული.

სალამოვებოდა. ცივი, მორუხო ნისლით დაბურული ცა თანდათან მუქდებოდა. ქარი, ნაპურალ მინდორში მთელი დღე ნამჭას რომ ამრიალებდა და სახამოროდ განძარცული ბუჩქების უსიცოცხლო შტოებს არხევდა, ახლა ვაინაბა, მყუდრო ღარტაფებს შეეფარა და საყვამლე მილის თავზე ფლუფერს ოდნავდა აქრიალებდა, თითქოს შემოდგომის საგალობლის წამოწყება სწყლიაო.

ერთლიანდაგიანი რკინიგზა სახლის შორიანლოს, ბაღის გვერდით გადიოდა. ბაღში ყვავილებიც და ბალახიც ერთიანად დამუქნარიყო. ვასია ბაღის თვალს არიდებდა: იქაურობა ახლა იმ მცენარეთა სასაჯლოდ ეჩვენებოდა, ვაზაფხულზე საკუთარი ხელით რომ დათესა და გაახარა.

ღედამ სახლში ლამა აანთო, სასიგნალო ფარანი გარეთ, კამაზე გამოიდგა და შეიღს უთხრა:

— მალე ოთხას მეექვსე ჩამოიგლის. შენ უნდა გაეცილო. მაშინვე არსადა ჩანს... ხომ არ მოუღბინა!



მამამ ხბო საღვურზე. შვიდი კილომეტრის იქით, დილაადრიახად წაიყვანა. ალბათ ბეითალს ჩააბარა, თავად კი საღვურის შენობაში იჯდა, ან ბუფეტში ლუღსა სვამდა, ან სატექნიკურ მინიმუმო კონსულტაციის მისაღებად წავიდა. ანდა იქნებ ვეტბუნქტში დიდი რიგი იღვა და ცდა დიდხანს დასჭირდა. ვასიამ ფარანი აიღო და რკინიგზის გადასასვლელთან ძელზე ჩამოკვდა. მატარებლის ხმა ჯერ არ ისმოდა და ბიკს ბრაზი ეტროდა. სად სცალოდა იმისათვის, აქ მგდარიყო და მატარებლისათვის ეცადა: სახვალიო გაკვეთილები უნდა მოეზადებინა და დროზე დაეძინა, რომ დღლით ადრე ამდგარიყო. ვასია საკოლმეურნეო შვიდწლდის მეოთხე კლასში სწავლობდა. სკოლამდე ხუთი კილომეტრი ფეხით უნდა გაევიღო.

ბიკს სკოლა უყვარდა. მასწავლებელს რომ უსმენდა და წიგნებს კითხულობდა, თვალწინ ედგა მთელი ქვეყნიერება, რომელსაც ჯერ არ იცნობდა და ასე შორს ვეგულეობდა. ნილოსი, ეგვიპტე, ესპანეთი და შორეული აღმოსავლეთი, დიდი მდინარეები — მისისიპი, ენისეი, წყნარი დონი და ამპაზონი, არალის ზღვა, მოსკოვი, აბარატის მთა და განშარტობის ეუნქელი ყინულოვან ოკეანეში — ყველაფერი აღელვებდა და თავისკენ იზიდავდა. ეჩვენებოდა, რომ ყველა ქვეყანა, ყველა ხალხი დიდი ხანია იცდიდა, ვასია რაღის გაიზრდება და გვეწვივით. მას კი ჯერ ფეხი არსად გაეღვა. იქ დაიბადა, სადაც ახლა ცხოვრობდა. ნამყოფი იყო საღვურში და კოლმეურნეობაში, სადაც სკოლის შენობა იდგა. ამიტომ მღელვარებთა და სიხარულით აცქერდებოდა იმ ადამიანებს, სამგზავრო მატარებლის ფანჯრებიდან რომ იყურებოდნენ. სურდა შეეტყო, ვინ იყვნენ და რას ფიქრობდნენ. მაგრამ მატარებლები სწრაფად ჩაიჭროლებდნენ ხოლმე და გადასასვლელთან მდგარი ბიკი ფანჯრებს იქით მყოფთა ამბავს ვერ გებულობდა. თანაც მატარებლები ცოტა იყო, სულ ორი წყვილი დღე-ღამეში. ამათვან სამი ლამაზობით ჩაივლიდა ხოლმე.

ერთხელ მატარებელმა ნელა ჩაიარა და ვასიამ კარგად შეათვალა იფქროს წასული ახალგაზრდა კაცის სახე. კაცი ღია ფანჯარასთან იდგა, უცხო ველს გაჰყურებდა და თან ჩობუხს ეწეოდა. გადასასვლელთან მდგარი მწვანე ალმინი ბიკი რომ დაინახა, გაუღიმა და გარკვევით უთხრა: „ნახეამდის, ყმაწვილო კაცი!“ თანაც გამოსამშვიდობებლად ხელი დაუქნია. „ნახეამდის, — უპასუხა ვასიამ გულში, — გაფიზრდები და სადმე შეგხვდები! ოღონდ იცოცხლე და მელოდი, ნუ მოკვდები!“ ამის შემდეგ ბიკს დიდხანს ახსოვდა ფიქროს წასული კაცი, იმ ვაგონით ვის იცის საით რომ მიდიოდა. „ალბათ პარაშუტისტი იყო, ან მსახიობი, ან ორდენოსანი, ანდა შეიძლება. უკეთესი ვინმეც, — ფიქრობდა ვასია. მაგრამ ხანმა გაიარა

და მატარებელთა ჩვეულო კაცის ხსოვნა გულში მიიძინა, რადგან მას უნდა ესეუფროსი და სხვა რამეზე ეფიქრა, სხვა რამ ეგონო.

შორს, შემოდგომის ველთა უყარეულ დამეშო, ორთქლმავალმა დაუსტივინა. ვასია რკინიგზას მიუახლოვდა და თავისუფალი სელის მაჩვენებელი მანათობელი სიგნალი მალა აღმართა. ერთხანს კიდევ უსმენდა მოახლოებული მატარებლის გუგუნს და მერე სახლსკენ შებრუნდა. ეშოში ძროხამ საწყალობლად დაიბღაღა. თავის შვილს — ხბოს უცდიდა. ის კი არ მოდიოდა. „ნეტავი მამარემი აქამდე სად დაეჭებება! — გულმწყარად გაიფიქრა ვასიამ. — ჩვენი ძროხა ვეღარ ითმენს! ღამეა, ბნელა, მამა კი არსადა ჩანს“.

ორთქლმავალმა გადასასვლელს ძიაღწია. ბორბლებს მძიმედ აბრუნებდა და ცეცხლს მთელი ძალით აფრქვევდა სიბნელეს. ფარნიან ადამიანს ქშენით ჩაუარა. მექანიკოსს ბიკისთვის არც შეუხვდავს. ფანჯარიდან გადმოკიდებულყო და მანქანას ავირდებოდა: დღესინა ქოკის ჩობალში ორთქლს საფენი გაველოცა და ღამეშის ყოველ ბიკზე გარეთ ქშელით გამოდიოდა. ეს ვასიამაც შეამჩნია. მალე ვრძელი აღმართი დაიწყებოდა და ცილინდრშუვტვებულ მანქანას ვაგონების ზიღვა გაუჭირდებოდა. ბიკმა იცოდა, ორთქლის მანქანა როგორც მუშაობდა. ფიზიკის სახელმძღვანელოში ამოკითხა. იქ რომ არ წერებულყო, არ მოისვენებდა და მაინც შეიტყობდა. ძალიან იტანებოდა, როცა რამეც სავანს ან ნიეთიერებას ხედავდა, მაგრამ არ იცოდა. მის შფენით რა ხელებოდა, ან რა ამოძრავებდა. ამიტომ არ სწყენია, მემანქანემ გვერდით ისე რომ ჩაუარა, ფარანს წამითაც არ შეხედა. მემანქანეს თავისი საზრუნავი ჰქონდა: ორთქლმავალი ღამით ვრძელ აღმართზე რომ გასჩერებოდა, მასინ მატარებლის ადგილიდან დაძვრა გაუძნელდებოდა. ვაიერბისას ვაგონები ცოტათი უჯან დაწევიდა, შემადგენლობა გაიჭიმებოდა და თუ მძლავრად დაძრავდა ადგილიდან, იქნებ გაეწყვიტა ცოდვე. ნელა კი ძვრანაც ვერ უშამდა.

ვასიას ვვერდით ჩაუარა ოთხლერამიანმა მძიმე ვაგონებმა. რკინორების ზამბარები შეუქმშული იყო და ბიკი მიხვდა, რომ ვაგონებში მძიმე და ძვირფასი ტვირთი ეწყო. შემდეგ ღია ბაქნებმა ჩაიარა. ზედ იდგა ავტომობილები, ბეჭენტი და დაარული უცხო მანქანები, ეყვრა ქვანახშირი, კომბოსტოს ზეავეტი. კომბოსტოს შემდეგ ახალი რელსები ეწყო. მერე კი კელავ დახურული ვაგონები გამოჩნდა, რითაც შინაური ფრინველი გადაჰყავდათ. ვასიამ ვაგონების ბორბლებს და ბუქსებს დარანი მიანათა, რამე დაზიანებული ხბო არ არისო, მაგრამ ყველაფერი რიგზე იყო. ერთი ვაგონიდან ცილაცის უცხო ხბომ ოაიბოაოლა. ამ ბოაილის ფიტრულიდან იმავე წამს გაბმული, მწუხარე



ზმით გეპასუხა შვილის ლოდნით ნადევლომორეული ძროხა.

ბოლო ვაგონებმა ვასიას ძალზე ნელა ჩაუარა. მატარებლის თავიდან მოისმოდა, ორთქლმავალი რა ვამატებით მუშაობდა. მაგრამ მისი ბორბლები ამოვლ ბუქსაობდა, მატარებელი სიჩქარეს ვეღარ უმატებდა. ვასია ფარნით ვაემართა ორთქლმავლისაკენ. მანქანას უჭირდა და ბიჭს უნდოდა, მის გვერდით ყოფილიყო, თითქოს ამით გასაჭირს შეუმსუბუქებდა.

ორთქლმავალი ისე დაძაბულად მუშაობდა, რომ მისი მძლღიდან ქვეანახშირის ნამსხვრევები ცვიოდა და ქვაბის შიგნიდან ყრუ თუსთუხი გაისმოდა. მანქანის ბორბლები ნელა ბრუნავდა. მექანიკოსი მათ ბრუნვას გიხურის ფანჯრიდან თვალს ადევნებდა. მემანქანის თანაშემწე ორთქლმავლის წინ რკინიგზას მიუყვებოდა, საბალსტზე ფენიდან ქვიშას ნიჩბით იღებდა და რელსებზე ყრიდა, რომ მანქანას არ ებუქსავა. ორთქლმავლის წინა ფარნების შუქი მახუთში ამოსვრილ, დაქანცულ კაცს ანათებდა. ვასიამ ფარანი მიწაზე დადგა, ბალსტზე გადავიდა, მემანქანის თანაშემწეს მიუახლოვდა და უთხრა:

— ქვიშას მე დაეყავი, შენ კი ორთქლმავალს მიეხმარე. თორემ საცაა გაჩერდება.

— შექალბე? — ჰკითხა თანაშემწემ და ბიჭს ჩამუქებულ, ჩაღრმავებული სახიდან გამომკრთალი დიდი, ღია ფერის თვალებით დააქებდა. — კარგი, სცადე! ოღონდ გაფრთხილდი, მანქანისკენ გამოიხვედ სოღმე.

ნიჩაბი დიდი და მძიმე იყო. ვასიას არ გამოადგებოდა, ამიტომ თანაშემწეს დაუბრუნა და უთხრა:

— სელით მივაყრი, უფრო იოლია.

ვასია დაიხარა, ქვიშა მუქებით მოხვეტა და რელსის პირზე სწორად გაშალა.

— ორივე რელსზე დაყარე, -- დაარიგა თანაშემწემ და ორთქლმავალს მიაშურა.

ვასია რიგრიგობით ყრიდა ხან ერთ რელსზე, ხან მეორეზე. ორთქლმავალი ქვიშას ფოლადის ბორბლებით სრესდა და ბიჭს ნელა მიჰყვებოდა უკან. დამწვარი ქვეანახშირის ფერფლი და გაგრილებული ორთქლის წვეთები ვასიას ზემოდან ეყრებოდა, მაგრამ მუშაობა მაინც ეხალისებოდა, რადგან თავი ორთქლმავალზე დიდ ეინმედ მიანდა. ორთქლმავალი ხომ უკან მისდევდა, მხოლოდ მისი წყალობით არ ბუქსაობდა და არ ჩერდებოდა.

თუ ვასია მუშაობით ისე გაერთობოდა, რომ ვერ გაიგებდა, ორთქლმავალი ზედ როგორ მიადგებოდა, მემანქანე მოკლე სივანლს მისცემდა და ზემოდან ჩამოსძახებდა:

— ჰეი, უკან მოიხვედე!.. ცოტა სწლად და თანაბრად დაყარე!

ვასია მანქანას გაეცლებოდა და ხმაამოუღელად განაგრძობდა მუშაობას. მაგრამ მერე გაბ-

რაზდა, რას მიყვირიან, ან რას მბრძანებენ? უნდა ვიკითხო, რკინიგზიდან გადახტა და მემანქანეს მიჰყვებოდა:

— უქვიშოდ რად წამოხვედი? არ იცოდით, რომ დავკირდებოდა?

— გამოგველია, — უპასუხა მემანქანემ. — პატარა საქეში ვეაქვს.

— საუადაოიგოც დაუყენეთ, — დაარიგა ვასიამ. თან ორთქლმავალს გვერდით მიჰყვებოდა. — ძველი თუნქისაგანაც გაკეთდება. მე-თუნქებს დაუყვეთ.

მემანქანე ბიჭს დააქებდა, მაგრამ სიბნელეში მისი სახე კარგად ვერ ვაარჩია. ვასია წესიერად იყო შემოსილი, ფახსაცმელიც ეცვა. მომკრო სახე ჰქონდა და მანქანას თვალს არ აშორებდა. მემანქანეს შინ თავადაც ასეთივე ბიჭი ვხრდებოდა.

— ორთქლიც იქიდან გამოდის, საიდანაც არ უნდა გამოდიოდეს: ცილინდრსა და ქვაბს გვერდიდან ეპარება. — ამბობდა ვასია. — ნახტრეტიდან ძალა ტყუილ-უბრალოდ იყარება.

— დაზე ამას! — თქვა მემანქანემ. — მოდი, ჩემ ადგილას შენ დაეკვირვებოდი და თანაშემწეს ვაჩვენებდი, მე კი გვერდით გამოვიყვები.

— კარგი! — დაეთანხმა გახარებული ვასია. ორთქლმავალმა ბორბლები ერთბაშად წითელი სიჩქარით დაატრიალა ერთ ადგილას, თითქოს შებორკილია და ტყუილად თავის დახსნას ლამობსო მის ქვეშ რელსებზეც კი დიდ მანძილზე იწყო დანდგარი.

ვასია გაქანდა, კვლავ ორთქლმავალს ჩაუდგა წინ და მანქანის წინა მორბედების ქვეშ რელსებზე ქვიშის დაყრას შეუდგა. „საკუთარი შვილი რომ არ მყავდეს, ამ ბიჭს ვიშვილებდი“, — ბუბუბუტებდა მემანქანე და თან ორთქლმავლის ბუქსაობას ანდობდა. — ჭერ თითისხელაა და უკვე ნამდვილი კაცია. მერე რაღას იზამს... რა დღეის წყაროა: სადმე ბოლოში მუხრუჭები ხომ არ უჭერს. ბრიგადა კი ისე თვლემს, თითქოს კურორტზე ვიყოთ. ერთი ამ აღმართს გაეცდეთ და მერე ნახონ, ანგელოზებს როგორ დაუფურთხოზო! მემანქანემ ორი გრძელი საყვირი მისცა, რომ მუხრუჭები მოეშვათ, თუ სადმე უჭირდა.

ვასიამ უკან მიიხვედა და რკინიგზიდან გადავიდა.

— რას შერები? — დაუყვირა მემანქანემ.

— კმარა, — უპასუხა ვასიამ. — ახლა ისეთი აღმართი აღარაა, ორთქლმავალი უჩემოდაც ივლის. მერე კი თავქვე დაეშვება..

— შეიძლება, შეიძლება, — თქვა ზემოთ მემანქანემ. — აბა, დაიჭი! — ჩამოსძახა ბიჭს და ორი დიდი ვაშლი გადმოუვლო.

საღვრიე პლატფორმაზე
მომოსრობნები



ვასიამ ეაშლები აკრიფა.

— მოიცა, ჭერ ნუ შეჰქამ! — უთხრა მემანქანემ, — უკან რომ გაბრუნდები, თუ ხათრი გაქვს, ვაგონებს ქვეშ შეიხედე და ყური მიუგდე: სადმე მუხრუჭებია ხომ არ უქერს. მერე ბეჭობზე შედევთ და ფარნით სიგნალი მაჩვენე. ხომ იცი, როგორც უნდა?

— მე ყველა სიგნალი იცი, — უპასუხა ვასიამ და ორთქლმავლის კიბეს ჩამოკეცა, რომ ცოტა გაესეირნა. მერე დაიხარა, სადღაც ორთქლმავლის ქვეშ შეიხედა და შეჰკვივრა:

— უქერს!

— სად? — ჰკითხა მემანქანემ.

— შენთან, ტენდერის ქვეშ. ერთი ურიკის ბორბლები ნელა ბრუნავს, მეორისა კი სწრაფად!

მემანქანემ საკუთარი თავიც გამოლანძღა, თანამემწეც და მთელი ქვეყნიერებაც. ვასია კი კიბიდან ჩანჭა და შინისკენ წავიდა.

შორს, მიწაზე იმისი ფარანი ციმციმებდა. ვასიამ მიინც მიუგდო ყური, ვაგონების წაწყვანი ნაწილები როგორ მუშაობდა, მაგრამ სამუხრუჭე ხუნდების ხახუნის ხმა ან ღრუბლი არსად გაუგონია.

მატარებელმა ჩაიარა. ბიჭი კი იქით შეტრიაილა, სადაც ფარანი ეგულებოდა. ფარნის შუქი უცებ აიჭრა. ფარანი ვილაცამ აიღო. ვასია იქით გაიქცა და მამა დაინახა.

— ხბო სადღაა? — ჰკითხა ბიჭმა მამას. — მოკვდა?

— არა, გამოკეთდა, — უპასუხა მამამ. — დასაკლავად გავყიდე. კარგი ფასი მომცეს. სახარე ხბო რად გეინდოდა.

— ჭერ ხომ პატარა იყო, — თქვა ვასიამ.

— პატარა უფრო ძვირია, ნაზი ხორცი აქვს, — უთხრა მამამ.

ვასიამ ფარნის თეთრი მინა მწვანით შეცვალა და სასიგნალოდ რამდენჯერმე ნელა ასწია და დასწია, ისე რომ მშავალი მატარებლიდან დაენახათ: ვანავრძონ გზა, ვაგონების ქვეშ ბორბლები თავისუფლად ბრუნავს. მუხრუჭები არსად უქერს.

ირგვლივ სიმყუდროვე ჩამოვარდა. რკინიგზის დარაჯის ეზოში ძროხამ ხნადაბლა, მწუხარედ წამოიბღვლა. შეიღს ელოდებოდა, არ ეძინა.

— შენ შინ წადი, — უთხრა მამამ ვასიას, — მე კი ჩვენს უბანს შემოვივლი.

— ინსტრუმენტები თან რომ არა გაქვს, — შეახსენა ვასიამ.

— ისე გავივლი. ვნახე, ბიჭები სად არის მორაკული. ასლა არ ვიშუშავებ, — ხნადაბლა თქვა მამამ. — ხბო მეტრალეა. შეილივით ვხრდივით. მივეჩვიეთ... რა ვიცოდი, ასე თუ შემებრალეობდა, თორემ არ გავყიდდი...

მამა ფარნით ხელში რკინიგზას გაუყვია. ხან

მარჯვნივ იცქირებოდა, ხან მარცხნივ. მარცხნივ ვალეირებდა.

ვასიამ ქიშკარი შეაღო და ეზოში შევიდა. ძროხამ ადამიანის ფეხის ხმა რომ გაიგონა, კვლავ გაბმით დაიბღვლა.

ვასია ფირფიტაზე შევიდა და ძროხას დააქერდა. სიბნელეს თვალს აჩვენებდა. ძროხა აღა ჰამდა. უხმოლ, დუნედ სუნთქავდა. გული დარდისაგან დამძიმებოდა. მწუხარებისაგან ახლა ვეღარაფერი დაიხსნიდა. ნაღველი უფროდაუფრო ემატებოდა, რადგან თავს ვერ იმუგეშებდა ვერც სიტყვით, ვერც გონებით, ვერც მეგობრით, ვერც ვასარდობით, როგორც ადამიანს სჩვევია. ვასია დიდხანს უსჯამდა ხელს და ეფერებოდა, მაგრამ ამაოდ. ძროხა გაუნძრევლად იდგა, თითქოს ვერაფერს გრძნობსო. მის ახლა მხოლოდ ის უნდოდა, გვერდით თავისი შეიღო — ხბო ჰყოლოდა. შეიღის მაგიერობას ვერაფერი გაუწევდა: ვერც ადამიანი, ვერც ძალახა, ვერც მზე. ძროხამ არ იცოდა, რომ შეიძლებოდა, ერთი ბედნიერება დაევიწყებინა, სხვა ბედნიერება ეპოვა და უტანჯველად ეცხოვრა. თავს ვერ მოიტყუებდა. მის დაბინდულ გონებას საამისო ძალა არ შესწევდა. რაც ერთხელ შეივრძოდა, რაც ერთხელ გულში ჩაისახა, იმას ვეღარაფერი დათრგუნებდა, ვეღარაფერი ვადავიწყებდა.

ძროხა ნაღველიანად ზღაოდა, რადგან მთელი არსებით ემორჩილებოდა ცხოვრებას, ბუნებას და სიყვარულს შეიღისას, რომელიც ჭერ იმხელა არ იყო, რომ მიეტოვებინა. გულ-მუცელი უხურდა და სტკიოდა. სიბნელეს სევდით აღსავსე დიდრონი თვალებით აცქერდებოდა, მაგრამ არ შეეშლო, საკუთარი თავი ცრემლით დაემბუხებინა და მწუხარება შეენელებინა.

ძლივთ ვასია აღრიაანად წავიდა სკოლაში, მამამ კი ერთსახისიანი გუთანვი გამართა. ცოტა მიწა უნდა მოეხნა რკინიგზის გასწვრივ, რომ გაზაფხულზე ფეტვი დაეთესა.

სკოლიდან დაბრუნებულმა ვასიამ ნახა, რომ მამას ძროხა გუთანში შეება და ხნადა, მაგრამ ცოტა მოეხნა. ძროხას თავი დაეხარა და გუთანს მორჩილად მიათრევადა. პირიდან ღორბლი ჩამოსდიოდა. ვასია და მამამისი ადრეც ამუშავებდნენ. ძროხა უღელს მიჩვეული იყო, გაოჩნება არ იცოდა და კარგად ხნავდა.

სალამითი მამამ ძროხას უღელი მოხადა და ნაწვევარზე საძოვრად გაუშვა. ვასია სახლში მაგიდასთან იჯდა, ვაკეითლებს ამზადებდა და დროდადრო ფანჯარაში იცქირებოდა — ძროხას ვაჟყურებდა. ძროხა იქვე, მინდორში იდგა. არ სძოვდა, ადგილიდანაც არ იძვროდა.

გუშინდელივით საღამო ჩამოვდა, დაბინდული და უღიმღამო. საბუბოზე ფლუგერი ქრიალებდა, თითქოს შემოდგომის დაუსრულებელ საგალობელს მღერისო. ძროხა ჩამუქებულ მინდორს გასცქეროდა, შეიღს უცდიდა. ასლა

აღარ ზღაოდა, ზონს აღარ მოუხმობდა, ითმენდა და მეტს ველარაფერს გრძობდა.

ვასიამ გაქვეითლები მოაწადა, პურის ნატრეს მარლილი დაყარა და ძროხას წაუღო. ძროხამ პირიც არ დააკარა, ისევ ისე გაუნძრევლად იდგა. ვასიამ ერთხანს უყურა, მერე წინიდან მოუარა და კისერზე ხელები მოჰხვია. უნდოდა ეგრძობინებინა, რომ მისი მწუხარება ესმოდა და კვლავ ძველებურად უყვარდა. მაგრამ ძროხამ თავი აიქნია, ბიჭი მოიშორა, უცხო ხმით ამოიბლაგლა და მინდორში გაიქცა. კარგა მამიძლი რომ გაიბრინა, უცებ შემობრუნდა და ვასიასკენ თავდაღულუნად გამოიქცა. ხან მალა შეხტებოდა, ხან წაიფორჩილებდა. ვასია იდგა და უცდიდა. ადგილიდან ფეხსაც არ იცვლიდა.

ძროხამ ბიჭს გვერდით ჩაურბინა, ეზოსაც გასცდა და დაბინდულ მინდორში გაუჩინარდა. მისი ყრუ ზღაველი ვასიამ ერთხელ კიდევ გაიგონა.

მამა, კოლმეურნეობის კოოპერატივიდან დაბრუნებული დედა და ვასია სოფლის ირგვლივ, მინდვრებში, სხვადასხვა მხარეს შუალამემდე დადიოდნენ და ძროხას მოუხმობდნენ, მაგრამ ძროხა არსად ჩანდა, მათ ძახილს ერთხელაც არ გამოხმალურებია. ნავახშემეცს დედა ატირდა, მარჩენალი დეკარგეთო, მამამ კი ურთიერთდამხარე სალაროში და პრაფკავშირში მისატანად განცხადებები დაწერა, სხვა ძროხის შესაძენად სესხს თხოულობდა.

დღილით ვასიას ყველაზე ადრე გაეღვიძა. ფანჯრებს იქით ისევ რუხი ბინდი იდგა. ვარედან ქშენის ხმა და რაღაც შარი-შური შემოესმა, ფანჯრიდან გაიხედა და დაინახა, რომ ძროხა ჭიშკართან იდგა და იცდიდა, ეზოში როდის შეუშვებდნენ.

ამის შემდეგ თუმცა აღარსად გაქცეულა და მუშაობდა კიდევ, თუ მიწა ჰქონდათ მოსახნავი, ან კოლმეურნეობიდან ფქვილი იყო მოსატანი, მაგრამ რძე მთლად გაუშრა, მიუხევედრელი და უკარება თვია. ვასია თივას აუთონი უყრიდა, წყალსაც თვითონ ასმევდა და ასუფთავებდა, მაგრამ ძროხა მის მზრუნველობას თითქოს ვერ ამჩნევდა, მისთვის სულ ერთი იყო, როგორ მოექცეოდნენ.

დღისით ძროხას მინდორში გაუშვებდნენ ხოლმე, იქნებ თავის ნებაზე ყოფნამ გამოაკეთოსო. მაგრამ ძროხა ცოტას დადიოდა. დიდხანს ერთ ადგილას იდგა, მერე ორიოდ ნაბიჯს გადადგამდა და კვლავ გაჩერდებოდა. ავიწყდებოდა, რას აკეთებდა. ერთხელ რკინიგზაზე ავიდა და შპალუბს ნელა გაუყვა. ვასიას მამამ დაინახა, ლიანდაგიდან ვადმოიყვანა და მინდორში გაუშვა. ადრე კი ძროხა ფრთხილი და გონიერი იყო, რკინიგზას ერთდებოდა, თავისთვის ფეხს ზედ არასოდეს შედგამდა. ამიტომ ვასიას ეწინაოდა, მატარებელმა არ გასარისოს ან

სხვა რამ არ დაეშართოსო. კლასში რომ იჯდა, სულ ძროხაზე ფიქრობდა და გავვეთხოვნი დაუმთავრებოდა თუ არა, უმალ შინისკენ გამობრუნდა.

ერთხელაც, როცა უმოკლესი დღეები დადგა და მალე დაბინდდა, სკოლიდან დაბრუნებულმა ვასიამ თავიანთი სახლის წინ გაჩერებული საბარგო მატარებელი დაინახა და შემფრთხილებული მამინევი ორთქლმავლისკენ გაიქცა.

ნაცნობი მემანქანე, ამას წინათ ვასია მატარებლის წაყვანაში რომ ეხმარებოდა, და ვასიას მამა ცდილობდნენ, ვასიასილი ძროხა ტენდერის ქვემოდან გამოეთრიათ. ვასიას მუხლი მოეკვება და გზის პირას ჩაქდა. ახლობლის სიკვდილი პირველად განიცადა და ელდამ ერთ ადგილას გააქვავა.

— ათ წუთს მაინც ვაძლევდი სიგნალს, — ეუბნებოდა მემანქანე ვასიას მამას. — ყრუ ხომ არ იყო, ან რეტიანი? სხვა გზა აღარ მქონდა, მატარებელი სასწრაფოდ დავამუხრუქე, მაგრამ მაინც ვეღარ მოვაწარი შეჩერება.

— ყრუ არ იყო, მაგრამ ბ ლო დროს გამობენტირდა, — უთხრა მამამ. — ალბათ ჩათვლიმა.

— არა, ორთქლმავლის წინ გარბოდა, მაგრამ არ აჩქარებულა, ლიანდაგიდან გაქცეულა ვერ მოისაზრა, — უპასუხა მემანქანემ. — მე მეგონა, მოისაზრებდა.

მამას და მემანქანეს მეცეცხლური და მემანქანის თანაშემწეც მიეხმარნენ. ძროხის დასახინრებული სხეული ტენდერის ქვემოდან გამოათრის და რკინიგზის გვერდით, მშრალ თხარლში გადაიტანეს.

— ხტრის არა უშავს, — უთხრა მამას მემანქანემ. — ზამთრისთვის ჩამაბრლებ, თუ გაჰყიდო?

— გაყიდვა მომიხდება, — თქვა მამამ. — სხვა ძროხის საყიდლად ფული უნდა მოვაგროვო, თორემ უძროხოვად გავგიჟირებო.

— გავიჭირებოთ, მამ რა იქნება, — დეთანხმა მემანქანე. — ფული მოაგროვე და იყიდე. მეც ხელს წავაგმარებ. ბევრი ფული არა მაქვს, მაგრამ ცოტას გამოვქვებნი, პრემია მაქვს მისაღები.

— კი მაგრამ, რა მოვალე ხარ? — გაიკვირვა ვასიას მამამ. — არც ნათესავა ვარ შენი და არც არაფერი... ჩემითაც ? ავხებრებ რაღაცას: პრაფკავშირი დამეხმარება, სალარო, სამსახური... ხომ იცი, ზოგს სენი მომცემენ, ზოგს ისინი...

— ჰოდა, მეც დაგიმატებ, — თავისას არ იშლიდა მემანქანე. — შენი შვილი მე დამეხმარა,

ანდრეი პლახუნოვი

მომხრობანი



ახლა კი ჩემი ჯერია. აგერ, აქ არა მდგარია გამარჯობა! — გაუღიმა ვასიას.

— გავიმარჯოს! — უპასუხა ვასიამაც.

— ჩემს სიტყვებში არაფერს გამისრუტავს, — თქვა მემანქანემ. — ერთხელ ძალდი გავეყლიტე მხოლოდ... გული არ მომიხეცნენ, ძროხის საფასური ცოტა მაინც რომ არ გადავიხადო.

— პრემიას რაზე გაძლევენ? — ჰკითხა ვასიამ. — შენ ხომ მატარებელი ცუდად დაგყავს.

— ახლა არა მიშავს, — გაცინა მემანქანეს. — გავიწაფე. მასალა არ გვეოფნის, შვილო. ერთ ვერცხვას ზედმეტ ძენსაც არ გვაძლევენ. ცუდად ამიტომ დამყავს მატარებელი.

— მეორე საქვიშე დააყენეთ? — კითხა ვასიამ.

— არა, პატარა საქვიშე დიდით შევიკვალეთ. — უპასუხა მემანქანემ.

— ძლივს არ მიხვდით! — შეაკრად უთხრა ვასიამ.

ამ დროს შთავარი კონდუქტორი მოვიდა და მემანქანეს ჭაღალდი მისცა, სადაც გადასასვლელზე მატარებლის შეყოვნების მიზეზი ჩაეწერა.

მეორე დღეს მამამ ძროხის ხორცი შოლიანად რაიონის სასოფლო კოოპერატივს მიჰყიდა. ხორცი წასაღებად სხვისი საზიადარი მოვიდა. ვასია და მამამისი ამ საზიადარს ვაჰყვენენ. მამას ხორცის საფასური უნდა მიეღო, ვასია კი მაღაზიაში წიგნების ყიდვას აპირებდა. მამა-შვილმა დამე რაიონში გაათია. მეორე დღეს სადღეობაზე საყიდლებზე დადიოდნენ, ნასადილევის კი უკან გამობრუნდნენ.

გზად იმ კოლმეურნეობაში უნდა გავეცოთ, სადაც ვასიას შეიღწეული იყო. იქაურობას მაიღწივს თუ არა, დაუდამდათ კიდევ. ამიტომ

ვასია შინისკენ აღარ წასულა ღამის განმავლობაში. სკოლის დირაჯთან დაჩნა, რომ დღით აღრე ადგომა აღარ დასჭირებოდა და გზაზე ტყუილ-უბრალოდ არ დალილიყო. შინ მარტო მამა დაბრუნდა.

სკოლაში დღითვე დაიწყეს პირველ მეოთხედში განვლილი მასალის შემოწმება. მოწაფეებს ასეთი თემის დაწერა დაავალეს: „როგორ უნდა ვიცხოვრო და ვიმუშაო, რომ სამშობლოს სარგებლობა მოვუტანო“.

ვასიამ დაწერა: „როგორ ვიცხოვრებ, არ ვიცი, ჯერ არ მიფიქრია. ჩვენ ძროხა გვეყავდა. როცა ცოცხალი იყო, მის რქეს ვსვამდით მე, დედამეც და მამაჩემი. მერე შვილი — ხბო გაჩინა. ისიც მის რქეს სვამდა, ჩვენ საშინ და ის მეოთხე, მაგრამ ყველას გვეოფნიდა. ამას გარდა ძროხა ხნავდა და ტვირთსაც უზიდებოდა, მერე მისი შვილი გავყიდეთ. ხბო დაკლეს და შექამეს. ძროხა იტანჯებოდა, მაგრამ მალე მატარებელმა გასრისა. ისიც შექამეს, რადგან ძროხის ხორცი საქმელია. ახლა არაფერი აღარ არის. რა იქნენ ძროხა და მისი შვილი — ხბო? არაფერ იცის. მათგან კი მხოლოდ სიკეთე გვახსოვდა. ძროხამ ჩვენ მოგვცა ყველაფერი: რძე, შვილი, ხორცი, ტყავი, შიგნეული და ძვლები. ძროხა კეთილი იყო. მეც მიინდა, რომ ჩვენი სამშობლოს ხალხს სარგებლობა მოვუტანო. მიინდა, რომ ჩემგან ყველას სიკეთე ახსოვდეს. მე კი ცოტაც მეოფნა, იმიტომ რომ მასსოვს ჩვენი ძროხა და არასოდეს დავივიწყებ“.

ვასია შინ დაბინდებისას დაბრუნდა მამა სახლში დახვდა. რკინიგზიდან იმ წუთის შემობრუნებულები. დედას ორ ცალ ორმოცდაათმანეთიანს აჩვენებდა, მემანქანეს ორთქლმაგლიდან თამბაქოს ჭისით რომ გაღმოეგდო.

ს ე მ ი ო ნ ი

შვიდი წლის ბიჭი ზაფხულის გრძელ დღეს ისე ატარებდა, დლიდან საღამომდე მოსვენება არ ჰქონდა: მოსავლელად ორი უმცროსი ძმა ებარა, სულ პატარა დას კი დედა უვლიდა. მასზე ფიქრი უფროს მამას ჯერ არ აწუხებდა. მაგრამ იცოდა, რომ ისიც მალე მისი საბატრონო გახდებოდა, რადგან დედას მუცელი კვლავ ებერებოდა, თუმცა შვილს არწმუნებდა, საქმელი მბერავსო. შვიდი წლის სემიონ პონომარიოვს გულკეთილი დედამამა ჰყავდა. ამიტომ დედა შვილებს ზედზედ აჩენდა ცოტა ხანს მოაწოვებდა ძუძუს და მალევე დაორსულდებოდა.

— იცოცხლონ. — იტყოდა ხოლმე მამა, როცა შეიტყობდა, რომ ცოლი კვლავ დაორსულდა, — იქ რად უნდა იტანჯონ?

— მამა, იქ სად არიან? — ჰკითხავდა სემიონი. — მკვდრები არიან?

— მშ რა, — ეტყოდა მამა, — რახან გვერდით არ გყვანან, მკვდრები არიან?

— იქ იტანჯებიან? — ჩაეკითხებოდა სემიონი.

— ხომ ხედავ, აქეთ რომ მოიწევენ, მამ იტანჯებიან, — უპასუხებდა მამა, — ჩვენთან არ უღვინთ, უკვე დიდი ხარ და თავადაც კარგად იცი, მაგრამ იქ უარესად არიან...

— რა დღეში ვართ, — ამოიხრებდა დედა და უმცროს გოგონა პირში პურის გულს ჩაუღებდა. — ოჰ, რა დღეში ვართ...

მამა მშვიდი, ძლიერ თვალებს მიაპყრობდა და ეტყოდა:

— არა უშეაწ. დაზარდებთან: რომ არ ცოცხლობდნენ, უარესი იქნებოდა.

სემიონი დაბადების შემდეგ სამ-ოთხ წელიწადს იყო მოსვენებული და ყრობის უსრუნველად ატარებდა. მერე კი მოკლა რა იყო, აღარ იცოდა. მამამ კალათს რკინის ძელები დაუყენა და ურია ვაშარათა, დედამ კი სემიონს უმცროსი ძმა ამ ურიაში ჩაასმევინა და უთხრა, სანამ სადილს მოვაშალებ, ეზოში ასეირნეო. დღისით უმცროს ძმას ეძინა, მაგრამ სემიონი ურიაში ცოტა ხნით თუ გააჩერებდა, მაშინვე გაიღვიძებდა და ატირდებოდა. სემიონიც რაღას იზამდა, ურია კვლავ ეწოდა ირგვლივ უნდა ეგორებინა. ჩაველო ფარდულთან, ფეხისადგილთან, ზღრის კართან, ფლიგელთან, ტყრუშულ ღობესთან, ჭიშკართან და ისევ ფარდულთან დაბრუნებულიყო. როცა მეორე ძმა დაიბადა და ცოტა წამოიზარდა, სემიონი ორივეს ერთად სვამდა ურიაში და ეზოს ირგვლივ მანამდე დაატარებდა, სანამ ქანცი არ გამოეღებოდა. სულის მოსათქმელად ფანჯარასთან შეჩერდებოდა ხოლმე და დედას პურსა სთხოვდა, დედა პურის ნატეხს მისცემდა. სემიონი კვლავ ურიკის სახელურებს ჩაუქიდებოდა და გულჩათხრობილი ვაუყვებოდა დაუსრულებელ გზას. ეზოში მიმოფანტულ ნაჭებს, ნაგავს, ქვევსა და აქა-იქ ამოჩრილ ბალახს შორის. ყველაფერს თვლემამორეული, მიღებული თვალებით დაჰყურებდა და რაღაცას ეჩურჩულებოდა, თუ უაივისთვის ფიქრობდა, რომ ისინიც მისი მსგავსნი იყვნენ და ამიტომ სანადგეო არაფერი ჰქონდა: ისინი ხომ დუმდნენ და არ ნადვლობდნენ. არ ნადვლობდა არც ნაჭა, არც ბალახი. სემიონი ზოგჯერ ურიაში მჯდარ ძმებსაც ელაპარაკებოდა, მაგრამ იმათ ბევრი არაფერი ესმოდათ და მხოლოდ ტირილი ემარჯვებოდათ. თუ ტირილს აღარ მოათავებდნენ, სემიონი დასჯიდა, თავში თითოჯერ წაუთაქებდა. მაგრამ ეს იშვიათად ხდებოდა. სემიონი ხედავდა, რომ ძმები საცოდავები იყვნენ და, ვინ იცის, იქნებ იმიტომ ტირილდნენ, რომ ეშინოდათ, ისევ იქ არ შეგვერკონ, სადაც მკვდრები ვიყავით, ვიდრე დავიზადებოდიოთ. „იცოცხლონ“, — იტყუადა ხოლმე გულში სემიონი. დროდადრო ფანჯარას მიადგებოდა და დედას ეკითხებოდა:

— დედა, არ კმარა?

— არა, არა, კიდევ ასეირნი! — უბასუხებდა დედა ოთახიდან, სადაც სადილს ამზადებდა, უმცროს გოგოს აკმევედა და არწევდა, თეთრეულს აყვებდა და იატაკს ხეხავდა. ორიოდე კაიკს, თითქოს დიდი ჭონებსააო, ისე დაჰკანკალებდა. ძუძუთა ბავშვს ხელში აიყვანდა და საწყობებისკენ გასწევდა შუშის მოსაგროვებლად. იქ გლეხები შუშას ურმებით ეხუდებოდნენ. თუ ერთი-ორი ღერი ჩამოუვარდებოდათ, აღარ იღებდნენ, რომ ცხე-

ნებს შეღავათი მისცემოდათ, — შუშა სხვისი იყო, ცხენები კი მათი.

სემიონის მამა მკვდელი იყო, სამკვდლოში მუშაობდა მოსკოვისკენ ათას ვერსზე და კიდევ უფრო შორს ვაკიშული შარავნის პირას. შინ მხოლოდ ძიანებდა, დილით ყველაზე ადრე იღვივებდა, პურის ყუას აიღებდა და წავიდოდა. ზამთარ-ზაფხულ შინ გვიან, დაღამებულზე ბრუნდებოდა და უფროს შვილს, სემიონს, მღვიპარეს იშვიათად თუ მიუწერებდა. ვიდრე დაწვებოდა, მძინარე შვილებს შორის იატაკზე გაჩრდიბობდა, აველმანებს წაახურებდა და ყველას თავზე ხელს მოუთათუნებდა. სიყვარულს ან სიბრალულს კი არ გამოხატავდა, თითქოს პატიებას სთხოვდა, რომ ღარიბულად აცხოვრებდა. მერე იატაკზე შვილების გვერდით მძინარე დედას მიუწევებოდა, სიცოცხისგან გაფიჩხებულ ფეხებს თბილ ფეხებზე მიყარავდა და ჩაიძინებდა.

ბავშვები ვალეიძებისთანავე ატირდებოდნენ, რადგან შიოდათ და სწყუროდათ, თანაც სიცოცხლეს მიუჩვეველი იყვნენ და ეუცხოვებოდათ. ძელები ჭერ არ გამაგრებოდათ და მუდამ რაღაც სტიკოდათ მხოლოდ სემიონი არ ტირიდა. შიმშილს მღუმარედ იტანდა. ჭერ ძმებზე ზრუნავდა, მერე კი დედასთან ერთად შუქამდა იმას, რაც პატარებს მორჩებოდათ. დედას ცხოვრება გამოეღლია ჰქონდა და შიმშილი ისერიგად ვეღარ გატანავდა. სემიონი კი სადილობამდე უგუნებოდა იყო. ამებს ურიათი დამწუხრებული დაავიწყებდა, რადგან შიმშილისგან გული ელეოდა. საქმელზე ფიქრი თავიდან რომ მიეშორებინა, ხმა-დაბლა სლუფუნებდა. ძმები ურიადან შუქყურებდნენ, ფიქრობდნენ, რაღაცისა ეშინიანო, და თავადაც შემინებულნი ყვიროდნენ. მაშინ სემიონი დუმელიდან გამოხვეტილ ნაცარს გაქვქვდა, ნახშირის ნატეხებს ამოარჩევდა, ან ფლიგელის კედელს კირს ჩამოაფხვნიდა და ძმებს პირში ჩაუდებდა. ისინი ხარბად იწყებდნენ ნახშირის ლოწან-ყლაპვას და ჩუმდებოდნენ. სემიონი ურიკას ფარდულის უკან მიაგორებდა, სადაც საქათმის, ტყრუშული ღობისა და ფარდულის კედელს შორის ძირხენის ბუჩქები იდგა, თუნუქის კოლოფები და ნაგავი ეყარა, ძმებს იქ დატოვებდა, თავად კი ქუჩაში ვაკიდოდა. მეზობლის სახლებს ჩაუფლიდა და იქაურობას ათვლიერებდა, იქნებ რამე ვიპოვოო. ყველაზე მეტად გამოხარული ევლის ან სტაფილოს პოვნა ახარებდა. როცა იპოვებდა და შუქამდა, გული სიამისგან მოუღებოდა, გაიცინებდა და სწრაფად ძმებს მიაშურებდა. ეშინოდა, ურიაიდან არ ჩამოხობდნენ და უგზოუკვლოდ არ დი-

ანდრეი პლატონოვი
მოთხრობები



კარგონო ჰერანგის კალთას ააწედა, თან გარბოდა და თან მუცელზე დაიყურებოდა. ენვენებოდა, რომ იქ ვიღაც ცხოვრობდა. ეს ვიღაცა ხან ტანჯავდა, ხან კი აამებდა. თუმცა ერჩივნა, რომ მუცელში არავინ ჰყოლოდა და მარტოს მოსვენებით ეცხოვრა.

ძმებს ურიკიდან გადმოძრომა თავისითაც შეეძლოთ. ერთი მხოლოდ დაბობლავდა, მეორეს კი ფეხი ახლად ჰქონდა აღმშული. სიარული რომელმაც იცოდა, შორს ვერ წავიდოდა, რადგან ყველაფერს ეჯახებოდა. ხან შუბლს იტყენდა, ხან ფერდს, ხან მუცელს. ამიტომ სიარულს მალე თავს ანებებდა, მიწაზე გავორდებოდა და ატირდებოდა. უფრო საფრთხილო უმცროსი ძმა პეტკა იყო. მთლად ჩვილ, ჩაფრთხულმულ პეტკას ბობლვის ვარდა არაფერი შეეძლო. თანაც ძალზე ნელა დაბობლავდა. ამიტომაც არაფერს ეჯახებოდა. ჭერ ერთ ღობეში გაძვრებოდა, მერე მეორეში, ვიღაცის ჩხოში გადაბობდებოდა და ბალახში ან ბუნჩებში შეიმალვებოდა, ანდა ძაღლის ჭიხურაში ჩაიძინებდა.

სემიონი ძმებს კვლავ ურიკაში ჩასვამდა, ეზოში გააგორებდა და თან ქვეყნის ამხავს უამბობდა. ეტყოდა აქეთურს, იქითურს, ციხას, მიწისას. ქალაქში ცად აზიდოდა კოშკები დგას, შიგ მხოლოდ მდიდრები ცხოვრობენო, — მას ხომ ცხოვრება გამოვლილი ჰქონდა და ყველაფერი ენახა: ამბობდა, ტყის პირას რკინის სახლი მიღვას, ღამლამობით მივიღივარ და მარტოდმარტო ვცხოვრობ. ყველას შიშის ზარსა ვცემე, რადგან იქ მგლების მეფედ ვმსახურობო. ძმები გულის კანკალით უსმენდნენ და ყველაფერს უჭერებდნენ. პეტკას ცოტა რამ ესმოდა, მაგრამ მინც ეზინოდა. სემიონი საკუთარ ნაამბობს თვალდა გულისყურით უსმენდა. თუმცა რკინის სახლი არ ჰქონდა და არც მგლების მეფედ მსახურობდა ღამლამობით, მაგრამ თავისივე შეთხზული ზღაპარი სიამეს ჰკვირდა. ძმები პირდაღებულნი შეჰყურებდნენ, თვალმდსაც კი აღარ ახამხანებდნენ. სემიონი დიდი, საზარელი კაცი ეგონათ. თავად ორიოდე სიტყვა თუ იცოდნენ, მოსაყოლივ არაფერი ჰქონდათ და ამიტომ უფროსი ძმის ნაამბობი თავგზას უბნევდათ.

მაგრამ სემიონს უმცროსი ძმები უცებ შეეგბრალებოდა მათ ხომ იმდენი ჰქუდაც კი არ ჰქონდათ, რომ თავი კარგებად წარმოედგინათ, ჭერ იმასაც არ ნახევეოდნენ, რომ მხოლოდ საკუთარი არსება ჰყვარებოდათ. ბავშვები უფროს ძმას ნდობით, საწყალობლად შესცქეროდნენ. შეთხზული აზრის ან ცრუ ქედმაღლობისგან მათი თვალები სიხარულით ტბობას არ გამოხატავდა. მათთვის სულ ერთი იყო, ვინ იქნებოდა ბედნიერი, თავად ისინი თუ სხვა ვინმე. ოღონდაც ბედნიერება ყო-

ფილიყო ნადმე, მათ ეს სცოდნოდათ და მათ არ შეჰპაროდათ.

— მე მეფედ არ ვმსახურობ, ვიცრუე, — სევდიანად იტყოდა სემიონი. — მაშინ ხომ ფულის ან ძროხის ხორცს მინც მოვიტანდი შინ. თორემ ძალიან გვიკირს, არაფერი არ გვეყოფინს...

— შენც წადი, ძროხის ხორცი მოიპარე და დედას მიუტანე, — ურჩევდა სემიონს მომადენელ ძმა, სუთი წლის ზახარი, — დედა ამბობს დარდმა თავი ამატკიავო.

ზახარს უკვე შეეძლო, სამოვრის ასადუღებლად ნაფორები მოეგრკოვებინა. სადილობისას კი დედას აკვირდებოდა, რამე არ დამაჯლოსო. იცოდა, რომ მამას ყველაზე მეტი საქმელი სჭირდებოდა, სემიონს მასზე ოდნავ მეტი, პეტკას კი ყველაზე ცოტა, — პატარა იყო და იოლად ძღობოდა.

ერთხელ დედამ სემიონს სადილობამდე გაიშინა ფანჯრიდან:

— ჩქარა, შინ შემოდი! მშობიარობის ტკივილები დასწყებოდა და შვილი ბებია ქალის, კაპიშკას მოსაყვანად გაგზავნა. სემიონი მაშინვე გაიქცა და დედაბერი სელაფერდელში მოიყვანა. ამ ქალს მანამ დედა იცნობდა. კაპიშკა დიდი ხანია უკვე მამაკაცს დამგვანებოდა. სახე სიბერისგან და, შესაძლებელია, ბოღმისაგანაც მთლად გამოქვანებოდა; საულვაშზე კი თეთრი ბალანი წამოზრდოდა. დედაბერი ისეთი გამზდარი იყო, რომ სემიონს გზაზე ესმოდა. მის სხეულში რაღაც როგორ ხრამუნობდა და ღრჭიალებდა. ალბათ ძარღვები ძელებს ეხახუნებოდა.

კაპიშკამ დედას ძუძუთა ბავშვი, ყველაზე უმცროსი გოგო გამოართვა, სემიონს ჩაახარა და უთხრა, შინ გვიანობამდე ნუ შემოხვალ. სემიონმა გოგო ძმებს შუაში ჩაუსვა და თქვა, დედა ბავშვს კიდეე აჩენს და ცხოვრება ახლა უფრო გავევირდებო. მერე ურიკა საქათმის უკან გაავარა. იქ მყუდროება სუფევდა და ბავშვებმა ჩათვლიმეს, რადგან შუადღე უკვე გადავიდა, სადილობის დრო დადგა, დედა კი შეუძლოდ იყო. სემიონმა ურიკა დაარწია, რომ ბავშვებს ღრმად ჩასძინებოდათ, თავად კი შინ დაბრუნდა და ჩაბნელებულ დერეფანში დაიშალა. სურდა შეეგტყო, აღამიანი როგორ იბადებოდა და რა აცოცხლებდა. მწუხარებისა და შიშისაგან კანკალებდა. ოთახში დედა ხან ყვიროდა, ხან კენესოდა, ხან რაღაცას ჩურჩულებდა. კაპიშკა აწყარუნებდა, რაღაც ქსოვილს წეროდ ნაჭრებად ხევდა, ისე საქმიანობდა, თითქოს საკუთარ სახლშიყო.

— ნუ ტირი, ნუ წუხხარი შვილო, — უთხრა კაპიშკამ სემიონის დედას. — მოდი, გვერდით მოვიწვები, იქნებ ცოტა მოვეშვას.

კაპიშკა ცოტა ხანს ხენეშოდა, მერე კი ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. დედაბერი აღ-

ბათ იატაკზე დაფენილ ლიბზე დაწვა დედის გვერდით. დედა მიიმედა, ხშირ-ხშირად სუნთქავდა, თითქოს სატანჯველის მოშორებას ჩქარობდა.

— შენ რომ გვიკირს, იმან რაღა ქნას? — უთხრა კაპიშკამ.

— ვინ, ბები? — ჰკითხა დედამ. ტკივილები ისე აწუხებდა, ტირილს ძლივსღა იკავებდა.

— ვინც იბადება! — უთხრა კაპიშკამ. — ახლა ხომ სული უნდა ჩაიდვას. სხეული ევსება და ყველა ძარღვი ევიმება... შენ რა გიშავს, გააჩენ, მერე მოგვეგუნებება და ისევ დაიხსნება.

— მაშ რას იხამ?

— მეტს აღარ გეაჩენ, — თქვა ძალაგამოღულსა დედა.

— ვითომ? — უთხრა კაპიშკამ. — აბა, დიძაგრე, უფრო მაგრად დაიძაგრე! მოდი ერთად დაიძაგროთ, ვითომ მეც ვაჩენ!

დედაბერი დიძაგრა და ახენუნდა. დედაზე უფრო მეტს ცდილობდა. უნდოდა, მშობიარისთვის ისე ნუგეში ეცა, მისი ტანჯვა მოეხერხებოდა მინც ვაეზიარებინა.

სემიონს სევდამ და მოლოდინმა ძარღვები გაუყინა. თათხიდან რაღაც შევის და თითქოს ყვირის სუნი სცემდა. ბიჭი იჯდა და შიშისაგან გული უქანკალებდა. შორს, ეზოში, საქათმის იქით, უცებ აუვირდა უმცროსი და ნიუშკა, — იქნებ ურიკიდან თავდაყირა გადმოვარდა. მაგრამ მისი ყვირილი მალევე შეწყდა. კაცი იფიქრებდა, კი არ შემომესმა, მომიჩვენა. სემიონი იქით გაიქცა ბავშვების დასახედალ. ურიკაში მხოლოდ პატარა პეტკა იწვა. ზახარკა და ნიუშკა საღდაც გამჭრალისყვენენ. ნიუშკა ურიკიდან ჩამოსვლას თავისით ვერ შეძლებდა, ალბათ ზახარკამ ჩამოსვა. სემიონმა მიმოიხედა და ზახარკას ხმა გაიგონა: „უჰ, შე საზიზღარო, რატომ დაიბადე!“ სემიონი საქათმეში შევიდა. იქ, სიბნელეში, ცარიელ ქანდარებთან, ზახარკას უმცროსი და ქვეშ ამოედო, ყელში ხელები წაევირა და ახრჩობდა. ნიუშკა გულაღმა იწვა, სულის მოთქმას ცდილობდა, შიშველ ფეხებს ფარჩხავდა და ქუუყუნი მიწას ფხოვნიდა. ნამტირალევი თვალეში ზახარკასთვის მღუმარედ, თითქმის გულგრილად მიეპყრო, ფუნუნულა ხელებით კი ცდილობდა, ძმის ხელები ყელდან როგორმე მოეშორებინა. სემიონმა ზახარკას ზურგიდან მუშკი მოუქნია და მარჯვენა ყურის ძირას ჩასცხო. ზახარკა გვერდზე გადაგორდა და მარცხენა საფეთქელი საქათმის წნულ კედელს შეახებოდა. მწვავე ტკივილმა თავი მყისვე ისე გაუბრუნა, არც კი ატირებულა. სემიონმა ერთი-ორჯერ კიდევ მოსცხო მუშკი, საღაც მოხვდებოდა, მაგრამ მალე გონს მოვიდა, ცემას თავი მიანება და თავად ატირდა ნიუშკა კი უკვე გახალისდა და სემიონთან მიფორთხდა. უცდიდა, ყურადღებას როდის მომაქცევსო. სემიონმა ხელში აიყვანა, თით-

ბზე დაიფურთხა და ნამტირალევი თვალები ამოუწმინდა, მერე გარეთ გაიყვანა, ურიკაში ჩასვა და დაარწია. შეშინებულმა ნიუშკამ პეტკას გვერდით მორჩილად დაიძინა.

ზახარკა საქათმიდან თავისი ფეხით გამოვიდა. მარცხენა ლოყაზე სისხლი შესმოზოდა, მაგრამ აღარ ბრაზობდა. „მაცადე, — უთხრა სემიონს, — გავიზრდები და გადავიხდი!“ მერე ურიკის გვერდით მიწაზე მიწვა დასაძინებლად. იცოდა, რომ დედა ბავშვს აჩენდა და საღლის ვერ მოამზადებდა. სემიონიც ურიკის ჩრდილში დაწვა და დაიძინა. იქამდე ეძინა, სანამ საღამოს მზე სახეზე არ მიაღვა.

მაგრამ დგება დრო, როცა საკუთარი ბედნიერებას გვერდს ვეღარ აუვლი. ამ ბედნიერებას სიყვით ან ირველიც მყოფი აღამიანები კი არ ბადებენ, არამედ გულის სისაყვე წარმოქმნის სხეულის სიღრმიდან, საკუთარი სითბო და აზრი რომ აცხოველებს. უბედურებისა და ტანჯვის მიუხედავად აღამიანში ზოგჯერ თავისით იშვება რაღაც დამოუკიდებელი, შეუენობელი განწყობილება სიხარულისა; მაგრამ ამგვარი განწყობილება ჩვეულებრივ უძლურია და მყისვე ქრება, როგორც კი კაცი გამოერკვევა და უახლოეს საზრუნავს მიუბრუნდება. სემიონს ზნორად უეცარი ბედნიერების შეგრძნება აღვიძებდა. მაგრამ მერე გონებას სხვა ფიქრი წაიღებდა და იგივეებდა, რომ ბედნიერი იყო.

საღამოს მამა სამეველოდან დაბრუნდა და თუჯის ქვაბით ფაფა მოსახარშად მღვდო. დედამ გოგო უკვე გააჩინა და მისუსტებულს ეძინა. კაპიშკამ ფაფის მოხარშვას მოუცადა, მთელს ოჯახთან ერთად ჰამა და მერე მამას უთხრა, ფული მომეცი, თორემ ცხოვრების სასხარისი აღარა მაქვსო. მამამ ორმოცი კაპიკი მისცა. კაპიშკამ ფული ხელსახოკის კუთხეში გამოკრა და დასაძინებლად შინსიკენ გასწია.

მეორე დღეს მამა ალიონზე წავიდა სამუშაოდ, დედას კი ადგომის თავი არა ჰქონდა. ამიტომ ოჯახის საქმე სულ სემიონს დააწვა კისერზე. ჯერ აღზიდან ურიკით ორი ვედრო წყალი მოიტანა, მერე ბავშვებს ჰორი დაბანა, ჩააცვა და დაანაყრა. ამას გარდა ოთახი უნდა დაეღავებინა, დედისთვის თხელი ფაფა მოეხარშა, პური და რძე ეყიდა, თანაც ძმებისათვის თვალყური ეღვენებინა, რომ არსად გადაკარგულიყვნენ, ფეხისადგილში არ ჩავარდნილიყვნენ, ან ხანძარი არ გაეჩინათ.

დედა მღუმარედ, დაუძლურებული თვალეებით უცქერდა სემიონის საქმიანობას. ახალშობილი გოგო გვერდით იწვა და უკვე ძუძუს წოვდა.

ანდრეი პლატონოვი
მომთხრობები



შუადღისას სემიონმა ბავშვებს რძე და პური ჩამოუტრია, დედას კი ფაფა აჭამა. ბავშვებმა კვამა მოათავეს და დასაძინებლად მილაგდნენ. სემიონმა ახლა იმაზე დაიწყო ფიქრი, თახისთვის ვახშმად რა მოეშაადებინა, რადგან რაც ებღაღათ, სადილად შეჭამეს, საღამოსთვის კი აღარაფერი დარჩათ. სემიონმა კურკელი გარეცხა და მერე სახლის პატრონთან პურისა და ფეტვის ბურღელის სასესხებლად მივიდა.

— მერე რა ვიცი, როდისღა ჩამასესხებთ! — ფიქრით სახლის პატრონმა. ამ კაცს ოროპოცი დესტინია მიწა ჰქონდა, გლეხებს იჯარით აძლევდა, თავად კი არაფერს აკეთებდა, ტახტზე იწვა და გატყუის კალენდარს კითხულობდა სემიონს. დიდი ხანია უნდოდა, სახლის პატრონისთვის კალენდარი ეთხოვა და სურათები დაეთვალიერებინა, მაგრამ თხოვნას ვერ უბედავდა.

— ჩავასესხებთ, — უთხრა სემიონმა, — როგორც კი მამა ხელფასს მიიღებს, მაშინვე მოგიტანთ...

სახლის პატრონმა ორი გირვანქა პური მიაცა, ფეტვის ბურღელი კი პერანგის კალთაში ჩაუყარა.

— მაგ თქვენს ნახირზე თვალი გეპიროს, თორემ მთელს ეზოს ნეხვით ამივსებენ! — უთხრა სახლის პატრონმა. — ზახარკა დღეს სამგან ამკვდარა. წადი, ახვეტე...

— ახლავე ავხვეტავ, — შეჰპირდა სემიონი. — ისინი ხომ ჯერ პატარები არიან და კვუა არა აქვთ.

— თუ მოვატანე ვინმეს, ყბებს ამოვამტვრევ და მერე კვუას ისწავლიან, — თქვა სახლის პატრონმა.

— აბა, ერთი ხელი დააქართ, — გამოეჭიმავა დაძმებს სემიონი, — ღამით მთელ სახლს გადაგებუვათ!

— ერთი ამ არამზადას დამიხედე! — გაბრაზდა სახლის პატრონი. მაგრამ სემიონმა მის ლაპარაკს ყური აღარ უგდო, პური და ფეტვის ბურღელი წაიღო და წავიდა.

ზაფხულის დღე ნელა მიიზღაწებოდა. საშპლის ძებნით გართულ ფრინველებს ძრიაშული გაჰქონდათ. სემიონიც მთელ დღეს მუხლჩაუხრელად საქმიანობდა. როცა ცას საღამოს ბნინდი შეეპარა, ფრინველები მიყუჩდნენ. გამაძვარი და დაქანული ბელურები და ქათმები ძილს მიეცნენ. შარავზაზე სოფლისაკენ მიმავალი ურმები აპრილდნენ. გზის პირას ჩარიგებული საშპელოებიდანაც ჩაქუჩების ხმა უფრო მკვეთრად გაისმა.

სემიონის დედას დეაძმებს ისევ ეძინათ. სემიონი მარტო იჯდა სკივრზე და მძინარეთა გაღვიძებას უცდიდა. განმარტოებით ყოფნას და თავისუფლად ცხოვრებას მიჩვეული იყო და სედა იპყრობდა, გული კელავ

საზრუნავს ელტვოდა. მაგრამ თვალმხივნი მიელუღა და სკივრზე თავი მიღო. ერთხანს თავს ფიქრით ირთობდა, ცდილობდა, რაღაც მოეგონებინა, მაგრამ ყველაფერი მიავიწყდა და ჩაედინა.

დედებმა დიდხანს ძილი არ იციან. სემიონის დედამაც თვალები მალე გაახილა.

— სემიონ! — უთხრა შვილს, — ღუმელი აანთე, ქვებით წყალი შედგი და ბავშვები აბანავე!

სემიონი სკივრიდან მყისვე წამოხტა. მაგრამ ბიჭს ჯერ არ დაესვენა, ძილში არ გამთბარიყო და სისუსტისაგან კანკალებდა.

— შვილო, კარგად ვერა ვარ, — უთხრა დედამ, — წადი მამამუნს უთხარი, შინ ცოტადრე დაბრუნდეს.

— ახლავე, — უთხრა სემიონმა, — დედა, ბავშვები აღარ ვაჩინო, ძალიან დავიღალე.

— აღარ გავაჩენ, შვილო, — შეჰპირდა დედა. ლეიზზე გულამა იწვა და მშობიარობისგან დაუძღურებული ძლივსა სუნთქავდა.

ახალშობილი გოგო დედის გვერდით იწვა და გულთანად ეძინა. ჯერ ისიც არ იცოდა, რომ გოცხალი იყო. სემიონი უმცროს დას განცვიფრებული დაჰყურებდა. ფიქრობდა, ახლახან დაიბადა, ჯერ არაფერი უნახავს, და სულ ძინავს, გაღვიძება არ უნდა, თითქოს ამქვეყნად გული არ მოუწევსო.

— სემიონ, აბა, ნახე, როგორი ვათოშილი ვარ, — უთხრა დედამ. — თუ მოკვდი, ბავშვებს ჩემი მავიჯრობა შენ უნდა გაუწიო. მამას არ სცალია, წელებზე ფეხს იდგამს, რომ ლუკმა პური გვიშოვოს.

სემიონი გვერდით მიუწვა და შუბლზე ხელი დააღო. დედას შუბლო ცივი და სველი ჰქონდა, ცხვირი გათხელებოდა; თვალები გათეთრებოდა.

შიგნული თითქოს ჩამექცა, ასე მგონია, გულ-მუცელი დამიციარიღდა, — უთხრა დედამ; — შენ ყველაზე უფროსი ხარ, დაძმებს მოუარე, იქნებ ადამიანებად იქცენენ...

მერე თავი წამოუწია და ჩაიფრჩხულა: — წადი, მამა მოიყვანე.

სემიონმა მამასთან მიიბრინა და ამბავი მიუტანა. მაგრამ მამა მაშინვე ვერ წამოვიდა. ურმის სამი თვისთვის სალტეები კიდევ შემოსაქრავს ჰქონდა და სამედიკოსის პატრონმა არ გამოუშვა.

— მოიცდის, არ მოკვდება, — თქვა სამედიკოსის პატრონმა სემიონის დედაზე. — ცოლს თუ დაუჯერე, ყოველთვე სიკვდილს აპირებს.

სემიონმა შინ დაბრუნებისთანავე ცეცხლი გააჩაღა და ზედადგარზე ეახშმისათვის ფეტვის ბურღული შემოდგა მოსახარშად. ბავშვებმაც გაიღვიძეს. ზახარკა ზედადგართან ჩატუქდა და ცეცხლს ნაფოტებს უყუთებდა, რომ ფაფა მალე და გემრიელი მოხარშული-

ყო. პეტკა კი დედასთან მიფოფხდა. სახეზე დიდხანს აქტერდებოდა და ხელს უთათუნებდა, თითქოს ამოწმებდა, ცოცხალია თუ არაო.

მამა სამუდლოდან გვიან დაბრუნდა. უკვე კარგა ხნის დაღამებული იყო. რაც ბავშვებს მორჩათ და სემიონმა შეუნახა, სწრაფად შეჰქამა და დასაძინებლად დედის გვერდით დაწვა. სემიონს ისევ ეღვიპა. დინახა, მამამ დედას ხელი ფრთხილად რომ მოჰხვია და ლოყაზე აკოცა. დედა მამისკენ გადმობრუნდა და პატარა ბავშვივით მოიკუნტა. მოდუნებული, გაყინული სხეული ერთი მუტუა გაუხსდა. მამა ცოტა ხანს იწვა, მერე წამოდგა და საკუქნაში გავიდა. იქიდან ჭვალის ძეგლისძველი, დიდი ნაჭერი გამოიტანა და გათოშულ დედას გადააფარა, ახალშობილი გოგო მოაცილა და თავად მიიწვინა გვერდით. სემიონი ფიქრობდა, მთელ ღამეს თვალს არ მოვხუტავო. ეშინოდა, დედა არ მოკვდეს, ანდა მძინარე მამამ ბავშვი უნებურად არ ვასრისოსო. მაგრამ თვალები თავისით მიეღულა და დილასდა გაახილა, როცა ზახარკა ზედ გადააჯდა და ყურში თითი შეუჩუჩუნხა.

მამა ოთახში მიმოდოდა, ახალშობილი გოგო ხელში აუყვანა და არწევდა. დედა ისევ იატაკზე გაშლილ ლეიბზე იწვა. საბნის ზემოდან ჭვალის დიდი ნაჭერი ჰქონდა წახურული. თავი ჭვალის ქვეშ ჩაემალა. ეტყობოდა, აღგომას არ აპირებდა.

სემიონი დედასთან მივიდა. უნდოდა, დაეხედა და ეკითხა, ამ დილას რას დამავალებ, ბავშვებს რა ვაქამო, ამ ფული ვის ვეცხხო, ვიღრე მამა ხელფასს აიღებსო.

— საბანი არ გადახადო, — უთხრა მამამ, — გათენებისას მოკვდა. წადი, კაპიშკა მოიყვანე.

— კაპიშკა რად გინდა? — ჰკითხა სემიონმა.

— უნდა ვუთხრა, რომ ჩვენთან გადმოვიდეს საცხოვრებლად, — უპასუხა მამამ. — ბავშვებზე მაინც დაიჭერს თვალს და საიღის მოაშაღებს. დედაბერი მეტს რას შექლებს.

— კაპიშკა რაში გვეკრძება! — თქვა სემიონმა.

— იმ ბებერ გომბეშოს რა გააძლებს! — ჩაიბუღლუნა ზახარკამ. — ყველაფერს თვჩითონ შესანსლავს და ჩვენ მშვიტებს დაგვტოვებს.

სემიონმა მამას ბავშვი გამოართვა. პეტკა და უმცროსი და (ახლა უკვე უფროსი) იატაკზე ისხდნენ, რაღაც ხარახურა და ქსოვილის ნაუქუები დიდი სიმდიდრესავით გაეშალათ და თავისთვის თამაშობდნენ.

— ახლა რაღა გვეშველება? — თქვა სემიონმა და სახე საწყალობლად დემანჯა. ბოლმა გულიდან ნელა, ცხელ ტალღასავით დაეძრა, ყელში მიეჭინა, მაგრამ ცრემლად არ

ჰქცევია. — ბავშვს რა უნდა ვაქამო? უნეტ მოგვიკვდება.

— ეგ ჭირ პატარაა, უთხრა მამამ. — სიცოცხლს არ მისჩვევია, არაფერი იცის. მაგის დასაფლავებაც დედასთან ერთად მოგვიხდება.

სემიონმა ატირებული გოგო დაარწია. გოგომ დაიძინა და გაჩუმდა. სემიონმა მძინარე დედის ფეხთით ლეიბზე დააწვინა და მამას ჰკითხა:

— მამი, თხა რა ღირს?
— არ ვიცი, მაგრამ ძვირი არ ეღირება, — უპასუხა მამამ.

— ხელფასს რომ აიღებ, გვიყიდე, — სთხოვა სემიონმა. — ზახარკა საძოვარზე ატარებს, მე საღამომობით მოვწველი, რძეს ავადვლებ და გოგოს უღედოდ გამოვზრდით. საწოვართი ვაჭმევ. საწოვარა ვიყიდოთ და ბოთლზე წამოვაცვათ.

მამა მღუშმარედ დასტკროდა შეილებს და მკვდარ ცოლს, მთელი ღამე მის გვერდით რომ თბებოდა, მაგრამ მაინც ვერ გათბა და ახლა გაყინული იწვა მწველმა აღარ იცოდა, როცა ეფიქრა, რომ ცოტა გულზე მოშვებოდა.

— მაგათ თხა კი არა, დედა სტირდებათ, — უთხრა შვილს. — მარტო შენ ხარ, სემიონ, ცოტა წამოზრდილი, ეგენი კი ყველანი პატარები არიან...

სემიონი პერანგისამარა იყო, რადგან შარვლის ჩაცმა გავდიებდის. მერე ვერ მოასწრო. ახლა მამას ქვემოდან ახვდა და უთხრა:

— მოდი ამათ მე გავუწვევ დედობას. სხვა, აბა, ვინ უპატრონებს.

მამა ცკლავ ხმამაუღლებლად იდგა. მამის სემიონმა ტაბურტიდან დედის საშინაო კაბა აიღო და თავზე გადაიკვა. კაბა გრძელი გამოდგა, მაგრამ სემიონმა კალთა იკვიცა და თქვა:

— არა უშავს დავამოკლებ.

გარდაცვლილი დედა გამხდარი იყო და კაბას გრძელი კალთა რომ არ ჰქონოდა, სემიონს მართლა მოერგებოდა. მამამ უფროს შვილს შეხედა და გაიფიქრა: „უკვე მერვე წელშია“.

— ზახარკა, — უთხრა ძმას დედის კაბით შემოსილმა სემიონმა. — პეტკა და ნიუშკა ეზოში გაიყვანე და ურჩივით ასვირნე, რომ ვამა არ მოითხოვონ. მერე დაგიძახებთ. მე და მამას ბევრი საქმე გვაქვს.

— ქუჩაში ასე რომ გავხიდე, ბავშვები გოგოს დაგიძახებენ, — გაიცილა ზახარკამ, — აბა, რანაირი ბიჭილა ხარ?

სემიონმა ცოცხი აიღო და ლეიბის ირგვლივ, სადაც დედა იწვა, იატაკის გვა დაიწყო.

ანდრეი პლატონოვი
მოთხრობები



— რაც უნდათ, ის დამიძახონ, — უთხრა ზახარკას, — მოსწყინდებით და თავს გამანებებენ მე კი გოგობას მაინც მივეჩვევი. გასწი აქედან, ფეხებში ნუ გვედები. ბავშვები ურიკაში ჩასხი, თორემ ცოცხი არ ავცდება! ზახარკამ ნიუშკა ხელში აიყვანა. ემძიმა და ეზოსკენ ვივარჯახით წაჩანჩაღდა. პეტკას კი უთხრა, უკან გამოშეყო. პეტკა მაშინვე კარისკენ გაბობღდა.

მამა ფანჯარასთან მიღვა და უხმოდ აცრემლდა. სემიონმა ოთახი მიაღაგა, მერე კი მამასთან მივიდა და უთხრა:

— მოდი, დედას საბანი გადავხაზავთ... უნდა გავბანოთ... მერე კი იტირე. მეც მეტირება და ერთად ვიტიროთ.

— მოიცა, სემიონ, — თქვა მამამ.

— სემიონს ნულა დამიძახებ, — სთხოვა შვილმა. — სხვა სახელი დამარქვი, თუნდაც ქსენია. გოგოს სახელია, ზოგ ქალსაც ჰქვია...

სემიონს უნდოდა, რომ მალე დამსგავსებოდა ქალს, დედას, რადგან შიშობდა, ბავშვები უღედოდ დაიხოცებიან და ვეღარც მამა იმუშავებსო.

თარგმან ზვივ კიკილაშვილმა

ნ ი კ ი ვ ა

დედა დილაღრიან გადიოდა მინდორში სამუშაოდ. ოჯახს მამა არ ჰყავდა. დიდი ხანია, რაც წასულიყო მთავარ საქმეზე საომრად. იქიდან აღარც მობრუნებულა უკან. ცისმარე დღე ელოდა დედა, მაგრამ ის არა და არ ჩანდა.

ქოხისა და მთელი ეზო-გარემოს ბატონ-პატრონად ხული წლის ციკქნა ნიკიტა რჩებოდა. დედა წასვლისას უბარებდა, ხანძარი არ გაეჩინა სახლ-კარისათვის, აერთვა დედლებისათვის ღობის ძირებში და ბოსელთან დადებული კვერცხები, გადაედენა მეზობლიანთ მამალი, მათ მამალს რომ კორტნიდა ხოლმე. და სადილად მავიდაზე შემოდგმული, რძეში ჩაფხჩხნილი პური ეჭამა. საღამოთი დედა დაბრუნდებოდა და თავად დააბურებდა ცხელი ვახშით.

— თავს ნუ გახვალ, ნიკიტუშკა, მამა შენ არა გყავს, — ეუბნებოდა დედა, — ახლა უკვე ქუეჯში ხარ ჩამდგარი და მთელი ქონება, ქოხი და ეზოც ზომ ჩვენია და არა სხვისი.

— უკვირია ვარ, ქონებაც ჩვენია, მამა კი არა მყავს, — ამბობდა ნიკიტა. — შენ კი, დედო, მალე მობრუნდი თორემ მეშინია.

— რისა? ცახე მზე ანათებს. მინდვრებში ხალხია მოუვნილი, არ შეგეშინდეს, გულშევიდალ იყავი...

— ჰო, მაგრამ მზე ზომ შორსაა, — პასუხობდა ნიკიტა. — ღრუბელიც რომ გადაეფარება, რაღა ექნა მერე.

მარტოდ დარჩენილმა ნიკიტამ შემოიარა ჩაჩუმებული ქოხი-ოთახი, მეორე ოთახში შეიარა, სადაც რუსული ლუმელი იღვა და დერეფანში გავიდა. იქ ბზული-ბზულით დაჰქროდნენ მსხელი ბუზები. გაბმულ ქსელში ობობას მოეკალათა. ზღურბლზე პაჟა-პუკით შემობტუნდა ბელურა და სოსხანეზე ხორბლის მარცვლებს დაუწყო ძებნა: ნიკიტა ყველას იცნობდა, ბელურასაც და ობობებსაც. ბუზებსაც და თვითველ ქათამს. თავი ჰქონდა მათგან მობეზ-

რებული, ახლა მას უნდოდა ჩახვდომოდა ისეთ რამეს, რაც ჯერ არ იცოდა. ადგა, ეზოში გაბორიალდა და ფარდულს მიაშურა, იქ ბნელ კუთხეში ცარიელი კასრი იდგა. შიგ ალბათ ვიღაც ცხოვრობდა, რომელიმე პატარა კაცუნა. დღისით ეძინა, დამით ვარტე გამოდიოდა, ჰამდა პურს, სვამდა წყალს და რამიმე ფიჭობდა, დილისთვის კი ისევ იმალებოდა კასრში და ეძინა.

— კარგად გიცნობ, განა აქ არა ცხოვრობ? — ჩასძახა ფეხის წვერებზე წამოწეულმა ნიკიტამ ბნელ, გუგუნა კასრს, მერე მუშტი მიუკაკუნა, — ადგე, შე უქნარა! ზამთარში რა უნდა ჰყო. წადი ფეტივი გალენე, შრომადღეს გამოგიყურენ!

ნიკიტამ მიაყურადა. კასრმა ხმა არ გაიღო. „მოკვდა, თუ რა მოუვიდა?“ — გაიფიქრა მან, მაგრამ ამ დროს კასრმა გაიხრჩიალა, ნიკიტამ გაიფიქრა, ბინადარმა ან გვერდი იცვალა, ანდა წამოიდგამა მოინდომა და ახლა მე გამომიკიდებოა.

— ნეტავი როგორი შესახადავია? ნიკიტამ ხელად წარმოიდგინა მისი გარეგნობა. ეს იყო პატარა, მაგრამ მკვირცხლი კაცუნა, მიწაზე დაითრედა წვერს, ღამე ხეტილისას ეს წვერი ნავგესა და ჩალას ხვეტდა უნებურად. ამიტომაც იყო მოსუფთავებული ფარდულის ღამფეტი.

დღემდ ამასწინათ მკარატელი დაკარგა. ეს მკარატელი ალბათ კაცუნამ წაიღო წვერის გასაკრეჭად.

— მოიტა მკარატელი! — ხმადაბლა სთხოვა ნიკიტამ. მამა ჩამოვა ჯარიდან და სულერთია წაგართმევს, შენი სულაც არ ეშინია, მოიტა! კასრი ღუმდა. შორს ტყეში ვიღაცამ დაიბუზუნა და წამსვდ კასრიდან შავი, სახარელი ხმით შეეპასუხა კაცუნა. — აქა ვარ!

ნიკიტა ფარდულიდან ეზოში გავარდა. ცახე

კეთილი მზე ანათებდა, ღრუბლები ჭერ აბრ გადაფარებოდა, და შეშინებულმა ნიკიტამ ვედრებით ახედა მნათობს.

— იქ კასრში სულიერია ერთი! — უთხრა ნიკიტამ მზეს.

კეთილი მზე ძველებურად ანათებდა ცაზე და თბილი სახით უმზერდა პასუხად. და ნიკიტამ დაინახა, რომ მნათობი გარდაცვლილ ბაბუს წაავადდა. ბაბუსა, ყოველთვის რომ ეალერსებოდა მას და უღიმოდა, ვიდრე ცოცხალი იყო. ახლა ნიკიტამ გაიფიქრა, ბაბუა მზეზე გადასახლებულია.

— ბაბუა სადა ხარ? მანდა ცხოვრობ? — შეეკითხა ნიკიტა, იყავი მანდ, მე კი აქ, დედასთან ვიქნები.

ბოსტნის კიდესთან, ქინჯრისა და ოროვანდის ბარდებში ჭა ჩაფლულიყო. აღარავინ ხმარობდნენ, რადგან კოლმეურნეობას მეორე, კარხალა წყლით სავსე ჭა ამოედო.

ამ მიყრუებულ კის ფსკერზე, უქნს ბნელში კიანთობდა თეთრი წყალი, სუფთა ცა და მზის ქვეშ გაწოლილი ღრუბლების ქარაენი. ნიკიტა ვადიხარა კის თავზე და ჩასძახა:

— ეი, რას შვრებით მანდ?

მას ეგონა, რომ ფსკერზე წყლის კაცუნები ცხოვრობდნენ. იცოდა კადეც როგორი იყვნენ ისინი. სიზმარში ნახულობდა და გავლვიძებოდა თუ არა ცდილობდა მათ დაჭერას, მაგრამ კაცუნები ბალახ-ბალახ გარბოდნენ და თავიანთ სახლს აშურებდნენ, ჭაში ძვრებოდნენ. ტანით ბელურას ხელა იყო თითო, ოღონდ მომსხო. უბანლონი იყვნენ, ნესტიანები და მავნენი. აღმათ ცდილობდნენ მძინარე ნიკიტასათვის თვალები ამოებვრიბათ.

— მე თქვენ ვიჩვენებთ, — ჩასძახა ნიკიტამ ჭაში, — მანდ რა გინდათ?

უცარიე ჭაში წყალი აიძვრა და ვიდაცამ კბილები გაახრჭიალა. ნიკიტამ პირი დაალო, უნდოდა ეყვირა, მაგრამ შიშისაგან ხმა ჩაუწყდა. გახვედა შიშისაგან, გული შეუტოკდა და გაულო.

„ო, აქ გოლიათიც ცხოვრობს შვილებით“, — მიხვდა ნიკიტა. — ბაბუა! — ახედა მზეს და შეპყვირა ნიკიტამ, — ბაბუა! მანდა ხარ? ნიკიტა სახლისაკენ გამოიქცა.

ფარდულთან გამოეკრევა. წნული კედლის ქვეშ მიწაში ორი სორო ჩანდა: იქაც ცხოვრობდნენ იღუპალი ბინადარნი. მაგრამ ეინ იყვნენ ისინი? იქნებ გველები! გამოძვრებიან ღამით, შემოსრიალდებიან ქოხში და დაგესლავენ მძინარე დედას და მოკვდება დედა.

ნიკიტა სასწრაფოდ გაიქცა სახლისაკენ. გაგდიდან ორი ნაჭერი პური აიღო და სორებთან მოარბენინა. თითოეულ სოროსთან თითო ნაჭერი დაღო და გველებს შეეისიტყვა:

— აჰა, გველებო, ჭამეთ პური და ღამე არ გაბედოთ ჩვენთან მოსვლა.

მიმოიხედა ნიკიტამ, ბოსტანში ამოჩრილ ძველ

კუნძს მოჰკრა თვალი, დააკვირდა და კაცის თავი ამოიწინო. კუნძს თვალბიე ჰქონდა და ცხვირიც. ჩუმად უღიმოდა იგი ნიკიტას.

— თავიც არის და კუნძიც, ორივე ერთად. კუნძა თავი — შეარბევა გუნებაში.

— შენც აქა ცხოვრობ? — იკითხა ბიქმა, — წამოჩოჩდი ჩვენიან სოფელში, მიწას გახნევივებ.

კუნძმა პასუხად ამოიხორა და სახე მოექცა სიბრაზით.

— არ გინდა და ნუ გინდა, დარჩი მანდ სადაც ხარ, — შეშინდა ნიკიტა.

ახლა მიუღლი სოფელი დაჩუმებულიყო. ძე ხორციელის ჭაპანება არ ჩანდა. დედა ძალიან შორს იყო აქედან, მინდორში. იქამდე მირბენას ვერც კი მოასწრებ და ნიკიტა გაჯავრებულ კუნძს ქოხის დერეფანში დაემალა. იქ საშიში აღარაფერი იყო. დედა ხომ სულ ახლახან ფათურობდა შინ. ქოხში დაცხა. ნიკიტამ დედამისის დატოვებული რძის დალევა მოინდომა, მაგრამ მაგიდას რომ დახედა, შეამჩნია ისიც აღამიანი ყოფილიყო, ოთხფეხზე მდგარი აღამიანი, ხელები რომ არ გააჩნდა.

ნიკიტა ბანზე გამოვიდა. შორს, ჭისა და ბოსტანს მიღმა იდგა ძველი აბანო. დედა იტყოდა ხოლმე, სანამ ბებია ცოცხალი იყო იქ უყვარდა ბანაობაო. აბანო ძველი იყო, დაჩენჩხელი და შეუხედავი.

„ეს ჩვენი ბებია, კი არ მომკვდარა, ქოხმასხად ქეუულა“, გაიფიქრა შეშინებულმა ნიკიტამ — ხედავ შენ, ცხოვრობს თავისთვის, თავიც აბია, აბა ეს მილი კი არაა — სწორედ რომ თავია, და პირიცა აქვს — უტბილო პირი. აბანო ჰქვია თორემ სინამდვილეში აღამიანია. მე ვიცო; მშვენიერად ვხედავ ეს რომ ასეა.

უცხო მამალი შემოვიდა ეზოში ქუჩიდან. საოცრად ჰგავდა სახით ნიკიტას ერთ ნაცნობს, ხმელ-ხმელ, წვერებით მწყემსს, გახატულზე რომ ჩაიხრჩო აღიდებულ მდინარეში. გაცურავა მოინდომა ვაღმა ნაპირზე ქორწილში საქეიფოდ.

და ნიკიტამ დაასკვნა, რომ მწყემსმა არ ისურვა მიცვალბებულად ყოფა და მამლად იქცა. ეს იმას ნიშნავდა, რომ მამალიც აღამიანი იყო, მაღული ოღონდ. აღამიანები ყველგან არიან, მხოლოდ არა გაცახლებულნი.

ყვითელ ყვავილთან დაიხარა ნიკიტა. ეს ეინდა იყო. ჩააკვირდა და იხილა, რომ ყვავილის მრგვალ პიხისახეს ნელ-ნელა დაემჩინა აღამიანის გამომეტყველება, გამოიყვითა წვრილი თვალეები, ცხვირი, სველი პირი. ცოცხალი სუნთქვით გამოთბარა.

— კინლამ ყვავილი არ მეგონე? — თქვა ნიკი-

ანდრეი პლატონოვი
მოთხრობები

ტამ, — მოდი ერთი შეგხედო, — რა გაქვს შიგანში, ნაწლავები?

ღერო გადატეხა — ყვავილის სხეული და რძეს შეავლო თვალი. — პატარა ბავშვიც ყოფილხარ, დედის ძუძუ გიწოვია. — გაოცდა ნიკიტა.

ძველი აბანოსავე გაემართა.

— ბებია! — წყნარი ხმით დაუძახა ნიკიტამ. ბებიას უცბილო პირისახე მრისხანედ აიმჩინა, თითქოს ბიჭი უცხო ყოფილიყო.

„შენ ბებია კი არა, ვიღაც სხვა ხარ“. — გაიფიქრა ნიკიტამ.

ლობუნი მესრები უცნობ ადამიანთა სახეები უცქერდნენ ნიკიტას. თვითოეული მათგანი უცხო იყო და მტრული. ერთი ბრაზიანად იღრბებოდა, მეორე გაბრბობებით ფიქრობდა რაღაცას ნიკიტაზე, მესამე ჩამომხმარი ხელეებით — ტოტებით ღობეს ეყრდნობოდა და თავის დაძვრენას ცდილობდა, რათა ნიკიტას გამოეკიდებოდა და დაეჭირა.

— რაზედ დასახლდით აქა? — იკითხა ნიკიტამ. — ეს ჩვენი ეზოა!

მაგრამ უცნობი, გაბრბობებული სახეები გამსკვალავი შხერით შესჩერებოდნენ ნიკიტას. ოროვანდებს გადახედა. იმათი იმედი ჰქონდა. ახლა ოროვანდებიც დაქრულულები არხედნენ დიდრონ თავებს. აღარც მათ უყვარდათ ბიჭი. ნიკიტა გაწევა და სახით მიწას მიეკრა. მიწის ქვეშეთში ხმები გუგუნებდა. იმ ჩაქვილი სინელეში ალბათ უამრავი ადამიანი ცხოვრობდა და ახლა ისმოდა თუ როგორ აფრთხილებდნენ ხელებს დღის სინაოლეზე გამოსასვლელად. ნიკიტა ფეხზე წამოაჭრა შემინებული იმით, რომ ყველგან ვიღაც ცხოვრობდა, ყოველი მხრიდან უცხო თვალები მისჩერებოდა და ვინც კი ვერ ხედავდა, გამოძრომა სურდა ნიკიტასთან სოროდან, მიწიდან, ჩაშავებულ ფარდულიდან. ქობისაკენ შემობრუნდა ბიჭი. ქობი კი ისე მისჩერებოდა, როგორც შორეული სოფლიდან გზაზე მომავალი მოხუცი დეიდა და ჩასჩურჩულებდა:

„უ-უ — გზადახეულო, თქვე უპატრონობო — არამი იყოს თქვენზე მუქთა პური.“

— დედა, დაბრუნდი სახლში! — გასახა ნიკიტამ შორეთს. ეზოში ვიღაც უცხოები მოვიდნენ და დასახლდნენ. გაყარე ისინი აქედან!

დედას არ გაუგონია შვილის ძახილი. ნიკიტამ ფარდულს შემოუარა. უნდოდა ენახა ხომ არ მოძვრებოდა მიწიდან ქუნძა თავი. ამ ქუნძას დიდი პირი ჰქონდა. მთელ კომპოსტოს გადაჰამდა ბოსტანში. დედამ მერე რაღათი მოუხარშოს შექამანდი ზამთარში?

ნიკიტამ შორიდან რადიტი გახედა ბოსტანში დაუდებელ ქუნძს. დაღვრემილმა, უჯაცურმა დანაოქებულმა სახემ გაყინული მხერით შემოხედა მას.

სოფლის მიღმა, შორს გადაშლილი ტყიდან ვიღაცამ იყვირა:

— მაქსიმ, სადა ხარ?

— მიწაში — ყრუდ შეეხასხა თავი-კენი. ნიკიტა მოტრიალდა. უნდოდა მინდორში გაქცეულიყო დედასთან, მაგრამ დაეცა. შიშისაგან ღონე მიხდოდა. ფეხები აღარ ემორჩილებოდა. მამინ მუცლით იწყო ხოხვა, თითქოსდა ჯერ კიდევ პატარა ყოფილიყოს და სიარული არ შესძლებოდა.

— ბაბუა! — წაიჩურჩულა ნიკიტამ და კეთილ მზეს ახედა მაღლა.

ღრუბელი დეფიარა შუქს და მზე აღარ ჩანდა. — ბაბუა, მოდი ისევ ჩვენთან იცხოვრე!

მზე-ბაბა გამოჩნდა ღრუბლებიდან, თითქოს მყის ჩამოცილაო სახიდან ბინდი, რათა ეხილა მიწაზე მოხობილუ ვასაცოდებელი შვილიშვილი. ბაბუა გულისყურით უმზერდა მას. ნიკიტამ იფიქრა მხედავსო, წამომიართა, ფეხზე წამოიდა და დედისაკენ გაიქცა.

დიდხანს ირბინა. გადაირბინა სოფლის მთელი ცარიელი და მტერიანი გზა, მერე მოიღალა და სოფლის გასადევარზე კარაპანთან ჩამოჯდა.

არ სურდა ბევრს შეეყვანებლიყო, მაგრამ თავი ჩალუნა ღუნებურად მიწისკენ, ჩაქვინა და მხოლოდ საღამოსათვის გამოფხიზლდა. ახალი მწყემსი მოერეებოდა საკომმუნურეთ ფარას. ნიკიტა გასცდა მას და მინდორში გავიდა. დედისაკენ მიემართებოდა. მწყემსმა მიაძახა, უკვე გვიანია და დედაშენი დიდი ხანია, რაც წავიდაო შინ.

დედა ნიკიტამ სახლში ნახა, მაგიდასთან მჯდომარე და გაშტერებით მიჩერებული მოხუც ჯარისკაცს, პურს რომ ჰამდა და რძეს ატანდა. ჯარისკაცმა ახედ-დახედა ბიჭს. მერე აღვაზაროდან და ხელში აიყვანა. სითბოს, პურისა და მიწის რაღაცენიარი სიკეთისა და სამშვიდის სურნელი მოდიოდა მისკენ. დუმდა შემცბარი ნიკიტა.

— გამარჯობა, ნიკიტა! — თქვა ჯარისკაცმა, — შენ ვადაგივიწყე. ჯერ კიდევ ძუძუს წოვდი, როცა გაიკოცე და ომში წავედი. მე კი მასხოგხარ. ვეცდებოდი და მასხოვდი.

— მამა დაბრუნდა შინ, ნიკიტაშუა, — თქვა დედამ და წინაფრით ცრემლები მოიწმინდა.

ნიკიტამ შეათვალიერა მამა — მისი სახე, ხელედი, მკერდზე დაკიდებული მეღალი და ხალათის ბრჭყვილა ფოლაქები.

— კიდევ მიგვატოვებ?

— არა, — თქვენთან უნდა გავლიო წუთისოფელი. მტერი უკვე მოვსპეი და ახლა დროა შენზე და დედაშენზე ვიფიქრო, — წარმოთქვა მამამ.

ნიკიტა დილაადრიან გამოვიდა ეზოში და ხმამალა შეესიტყვა ყველას, ვინც კი ეზოში ცხოვრობდა — ოროვანდებს, ფარდულს, მესრებს, ქუნძა-თავსა და ბაბუას აბანოს.



ჩვენთან მამა მოვიდა. წუთისოფელი ჩვენთან ერთად უნდა გალიოს.

ეზოში არავინ ჩქამს არ იღებდა. ყველა დაფრთხა. მამა-ჯარისკაცისა შეეშინდათ. მიწის ქვეშეთიდანაც აღარაფერი ისმოდა. უკვე აღარავინ მოიხლახებოდა ზევით, სინათლისაკენ.

— მოდი ჩემთან, ნიკიტა. ემანდ ვის ელაპარაკები? — მამა ფარდულში იყო. ათვალერებდა და ხელით პირს უსინჯავდა ნაჯახებს, ბარებს, ხერხს, გირავს, შალაშინს, დაზგასა და ნირ-ნირ რკინის ხელსაწყოებს. საქმეებს რომ მორჩა, ხელი მოჰკიდა ნიკიტას და მასთან ერთად ეზოსაკენ გასწია. და ნიკიტამ ახლა უკვე ევრც ერთ სავანში ვერ დაინახა იდუმალი ადამიანი. აღარავის ჰქონდა თვალი, ან ცხვირი, ანდა პირი და სიბოროტე. მესრები მხოლოდ და მხოლოდ ჩამომხმარ სქელ ბრმა და მომკვდარებულ ჯოხებად ქცეულიყო. ბაბუას აბანო კი ერთ ჩაობებულ სიბერისგან მიწაში მიმავალ ქონმანხად. ნიკიტას ახლა შეეცოდა კიდევ ბაბუას აბანო. ის ხომ კვდებოდა და აღარ იარსებებდა აწი.

მამა ფარდულში შევიდა, ნაჯახი გამოიტანა და დაბობა დაუწყო ბოსტანში დაყუნცულ ჩაბერებულ ჯირკვს. ჯირკვი ხელად დაიმქვლა. შიგნიდან გამომპალიყო და მშრალი ბრე კვამლივით აიშალა ცულის ყუაზე.

როცა კუნძმა-თავი გაქრა, ნიკიტამ მამას უთხრა: — შენ აქ რომ არ იყავი ეგ ლაპარაკობდა. ცოცხალი იყო ნეტა? მიწაში მავას ღიპი და ფეხები აქვს დამალული. მამამ ქოხში შეიყვანა შვილი.

— არა, — თქვა მან, — ეგ დიდი ხანია, ანაგა მკვდარია. ეს შენ გინდა ყველა გააცოცხლო, კეთილი გული გაქვს და იმიტომ, შენთვის ქვაც ცოცხალია და მთვარეზეც ავლავ ცოცხლობს განსვენებული ბებია.

— მზეზე კი ბაბუაა! — თქვა ნიკიტამ. დღისით მამა ფიცრებს აშალაშინებდა ფარდულში, რათა ქოხში ხელახლა დაეგო იატაკი და ნიკიტასაც მისცა სამუშაო, ჩაქუჩით უნდა ესწორებინა ვალუნული ლურსმნები.

ბიჭი დღის მონღომებით, კაცივით შეუღვა ჩაქუჩით მუშაობას. როცა პირველი ლურსმანი გასწორა, დაინახა, რომ ეს კეთილი კაცუნა იყო, რკინის ქუდიდან მომზირალი წვრილი თვალეებით რომ უღიმოდა და ნიკიტამ აჩვენა იგი მამას და უთხრა:

— რად იყვნენ სხვები ბოროტნი, — ოროვანდიც, კუნძმა-თავიცა და წყლის ბინადარნიც, ეს კი კეთილია.

მამამ მიუალერსა შვილს ჩალისფერ თმაზე და უპასუხა:

— ისინი შენ გამოგონე, ნიკიტა. ისინი არ არსებობენ. ეს კაც-ლურსმანი კი შენი შრომითაა შექმნილი, კეთილია ამიტომაც.

ნიკიტა ჩაფიქრდა.

— მოდი ყველაფერში შრომა ჩაეაქსოვოთ და ყოველივე გააცოცხლდება.

— ასე ექნათ, — დაეთანხმა მამა.

მამას სჯეროდა, რომ ნიკიტა მარად კეთილი დარჩებოდა მთელი თავისი გრძელი სიცოცხლის მანძილზე.

მთარგმნა ელიზბერ გიორგაძემ.



დავით სვანიძე

„და ვბრძნო, — პრასტროს მოვკვლავი!“

ხანაწილები ბიორგი ლეონიძეა

აღბათ მომავალში მეც შევცდებო და ვერც
წიგნი ჩემს დიდ თანამედროვეებზე. რომლებ-
თანაც მქონდა ბედნიერება შეხვედრისა და ურ-
თიერთობისა. ჭერ კი მერაღება. თუმცა მიმან-
ნია, რომ მოვონებები მხოლოდ ხანდაზმულთა
მონოპოლია არ უნდა იყოს.

მოკრძალებით ვთავაზობ ახალგაზრდობის
ურნალს — „ცისკარს“ რამდენიმე ჩანაწერს
დაღ ქართულ შემოქმედზე და მოღვაწეზე გი-
ორგი ლეონიძეზე, რომლის პოეტურ დროშას
მზე და სიჭაბუკე აწერია. გიორგი ლეონიძის
ლექსი ქართველი ხალხის ბრძოლისა და შრო-
მის თანამგზავრი იქნება მარადეამს. მაგრამ
გვსურდა. რომ კიდევ დიდხანს ელაყვარა ლე-
ონიძის ვეფხისტყაოსნის თვლებს. არ განელებუ-
ლიყო მისი ღმირის გაწაფხულური სიტო. არ
მიჩუმებულიყო ექოსავით მისი ლომური
ბუბუნა.

ამ სტრიქონების ავტორს არა აქვს გიორგი
ლეონიძის პორტრეტის შექმნის პრეტენზია.
უბრალოდ, ერთად გავიხსენოთ ჩვენი გიორგი
ლეონიძე, გავიხსენოთ სიყვარულით, ნათელი
სევდიითა და სიამაყით.

• • •

საერთოდ, როგორც ყველა პოეტი და შემო-
ქმედი, განწყობილების კაცი იყო. იშვიათად
გავიღოდა დღე, რომ არ დამერეკა მისთვის, არ
მომეკითხა.

— როგორ ბრძანდებით ბატონო გიორგი?
— Как молодой бог в первый день
творения! — მხასუხობდა თავისი გემრიელი,
მსუყე ქართული აქცენტით, როცა კარგ ხასი-
ათზე ვახლდათ.

— Как Марк Аврелий среди варваров! —
ასე გამოხატავდა უგუნებობის ეამს თავის უარ-
ყოფით დამოკიდებულებას ზოგიერთი ადამი-
ანისადმი, მოვლენისადმი.

• • •

ერთ პოეტზე:
— დაიხსომე, ეგ რომ გელაპარაკება, მაგისი
ყული დარუბანდა ხნავს.

• • •

ზეგავლენის უდიდესი ძალა გააჩნდა, როგორც
აღბათ ყველა დიდ პიროვნებას. მის გვერდით
მყოფს, ყველა სავანსა თუ მოვლენას თავისი
თვლით დავანახებდა და გაგრძობინებდა.
ხედვა და აღქმა კი ყოველთვის სალი, რეალის-
ტური და პოეტური ჰქონდა.

სიმონ ჩიქოვანის დასაფლავების შემდეგ
მღუმარედ დაეშვა მოწმინდიდან. თავის სა-
ფიქრალს ფიქრობდა. მეც ჩემად მივყვებოდი.
ბოლოს, ერთ პატარა, განძარცვულ ხეზე მანიშ-
ნა.

- აბა, მითხარი, ლამაზია თუ არა ეგ ხე?
- მე მგონი, ძალიან უშნო ხეა, — ვუპასუხე.
- აი, რას ნიშნავს, ახალგაზრდა რომ ხარ
და ზერელედ უყურებ ბუნებას. იცოდე, ეგ ხე,
რომელსაც შენ უშნოს ეძახი, ულამაზესია ხე-
თა შორის.

გამაკვირდა და გამახსენდა მისი პარტახი და
ნამეხარი მარტოხე ოლე. მას აღბათ ათასმა კაც-
მა ჩაუარა გვერდით და ვერც ერთმა ვერ დაი-
ნახა მასში ლეონიძის ოლე, რომელიც დღეს
ქართული პოეზიის დიდი სამკაულია.

„მომოდერნიზმის“ პოეტების ნაწარმოებთა წესსახებ:

— Так можно писать до утра!

• • •

საგარეოში მოსავლის ზემს ვესწრებოდით. მიტინგისა და კონცერტის შემდეგ სათავისკენ გავსწიეთ, სადაც ყოველ ზის ძირას სუფრა იყო გაშლილი და ნამდვილი კახური ქეიფი ჩაღღებოდა.

— გაუმარჯოს ჩვენი პატარძელის სიამაყეს, — ასე აღდგომილეს ერთ სუფრასთან. ლეონიძემ ვადმოძახედა და ჩაიციან.

— ჩვენი გოგლა, შენ მთელი საგარეოს სიამაყე ხარ! — მოუმატეს მეორე სუფრასთან.

— კახეთის პოეტს გაუმარჯოს!

— კახეთის მშვენიერება ხარ!

— ხედავ, მეც გავხდი რაიონული პატრიოტიზმის მსხვერპლი, — უბოროტოდ თქვა გიორგი ლეონიძემ, — მე ჩემი თავი ქვეყნის პოეტად და მოქალაქედ მომაქვს, ესენი კიდეც საგარეოს იქით არ მიშვებენ, სიყვარულით კი მოსდით...

• • •

თავისი ფასი და ყადრი იცოდა, ამიტომაც არც კვებნა იყო მისთვის ჩვეული და არც მოჩვენებითი თავმდაბლობა. ხშირად, განსაკუთრებით მგზავრობის დროს, წამიკითხავს მისთვის მისივე „ყიფჩაღის პემანი“, „ნინო-წმინდის ღამე“, „მყვირალობა“... ესმენდა სიამოვნებით, სიამაყით, თითქოს პიროვნულად გამოიჯვროდა საკუთარ შედეგებს და, როგორც ქართული პოეზიის საერთო მიღწევებს ისე განიხილავდა.

— „ნინოწმინდასთან“ დავკავშირებთ ერთი სასაცილო ამბავი შემემთხვა — მიაბმო ერთხელ. — სკოლაში, ყმაწვილებთან შეხვედრა მქონდა. ბებერი ლექსი ვთქვი და ბოლოს „ნინოწმინდის“ წაკითხვა მთხოვეს. იმ ადგილთან რომ მიველ, სადაც ნათქვამია — „ძუძუები ოქროს კალმახებია“, შევიჩრდი. ბავშვებთან ეს „ძუძუები“ როგორღაც მეხამუშა და ექსპრომტად ასე წავიკითხე: „მისნი მკერდნი — ოქროს კალმახებია“. ამის თქმა და ბიჭებმა „ძუძუები, ძუძუები“, დაიძახეს, მამამალღებმა, — გულიანი იცინოდა ლეონიძე.

• • •

სიცოცხლე უყვარდა გაგიჟებით, უყვარდა თავისი ჯანსაღი, გაუზზარავი სულით და მთელი ლეონიძისული გიგანტური ტალანტი სიცოცხლის სიყვარულს დაამყნო.

ერთხელ ვუთხარი.

— ბედნიერი კაცი ხარ, ბატონო გიორგი,

უკვდავება განაღდებული გაქვით, მთაწმინდის კალთა დაჯავშნული, შეგიილიათ არსებობა იყო და არაფერზე იფიქრობ-მეთქი.

— შენ იცი რას გეტყვი? არც ეგ უკვდავება მინდა და არც მთაწმინდა! ეგ რამ გათქმევინა? მე მინდა ამ მიწაზე დავდიოდე და ამ ცას ვუყურებდე. მე ვიცა, ზოგიერთ მწერალს რომ უთხარა — მთაწმინდაზე ავიყვანოთ, იმ წუთშივე თავს კედელს მიახლის, ვითუ მე რე ვადა-იფიქრონო. მე კი ყველაფერი ამ ჩვენს მიწაზე მინდა და ამ ჩვენს მიწაზე მიხარია.

ბნელსა და სიკვდილს მის სტრიქონებში არ გაუქაპანებია. მას ჰქონდა სრული უფლება დაეწერა: „და ვგრძნობ, — არასდროს მოვკვდე-ლები“.

• • •

ვისაც უნახავს, განა დაავიწყდება ოდესმე ლეონიძის თვალები და ღიმილი? მე არ შემიაღია მათი დახატვა, არც გადმოცემა. ჩემი მხრიდან ეს ამო ცდა იქნება. მე მხოლოდ მახსოვს ისინი და ესაა ჩემი დიდი სიხარული და დიდი სევდაც.

• • •

ლენინის ქუჩაზე თვალი მოვკარი ბატონ გიორგის, ვიღაცა კაცს ელაპარაკებოდა. შევბატყე, არც ის კაცი მოსწონდა და არც მისი საუბარი. რომ დამინახა, გაუხარდა, მოსაუბრეს ხელი ჩამოართვა და ჩემსკენ გამოემართა.

— ვინ იყო, ბატონო გიორგი?

— Заслуженный болван республики.

ორიოდე კვირის შემდეგ ზუსტად იგივე სურათი განმეორდა.

— ესეც დასახურებული იყო, ბატონო გიორგი? (მაინტერესებდა, ეხსომებოდა თუ არა ამასწინანდელი, მეტად თავისებური შეფასება).

— რას ამბობ, ეს სახალხო იყო, სახალხო!

• • •

სიყვარული მისთვის უდიდეს ნდობას ნიშნავდა. ვგრძნობ, რომ დიდად უხერხულია ამისი წერა, მაგრამ ნამდვილად ვუყვარდი და მენდობოდა. რა თქმა უნდა, ეს არ იყო ამ სტრიქონების ავტორის რაიმე განსაკუთრებული ღირსებების აღიარება, არა. უბრალოდ ხედავდა და გრძნობდა, რომ თავდავიწყებით მიყვარდა თვითონ და მისი დიდი, ბრწყინვალე პოეზია; რომ ვუფროთხილდებოდი, როგორც მშობელსა და საყვარელ უფროს ძმას, მეტი არაფერი. თუ ადა-

ღმინი სტარშა

„და ვგრძნობ, — არასდროს მოვკვდე-ლები!“

მიანი მართლა ვიყავარ და ამ სიყვარულში არ ურევია ის, რაც სიყვარულს არ ეკადრება, ყოველთვის ბირადპირი ხარ, თუმცა ეს ყველას ერთნაირად როდი მოსწონს. გოგლა დიდი იყო, და როგორც ყველა ბუმბერაზი, ზოგიერთ წვრილმანს, უკეთ რომ ვსთქვათ, დეტალს, ვერ ამჩნევდა, ზოგჯერ უბრალო ყოფით ამბებში ცდებოდა კიდევ. იშვიათად, მაგრამ მიანიც მიხდებოდა მისი ნებასურვილის წინააღმდეგ წასვლა, რაც ჩემის მხრივ, რა თქმა უნდა, უდიდესი კადნიერება იყო.

— ეგრე იყოს, რახან შენ გინდა, — იტყოდა ხოლმე ნაწყენის კილოთი, მაგრამ ამაზე შორს ეს წყენა არ მიდიოდა.

ერთხელ კი სერიოზულად გამიჯავრდა და დიდად დამტყუა. „მარჯანიშვილის თეატრში ერთი ოფიციალური ზეიმი შედგა. ჩემს გამოსვლაში გიორგი ლეონიძეზე ვილაპარაკე და კმაყოფილი იყავი იმის გამო, რომ კიდევ ერთხელ მომეცა საშუალება მისდამი დიდი სიყვარული და პატივისცემა გამომეხატა. თეატრიდან ერთად წამოვედი. სეირნობა და კარგი მუსიკით უყვარდა. მაგრამ ამჯერად საუბრის დასაწყისი კარგს არაფერს მოასწავებდა.

— ეგ რა თქვი, — მითხრა თეატრიდან გამოსვლისთანავე.

— რა ვთქვი, ბატონო გიორგი? — შევშფოთდი მე.

— ეგ ბებერი ლომი რა იყო? „ბებერი“ რამ გათქმევიანა?

— მე მახსოვს, რომ უბერებელი ლომი ვთქვი, — დავიწყე გამოსავლის ძებნა.

— აბა, მე კარგად მახსოვს, რომ ბებერი ლომი თქვი. ეგეთი რამე ჩემთვის არავის უკადრებია. შენ იცი თუ არა, რა მითხრა ნატა ვაჩნაძემ? „ლეონიძე, კობია ბიჭო, შენ კი გენაცუალო“.

— ეგ როდის, ბატონო გიორგი?, — გადავწყვიტე ზუმრობით დამემთავრებინა ამ კონკლიქტის ფინალი. ამაზე სულ გაცეცხლდა და ორი-სამი დღე მიბღვერა.

ათიოდე დღის შემდეგ მწერალთა სახლში ჩემი შეცდომის გამოსწორების საშუალება მომეცა და იმდენი ვიძახე — ჩვენი მარად უბედური გიორგი ლეონიძე, — რომ, მგონი, აქაც გადავამლაშე, რადგან ტრიბუნიდან გადმოხუტულ ბარათი დამხვდა: „ეგ ვერაფერს გიშველისო“.

• • •

იყო დიდი და უქმარიტი პატრიოტი. სამწუხაროდ, ამ უქმანდესსა და უმაღლეს გრძნობას ზოგიერთი ჩვენი „მოღვაწე“ მეტად საეჭვო ხასიათის ექსპლუატაციას უწევს. ამერიკელი მწერლის ბირსის სახუმარო ლექსიკონში ნათქვამია, რომ პატრიოტიზმი არამზადის უკანას-

კნელი თავშესაფარიაო. რა თქმა უნდა, ბირს მხედველობაში ჰქონდა საეკულატური პატრიოტიზმი, რასაც არაფერი აქვს საერთო სამშობლოს ნამდვილ სიყვარულთან.

„სამშობლო — ჩემი ლექსის სახელი“ წერდა გიორგი ლეონიძე. საქართველო უყვარდა მთლიანობაში, შესტრფოდა მის წარსულს, უმღეროდა და აშენებდა მის აწმყოსა და მომავალს.

საქართველოს გარეთ ყოფნისას თავს მოუსვენრად გრძნობდა, შინ მიეჩქარებოდა. ხშირად ვყოფილვართ ერთად სხვადასხვა რესპუბლიკებში და მიუხედავად იმისა, რომ ყველგან ბრწყინვალედ ხვდებოდნენ კოლეგებიცა და არაკოლეგებიც, მიანიც, ექიმების ენით რომ ვთქვათ, დისკომფორტს განიცდიდა, ბავშვითი უხაროდა სახლში დაბრუნება.

ერთხელ ოფიციალური დელეგაციის შემადგენლობაში ვახლდით გიორგი ლეონიძესთან ერთად ერთ-ერთ მოძვე რესპუბლიკაში. მეგობრობის ზეიმი კარგა ხანს გაგრძელდა და ბატონ გოგლას ნოსტალგიის შეტევის პირველი ნიშნები დეტყო. არა და ის დღეები ლეონიძის დიდ ტრიუმფად გადაიქცა. დღეში რამოდენიმეჯერ უწყვედა გამოსვლა, ლექსებს კითხულობდა, შემდეგ მისი ლექსების თარგმანებით გამოდიოდნენ პოეტები და მსახიობები. მისალმებები, ოვაციები, ბანკეტები...

ზეიმის მესამე დღეს, როცა გამეღვიძა და ჩვენი რეზიდენციის აივნებიდან ბალეს გადავიხედე, დავინახე გიორგი ნიკოლოზის ძე, რომელიც ქვეუღებისამებრ გვიან დგებოდა, შუა ეზოში იდგა და სივარეტს აბოლებდა. მთელი მისი ფიგურა მოწყენასა და სევდას გამოხატავდა. ჩავიკბინე ეზოში და მივესალმე.

— უმეფოდ ხომ არა ბრძანდებით, გიორგი ბატონო?

— არა, კარგად ვარ... მოდი, დღეს თბილისში წაივდიეთ.

— ჯერ ვერ წავალთ, ბატონო გიორგი, ორი დღე კიდევ აქ უნდა ვიყოთ. მე მგონი ყველაფერი ჩინებულად მიდის, ჩვენი დელეგაციის ღებრით და მშვენება თქვენა ხართ და აბა უთქვენოდ როგორ იქნება?

— ეგ ღებრით და მშვენება მე არ ვიცი და სახლი კი ძალიან მენატრება. Хочется окунуть в родную атмосферу.

• • •

როგორც ყველა უქმარიტი პატრიოტი, უდიდესი ინტერნაციონალისტი იყო. უყვარდა და ბრწყინვალედ იცოდა ბევრი ხალხების ლიტერატურა და კულტურა. ზეპირად კითხულობდა პუშკინს, გრძელ პასაჟებს ტოლსტოიდან და ჩეხოვიდან. ნაციონალიზმის არსი გამოხატა აბსოლუტურად გენიალური ფორმულით:



«Преследуемый национализм выглядит симпатичным, но национализм торжествующий — свинство».

• • •

შვილიშვილებს ბევრს მოუთხრობდა საქართველოს წარსულზე, სურდა სამშობლოს სიყვარულს სულსიკეთებთ აღზრდილიყვნენ. მის პატრიოტულ გაკეთილებს ზოგჯერ სრულიად მოულოდნელი შედეგი მოჰყვებოდა სოღმე. ერთხელ წყნეთში, ბატონ გიორგის აგარაკის აივანზე ვისხედით და ესაუბრობდით. უცერად კბეზე ამოიქრა გიორგი ლეონიძის უმცროსი შვილიშვილი, რომელსაც ბაბუა მოფერებთ ციფულას ეძახდა (ლეონიძის ქალიშვილის — თინათინ ლეონიძისა და მისი მეუღლის, ქართველი მეცნიერის ოთარ გვინჩიძის ეყ). ციფულას (მაშინ ის 5-6 წლის იქნებოდა) ხელში ჭალაღის ნაგლევი ეპირა, ჭალაღზე კი აქა-იქ წითელი ლაქები მოსჩანდა, ეტყობა, ეს ქალაღი მღებავებს აგარაკის რემონტის შემდეგ დაეგლოთ ეზოში.

— პაპა, პაპა, — გაჰყვიროდა ციფულა, — შეხედე, თამარ მეფის სისხლი, თამარ მეფის სისხლი!

• • •

გალაკტიონ ტაბიძესავით, გიორგი ლეონიძეს სრული უფლებით შეეძლო ეთქვა: „მაქვს მყერღს მიღებული ქნარი, როგორც მინდა“. ქართული სიტყვა სრულ მორჩილებაში ჰყავდა ამ გოლიათს. ამავე დროს მისი ნოვატორობა შორს იყო სიტყვაზე ძალმომრებისაგან, ლეონიძე თვით სიტყვისა და ენის ბუნებიდან გამოდიოდა, მისი სიახლენი ენის საიდუმლოთა ამოხსნის შედეგია. გიორგი ლეონიძის ენა ამოუწყურავი მაღანია. მისი ბოლო, პროზით დაწერილი წიგნის წაითხვა სულმოთქმულად შეუძლებელია, იმდენად დიდია მისი ყოველი გვერდის ენობრივი კონცენტრაცია.

ლეონიძის ხატოვანი აზროვნება ლაღი და თამამია, შედარებები მოურიდებელი, სახეები ერთდროულად რეალურითაა და ზღაპრულიც.

„ხოდაბუნები თავთუხებისა“,
 „მოღი, გეძახი ათას წლის მერე“,
 „ყველა ხეგსური, ვიცი, დანტეა“;
 „სიკაბუტის დღეები შორიდან მომბღაყიან,
 როგორც მთიდან ირმები“,
 „მაჩვენეთ ჩემი ოცნება,
 რქა ზედ მივაფშხენა რქაზედა“,
 „პატარა ქვაო პატარაქულში
 რა დიდი სუნთქვის ხარ შემნახველი...“

ლაგოდების რაიონს გარღამავალი ვაღაეცა. ცერემონიაღს გიორგი ლეონიძეც ესწრებოდა. შეუძლოდ იყო, წნევა აწუხებდა, მაინც არ მოვეშვი, ორი სიტყვა უთხარით ლაგოდუხელებს, გავხარღებათ, თქვენს დემიღს ცუღად გაიგებენ-მეთქი. როგორც ყოვეღთვის, ბრწყინვალე სიტყვა წარმოთქვა. განსაკუთრებით დამამხსოვრდა მოულოდნელი და თამამი სახე: „ეგ დროში, ჩემო ძებებო და დებო, თქვენი ოფლის წვეთებისაგან არის მოქსოვილი“. ეთიღშობიღური, ამღღებუღი, ხაღხური აზროვნება!

• • •

ახღღაზრღობა უყვარდა და მის დამოკიდებუღებაში მზარღისაღმი, ჩამოუყალიბებუღისაღმი კონსერვატიზმის ნატამაღიც კი არ იყო, ნიუხეღვადა იმისა, რომ შემოქმედებაში და საერთოდ აზროვნებაში ბატონი გიორგი შეუტყვევეღ ტრადიციონალისტი ვახღღათ.

მასსოვე ერთხელ მის დღეობას ცნობიღი და მეტად პოპულარული რუსი პოეტი ევგენი ევტუშენკო დაესწრო. ლეონიძე რაღაც განსაკუთრებით, მამობრივად ეფერებოდა სტუმარს და სუფრაზე ინიციატივა დაანება. იქ დამსწრე ზოგერთ მწერალსა და ხეღღოვანს ეს არ მოეწონა. პროფესიულმა ქიშობამ, დიამეტრალურად საწინაღმდეგო ხასიათებისა და შეხედუღებების დაპირისპირებაში ერთგვარად დაძახებს ატმოსფერო სუფრაზე, რასაც აღბათ შესანიშნავი „მანავიც“ უწყობდა ხელს. მხოლოდ ბატონი გოგღა იღიღებოდა თავისი განუშეორებელი ლეონიძისეული ლიმიღით, რაც იმას ნაშნავდა, რომ ამ უქქა-ქუხიღს არა თუ ნიღღვარი, ეუუუენა წვიმაღც კი არ მოჰყვებოდა.

არავითარი შური, არავითარი სურვიღი შეგიბრებისა. აღბათ თვიღთონ იყო ძალიან დიდი და ამიღომ აღღევდა თავისთავს უფღებას ყოღიღიყო ოღმიპიეღივით თბიეღქტური, მომთმენი, სამართლიანი.

• • •

ერთ ძაღზე პოპულარულ პოეტზე:
 — Его лирика — парикмахерский флирт!
 დმერთო შეგცოდე, სამართლიანია, სასეებით სამართლიანია!

• • •

მეტად რთული და თავისებური დამოკიდებუღება ჰქონდა გაღაკტიონ ტაბიძესთან და მის შემოქმედებასთან. ბატონი გიორგი იყო ბრწყინ-

ღევი სტურბა
 „ღა მბრძნობ, — არასდროს მოგვკვდები!“

ვალე მეკლევარი ქართული ლიტერატურისა, დახვეწილი გემოვნების მქონე. წარმოუდგენელია, რომ მას ყველა ნიუანსში არ შეეგრძნო გალაკტიონის სიდიადე, არ სცოდნოდა ზუსტად და შეუცდომლად მისი შემოქმედების მნიშვნელობა ქართული პოეზიისა და საერთოდ მხატვრული აზროვნების განვითარებაში. ხშირად გვეკონია საკმაოდ დაძაბული კამათი გალაკტიონის თემაზე. არ მეთანხმებოდა, რომ გალაკტიონი უნივერსალური ნოვატორი იყო თემატურადაც და ფორმითაც. მე მიმანინდა და ახლაც მიმანინა, რომ გალაკტიონმა ქართულ ლიტერატურაში იგვე ვააკეთა, რაც რუსულ პოეზიაში ვაკეთებდა ლოკმა და მაიაკოვსკიმ. ბატონი გიორგი კი მიმტკიცებდა, ქართული ლექსის რეფორმა — ცისფერყაწველების დამსახურებააო. დიდად სწყინდა, როცა ვუვუბნებოდი, რომ ყანწელები თავისი შემოქმედების პირველ ხანებში უცხოური და რუსული სიმბოლიზმის ეპიგონებს წარმოადგენდნენ და ამიტომაც მათი შემოქმედება ამ პერიოდში არ შეიძლება ჩათვალოს ნოვატორულად. გიორგი ლეონიძე ადამიანი იყო, არაფერი ადამიანური მისთვის უცხო არ იყო და, რა ვუყოთ რომ ცოტას ეკვიანობდა ამ თავისი დიდი ძმის მიმართ. არასოდეს დამევიწყებდა გიორგი ლეონიძის გულწრფელი ცრემლები გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში და გალაკტიონის ტიტანური ფიგურის ღირსეული აღიარება მის მიერ.

გალაკტიონი და ლეონიძე ქართული საბჭოთა პოეზიის უმაღლესი მწვერვალებია, ახალი საბჭოური კულტურის დიადი მშენებლები. თუ გალაკტიონმა ქართულ პოეზიაში ფართოდ გაუღო კარი ევროპიზმს, რუსული და მსოფლიო ლიტერატურის უახლეს მიღწევებს, გიორგი ლეონიძემ ქართული ხალხური სიტყვა-კაზმულობის უმდიდრეს ტრადიციებს საბჭოური თემატიკა დამყნო და მიიღო ორგანული დუღაბი, რამაც დასაბამი მისცა მთელს მიმართულებას ჩვენს ლიტერატურაში. გალაკტიონი — კოსმიური ტიტანი, მას შეუძლია ატმის დაღალული რტო რევოლუციის გრიგალში დაბნეული ინტელიგენციის ბედად წარმოგვიდგინოს, ხოლო ალუჩა — შვიდი წლის ბავშვი, რომელსაც ბრძოლისაგან დაღლილი სახე და თავში ჩანჯღარი ტყვია აქვს, ომებისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ მიმართულ უდიდეს პროტესტად გადაქციოს. ლეონიძე კი ანთოისია, მას მშობებ მიწაში უდგას ფეხებზე, ამ მიწის ბარაქითა და მაღლით საზრდოობს, იგი დიდი ვეჟას პირშმა, ვეფხისა და მოყმის დამწერის შორეული შთამომავალი. ზოგს, წარსულის გაუთავე-

ბელი ჰერეტიკით მხედველობა შესუსტებულს, ეჩვენება, რომ ლეონიძე მხოლოდ ძველკლასიკური თელოს მომღერალია, არა. მეგობრებო, როგორც არავინ თანამედროვეა გიორგი ლეონიძე. მან ერთ-ერთმა პირველმა დაინახა, როგორ გააპო რევოლუციის მეხმა „საქართველოს საყდრული მუხღრობება“ გოლიათური ფილტვებით ღრმად შეისუნთქა რევოლუციის ქარიშხლით განწმენდილი ჰაერი სამშობლოსი და უბრძანა თავის თავს: „ლეონიძე, ამ დღეებს უდარაჯეო“.

ბევრჯერ უთქვამს ჩემთვის: — ახლა დიპლომატიის თავი დაანებე და მი-თხარი, მე ვკობივარ თუ გალაკტიონი?

მე მართლაც ვდიპლომატობდი და პირდაპირ პასუხს ამ შეკითხვაზე არ ვაძლევდი, ვეუბნებოდი, რომ სხვადასხვა მისია გაქვთ ჩვენს ლიტერატურაში, არ შეიძლება-მეთქი, ასე თქვენს დაპირისპირება და კიდევ ბევრ ამისთანებს ვებლანდავდი.

— ალბათ გალაკტიონი გირჩევნია, თორემ ხომ პირდაპირ მეტყოდი, რომ შენა სჯობიხარო.

რა თქმა უნდა ეს საუბრები ხუმრობის სფეროში ტრიალებდა, თორემ აბა ვინ იცოდა გიორგი ლეონიძეზე უკეთ და ღრმად, თუ ვინ და რა არის გალაკტიონ ტაბიქე?

• • •

ზოგჯერ, ძალიან იშვიათად, იკვიანობასაც იჩენდა. ერთხელ რაღაცაზე დაგვირდი და ვერ მომძებნა. ჩემმა თანამშრომელმა უთხრა, სხლო-მაზე არისო და ვერ გამოვიძახებო იქიდან. იმ დღესვე შეგვხვდი და ბევრი ვებოდიშე, მაგრამ, როგორც ჩანს, მაინც ნაწყენი დარჩა. ჩემს თანამშრომელს კი იმ დღიდან ქოსატყუილა და-არქვა.

• • •

ზაფხულობით ზოგჯერ დამირეკავდა, — წამო წყნეთში ავიდეთო. მე კარგად ვიცოდი ამ წყნეთში ასვლის რთული რიტუალი. ჭერ ბაზარში გაივლიდა, მაღაზიაში, თონეში და კიდევ ათას ადგილას, ნათესაებს და ახლობლებს პატრონობდა, ნაყიდს მიუტანდა, მოიკითხავდა, მოეფერებოდა და ხშირად დღის 2-3 საათზე სახლიდან გასულები წყნეთში შებინდებისას თუ ავალწევდით ხოლმე.

წყნეთში, თავის აგარაკის აივანზე უყვარდა ჯდომა. ეს აივანი სავანგებოდ ფართო და გრძელი გაეკეთებინა. ამბობდა, კარგი აივანი ყველა-ფერი იყო. მარტობა ეჭაერებოდა და ყველგან, სამსახური იყო ეს თუ სახლი, ხალხი ეხვია გარს.

• • •

ქეშმარიტად რაინდული სული ჰქონდა. არ მახსოვს უხამსობის ნატამალიც კი მის დამოკიდებულებაში ქალებთან. არა თუ უხამსობა, უბრალოდ გადაქარბებული მგრძნობიარობა, ან სხვა რაიმე ამგვარი. სხვათა შორის, მის პოეზიაში სიყვარულის თემაც ყოველთვის მასშტაბურია. ლეონიძის ლექსში ვერ შეხვდებით ბევრი პოეტის სატრფიალო ლირიკისათვის დამახასიათებელ ყოფით დეტალიზაციას. იგი ამ შემთხვევაშიც აზროვნებს მონუმენტური სახეებით:

„ხატი იყავ, ვეფხი დაქალებული“,
„შენ, სილამაზის ნაზო გრიგალო“,
„როგორც ხმალი, ძმებო ტამერლანისა,
სიყვარული ისე დამჯახებია“,
„დამნაცროს ელვამ შენი ტანისა“...

ეს დიდი რუსთველისა და ბარათაშვილის მაღალი ტრადიციებია. საშინლად ეჭვარებოდა პსევდოყარაჩოღული, მიკიტური ლაი-ლაი სამიჯნურო თემაზე.

• • •

ავადმყოფი გიორგი ლეონიძე, შემკრთობი, უსიცოცხლო...

— ადამიანი თურმე მარტო კვდება.
— რას ამბობ, ბატონო გიორგი, შენი ჭირიმე!
— თავის თავს უკვდება.

გაზეთ „პრავდის“ საკუთარმა კორესპონდენტმა, გიორგი ლეონიძის საუკეთესო მეგობარმა და მოამაგემ გიორგი ლებანიძემ მოიტანა „პრავდის“ უკანასკნელი ნომერი გოგლას ბოლო ლექსების თარგმანებით. უკანასკნელი გალიმება ლეონიძის ვეფხისებური თვალებისა, შემდეგ გარინდება, გამოთიშვა, დუმლიო...

... დგას გიორგი ლეონიძე თავისი სახლის ეზოში, თავზე კახური ქული ახურავს. იცინის... უცინის თავის ლექსში გაღმერთებულ სამშობლოს, საქართველოს ლაყვარლებს, მთელ ქვეყანას, ყველა კარგ კაცს, ყველა ბავშვსა და დედას და მესმის, მესმის მისი ლომური ბუბუნა: „და ვკრინობ, — არასდროს მოვეკვდები!“



ანდრო მიჩინაშვილი

დიადი ბრძოლების მატყანა

„ჩვენს დროში ძნელია გმირობით ვინმე გააქვირო!.. მაგრამ ქართველ პარტიზანთა თავდადება მაინც უმაგალითოა... დიდება დაუვიწყარ მეგობრებს!“ — წერდა პარიზის ერთ-ერთი გაზეთი 1944 წელს სამხრეთ საფრანგეთში მებრძოლ ქართველ პარტიზანთა ბატალიონის მართლაც უმაგალითო გმირობის გამო; ხოლო მეორე გაზეთი, ამ ბატალიონის ერთ-ერთი საბრძოლო ეპიზოდის აღწერასას, უდიდესი მადლიერების გრძნობით დასძენდა: „ჩვენი ქვეყანა არასოდეს დაივიწყებს ქართველების რაინდულ თავდადებას!“

ბევრი ამგვარი ცნობაა გაბნეული, როგორც საბჭოთა, ასევე უცხოეთის პრესაში ჩვენი ქვეყნის სახელებს მიღმა მებრძოლი საბჭოთა პარტიოტების შესახებ, მაგრამ ფართო საზოგადოებრიობამ თითქმის არაფერი იცის თუ ვინ იყვნენ ეს გმირები, როგორ მოხდენ იქ, ან რა ბედი ეწიათ საბოლოოდ. კერძოდ, უცნობია ვინ იყვნენ ის გმირები, რომელთაც სამხრეთ საფრანგეთში შეადგინეს პარტიზანული ბატალიონი და ფრანგი ხალხის სამარადისო მადლობა დაიმსახურეს. ისინი ხომ საფრანგეთის პრესის ალიარებით, ისეთივე თავგანწირვით იბრძოდნენ ფაშიზმისაგან საფრანგეთის გათავისუფლებისათვის, როგორც იბრძვიან მშობლიური მიწა-წყლის გადასარჩენად!

ბევრი მათგანი სამუდამოდ განისვენებს სამშობლოდან შორს — უცხო მიწაში, ზოგი კი ელერსა გამარჯვების სიხარულს, ახლა ჩვენ შორის არის, ჩვენს გვერდით შრომობს. ხშირად ვერც ვგრძნობთ, რომ ჩვენს გვერდით არის ჰუმარტი გმირი, რომელმაც სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ასახელა ჩვენი სამშობლო, დიდი წვლილი შეიტანა ფაშისტ ბარბაროსებისაგან მსოფლიოს ხსნის საქმეში, იმ საქმეში, რომლითაც დღეს კანონიერად ამყობს მთელი პროგრესული კაცობრიობა.

ერთ-ერთი ამგვარი პიროვნება ალექსანდრე კალანდაძე.

ალექსანდრე კალანდაძემ 1936 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1939 წლამდე მასწავლებლობდა, 1939 წელს კი საბჭოთა არმიაში გაიწვიეს, სავალდებულო სამხედრო სამსახურს ბრესტში იხდიდა. იქ მოუსწრო ომმა და აქტიური მონაწილეობა მიიღო ბრესტის ციხე-სიმაგრის საქვეყნოდ განთქმულ დაცვაში, დაჭრილი ტყვედ ჩაიგდეს გერმანელებმა. ჭრილობა მოშუშებულიც არ ჰქონდა, რომ ტყვეობიდან გაიქცა და პოლონელ პარტიზანებს დაუკავშირდა. მას დიდად დაეხმარა გერმანული ენის ცოდნა, რის მეშვეობითაც ხშირად თვით ფაშისტების გვერდით ტრიალებდა და პარტიოტულ საქმეებს აკეთებდა. შემუშრწველად სამხედრო ობიექტების რამდენიმე აფეთქება მოაწყო. შემდეგ საფრანგეთში... აქ დაუკავშირდა ფრანგ პარტიოტებს, სათავეში ჩაუდგა ქართველ ტყვეებს, მოაწყო გაქცევა. ამ გზით ჩამოყალიბდა ქართველ პარტიზანთა ბატალიონი, რომლის კომისარაც თვითონვე იყო. სწორედ ამ ბატალიონის საგმირო საქმეების გამო არის ნათქვამი ჩვენს მიერ წერილის დასაწყისში მოყვანილი სიტყვები.

მთელი ოთხის წლის მანძილზე ალ. კალანდაძე სიკვდილის პირისპირ იდგა. საკონცენტრაციო ბანაკში ყოფნამ, ტყვიის წვიმებმა, საუბუთესო მეგობრების თვალწინ დახოცვამ და ათასმა სხვა უბედურებამ ვერ გატეხა მისი ნებისყოფა. გაუძლო ყოველგვარ გაკირვებას და დღეს, უკვე ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, სახელმწიფო მეცნიერი და მრავალი მონოგრაფიისა თუ ცალკეული გამოკვლევის ავტორია.

ალ. კალანდაძის ცხოვრების გზა თავისთავად ერთი საუბუთესო თემაა ფართოპლანაინი მხატვრული ნაწარმოებისა, რომელიმე მწერალს რომ



მოციდნა მისთვის ხელი. თვით ალ. კალანდაძესაც თუნდა უბრალო მემუარები დაეწერა, მაინც დიდ ინტერესს აღძრავდა მკითხველში, მაგრამ, საბედნიეროდ, მრავალ ბრძოლათა მოწაწილე მეცნიერს ჯეროვანი შემოქმედებითი ნიჭი აღმოაჩნდა, შექმნა საყურადღებო ნაწარმოებები და მკითხველს მხატვრული სახეების საშუალებით გაუზიარა ნაგრძნობი და განცდილი.

ახლანდელ გამოქვეყნებას „მერანმა“ გამოსცა ალ. კალანდაძის ახალი წიგნი „მაკიზარებთან“, რომელშიც ასახულია საფრანგეთში მებრძოლი ქართველი პარტიზანული ბატალიონის საბრძოლო გზა. ამით ალ. კალანდაძემ ფაქტიურად დაასრულა ის დიდი სამუშაო, რომელსაც ომის დამთავრებისთანავე მოკიდა ხელი და რომლის ორი ნაწილი — „დღეები ბრესტის სიმაგრეში“ და „პიასტის ნამუხლარზე“ — 1961 და 1967 წლებში დიდის კმაყოფილებით მიიღო მკითხველმა. ეს სამი წიგნი, არსებითად, ტრილოგიას წარმოადგენს, რომელიც მკითხველს აცნობს საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის დროს საბჭოთა ადამიანების მაღალ მორალურ-პოლიტიკურ შეგნებას, ამაღლებულ ჰუმანიზმსა და პატრიოტიზმს. ამიტომ გვინდა სამივე წიგნი ერთად განვიხილოთ.

როგორც აღვნიშნეთ, ალ. კალანდაძის წიგნები დოკუმენტური ხასიათისაა, დაწერილია უშუალოდ ნახულისა და განცდილის საფუძველზე. სამივე წიგნის მთავარი გმირიც ავტორია და ყველა სხვა პერსონაჟს მკითხველი მასთან ურთიერთობაში ეცნობა. მაგრამ, ამავე დროს, ეს წიგნები არც მშრალი დოკუმენტია და არც ლიტერატურულად დამუშავებული მემუარები. ჩვენს წინაშეა ჰუმანიტარული მხატვრული ნაწარმოებები, სადაც კონკრეტული ფაქტები ფართო მხატვრული განზოგადების სიმაღლეზეა აყვანილი და შემეცნებით ღირსებებთან ერთად, ძლიერი ესთეტიკური ზემოქმედების ძალაც გააჩნიათ. მკითხველი, თუ არ იცის, რომ ავტორი აღწერილი ამბების მონაწილეა, პირველ ბირში თხრობას ნაწარმოების სტილურ თავისებურებად მიიჩნევს. მსოფლიო ლიტერატურაში ხომ მრავალდ მოიხილება ამ ფორმით შექმნილი თხზულებანი.

პირველ რიგში გვინდა მკითხველის ყურადღება მივაქციოთ იმ მოვლენებს, რომლებიც ალ. კალანდაძეს ასახვის საგნად გაუხდია. ესენია: ბრძოლები ბრესტის ციხე-სიმაგრეში, ქართველი პარტიზანები გერმანიის მიერ ოკუპირებულ პოლონეთში და, ბოლოს, ქართული პარტიზანული ბატალიონი საფრანგეთში. სამივე ეს საკითხი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, რადგან მათ შესახებ ჩვენმა მკითხველმა ძალიან ცოტა, შეიძლება ითქვას, თითქმის არაფერი იცოდა. მართალია, მწერალმა სმირნოვმა დიდი შრომა გასწია ბრესტის ლეგენდარული დაცვის შესასწავლად და კარგი ნაშრომიც შექ-

მნა, მაგრამ მისი ამოცანა არსებითად უმატეს სხვა იყო, ალ. კალანდაძე კი სხვა კუთხით უდგება საკითხს. თანაც, არ შეიძლება მხედველობის გარეშე დაეტოვოთ ისიც, რომ სმირნოვი ომის შემდეგ მოძიებული მასალების საფუძველზე წერს, ალ. კალანდაძე კი ამ დაცვის მონაწილეა და უშუალოდ განვილიის მხატვრულ გარდასახვას ახდენს.

ბრესტის ბრძოლები სამამულო ომის ისტორიაში შევიდა როგორც მისი განსაკუთრებული ფურცელი, ომში საბჭოთა ადამიანების ლეგენდარული გმირობის პირველი დადასტურება. მძინარე გარნიზონს გათენებისას მოულოდნელად თავს დაესხა მტერი. ბევრი საბჭოთა მებრძოლი გამოუღვიძებლად დაიღუპა, მაგრამ ვინც გადაარჩა, მათ არანსული წინააღმდეგობა გაუწიეს კბილებამდე შეიარაღებულ ფაშისტურ სამხედრო ნაწილებს. ამ ბრძოლების შესახებ განსაკუთრებულ მკვერმეტყველებით ლაღადებს მწერალ ს. სმირნოვის მიერ მიკვლეული ერთი დოკუმენტი. ეს არის გერმანელთა 45-ე დივიზიის საბრძოლო პატაუი, რომელშიც აღწერილია, როგორ იბრძოდნენ ბრესტის სიმაგრის სარდაფში დაჩენილი მებრძოლები, რა ზარალს აყენებდნენ მტერს და როგორ, აიძულებდნენ მათ უკან დაეხიათ. ამ დოკუმენტის გამო ს. სმირნოვი შენიშნავს: „მე ბრძანება, რომელიც მოიერიშე ნაწილებმა 22 ივნისს სალამოს მიიღეს, წარმოადგენს გერმანიის არმიის უკანდახევის პირველ ბრძანებას მეორე მსოფლიო ომში; მანამ არსად დაუხევიათ უკან“.

ამრიგად, ფაშისტური გერმანიის ყაზებს, რომლებმაც თითქმის ორი წლის მანძილზე ტრიუმფალურად აღაშქრა ევროპაში, პირველი სერიოზული მარცხი ბრესტის მებრძოლებმა აგვემეს, აიძულეს უკან დაეხიათ. სწორედ ეს ისტორიული მნიშვნელობის ბრძოლებია აღწერილი ალ. კალანდაძის წიგნში „დღეები ბრესტის სიმაგრეში“.

„დღეები ბრესტის სიმაგრეში“ 1939 წლის შემოდგომის ერთი დღის აღწერით იწყება. ახალგაზრდები საბჭოთა არმიაში მიდიან. უმეტესობა ბავშვობის ასაკიდან ახლად არის გამოსული, მხოლოდ თითო-ორილად შედარებით უფროსი ასაკისა და ცხოვრების გამოცდილების მქონე. ამ უფროსთა თვალით უყურებს ავტორი ახალგაზრდებს, რომლებიც, მართალია, ჩუმ შინაგან სევდასაც განიცდიან შეჩვეული ცხოვრებისაგან მოწყვეტის გამო, მაგრამ სიამაყე უფრო მეტად ავლენენ, რაც პირველ რიგში იმით არის ახსნილი, რომ მათ უკვე იგრძნეს სრულუფლებიანი მოქალაქეობა და მათი მოწოდება კანონითადა დადასტურდა: არმიაში გაიწვიეს, სამშობლოს საზღვრების დაცვა იანდეს. აქ მრავალი ახალგაზრდაა. ყველას

ანდრო მირიანაშვილი
დიადი ბრძოლების მატინანი



თავისებურად წარმოუდგენია მომავალი ჯარისკაცული ცხოვრება და თავიანთი შეხედულებებისამებრ ირჩევენ ჯარის სახეობებს: ზოგი არტილერიისტობაზე ოცნებობს, ზოგი კავალერიას ამჯობნებს, ზოგი ფეხოსან ნაწილს ირჩევს... ეს ახალგაზრდები არიან მომავალი მებრძოლები, რომელთაც შემდეგ პირველებმა უნდა განიცადონ მტრის რისხვა, პირველნი შეეხებენ კბილებამდე შეიარაღებულ ფაშისტურ დივიზიებს. მათ სულ მალე ბრესტის გარნიზონში ვხვდებით და იწყება ჯარისკაცული ცხოვრება.

ჯარისკაცული ცხოვრების დასაწყის ხანას ავტორი ასე გვიხსიათებს: „ახალწვეულებმა სამოქალაქო კურტი კარგა ხანს ვერ გამოვიცვალეთ. რამდენსამე კვირას მოგონებებით ვსუნთქავდით. ზოგს ოჯახი და შეყვარებული ავონდებოდა, ზოგი საფერავსა და მწვანდ ვახსენებდა, ზოგიც, პირველი დედაბერივით, მარწყვსა და ყურძენს მოინატრებდა ამ იანვარში“. ზოგს აქაც არ ასვენებს იმ საქმეზე ფიქრი, რომელიც ცოტა ხნის წინ შეუწყვეტია და ოცნებობს, მალე დაუბრუნდეს მას, ამიტომ რაღაც უცნაური კალენდარიც კი შეუდგენია, რათა ყოველ საღამოს წაშალოს განვლილი დღის აღმნიშვნელი რიცხვი. ზნორად ფურცლავს მას, დაღინებით შლის ერთსა და იმავე რიცხვს, და გული სწყდება, ასე რომ მიზღავენება დრო. დრო კი ოდითგანვე დადგენილი ტემპით მიდის და ანგარიშს არ უწყევს ჰაბუყების ნებასურვილს. მათ ისღა დარჩენიათ, რომ მღვთაობას შეეფარონ, დაეუფლონ საბრძოლო საქმეს, ხოლო თავისუფალ დროს მომავლის პერსპექტივაზე იფიქრონ ან გაერთონ და ერთმანეთი გააქილიკონ. ასე ახასიათებს ალ. კალანდაძე ჯარისკაცული ცხოვრების პირველ დღეებს. ავტორი დროდადრო იუმორისტულ შტრიხებსაც ურთავს, აი, ერთი მაგალითი: მეგობრები გორგულაძეზე ხუმრობენ: „ეს ყმაწვილი სადგურამდე გამოუცილებია დედას; გზაში სულ ასე ეჩინებოდა თურმე: თოდს და ზარბაზანს არ მიეკარა, ტყვია არ გაგივარდესო!“ ეს მართლაც ჯარისკაცული ხუმრობაა და მისმა წაკითხვამ არ შეიძლება ღიმილი არ მოგვგაროს. მაგრამ ეს იუმორისტული ეპიზოდი მარტო ღიმილის მოსაგვრელად როდია ნაწარმოებში ჩართული. მას სხვა იდეურ-მხატვრული ფუნქციაც გააჩნია, რაც თვალაჩინოდ ჩანს მოვლენათა შემდეგი განვითარების აღწერისას.

ძალზე ერთფეროვანაა ჯარისკაცის ცხოვრება. არამც თუ ყოველი დღე, ყოველი საათი და წუთიც კი მკაცრად რეგლამენტირებულია და ერთმანეთს ჰგავს. მაგრამ ამ ერთფეროვნებაშიც არის რაღაც მიმზიდველი, საამაყოც კი. ალ. კალანდაძე სწორედ ამ უკანასკნელი გარემოების დასახასიათებლად პოულობს შესაფერ შტრიხებს და მკითხველს გულწრფელად სკერა იმ ჯარისკაცებისა, რომელთაც ვაჟკა-

ცად არ მიაჩნიათ ის კაცი ვისაც საშინელი ლათი არ უტარებია...

იწურება საეაღდებულო სამხედრო სამსახურის ვადა. კიდევ ორიოდ თვე და ალ. კალანდაძის წიგნის გმირთა დიდი ნაწილი საყუთარ ოჯახებში უნდა დაბრუნდეს: ზოგს „ტეხა-კრეფაზე“ მიეჩქარება, ზოგი დროებით შეწყვეტილი საქმიანობის გაგრძელებაზე ფიქრობს... ყველას თავისებურად წარმოუდგენია მომავალი... საერთოდ, ყოველ მხრივ სამშვიდობო განწყობილებაა და ეერავინ გრძნობს კარგე მომდგარი გრივალის საშინელებას. ასეთი განწყობილება სუფევდა ბრესტის გარნიზონში 1941 წლის 21 ივნისის საღამოს, რომელიც ვრცლად არის აღწერილი წიგნის ერთ თავში — „საღამო მშვიდობისა და დილა ბრძოლისა“. ომზე არავინ ფიქრობს. პირიქით, მეთაურებს ისიც კი განუზრახავთ, რომ მეორე დღეს „ვეფხისტყაოსანზე“ საჯარო ლექცია მოისმინონ; ერთ ჯარისკაცს მამა ჩამოსვლია სანახავად და ამხანაგეები მიუწყვევია პურმარინები. მხიარულად გატარებული საღამოს შემდეგ ჯარისკაცები გვიან იძინებენ, რადგან მეორე დღე კვირაა.

დაიძინეს, მაგრამ მალე საშინელმა რყევამ გამოადგინათ — ფაშისტებმა ყუმბარები დაყარეს მიძინარე გარნიზონს... დაიწყო ომი, ვინც ცოცხალი გადარჩა, გონს შორის და საომარდ ეშვადება. თავშესაფარად სარდაფი აირჩიეს და მტერს იქიდან გაუხსნეს ცეცხლი. „ზოგი ტრუსების ამბრა შემოვარდნილა თავშესაფარში, ზოგს შაშხანის, ავტომატის და ტყვიამტრქევეის წამოღებაც მოუსწრა. გონმოსული უიარაღოანი აღარავერს ეშუებოან, უკანვე გარბიან იარაღისათვის“. დაიწყო სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა და თავგანწირვით იბრძვიან ის ადამიანები, რომლებიც სულ რამდენიმე საათის წინ მხოლოდ მშვიდობიან ცხოვრებაზე ოცნებობდნენ. როგორ შეიძლება გულის სიღრმეში არ აღაშფოთოს ადამიანი იმ ბარბაროსობამ, რომელსაც გერმანელი ფაშისტები სჩადიოდნენ. აი, ერთი დეტალი ალ. კალანდაძის წიგნიდან: „გათენებისას ბომბების გრიალში სათოფეს მოადგა ახალგაზრდა დედა, გაწეწილი, ვასისხლიანებული; თავწაგლეჯილ ჩვილს გულში იხუტებდა. სანამ სარდაფში ჩამოყვანას მოვასწრებდით, ყუმბარამ დაფლითა“. საოცრად ამზრუნენი სურათია!.. ამის შემდეგ სავესბით ბუნებრივია მებრძოლთა ის განწყობილება, რომელსაც ალ. კალანდაძე ასე ახასიათებს: „იმ დილით კრიჭა შეეკრა ყველას. სიტყვას იშვიათად გაიგონებდით. ზოგჯერ თუ აღმოსდებოდა ვისმე: „ქვეწარმავლები!“.

გაუგონარი სიმამიცოი იბრძვიან სარდაფში გამაგრებული გმირები. რა თქმა უნდა, უადრესად საინტერესოა ამ ბრძოლის ყოველი დეტალიც კი, მაგრამ მხატვრული ნაწარმოები ამას ვერ იგულებს და ალ. კალანდაძე მხოლოდ ზოგიერთზე ჩერდება, აპყავს ავი ტიპიურ განზო-



გადღებამდე და ამ გზით სრულყოფილ წარმოდგენას ვეძღვებთ თავის გმირებზე. ზოგიერთი მათგანი უფრო მკვეთრად არის დახატული, ზოგი შედარებით მკრთალად, მაგრამ ერთი მინც ცხადია: ყველა ერთნაირი სულიკვეთებით არის გამსჭვალული: ჯარისკაცი თუ ოფიცერი, მზარეული თუ 12 წლის გოგონა. ამ საბრძოლო ეპიზოდების აღწერაში აღარ გვეხდებიან ნაწარმოების წინა ნაწილებიდან ცნობილი მრავალი პიროვნება და ჩვენც ვერწმუნდებით, რომ მათ სიკვდილმა ძილი უქოია. სადა არიან ის ბიჭები, — მთელი ეშვალონი — ნაწარმოების დასაწყისში რომ გავაცნო ავტორმა. რა ცოტა გადარჩენილა ცოცხალი პირველი დაბომბვის შემდეგ! და მათი უმეტესობაც მალევე გმირულად სწირავს თავს საშობლოს. ეს გარემოებაც რამდენ რამეზე დააფიქრებს მკითხველს.

ბრესტის ციხე-სიმაგრის კედლებს ახლაც ეჩნევიან „ალაგ ფანქრით, ალაგ ხიშტით, ზოგან ფრჩხილით ამონაკაწრით“, რომლებიც მითითურ ფრაგმენტებს მიაგავენ და მკითხველს ამცნობენ სამშობლოსათვის თავგანწირულ გმირთა სულისკვეთებას. ზოგს გვარ-სახელის წარწერაც ვერ მოუხსწრია. სამარადისო დიდება დიმიხახურეს მათ. სწორედ ამგვარ გმირებს (ბევრს აქამდე უსახელოდ დარჩენილს) აცნობს მკითხველს ალ. კალანდაძე. ისინი ბევრნი არიან და სამუდამოდ რჩებიან მკითხველის მეხსიერებაში. ყველა მათგანზე აქ საუბარი შეუძლებელია, მაგრამ არ შეიძლება არ გავიხსენოთ პარტიული კომიტეტის მდივანი პოჩერნიკოვი, რომელიც უნებლიედ გვაგონებს ვაჟა-ფშაველას ბეიურს. ამ რაინდული სულისკვეთების კაცმა საკუთარი თვალით ნახა, როგორ შთანთქმა ცეცხლმა მისი მცირეწლოვანი შვილები, თვითონაც მუუღლესთან ერთად დაიჭრა. ამ დროს მის ოთახში შეიჭრებიან გერმანელები. ტყვეობა ელის. პოჩერნიკოვმა რამდენიმე გერმანელი გამოსასალმა სიცოცხლეს, ხლო უკანასკნელი ორი ტყვიით მოკლა მუუღლე და თავიც მოიკლა.

ამზობენ ხოლმე: სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდანო. ეს თქმა სრულებითაც არ არის პაპერბოლა ბრესტის გმირების მიმართ. ისინი მართლაც სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდნენ. უმეტესობა დაიხოცა, დაჭრილებმა, რომელთაც ცოტა ძალა კიდევ შესწევდათ, ტყვეობას სიკვდილი არჩიეს, მტერმა მხოლოდ გონდაკარგული მძიმედ დაჭრილები ჩაიგდო ხელთ და ტყვედ წაიყვანა. მათ შორის იყო ალ. კალანდაძე, რომელმაც სცადა ცეცხლის ხაზის გარღვევა და საბჭოთა ნაწილებთან შეერთება, მაგრამ მძიმედ დაიჭრა. ტყვეობიდან გაქცეული პოლონეთის ტერიტორიაზე აღმოჩნდა. იქ პოლონელ პარტიზანებზე დაუპავეშირდა და კვლავ განაგრძო ბრძოლა.

სწორედ ეს პერიოდი აღწერილი ალ. კალანდაძის მეორე წიგნში „პიასტის ნამუხლები“ რომანის პირველ გვერდებზე მკითხველი ხედავს გერმანელი ფაშისტების ბარბაროსულ დამოკიდებულებას ტყვეებთან. ისინი ცემა-ტყეპით მიერტყებიან დატყვევებულ საბჭოთა ადამიანებს, სულ ერთია, ჯანმრთელი იქნება იგი თუ ხეიბარი. კოლონას ვინც ჩამორჩება, ჰკლავენ; წაქცეულს წამოდგომასაც არ აცლიან. აი, როგორ მოკლეს ერთი მოხუცი ხეიბარი: მოხუცმა იცის, თუ ჩამორჩა მოკვდება. სიცოცხლის წყურვილი ერთხანს თითქოს ძალს იმატებს — იტანება და მინც მიდის... მაგრამ „დიდხანს ვერ გაუძლო. თითქოს ერთდროულად გაისმა ქვაფენილზე დანარცხების ხმა და ავტომატის ჭერი“. თითქმის ყოველ ნაბიჯზეა შემადრწუნებელი სურათები: შეურაცხყოფა, დამკირება, ცემა, მკვლელობა... ასეთ სურათებს ხელავეთ დატყვევებული ადამიანები და გული რისხვით ევსებათ. მაგრამ რა ქნან? რა შეუძლია უიარაღო, თანაც შიმშილითა და ხანგრძლივი წამებით ღონემიხილ ადამიანს, რომელსაც ზურგში უღვანან ავტომატებით შეიარაღებული მცველები. ყოველ წუთში შეიძლება, მანაც გაიზიაროს მოხუცი ხეიბრის ბედი. ასეთ მდგომარეობა კი საოცრად მტანჯველ ფიქრებს აღძრავს ადამიანში, რომელიც შეიძლება უფრო ძნელი ასატანი იყოს, ვიდრე სიკვდილმისჯილის ღვომა სახრჩობელასთან.

მართლაც ქუშმარტიც ოსტატობით არის გადმოცემული რომანში ტყვედ ჩავარდნილი ადამიანის მძაფრი განცდები. აქ გმირის ხასიათი ისეა დახატული, რომ მკითხველი გრძნობს, მას ტყვეობას სიკვდილი ურჩევნია, მაგრამ, რაღაც შინაგანი ბიძგის წყალობით გადამწყვეტ მომენტში ადამიანური სისულტე იმარჯვებს, სიცოცხლის სიყვარული სძლევს ყველაფერს და იძულებს, აიტანოს ყოველგვარი ტანჯვა, ოღონდ სიცოცხლე თუნდაც რამდენიმე საათით გაიხანგრძლივოს. რომანის მთავარი გმირი (რომელიც თვით ავტორს განასახიერებს) დაჭრილი დაუტყვევებიათ. მას ჯერ ჰკრიბობდა არც კი მომუშეობა და შორეულ გზას გაუყენეს. აუტანელია ეს მგზავრობა. სიკვდილს ნატრობს და ისიც იქვეა. საკმარისია ერთი ჩაჩოქება, ან მწყობრისაგან ჩამორჩენა და ყველაფერი გათავადება. მაგრამ ეს ვერ გაუბედიდა და ძალ-ღონის არაადამიანური დამაბებით მინც მიჰყვება კოლონას და რაც მთავარია, თითქოს საკუთარი თავის წინაშეც კი იწყებს თავის მართლებას. ეს თვითმხილებაა გადმოცემული შემდეგ შინაგან მონოლოგში: „ტყევი, სულ ახლოს ფიქვები ჭრებიანობენ. ნუთუ მათაც სტკივთა და კვნისიან? არ ეციე. მე მხოლოდ საკუთარ თავთან შე-

ანდრო მიჩინაშვილი
დიპლი ბრძოლების მებრძოლი

მძლია ბრძოლა. არის ამაში რაღაც უცნაური ნუგეში და დაუსრულებლივ ვაყვედრი მას... ახია, რაც მოგივიდა, ყველაფერი ახია... უნდა მომივდარიყავი... დღესაც ხომ შეგეძლო ორმო-ნი დარჩენა?! დავახლდნენ ტყვიას და მორჩე-ბოდა! რად ჩაებლაუქე მიწას?! რატომ ცდი-ლობდი მძლია ამოქრომას? სიცოცხლე გწყუ-რია? ხომ გწყურია! ჰოდა, რაღად კვენსი ახლა?! რატომ ვერ უძლებ ამ პატარა იარას?! რატომ გაშინებს ეს მდვილე კოლონა?! სხვები ათას-ჯერ მეტ განსაცდელს იტანენ და არ თითანს შენ ტანკების გრუხუნი და მტრის სიცილ-ხარ-ხარიც ვერ მოგაითმენია! იქ კი მკერდით ეკებე-ბიან ამ ტანკებს! ჰმ! ანხლობ, თავს იმარ-თლებ?...“

საკუთარი უმწივობის შეგნება კიდევ უფრო ამწივავს სულის სიღრმეში ჩაბუდებულ ტანკ-ვას და ახლა განსჯა უკვე სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ხდება. კოლონას ცხვრებივით მიერე-კებთან, რომანის გმირს მხოლოდ თავისთავთან შეუძლია საუბარი და ისიც ფიქრობს. ამ ფიქრ-ში ხან მტრებს ასამართლებს, ხან კი საკუთარ თავს: „არა უშავს, იცაცხანონ! მე თითქოს ძალას მმატებს მათი ყვირილი... ერთს თბილი ბუნავი ელის, მეორეს — სახრჩობელა. მე კი არ ვიცი, რა მომელის და მაინც მივიჩქარი. ეს მხოლოდ იმიტომ, რომ არ ჩამოვჩრე და არ გადამოთვლინს შტეფანებს მშობლებთან მიეშუ-რებათ, გოტენჰაფენელს ბანდიტებთან მიუხა-რია, ფოლსკლინიჩებს პატრონი ჰყავთ, ჩვენ?! საით მივიჩქარი ჩვენ?! მე მარტო ვარ ამ უცხო ქვეყანაში, არც თვლით ვყავარ ჩაბარებული ვისმე, არც ხელწერილი! მე არავისთან არ მივდივარ და მაინც მივიჩქარი; მივიჩქარი, რად-გან გაბოროტებით ცაცხანებენ საღდათები და უფლება არა მაქვს, სხვებს ჩამოვჩრე.“

„რომ ჩამოვჩრე?! თავს წამოგადგება საღდა-თი და დათვლის: eins, zwei, drei!...“ შენ შეეცდები წამოდგოპას, მაგრამ ვერ წამოდგები. გესვრის და ყველაფერი მოთავდება! ჩაჩუმდე-და პრილობა, მოისვენებს დაუცხრომელი გუ-ლი, გაჭრება ათასგვარი ეჭვი და აღარავის წი-ნაშე აღარ აგებ პასუხს! ველარ გაიგონებ სულ-ში შემოპარულ შქირდავ ხმას!... ანდა, შესა-ძლოა, გაიქცე! გესვრიან და ყველაფერი მორ-ჩებას.“

თითქოს თავის თავის მიმართ თვითონვე გამოაქვს განაჩენი და თავის მოქმედებას ასე აფასებს: „სულმოკლე ხარ შენი საკუთარი სი-ცოცხლის გადასარჩენად იბრძვი! მთელი ქვე-ყანა ინგრევა და შენ საკუთარ ტყავზე ფიქ-რობს!...“

მაგრამ მალე თვითონვე რწმუნდება, რომ ასეთი საქციელი ეგოიზმით გამოწვეული ან უბ-რალე სიცოცხლის სიყვარული როდია და მტან-ჯველ ფიქრებს მოიშორებს კატეგორიული დას-

კენით: „არა, მე მწივანქურთუკიან ტანკორებს ვედავები ჩემს სიცოცხლეს! მე არაფერი ვიცი მით, მე ბაუერს უნდა გამოვგლიჯო ჩემი სიცო-ცხლე. ძალიან უნდა მას ჩემი და ჩე-მი ამხანაგების სიყვდილი, ძალიან უხარია ჩვე-ნი წამება და ვერ გავახარებ ბაუერს!... მერედა, თავის გადარჩენისათვის ბრძოლა კმარა?! ჰო! კმარა! კმარა! ახლა სავსებით საქმარისია ეს! ბრძოლაში წასვლამდე იარაღს ეძებენ. მაგრამ იარაღს ხომ სიცოცხლე სჭირია და ბრძოლაც ამით იწყება!... მაშ, მაგრად იყავი! არ გატყდენ იქნებ, ეს მოხვეულ ბრძოლათა ურთულესი სა-ღვებური იყოს! როგორმე გაუძღვი და მერე ადვილად მოუვლი ყველა ბაუერს, ყველა ობერ-შტურმფიურერს, ყველა ფეხმარულსა და ფეხ-მარდ ფელდფებელს!... ბევრი დეცა ამ ბრძო-ლაში, ბევრი დაეცემა ამ უცხო გზებზე, მაგრამ ვინც გადაარჩება, იბრძოლებს!... მაშ, გასწი ახ-ლა და არ ჩამოვჩრე!“

ეს ვრცელი შინაგანი მონოლოგი, რომელიც თავისი მაღალმხატვრულობისა და მძაფრი ფსი-ქოლოგიზმის გამო ასე ვრცლად მოვიტანეთ, რაღაცით გვაგონებს ჰამლეტის მონოლოგს „ყოფნა-არყოფნის“ შესახებ. მაგრამ ისიც ცხა-ლია, რომ უკიდურესი განწირულების ეპოსად ოპტიმიზმი იმარჯვებს და უაზრო თვითმკლე-ლობა გზას უთმობს „ყოფნის“ ცხოველყო-ფელ დღეს, აიძულეს ადამიანს, აიტანოს ჯო-ჯოხეთული ფიზიკური ტკივილები, მოითხოვოს უდიდესი მორალური ტანჯვა-დამცილება, შე-ინარჩუნოს სიცოცხლე მომავალი ბრძოლებისათ-ვის. ამ ჭირთა თმენაშია „მომავალ ბრძოლათა ურთულესი საფეხური“, — როგორც თვით მწერალი გვეუბნება და როგორც ნაწარმოების გმირს სწამს. ამრიგად, გამართლებულია ის საშუალებაც, რითაც დაკითხვავთ თავი გადაირ-ჩინა. მან ხომ გამომძიებელს თავი იდიოტად მოაჩვენა.

სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემის ასეთი გა-დაწყვეტა, საერთოდ, ადამიანის ბედთან ამგვარ-ი დამოკიდებულება, ჩვენ ალ. კალანდარის როგორც მწერლის ერთ-ერთ მთავარ ღირსე-ბად მიგვაჩნია. აქ ჩანს ადამიანი მთელი თავისი ადამიანური განცდებით და მას ძალით არაფე-რი აქვს თავზე მოხვეული, ხასიათს თვით ცხოვ-რებისეული სიტუაციები განსაზღვრავენ და არა რაღაც წინასწარ შემუშავებული დოგმატი. თუმცა იდეურ-პოლიტიკური მრწამსიც უგულუ-ბელყოფილი როდია. ყველგან ჩანს საბჭოთა ადამიანის მაღალი მორალურ-პოლიტიკური შეგნება, რაც არსებითად განსაზღვრავს გმირის მოქმედებას, აყალიბებს მის ხასიათს, და ყო-ველივე ეს ყოველთვის არის მხატვრულად დასაბუთებული.

ნებისყოფის უკიდურესი დაძაბვის ფასად შეინარჩუნეს სიცოცხლე რომანის გმირებმა. ისინი ცოცხალნი დარჩნენ, რათა შური ეძაოთ



მტერზე, ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს ინსახურებს კორენოვი, რომელსაც არასოდეს დაუჯარგავს სტლის სიმტკიცე და ყოველთვის იცავს საბჭოთა ადამიანის ღირსებებს. იგი ეხმარება ჯოჯოხეთური მგზავრობით დასუსტებულ ამხანაგებს და გაქცევის მოხერხებულ გეგმასაც შეიშუალებს. საკამრის აღმოჩენა მის მატარებლის ვაგონში შეეწინააღმდეგა მის პირველი ფიქარი, რომ იმ ადგილზე მოზრდილი ხეგროლი გაეკეთებინა და მეგობრებთან ერთად თავი დაეღწია ტყვეობისათვის.

საინტერესოა შეხვედრა პოლონელ გლეხთან. იგი ჭრ ექვით უყრყმებს ლტოლვილებს, მაგრამ როგორც კი დარწმუნდება, რომ ისინი საბჭოთა მოქალაქეები არიან, გულმხურავლედ მიიღებს მათ და თავშესაფარსაც აძლევს. თუმცა ეს თავშესაფარი მთლად სამეფო როდი აღმოჩნდა. გერმანელი პოლიციელები სახლებს ჩხრეკენ და ტყვეობიდან გაქცეულებსაც აღმოაჩენენ. აქაც კორენოვმა იმარჯვა და პოლიციებს განუცხადა, რომ ისინი ფოლკსდოიჩები (რუსეთიდან გამოქცეული გერმანელები) არიან. ამერიიდან მათ გვარ-სახელიც შეეცვალათ და ბორის კაბრი და აღექსანდერ ქანდლერი გახდნენ. სახელდახელოდ შეთხზეს თავიანთი ფოლკსდოიჩი ბიოგრაფიები და ადგილმამულის მისაღებ რიგშიც ჩადგნენ. მალე მათთან მეგობრული ურთიერთობა დაამყარა მოსკოველმა ებრაელმა ლენინმა, რომელმაც გერმანელებთან თავი ნიკოლაუს მეტერად გაასაღა. ამ სამეულმა წარმატებით დაიჭირა გამოცდა გერმანული სისხლის შემოწმების ხანგრძლივი და აუტანელი პროცედურების დროს. მათ ზედამხედველების სრული ნდობაც დაიმსახურეს და ამის შემდეგ იოლად შეძლეს პარტიზანებთან დაკავშირება თითქმის უწყვეტ არაფერი უშლით ხელს, რომ პარტიზანებს შეერთებოდნენ, მაგრამ არალეგალური ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ მიზანშეწონილად სცნო მათი დარჩენა ფოლკსდოიჩეთა ზანკში და ფარული დივერსიული მოქმედება. „ყებერი“, „ქანდლერი“ და „მეტერი“ ამ საქმესაც წარმატებით ასრულებენ. მათ მრავალი სამხედრო ობიექტი და ეშელონი ააფეთქეს, რითაც დიდი ზარალი მიაყენეს მტერს.

ფოლკსდოიჩედ მიჩნეულმა საბჭოთა პარტიოტებმა მოსკოვის რადიოგადაცემის მიღებაც მოახერხეს და უკვე საქმის უტრში არიან, თურა ხდება მათს სამშობლოში. ეს გარემოება კიდევ უფრო აკაეებს მათს ნებისყოფას.

შემადრწუნებელია რომანში ასახული სურათები ფაშისტური კატომოქლეობისა. ველურ ანტისემიტობაზე რომ არაფერი ვთქვათ, ფაშისტები ყველა სხვა ერის წარმომადგენელს დაბალი რასად მიიჩნევენ და ყოველგვარი ადამიანური უფლების გარეშე აყენებენ, უსულგულოდ ხოცავენ პატიოსან მშრომელებს. ეს გარემოებაც

ერთი საკულისხმო ფაქტი იყო, რამაც ეკუთვნის ტყია მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანების ანტიფაშისტური ბლოკი. რაც სათანადო სისრულთა და მხატვრული დამაჯერებლობით არის ნაჩვენები ალ. კალანდაძის რომანში.

რომანში გვხვდება საყურადღებო პასაჟები, რომლებიც ძუნწად, მხოლოდ ცალკეული შტრიხებით გვიჩვენებს თავისუფლებისათვის მებრძოლ ადამიანთა სახეებს. და ეს სახეები სამუდამოდ რჩება მკითხველის მეხსიერებაში. ასეთია, მაგალითად, ისტორია ერთი მცირერიცხოვანი რაზმისა, რომელმაც მხოლოდ ერთ დღეს იარსება. ეს რაზმი შეუდგენია სამხედრო ტყვეთა ჯგუფის „შტაფე 01518“-დან, აქ ყოფილან რუსები, ქართველები, სომხები, პოლონელები, უზბეკები, აზერბაიჯანელები, ებრაელები... ერთად შედიეულნი და ერთად დაღუპულნი. უიარაღო, შიმშილისაგან არაქათამოცილი რაზმი კილებამდე შეიარაღებულ მივლ ბატალიონს შეება და თავი დასოო თავისუფლებისათვის. სიკვდილის წინ მათა ნატურა ყოფილა: „მათ სახელს სამშობლომდე მიეღწია, მშობლებსა და მეგობრებს გაეკოთ, რომ ვაქცეებოდ დაიღუპნენ უთანასწორო ბრძოლაში“. მათ სიის შედგენაც უდლიათ, მაგრამ ვერ დაუსრულებიათ. მხოლოდ ცხრა კაცია ამ სიაში აღნიშნული და მათ შორისაა ორი ქართველი: გიორგი გაღაშვილი და ვალერიან გეგიძე. „სამუდამოდ ამოუხსნელი დარჩა, ვინ იყო კიდევ იქ“... — გულისტკივილით წერს ავტორი და, მართლაც, ვინ იტის, ვინ იყვნენ ის უსახელო გმირები, რომელთაც საოცარი მამაცობა გამოიჩინეს! ალ. კალანდაძე აგრეთვე ჩამოთვლის პოლონეთში მებრძოლ პარტიზანულ შენაერთებს, სადაც ქართველებიც იყვნენ და დასძენს: „...მაგრამ ვინ ჩამოთვლის ყველას, ვინ მიაგნებს მათ ნაკვალივებს, ვინ აღადგენს მათ დავიწყებულ სახეს! ჩუმად, უხმაუროდ შეუერთეს წმინდა სიოოცხლედ საქუველ მტერზე გამარჯვებისათვის ბრძოლას... საუკუნო სხივი მოჰფინეს ყველა უცნობი ჯარისკაცის საფლავს!“ მართლაც, ეს უცნობი ჯარისკაცებიც მოვლიან თავიანთი ენიაობის აღმოფენელს, ისეთ მწერალს, როგორც ზოგიერთი მთავანისათვის ალ. კალანდაძე აღმოჩნდა.

ტრილოგიის მესამე წიგნი „მაკიზარებთან“ მკითხველს აცნობს საფრანგეთში მებრძოლ ქართველ პარტიზანთა ბატალიონის თავგადასავალს. „გრანდ კაფეში“ მოწოდებით აფეთქების შემდეგ ფოლკსდოიჩეთა ბანაკიდან გაქცეული ჯერ კიდევ გერმანულ ტანსაცმელში გამოწყობილი ქანდლერი — ალ. კალანდაძე, ყალბი საბუთების წყალობით ქართველ ტყვეთა ბაღრავს შეუერთდა. სურს ქართველ ტყვეებს მოეხმ-

ანდრო მირიანაშვილი

დნიადი ბრძოლების მატინაე



როს გაქცევაში. პოლონეთის ტერიტორიაზე გაქცევა ვერ მოხერხდა. მხოლოდ საფრანგეთში გაიქცენ და ბატალიონიც შეადგინეს, რომლის კომისარიც თვით ალ. კალანდაძე იყო.

მწერალი თავიდანვე აცნობს მკითხველს თავის გმირებს, რომელთაც შემდეგ უდიდეს საქმეებში უნდა მიიღონ მონაწილეობა და ცალკეული შტრიხებით თავიდანვე გვაგაჩნობენ მათი ხასიათის ნიშნულ მხარეებს. ასე ვეცნობით ვანო ბეროშვილს, რომელსაც „შეეძლო მხოლოდ ზიზღი ან სიყვარული, მხოლოდ მტრობა ან მეგობრობა, მხოლოდ სიკვდილი ან სიცოცხლე, მერჯულედ წოდებულ საბა თურმანას, ნიკო სავანელს, მოარშიყე თომა მამაძეებს, სანდრო ანანიაშვილს, შავაძეს, კობალაძეს, ხაბაზიშვილს და სხვ.

აღნიშნულ ტყვეებიდან ყველაზე უფრო გამოირჩევა ვანსაკუთრებული სიყვარულითა და მალალი ოსტატობით დახატული სახე ვანო ბეროშვილისა, რომლის შესახებ ავტორი წერს: „განსაცდელმა, ტყემ, თავმჯავარებობამ, სიკვდილის მუქარამ ბევრი ბეჩაი და მშინარა აქცია გმირად, მაგრამ ის (ვანო ბეროშვილი — ა. მ.) არა, ის გმირად დაიბადა და გმირობა მისი ერთადერთი სიოცხლე იყო!“

და აი, ეს გმირად დაბადებული ადამიანი თავიდანვე იქცევა მკითხველის ყურადღებას. ჩვენს წინაშე ერთი სიტყვააღწერი, პირქუში ვაჟაკი, რომელიც ჩვეულებრივ მიჰყვება ტყვეთა კოლონას. მაგრამ როგორც კი გაიგებს, რომ გაქცევა ვერ ხერხდება, საოცრად აღშფოთდება და ბოღმით იესება. „ლაპარაკი საერთოდ არ უყვარდა, — წერს ავტორი, — დღე იხე გავიღა, სიტყვას არ დანებავდა, ახლა კი ბოღმით მოკუმული თხელი ზაგეები თითქოს ერთმანეთს შეხორცებოდა.“

ვინ არის ვანო ბეროშვილი? ავტორი ასე გვაცნობს მას: „სოფლელი ბიჭი იყო, დიდი განსაზღვრა არ გააჩნდა, ჭარში გაწვევამდე შიშლის კოლმურენობის მედორედ მუშაობდა“. აი, ასეთი უბრალო ადამიანები თავიანთი სამშობლოს და პირადად ადამიანური ღირსების დაცვას გრძნობამ მიიყვანა სასწაულებრივ გმირობამდე.

ბეროშვილი არ ლაპარაკობს. იგი მხოლოდ მოქმედებს და ამ მოქმედებაში ავლენს თავის სათქმელსაც და მთელ ხასიათსაც. აი, ერთი მაგალითი: გერმანელებმა გზაში დახვრიტეს ტყვე ხაბაზიშვილი, რის გამოც ყველა აღშფოთდა. „ცრემლი დიდხანია გამშრალი ჰქონდა ყველას. ბეროშვილი დაიხარა, ტუჩი მოიკვნითა, ძმადნაფიცს პერანგის საკინძე მოახია, სისხლში გაკლინთა და ჯიბეში ჩაიდო. ეს რაღაც შემპირწუნებელი ფიცი იყო“. ბეროშვილს ამჯერად მეტი არაფერი გაუკეთებია, მით უფრო, არაფერი უთქვამს, მაგრამ მკითხველი გრძნობს, რომ ეს მართლაც რაღაც საოცარი ფიცია და.

ბეროშვილი შემდეგ ბევრს მოიმომქმედებდა. წინადა ფიცის შესასრულებლად.

ასევე საოცრად მიმზიდველია ვანო ბეროშვილი ტყვეთა ბანაკში აჯანყების წინ. ავტორი ასე ახასიათებს მას: „ეს იყო დახშული ხანძარი, დაგუბებული ქარიშხალი, მთვლემარე ვულკანი, რომელიც შეუცნობელ რიდსა და მოწიწებას იწვევს. მას მარტო იმიტომ კი არ უნდოდა გაქცევა, რომ ცუდად ექცეოდნენ, რომ შიოდა, სწყუროდა. არა! ეს არ იყო მთავარი. მთავარი იყო ადამიანური ღირსების ძახილი. მას სურდა, აღედგინა თავისი წაშლილი პიროვნება, კვლავ ეპოვნა ის, რაც ყველაზე ძვირფასი იყო მისთვის და დაეარა, რაც წაართვეს, რაც მას ეკუთვნოდა და სხვის საუთურებად იქცა. გამოეტანა მძარცველის ხელიდან თავისი ყველაზე დიდი ბედნიერება და სიმდიდრე — თავისთავი, პირადი დამოუკიდებლობა“. ბეროშვილი ყველა საშუალებით იბრძვის „თავისი წაშლილი პიროვნების აღდგენისათვის და აღწევს კიდევ არსებითად მისი მეათურობით ეწყობა აჯანყება. ქართველების საკმაო რაოდენობის ჯგუფი თავს აღწევს ტყვეობას და ფრანგ მაკიზარებს უერთდება. აქმენება ქართული ბატალიონი, რომელსაც ვანო ბეროშვილი მეთაურობს.

24-25 წლის ვანო ბეროშვილს დიდხანს არ დასცალდა ბატალიონის მეთაურობა ორიოდე დღეში გმირის სიკვდილით დაცა. არ დასცალდა თავისი დაგუბებული ენერჯიის ბოლომდე გამოვლენა. მისი სიოცხლეც უეცარ გაელვებას ჰგავს, მაგრამ სამარადისოდ აღიბეჭდება მკითხველის ცნობიერებაში; მისი ანრდილი თითქოს მუდმივად თან დაჰყვება მის მიერვე სახელდახლოდ შექმნილ ბატალიონს და გმირობისაკენ მოუწოდებს. ბატალიონიც, თითქოს თავისი დაღუპული პირველი მეთაურის სახელით, მუსრს ავლებს ფაშისტებს. ყოველ შემთხვევაში, ასეთი მობეჭდილება გერჩება რომანის კთხვის დროს.

რით მოსახტრებს ვანო ბეროშვილი გმირის ასეთ შარავანდელს? არსებითად, იგი ხომ მხოლოდ ერთ ბრძოლაში იღებს მონაწილეობას? დიხ, ამ ერთ ბრძოლაში ვანო ბეროშვილმა სავესებით გამოავლინა თავისი თავი. მწერალმა ამ ერთი ძალზე დრამატული ეპიზოდის აღწერით სრულყოფილად წარმოგვიდგინა გმირის ხასიათი. აი, ეს ეპიზოდიც: მაკიზარებს, რომელთაც შეუერთდა ვანო ბეროშვილის ბატალიონი, თავს დაესხა გერმანელთა მრავალრიცხოვანი შენაერთი ბრძოლებში გამოცდილი პოლკოვნიკის მეთაურობით. ბეროშვილმა ითავა თავდაცვა, მტრის შეკავება, რომ პარტიზანთა ბანაკი, რომელშიც ბევრი ქალი, ბავშვი და მოხუცია, სამშვიდობოს გავიდეს. ბეროშვილმა სასწაულებრივად მოაწყო დაცვა, რომლის გამოც ავტორი წერს: „მთელი ეს ღონისძიება ისეთი ჭაჭურე სისწრაფით განხორციელდა, რომ ნორ-



მალურ ვითარებაში ადამიანი ვერასოდეს წარმოიდგენს და არც დაიჭერებს. ასოდენ ნაბიჯზე მყოფი მოიერიშე, გააფრებული, მრავალრიცხოვანი მტრის თვალწინ რიგითმა ქართველმა ჯარისკაცმა, არსებითად, სრულიად უბრალო სოფელმა ბიჭმა, იმისთანა იმპროვიზებული დაცვა მოაწყო, რომ გამოჩინელ სარდალსაც შემურდობდა“. დაიწყო უთანასწორო ბრძოლა, ამ ბრძოლის ამსახველი დეტალები შესანიშნავად აცნობს მკითხველს ბეროშვილის მხედრულ ნიჭსა და პირად ადამიანურ თვისებებსაც. მან დიდი ზარალი მიაყენა მტერს, შეაკავა მისი მთავარი ძალები და საშუალება მისცა პარტიზანებს, სამშვიდობოს გასულიყვნენ, ამხანაგებიც გაიყვანა ცეცხლის ხაზიდან. ვინც არ ტოვებს, ძალით იშორებს... ბრძოლა უკვე წაგებულია, მაგრამ მთავარი საქმე გაკეთდა — პარტიზანებმა თავი დააღწიეს მტრის აღკვას. ახლა ბეროშვილსაც შეუძლია დატოვოს ბრძოლა ვერელი... მაგრამ ამ დროს გამოჩნდნენ დაფეთებული ბავშვები და ქალები. მათაც შეველა უნდა. ბეროშვილი მათაც შევლის, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ბედმა უმუხთთლა და ძიმიველ დაიჭრა. გერმანელებმა დაჭრილი გმირი ცოცხლად დაწვეს.

სულს სიღრმემდე შესძრავს მკითხველს, როდესაც წაიკითხავს რომანის იმ ეპიზოდს, რომელშიც დანავლული ადამიანების თავის ქალებზეა საუბარი. სხვა ხასიათის ნაწარმოებში ასეთი დეტალური შეიძლება საჩოთირო ნატურალიზმიც იყოს, მაგრამ „მაკინზარებთან“ ომის მრისხანე სინამდვილეს აღწერს და ჩვენის აზრით, აქ ეს სცენა თავის ადგილზეა. იგი მთელი სისრულით გვაგრძობინებს, თუ როგორ კაცი-ქამებთან ჰქონდათ საქმე საბჭოთა ადამიანებს ომის დროს და რას გადაურჩა კაცობრიობა ფაშისტულ დამხობით.

ბეროშვილის მსგავსი ადამიანები სამუდამოდ რჩებიან ჩვენს გულში, განსაკუთრებით კი წარუშლელია მათი სახე იმათთვის, ვისთვისაც სიცოცხლე შეუნარჩუნებია. ბეროშვილმაც ხომ უცუველი სიკვდილისაგან იხსნა რომანის ავტორი. ამის გამო ერთგან ამბობს: „გადაუხდი? გადაუხდი თუ ვერა სამაგიეროს!“ ხოლო მეორე ადგილზე სრული დარწმუნებით წერს: „არა, მე ეჭვიც არ მეპარება, რომ ჩვენ კვლავ შეგხვდებით ერთმანეთს. არ ვიცი, სად, როდის, როგორ, მაგრამ მჭერა, რომ მიინც ერთ სამყაროში ვრჩებით და, რაკი მე ვარსებობ, არსებობს ისიც“. და, აი, მართლაც შეხვდნენ ალ. კახლანდამ და ვანო ბეროშვილი, შეხვდნენ უკვე მხატვრულ ნაწარმოებში, შეხვდნენ და ამიერიდან მუდამ ერთად იქნებიან მხატვრულ სახეთა სამყაროში. ეს კი ყველაზე სრულქმნილი სამყაროა. დიან. ალ. კალანდამე გადაუხალა თავის მეგობარს სამაგიერო და უკუდავეო მისი

სახე, ვანო ბეროშვილი სამუდამოდ დარჩება მაღლირი მკითხველის გულშიც.

რომანის ერთ-ერთ საუკეთესო ადგილად მიგვაჩნია ვანო ბეროშვილის მოჩვენება. ამის გამოგონება წარმოუდგენელია. ეს შეუძლია დაწეროს მხოლოდ იმან, ვისაც მართლაც განუცდიდა ასეთი მოჩვენება. თავისთავად, ეს ეპიზოდი დასრულებული ნოველის შთაბეჭდილებას ტოვებს და ავტორის მხატვრულ ძალაზეც ბევრ რამეს გვეუბნება. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია, საგანგებოდ შევაჩეროთ მათზე მკითხველის ყურადღება.

ვანო ბეროშვილის მხარდამხარ იბრძოდა ბატალიონის კომისარი. მაგრამ ბეროშვილი დარწმუნდა, რომ ბრძოლა წაგებულია და მეგობარს წინადადება მისცა თავისთვის ეშველა. კომისარი არ ტოვებს ბეროშვილს. მაშინ ბეროშვილი ხელს ჰკრავს კომისარს და კლდზე გადააგდება. ეს იყო ხსნის ერთადერთი გზა. სიკვდილის ბრძკალებისაგან თავდახსნისი მეტროლო ნელა მიჰყვება ქედს პარტიზანთა ახალი ბანაისიყენ და უფერად დაღანდავს ბეროშვილის სახეს. ეს ეპიზოდი რომანში ასეა გადმოცემული:

„გავიხედე და სული შემიგუბდა... თხემზე ვანო ბეროშვილი ამოდიოდა. ელდა-ნაკრავი ადგილზევე გაქვავდი. თვლი მოვხუტე და, როცა კვლავ გავხიხი, ერთბაშად კაშკაშა შუქი ვიგრძენი... ახლა უკვე აღარავითარი ეჭვი აღარ არსებობდა, ცხადად ვხედავდი კალთებზემოფლეთილ, მძლავრ ფიგურას, რომელიც უსუსრეაზით გადაბარდნილ ბუჩქნარიდან სულ მდლა-მდლა მიიწევდა. ხმა ვერ დავიმორჩილე, ნაბაჟს ავუჩქარე, მერე შლეგიანივით წინ გავიქეცი, რათა ვიწროებში, სადაც გორაკები ერთმანეთს უახლოვდებოდა, უფრო კარგად დამეხანახა. გორაკები ხან შორდებოდა, ხან უახლოვდებოდა ერთმანეთს და ისიც ხან მკაფიოდ მოჩანდა, ხანაც ისევ უჩინარდებოდა. გული ამოვარდნაზე მქონდა. ბოლოს, როგორც იქნა, ხევი ისე დავიწროვდა, რომ ერთი ხელისაგაწვდინალა გვაშორებდა ერთმანეთს.

„ვანო, ეს შენა ხარ?“ — გვივიით შევყვირე, მაგრამ რატომღაც ჩემი ხმა არ გამიგონია.

„ჰო, რა თქმა უნდა, მე ვარ!“

არ ვიცი, რის ბრალი იყო, სვირინგებით დატვირთულა, ნატანჯი, მაგრამ მოსვენებული, თვინიერი სახე ჰქონდა.

„ბიჭო, თვალს არ ვუჭერებ, მართლა შენა ხარ?“

„რატომ, ვითომ მე რალა უნდა მომსკლოდ?“ ერთხანს მოჩვენება ქრება, შემდეგ კვლავ გამოჩნდა და დიალოგიც გრძელდება:

„შენ რომ საენელი და შვაეძე დროზე არ

ანდრო მირინაშვილი
დიადი ბრძოლების მატინანე

გავგზავნა გზატყვილებზე, ვერც ერთი ვერ გამოვალწვედით უუკველიდან!

„ბევრი არაფერი! სულ ერთია, მაინც ყველაფერი დაგვიანდა! დარდუბაა, ვერაფერი გააწყობ!“

„მაშინვე უნდა გადმომხტარიყავი, ძალიან დაიგვიანე — ჰიმელბლაუ და ბაილინგერი ცხვირწინ იყვნენ უკვე!“

მახლას, გვიანდა იყო! ბეწვის ხილზე მიგვრეგეს და კნკილაზე ვეკიდეთ. სხვა რა გზა გვექონდა, უნდა გავეძლო. იქნებ, არტუროს მოესწრო, მერმე, არ ვიცი, ის ბალღიანი დედაკაცები საიდანაა გაჩნდნენ იმ წუთს!“

„მაშ, მე რაღას მერჩიოდი, ძაო, რატომ მყარი ხელი? გესმის, რა დღეში ჩამავდე? რა სირცხვილი გამოვიარე? სანამ შენთან ვიბრძოდი, არ შემიშინებია, გამოვიქეცი და შინად ვიქეცი! ავი გვემუდარებოდი, მამყოფე, ბოლომდე შენთან მამყოფე-მეთქი!“

„ეხ, სულ ერთი იყო, შენი კვნესამე, აღარაფერი შეველოდა!“

„აღბთ ბევრი დარჩა სამუდამოდ ამ უცხო მხარეში!“

„კი, ბევრი დარჩა ჩემთან, სულ კარგი ბიჭები არიან!“

„შენთან?“

„ჰო, ჩემთან ვერასგზნით ვერ მოვიშორე ეს ტუტუტები!“

„რა მაგრა იჭერეს გული ჰიმელბლაუმ და ბაილინგერმა?“

„ნუ გეშინია, ჩვენც არ ვჭამეთ იმათი ჯავრი!“

მის სახეს ქუფრი შეერია, მწყრალად მიმოიხედა და ბეჭობს აპყვა. ეკუთხებ მეწამული ფერი ადგა, ზურგზე წითელი ღვარები ჩამოსდიოდა.

— სისხლი გდის?! — მივაძახე მე.

„არა, ცეცხლი მივიღია!“ — უკანმოუხედავად წაილაპარაკა მან და გზა განაგრძო.“

ამის შემდეგ საბოლოოდ უჩინარდება აჩრდილი და ჩვენ გვეჩვენება, რომ კი არ უჩინარდება, მარადისობას შეერთვის ბეროშვილის „ნატაჩი, მაგრამ მოსვენებული“ გმირული სახე.

რომანიდან ჩვენ საგანგებოდ გამოვყავით ბეროშვილის სახე, როგორც ყველაზე ტიპური გამოხატულება საბჭოთა ადამიანის მორალურ-ეკონომიკური შეგნებისა და მებრძოლი სულის-კვეთებისა. თუმცა ის მართლა გმირად არ დაბადებულა, მაგრამ მაღალმა შეგნებამ და შესაფერმა საზოგადოებრივმა სიტუაციამ კეშმარტ გმირად აქცია. მის ადამიანურ თვისებებს ავლენენ ბატალიონის სხვა წევრებიც და ამით, არსებითად, ავსებენ ბეროშვილს, როგორც ტიპურ სახეს. ამის დადასტურებაა ქართველ პარტიზანთა მთელი საბრძოლო გზა და ცალკეული ბრძოლისა თუ უბრალო ადამიანური ურთიერთობის ამსახველი ეპიზოდები. ამ მხრივ განსა-

კუთრებულ ინტერესს იმსახურებს ერთი ეპიზოდი, რომელსაც აქვე მოვიტანთ. ქართველების ერთ-ერთ ბრძოლას თვალყურს აღვივებთ ამერიკელი პოლკოვნიკი. შემდეგ მიდის მებრძოლებთან და ასეთი დიალოგი იმართება:

„მე აღტაცებული ვარ თქვენი მოქმედებით! — თავშეკავებულად წამოიძახა მან. — ამერიკელი პოლკოვნიკი სმიტი გახლავართ, მოკავშირეთა სარდლობის წარმომადგენელი სამხრეთ საფრანგეთში! ბრძოლას, თავიდან ბოლომდე, ამ მანსარდიდან ვაღვივებდი თვალს! — ხელი გაიშვირა სამხრეთულიანი შენობისაკენ! — ასეთი სასწაული ჩემს ცხოვრებაში არ მინახავს! თქვენ უბაღლო სამხედრო ხელოვნებით დაამარცხეთ ეშმაკურად ჩასაფრებული, ძლიერი მოწინააღმდეგე! პატივს დამდებთ, რომ პოლკის მეთაური ვიყავი?“

„პოლკის მეთაური გამრეკელი! — წარუდგინა ფერწანდმა.

თითქმის უწვერულვაში ბიჭის დანახვებე პოლკოვნიკს თვალები გადმოუცივდა.

„ძალიან ბედნიერი, ძალიან მოხარული ვარ თქვენი გაცნობით, ბატონო პოლკოვნიკო!“ — მორცხალებით წარმოთქვა მან და გამრეკელს ხელი გაუწოდა.

„სერჯანტი გახლავარ, ბატონო პოლკოვნიკო!“ — მოციანარი სახით მიუღო მან.

„სერჯანტი?!“ — შუბლი შეიყრა ამერიკელმა და კითხვით გადმოგვხედა, ხომ არ მებუშმრებიანო.

„ღიას, სერჯანტი!“

„როგორ, თქვენ ვანა სამხედრო აკადემია არ დაგიმთავრებიათ?“

„არა, ბატონო პოლკოვნიკო, უმცროს მეთაურთა სკოლა დავამთავრე!“

„ღმერთმა დაგვიფაროს თქვენისთანა მტრებისაგან! — გულმართლად გაიცინა პოლკოვნიკმა — თქვენმა ღედებმა სამსამი ვაჭი უნდა შობონ ყოველ წელიწადს! ახლა კი ნამდვილად მესმის გერმანელთა უბედურება აღმოსავლეთის ფრონტზე!“

შეიძლება მკითხველს დაებადოს ეჭვის აღმძვრელი კითხვა: ავტორი ხომ არ აჭარბებს და თანამემამულითა (თანაც თანამებრძოლთა) მიმართ გაზვიადებულ პანეგირიკს ხომ არ მიმართავს? მით უფრო, რომ საბა თურმანია, მართალია იუმორით, მაგრამ მაინც ამბობს: „რის აკადემია, შენი კვნესამე! ქართველ კაცს აკადემია რათ უნდა! ერთი-ორი გასროლა და, არც ერთ გენერალს არ ჩამოუყარდება!“ არა. ვფიქრობთ, ალ. კალანდაძე არსად არ აჭარბებს. იგი მხოლოდ იმას უჩვენებს მკითხველს, თუ რა შეუძლია მოიმაოქმედოს უბრალო ადამიანიც კი, თუ მის მოქმედებას წინ უძღვის მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება და სამშობლოს გულწრფელი სიყვარული. მხოლოდ ამ გზით ხდებიან გმირებად უბრალო სოფლები ბიჭები, რიგი-

თი სერკანტები... გმირად ჩამოყალიბების ეს რთული პროცესი კი რომანში ყველგან სათანადოდ არის მხატვრულად მოტივირებული. თუმცა ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ალ. კალანდაძის თავის რომანში ყველა ქართველი ერთნაირად როდი ჰყავს დახატული, ყველა როდი ჰგავს ბეროშვილს და გამრეკელს! გავიხსენოთ ირაკლი კავასიძე, ბაბანა და კაცი.

ალ. კალანდაძის რომანის ღირსება მარტო ის როდია, რომ იგი მაღალმხატვრულად გვიჩვენებს ქართველი პარტიზანების ბრძოლას საფრანგეთში და ჰქმნის ცალკეულ მებრძოლთა დანამახსოვრებელ სახეებს. მწერალი, ამავე დროს, იმისდროინდელი საფრანგეთის დამაჯერებელ სურათსაც იძლევა. იგი მკითხველს აცნობს საფრანგეთის სოციალურ ძალთა თანაფარდობას და ამ სოციალური ძალების გამოხატველ ხასიათებს. აქ არის ტულუსის პრეფექტი, მსიფ ბლანშა, მაღამ მადლენი და სხვ. — ბურჟუაზიული სამყაროს ტიპიური წარმომადგენელი, რომელთაგან ზოგს მართლაც გარკვეული პოლიტიკური მიზნები ამოძრავებს, ზოგი კი მხოლოდ ობიექტური პოზიციებიდან საკუთარ კეთილდღეობაზე ოცნებობს. მაგრამ აქვეა შესანიშნავად ნაჩვენები სახეები ჭეშმარიტი ფრანგი პატრიოტებისა, რომელნიც სიცოცხლეს არ იშურებენ სამშობლოს კეთილდღეობისათვის. ასეთები არიან მაკოზარების მთელი ლაშქარი; ელზასელი ბიჭი ელუ, ანუ, პროფესორი Savani-ი, კრისტინა, ივეტა და სხვ. მათივე გვერდითაა ესპანეთის სამოქალაქო ომის გმირი არტურო.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ალ. კალანდაძის, როგორც მწერლის, ღირსებაზე მარტო პირადად გაცნობილი საბრძოლო ეპიზოდებისა და საკუთარი თვალით ნახული ცალკეული ხასიათების ოსტატური ხატვა როდი მტყუვდება. მისი მხატვრული აღქმისა და წარმოსახვის არე უფრო ფართოა. ამ გზით შთამბეჭდავად არის ნაჩვენები არა მარტო საბჭოთა ადამიანების, არამედ მთელი მსოფლიოს კეთილნიების ადამიანების ამღვლებული იდეალები, მათი ჰუმანიზმი.

სამამულო ომმა ერთხელ კიდევ მთელი სიცხადით უჩვენა მსოფლიოს, რომ საბჭოთა კავშირი იყო და სამუდამოდ რჩება კაცობრიობის პროგრესის მესაქედ. ეს მან თვალსაჩინოდ დაადასტურა ფაშისმის წინააღმდეგ ბრძოლაშიც და მის შემდეგაც. ეს გარემოებაც მთელის სიცხადით არის ნაჩვენები ალ. კალანდაძის რომანში. ამიტომ არის, რომ ფრანგი მშრომელები არ უჭერიან რეაქციონერთა პროვოკაციულ ლაშქრობას კომუნისტებზე და სახეიშო მიტინგებსა თუ ქუჩებში გულმხურვალედ, დიდხანს მადლიერების გრძნობით გულში იკრავენ საბ-

ჭოთა ადამიანებს. მათი ოცნება საყოველთაო მშვიდობა და მსოფლიოს ყველა ხალხის ჭეშმარიტი თანასწორუფლებიანი მეგობრობა. ამიტომ არის, რომ გურამ გამრეკელის მიერ წარმოთქმულ მშვიდობის სადღეგრძელოს ქართველები და ფრანგები ფეხზე წამომდგარი და ხელიხელგადაჭდომილი სვამენ.

ოცდარვა წელი გავიდა, რაც დამთავრდა კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მრისხანე ომი — მეორე მსოფლიო ომი. ოცდარვა წელი არც თუ მცირე დროა, მთელი თაობის ისტორიაა. ახალ თაობას კი თან მოჰყვება ახალი შეხედულებები, ახალი განწყობილებები. რაც მთავარია, იგი ახლებურად აფასებს წინა თაობათა ნაშრომდარს და სწირად ძველ ღირებულებათა საფუძვლიან გადაფასებებსაც ახდენს. ამის გამო ახალი თაობის თვალში სწირად თვალსაჩინოდ ფერმკრთალდება წინა თაობებისათვის შირავანდომოსილი მოვლენებიც. მაგრამ ისტორიაში არის მოვლენები, რომელთა შეფასებაზე თაობათა ცვლა არავითარ უარყოფით გავლენას არ ახდენს, პირიქით, რამდენადაც ეცოდნებით მახ, იმდენად მეტ ელვარებას იძენს.

სწორედ ამგვარი მოვლენაა საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი გერმანიის ფაშისმის წინააღმდეგ, რომელშიც ჩვენმა ხალხმა უდიდესი მორალურ-პოლიტიკური სიმტკიცე გამოიჩინა და კაცობრიობა იხსნა ფაშისმის საფრთხისაგან.

სამშობლოსათვის დაცემულ გმირთა უცვლადსაყოფად ბევრი რამ გავითდა. აღმართა შესანიშნავი ქანდაკებები და ობელისკები, მოეწყო შინმოუსვლელთა სტენდები და საბრძოლო დიდების მუზეუმები, შეიქმნა შესანიშნავი ფერწერული ტილოები და მხატვრული ნაწარმოებები. მაგრამ ყველაფერი, რაც დღემდე გაკეთდა „იმ ქარიშხლიან დღეთა მოსაგონებლად“, როდი კმარა. საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი მარად რჩება მხატვრული შემოქმედების თემად და ამ თემაზე შექმნილი ყოველი ნაწარმოები განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს. ყოველი ასეთი წიგნი თუ სხვა მხატვრული ქმნილება მადლიერების დადასტურებაა ცოცხლად დარჩენილთათვის, ხოლო საუკეთესო ძეგლი მათთვის, ვინც თავი დადო სამშობლოსათვის. ჩვენ ერთ-ერთ საუკეთესო ძეგლებად მიგვაჩინა ალექსანდრე კალანდაძის წიგნები: „დღეები ბრესტის სიმაგრეში“, „პიასტის ნამუხლარზე“ და „მაკოზარებთან“, რომელთაც მუდამ სიამოვნებით წაიკითხავს ყველა ერის მკითხველი, ქართველი კაცი კი კანონიერ სიამაყესაც იგრძნობს თანამემამულეთა გმირობის გამო.

რეცენზიის სანაცვლოდ

არც ძალიან მდიდარ ქართულ მემუარულ ლიტერატურას უშესანიშნავესი წიგნი შეემატა.¹ პირდაპირ უნდა ითქვას, იგი ყველაზე საუკეთესოთაგანია, რაც ქართულ მეცნიერულ მემუარისტისტიკაში დაწერილა. სამწუხაროდ, თითზე ჩამოსათვლელია ქართველ მეცნიერთა მიერ დატოვებული მემუარული ნარკვევები.

მემუარული ლიტერატურის ფასეულობა მართო ნანახი და ნაზრები მოვლენების სიუხვით არ იზომება, არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ ფაქტების მხატვრულად მიწოდების უნარი. თუ გამოჩენილ მეცნიერს ეხერხება ვანცდელი მოვლენების მხატვრულად აღწერა, მაშინ ნამდვილ მეცნიერულ ბელეტრისტიკასთან გვაქვს საქმე, ამით კი განუზომელად იზრდება მისი აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

აკადემიკოს ალექსანდრე ჭანელიძის მოგონებები მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის პირველ პერიოდს ეხება.

მთელი წიგნი დაწერილია მოწინააღმდეგეობითა და სიყვარულით ქართული სიტყვისადმი. წიგნის დარბაისლური და დახვეწილი ქართული ავტორის ბუნებისაგან მომადლებული ნიჭისა და დაუღალავი ძეგნის შედეგია. ავტორს შესანიშნავად აქვს განვითარებული მშობლიური ენის გრძნობა. ყოველ ახალ ტერმინს განსაკუთრებული გულისყურით ეძებს, ელოია ავტორს მას, ამასთან არასდროს არ დალატობს საღი ლინგვისტური ინტერეკა.

ევროპაში მყოფი ალექსანდრე ჭანელიძე თავის თავს პირობას უდებს: ყველა შეხვედრილი უცხოური მეცნიერული ტერმინი ვადმოაქართულოს. ამან შესანიშნავი შედეგები მოგვცა და არა მარტო გეოლოგიაში ქართული ტერმინოლოგიის დასადგენად. ამ გზით მოხერხდა უცხოური გეოლოგიური ცნებების გადმოტანა

ქართულად ზუსტ, ნათელ, ეკონომიურ გამოხატულ ფორმებში.

„მოგონებებში“ მკითხველი ძალზე ბევრ საინტერესოსა და დამაფიქრებელს იპოვნის სწავლა-განათლების საკითხებზე, ავტორის პრაქტიკული საინტერესო დაკვირვებას სხვადასხვა საზოგადოებრივ მოვლენაზე. აქვე გვინდა აღვნიშნოთ ნხოლოდ, რომ ყოველი მოვლენის აღწერის დროს იგრძნობა მხატვრული ხედვის უნარი, რომლისთვისაც დიდი სიფრთხილითაა შერჩეული სათანადოდ აწონ-დაწონილი სიტყვა.

პრაქტიკულად ერთ მაგალითს დავასახელებთ. კითხულობთ სტრიქონებს საკუთარი კარ-მიდამოს აღწერისა. აქ არა მარტო ზუსტი ეთნოგრაფიული ხედვაა, არამედ თითქოს ფიზიკურ შემოგონებზე მისული რაჟის სოფლის ცხოვრების განუყოფელი სურნელება და ეშხი, იავენკარა ქართული დახატული.

სხარტი, ლაზიადრული შტრიხებით შეუძლია ავტორს მოხაზოს პორტრეტები ცალკეული პიროვნებისა, იქნება ეს ბავშვობაში შეხვედრილი თანასოფელი თუ ჰაბუკობის დროს ნახული გამოჩენილი მეცნიერი.

სულ რამოდენიმე აბზაცი ეძღვნება გაღია სანდომისას პორტრეტს და მაინც თქვენს წინაშე კეშმარტი ნოკვლა: უპატრონო ქალი, რომლის სიოცოხლის მიზნად კარ-მიდამოს უერთგულესი დაცვა გამხდარა. თანაგრძნობით ამთავრებს ნოვლის ზოლო სიტყვებს ავტორი:

„წავიდა სანდომისა და რა დარჩა მისგან? მხოლოდ ეს მოგონება.“

ეჰ, საბრალო სანდომისავ! შენ რომ უკეთეს პირობებში დაბადებულყავი როგორი სამაგალითი დედა იქნებოდი, როგორი საიმედო ცოლი და ოჯახის თავი! და ეგებ ბედნიერებაც უცხო არ იქნებოდა შენთვის!“ (გვ. 24).

მკითხველი რამდენიმე სტრიქონით ეცნობა სანდომისას სკოლის მასწავლებელს ზეგინის არაპედაგოგიურ მეთოდებს, მაგრამ აქაც აღ. ჯა-

¹ ალექსანდრე ჭანელიძე, მოგონებები. „საბჭოთა საქართველო“, 1971, 161 გვერდი.

ნელიძე არ გადადის მასწავლებლის სახელის წინაშე მოწადის მოწიწების სახლვარს.

სიყვარული იგონებს ქუთაისის გიმნაზიის პედაგოგს და დირექტორს ო. ჩხეიძეს, მის ზრუნვას. „მოუხედავად უმწიველო მუშაობისა, მთავრობა, ჩანს, მისი კმაყოფილი არ იყო. პიატიგორსკში გადაეყვანათ. იქ ცოლი მოჰკვდიოდა და მამივე სიბერე გაეტარებინა. ხშირად ვეკითხები ჩემს თავს, ნუთუ არ შეიძლებოდა ამ კეთილშობილი ადამიანისათვის რითიმე მეც შეამეზინა?“ (გვ. 75).

ქუნწი სტრიქონები ასე ახასიათებენ აკადემიკოს ნიკო მარს, რომელსაც ალ. ჯანელიძე პარიზში ხვდება.

„ბასკეთს მიმავალი პარიზში ჩამოვიდა მეუღლიანად. ჩვენს მხატვარ დ. კაჟაბაძესთან ერთად. რამდენიმეჯერ ვიყავი მასთან. ძლიერ გულთბილად გვეხდებოდა — კაჟაბაძეს არცევე იცნობდა ლენინგრადიდან — და რომ ვაივო ჩემი პალეონტოლოგობა, გატაცებით მიამბობდა ენის პალეონტოლოგიის შესახებ. ვგრძნობდი დიდ მეცნიერს, არაჩვეულებრივ ენთუზიასტს და იმავე დროს სრულიად უანგარო ადამიანს, თანაც ახალგაზრდობის მოყვარულს.“ (გვ. 152).

აღუქანადრე ჯანელიძე ასე ხატოვნად აღწერს მის ფრანგ მეცნიერ ხელმძღვანელს:

„აკადემიკოსი ვილფრიდ კილიანი სამოციოდე წლის ტანხმელი კაცი იყო. მხნე და მოძრავი. რატომღაც პირველი შეხვედრისთანავე გავიფიქრე, ამას რომ აჩხუბო-ახალუხი ჩააცვა, ნამდვილი იმერელი აზნაური იქნება, დავით კლდიაშვილის რომელიმე მოთხრობიდან გამოქცეული-მეთქი“. (გვ. 142).

აკადემიკოსი ა. კილიანი მს ფაქიზი მეცნიერ-პატრონი აღმოჩნდა, რომელიც ყოველმხრივ ახალისებს ასპირანტის შემოქმედებით ავტონომიას. დღევანდელი ასპირანტისა და მის მეცნიერ-ხელმძღვანელის ურთიერთობისათვის მრავალმხრივ მინიშნებულა შემდეგი სიტყვები აღუქანადრე ჯანელიძისა:

„დავტოვე გრძელად სამუდამოდ, მაგრამ ასევე სამუდამოდ გამომყვა გულში ა. კილიანის პატივისცემა და მისადმი მადლობის გრძნობა. თუმცა რისთვის? სად იყო მისი ქებული ხელმძღვანელობა? მთელი მუშაობის პროცესში არც ერთი მისი მითითება, არცერთ საკითხში ჩარევა!“

ეგებ ვინმე დაასკვნდა, აქ არც ხელმძღვანელობა და არც საფუძველი მადლობისათვის არ ჩანსო. რამდენად მტკბარი იქნება ასეთი დასკვნა! მან მომცა თემა და უფიქსოდ მე აქ აბსოლუტურად უძლური ვიქნებოდი. მანვე მომცა მშვენიერი მასალა. ასეთი რამ მე თვითონ რომ მეგროვებინა. არაერთი წელიწადი დამჭირდებოდა და დიდი სახსრები და ვერც ჭეროვან შედეგს მივაღწევდი: საჭირო იქნებოდა სხვადასხვა მკვლევარის სხვადასხვა უბანში მუშაობა. მასალასთან ერთად თითქო მთელი ლაბორატორია

რია გადმომცა სრულ ჩემს განკარგულებას ბიბლიოთეკა, მუზეუმი, ფოტოლაბორატორია...

გასაღები ჯიბეში მედო და დაწვესებულებაში ხშირად ჩემს მეტი არავენ იყო. ასეთი უსახლვრო ნდობა სხვა პიროვნებაში ეგებ დაუშვებელიც კი იყოს.

ჩემს მუშაობას განუწყვეტლივ აღევნებდა თვალყურს. თუ შედეგებს ეაცნობდი, დიდი ინტერესით მისმენდა. მართალია, მითითებებს არ მაძლევდა უდავოდ მხოლოდ იმიტომ, რომ მუშაობის მიმართულება (მიმართულება და არა ცალკეული ეპიზოდები და შედეგები) სწორად მიიჩნეოდა. თვისი შეხედულებები რომ თავს მოეხეცია ჩემთვის, ასეთი რამ ფიქრადაც არ მოსდიოდა, ისევე როგორც მე არ მომდიოდა ფიქრად, რომ ის შეხედულებები კანონად გამეხება ჩემთვის. იმავე დროს ვიცოდი, რომ თუ ყალბ გზას დავადგებოდი, ისიც ჩაეროდა საქმეში, თუ რამ დამჭირდებოდა, ყოველთვის მზად იყო დამხმარებოდა და შრომის დაბეჭდვაზე ფიქრიც ხომ მეტი იქნებოდა, თუ მისი სპონტანური თაოსნობა არ ყოფილიყო.

ქების სიტყვა მისგან ერთი არ გამიგონია, მაგრამ რამდენიმე შემთხვევა მქონდა დავრწმუნებულიყავი, რომ, თუ ჩემს შესახებ სხვის ელაპარაკებოდა, ზედმეტ სიტყვას არ იშურებდა, ხოლო როდესაც შრომა დაიბეჭდა ვრცელი რეცენზია უძღვნა მას სპეციალურ ჟურნალში“ (გვ. 149-150).

ამ საკმაოდ ვრძელი ციტატის მოყვანა იმით გეინდა ვაგაპართლოთ, რომ ალ. ჯანელიძე ქართული გეოლოგიური სკოლის დამაარსებელი. თვითონ მიმართავდა მსგავს მეთოდს, თუმცა ა. კილიანისაგან განსხვავებით, თვითონ ეძებდა და პოულობდა მეცნიერული კვლევის უნარით დაჯილდოებულ ახალგაზრდობას. ა. კილიანის მსგავსად, ალ. ჯანელიძე დაადგენდა რა თავისი მოწადის კვლევით უნარსა და თავისებურებას, თვითონ განსაზღვრავდა მათი მეცნიერული კვლევის მიმართულებას, და ეს კეთდებოდა მათი შემოქმედებითი დამოუკიდებლობის სრული პატივისცემით. ამ გზით ალ. ჯანელიძე — მეცნიერ-ორგანიზატორი ძალზე ხშირად მის მიერ წამოყვებულ მეცნიერულ მიმართულებას, ახალ მეცნიერულ იდეას მიანდობდა საგანგებოდ ამისათვის შერჩეულ მოწადეს. ეს უმეტესწილად გულისხმობდა სახალხო მეურნეობის უაღრესად მნიშვნელოვანი პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტასაც. ალ. ჯანელიძის მეთავეობით ასე იქმნება ქართული გეოლოგიური სკოლა, რომელიც, ერთი მხრივ, ემსახურება ქვეყნის ეკონომიკის ახლებურად გარდაქმნას და, მეორე მხრივ, თამამად ღვას გეოლოგიური მეცნიერების განვითარების საერთაშორისო დონეზე.

სამგო ჯორბანაძე
რეცენზიის სანატვლოდ

„მოგონებები“ ალ ჩანელიძის ცხოვრების და მოღვაწეობის პირველ პერიოდს ეხება. მას ასეც უნდა ერქვას „ნაწილი პირველი“. ჩვენ გვჩერა ავტორის დაწერილი ანდა მოთქმებული აქვს მოგონებების მეორე ნაწილიც. მისი გამოსვლა აუცილებელია.

ალ. ჩანელიძის ცხოვრების მეორე პერიოდი — ეს უკვე სახელგანთქმული მეცნიერის, ორგანიზატორის, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის დიდი საქმიანობის პერიოდია. მაშასადამე, ეს ავადმყოფს ალ. ჩანელიძის ვალდებულებააა ქართული საზოგადოებრიობის წინაშე, მაგრამ აქ ჩვენ გვინდა თვითშრომი, რომ მას „ვალე“ დარჩა მოგონებების მეორე პირველ ნაწილიდანაც. ალ. ჩანელიძის ლიტერატურული ურთიერთდამოკიდებულება დავით კლიაშვილთან — საზოგადოებრივად მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია. ამის შესახებ განსახილველ წიგნში მხოლოდ ერთი ფრაზაა.

ზედმეტად ძუნწად წერს ავტორი მის ურთიერთდამოკიდებულებაზე ივანე ჯავახიშვილთან უნივერსიტეტის გახსნისათვის მზადების პერიოდში. (ეს ავტორის თავმდაბლობით უნდა ავსნათ).

ჩვენ იმედს გვაქვს, რომ „მოგონების“ მეორე ნაწილში ალ. ჩანელიძე ბევრ ახალს გვეტყვის უნივერსიტეტის მესამეკვლისა და ქართული მეცნიერების სინდისის — ივანე ჯავახიშვილის შესახებ. ჩვენ კი ახლა გვინდა მკითხველს გავაცნოთ რამოდენიმე დოკუმენტი ალ. ჩანელიძის ხელით დაწერილი, რომელშიც უფრო სრულად, ვიდრე ის მოგონებებშია, წარმოგვიდგენენ მის ურთიერთდამოკიდებულებას ივანე ჯავახიშვილთან უნივერსიტეტის დაარსების სამუდამისა და მისი არსებობის პირველ პერიოდში.

თებერლის რევოლუციის შემდეგ ივანე ჯავახიშვილმა გააჩაღა აშკარა ბრძოლა ქართული უნივერსიტეტის გასახსნელად. მალე ბრძოლის ასპარეზი საქართველოში გადმოიტანა. მან აღძრა ნამდვილი სახალხო მოძრაობა საუნივერსიტეტო იდეის პროპაგანდისათვის. მალე იქმნება პირველი ორგანიზაციული წარმონაქმნი — ქართული უნივერსიტეტის დაფუძნებისათვის დამხმარე საზოგადოება. ამ საზოგადოების პირველ კრებას თბილისში ივანე ჯავახიშვილი. 1917 წლის 12 მაისს აწყობს, ხოლო შემდეგ იგი ქუთაისში ჩადის და მსგავს კრებას იწვევს 1917 წლის 17 მაისს. ალექსანდრე ჩანელიძე ამ კრების მდივანი იყო. მისი ხელითაა დაწერილი ოქმი — ეს ნამდვილი ძეგლისწერა საუნივერსიტეტო იდეის საერთო სახალხო პროპაგანდისათვის. ესეც არაა შთაფარი. ყველაზე ძირითადი ის იყო რომ იმ დროს მწვევე დავის საგანი იყო, რა გავგებხსნა — უნივერსიტეტი თუ პოლიტექნიკური. ალ. ჩანელიძე ენერგიულად უჭერს მხარს ივანე ჯავახიშვილს — ახლა ტიპის პირველი ქართული უმაღლესი სკოლა უნივერსიტეტი უნ-

და იყოს, რომელიც შემდეგ შექმნის უნივერსიტეტს სპეციალური უმაღლესი სკოლების წარმატებით განვითარებისათვის. ამით როდი ამოიწურა ალ. ჩანელიძის როლი უნივერსიტეტის დაარსებისათვის მზადების პერიოდში. ქუთაისში ყოფნისას ივანე ჯავახიშვილი მას დავალებას აძლევს, იზრუნოს უნივერსიტეტის გახსნის თადარიგზე, ჩაატაროს ქუთაისში თავმოყრილ მეცნიერ-მუშაკებთან თათბირი მომავალი უნივერსიტეტის სტრუქტურისა და ა. შ. თაობაზე. ეს თათბირი ჩატარდა კიდევ 1917 წლის 8 ივნისს, ამის შესახებ წერს ივანე ჯავახიშვილს ალექსანდრე ჩანელიძე:

„დღიად პატივცემულ ბატონო ივანე! თქვენი დავალების შესრულება ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო დამივიანდა. შემდეგ დუნაძისათვის უნდა გამოემეტნია მ. შვეარდნაძის წიგნი, მაგრამ წამოსვლისას ვერ ვნახე, ხოლო ბ. ქებაშაინი, რომელსაც ახლა მოაქვს თქვენ გადმოსაცემად, ის წიგნი, ავტორი კვირაა, რაც ყოველდღე წამოსვლას ეპირება და ვერც წამოსულა. მისმა მოიმედემ ფოსტითაც ველარ გამოგვავანე.“

მ. შვეარდნაძე თავის საღოქტორო თემას ისე უყურებს, როგორც „მოწაფის ნაშრომს“, რამდენად საპარტოლოა მისი შეხედულება ამას თქვენ უკეთ დაინახავთ, როდესაც წიგნს გაცნობთ.

რაც შეეხება ლ. შურღიას, ის, მოგვხსენებთ, მოსკოვის უნივერსიტეტში არის დატოვებული. სპეციალობით კრიმინალისტიკა. მუშაობდა პროფესორ პოზდნიშევთან. უნივერსიტეტის გათავების შემდეგ რამდენიმე წელიწადი დაპყრო მოსკოვში, მაგრამ რადგან ნეიტორალ უზრუნველყოფილი არ იყო, ცხადია, სამკაო დრო არ დარჩებოდა სამავსიტრო ეკზამენისათვის მომზადებულყოფი. ამ ერთი წლის წინათ, როდესაც რუსეთში მე-2 რიგის მოლაშქრეები გაიწვიეს, ქუთაისში ჩამოვიდა და მის აქეთ აქ არის. მაგრამ მტკიცედ გადაწყვეტილი აქვს, როგორც კი იმი დასრულდება, ისევ მოსკოვში დაბრუნდეს და სამეცნიერო შრომა განაგრძნოს. მისი ოცნებაა, მომავალ ქართულ უნივერსიტეტში იმუშაოს.

ერთი ხანია ქუთაისში ჩამოვიდა პრივატ-დოცენტი რაზმაძე, არ ვიცი თქვენის დავალებით, თუ საკუთარი ინიციატივით მან შევეყარა ხუთი ცაცი: თვითონ რაზმაძე პეტროგრადის უნივერსიტეტის პრივ-დოც. შ. ნუტუბიძე (ფილოსოფია), გ. ახვლედიანი (სლავიანური ენათმეცნიერება; სამავსიტრო ეკზამენები ჯერ არ დაუსრულებია) ლ. შურღია და მე. ბ. რაზმაძემ გავაცანე ქართული უნივერსიტეტის საქმის მნიშვნელობა, გადმოგვცა თუ რა კეთდება ამ მხრივ ტფილისში და წინადადება მოგვცა ზოგი კითხვის შესახებ ჩვენი აზრი გამოგვეთქვა. სხვათა შორის, კამათის შემდეგ ერთხმად მიიღებულ ოქმინა: ა) ტერმინოლოგიის შემუშავება შესაძლოდ

მეგავანია მხოლოდ თვით მეცნიერული მუშაობის პროცესში. ეს შემუშავება მოხდა მაშინ, როდესაც უნივერსიტეტი მოქმედებდას დაიწყებს, პროფესორებისა და ენის მტოდნეთა საერთო, შეთანხმებული ცდით. მანამდე კი განსაკუთრებული კომისიის დაარსება და მისი წინასწარი მუშაობა ამ მიზნისათვის შეუფერებლად უნდა ჩაითვალოს.

ბ) ქართულ უნივერსიტეტში უცხო მეცნიერების მოწვევა და მათთვის ლექციების კითხვის დავალება შესაძლოდ მიგვაჩნდა, მაგრამ იმ აუცილებელ პირობით კი, რომ არც ერთ ფაკულტეტზე უცხოელები უმეტესობას არ შეადგენდნენ, რათა ამგვარათ მეცნიერულმა დაწესებულებამ ქართული სახე არ დაკარგოს. უცხოელი ლექტორების მოწვევა უნდა ხდებოდეს მხოლოდ განსაზღვრული ვადით.

გ) ჩვენ საჭიროთ მაგვარია ქართული უნივერსიტეტის პროფესორები ისეთ პირობებში იქნენ ჩაყენებულნი, რომ საშუალება მიეცეთ მთელი ძალღონით ემსახურონ ქართულ მეცნიერებას და ამასთანავე უნდა დევეალოს, რომ ქართული უნივერსიტეტის გარეშე საქმე არაფრით გაიჩინონ.

კრებამ მთხოვა ეს მისი სურვილები პირადად თქვენთვის მომგხსენებია კერძო ცნობის სახით. ვსრულებ ამ დავალებას და თან ნებას ეძლევე ჩემს თავს მოგახსენოთ უღრმესი პატივისცემა, ა. ჭანელიძე“.

აღ. ჭანელიძის მოგონებები, როგორც სჩანს, დაწერილია, დოკუმენტალური მასალების მომარკვების გარეშე. მაგრამ ეს გარემოება ხელს არ უშლის ამ მოგონებებს დოკუმენტალური სიზუსტე ჰქონდეს.

ამის ნათელი დადასტურებაა მისი მოგონება საპროფესოროდ მოსამზადებლად ევროპაში პირველ წასვლაზე და ის მოხსენებებით ბარათი, რომელიც 1920 წლის 9 მარტს პარიზიდან გამოგზავნა უნივერსიტეტის რექტორის ივანე ჯავახიშვილის სახელზე

„ბატონო რექტორო! მთავრობის მიერ ევროპაში გამოგზავნილ ახალგაზრდებთან ერთად 1920 წლის იანვრის 1-ელს ბათოში დავსტოვე. იანვრის 11-დან 31-მდე რომში მომიხდა ცდა, სახალხო განათლების სამინისტროს დავალების თანახმად საფრანგეთში შემოსვლამდე შევიცარიოში უნდა გამომეველ, მაგრამ შევიცარიოში დაარჩენის ნებართვა ვერ მივიღე და ისევ პირდაპირ პარიზში წამოველ. 1-ელ თებერვალს აქეთ აქა ვარ.

რაკი მოვეწყვე მუშაობას შეეუღლე, როგორც მოგვხსენებთ, ორმაგ სტიპენდიას ვღებულობ

და დავალბავ ორგავარი მაქვს. გეოლოგიური „მუზეუმში“ მუშაობ (Museum d. histoire naturelle). მაგრამ ჭერჭერობით მთავარ ყურადღებას სასკოლო საკითხს (განათლების სამინისტროს დავალება) ვაპყრობ. მინდა ამგვარად თავი გავითავისუფლო, რომ შემდეგ მთელი ენერგით გეოლოგია შევუღდე. ჩემი მუშაობის პირველ ანგარიშს და დაწერილებითს გეგმას მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში გაახლებთ. მუშაობის პირობები იქ ძლიერ კარგი არის, როგორც წინათაც იყო. მხოლოდ ერთი რამ არის ახალი: წიგნის ნაკლებობა. ომის დროს საბუნებრივ გამომოცემლობა თითქმის სრულიად შეწყვეტილა, აღრინდელი დაბეჭდილი რაც რომ იყო, მტწილად გამოღუელა, და ამიტომ კლასიკური შრომები... თითქმის არც ერთი აღარ იშოვება. მეორე მხრივ, ბიბლიოთეკაში საღამოს სეანსები შეევეცილი არის ნახშირის და ვანის ეკონომიისათვის.

ცხოვრება 4-5-ჯერ არის გაძვირებული (საზრდო 3-4-ჯერ, მანუფაქტურა 4-ჯერ, ბინა 5-ჯერ). ზღუდლისათვის განჩახვა მაქვს გერმანიაში წავიდე ენის უკეთ შესასწავლად, იქაური უნივერსიტეტის გასაცნობად და ზოგი რამ მსასლის შესაკრებად. ამიტომ გთხოვე გენებებით განკარგულება მოგვხთინათ, რომ შემდეგ 6 თვის სარგო ერთად გამომგზავნოს (ინგლის-ნოემბერი) ისე, როგორც დეკემბერში მივიღე წამოსვლისას. ეს უფრო მონებრებულიც ექნება, ვიდრე ყოველთვიურად გზავნა.

დასასრულ ნება მიბოძეთ, ბატონო რექტორო, მორიდლებით ჩემი პატივისცემა მოგახსენოთ. ალექსანდრე ჭანელიძე“.

სამშობლოს სათუთი სიყვარულითაა მთლიანად გამოთბარი ალექსანდრე ჭანელიძის მოგონებები. ამასთან ეს სიყვარული არსებობს როგორც ორგანული, პიროვნებისაგან განუყოფელი და ბუნებრივი ვრძობა, რომელიც ურყევია სამშობლოშიც და მის გარეთ ყოფნის დროსაც.

მართლად, ძარღვიანად და სურათიანად წერს (გვ.153) სამშობლოს სიყვარულზე სამშობლოდან შორს მყოფი ალექსანდრე ჭანელიძე:

„ჩემი ცხოვრება და მუშაობა საქართველოს გარეთ ვერასოდეს წარმომდგინა. არც ჰქონდა ჩემთვის ასეთ სიცოცხლეს რაიმე ფასი. თანაც ვიცოდი, რომ იქ ყუენენ ჩემი მშობლები, რომელთათვის უნდა მიმეხედა, და საკითხი თავისთავად გადაწყვეტალი იყო. ვერც კი დავიჩემებ, ასე გადაწყვიტე-მეთქი: ცნობიერად ასეთი ალტერნატივი არც განმიცდია. მაშინაც და შემდეგაც მუდამ სოფლის, მუდამ კარმიდამოს შვილი ვიყავ“.



ლალი ბერძენიშვილი

ქართული ხალხური აზორობების კოეფიციენტი

ხალხური აზორობების კოეფიციენტი არ-
თულებს ის გარემოება, რომ ზეპირსიტყვი-
ერების ამ მცირე ენის ნაწარმოების სპეცი-
ფიკა სათანადოდ არ არის გარკვეული. ენცი-
კლოპედიაში აღნიშნული ის ფაქტი, რომ აფო-
რიზმი ლაკონურად, დახვეწილად ვადმოგვეცემს
განზოგადებულ აზრს, რომ იგი შეიძლება ნა-
წილი იყოს ვრცელი ენის ქმნილებათა, დამა-
ხასიათებელია ზეპირსიტყვიერების სხვა, მცირე
ენის ნაწარმოების — ანდაზისთვისაც. აფო-
რიზმის სპეციფიკის დასადგენად არც იმის
აღნიშვნა კმარა, რომ იგი ორი, ოთხი თუ ექვს-
სტრიქონიანი პოეტური ფორმულაა. ეს დამა-
ხასიათებელია შაირის, სასიმღერო ტაეპის და
აგრეთვე — გამოცანისთვისაც. აფოროზმის სპე-
ციფიკა უნდა ვეძიოთ იმ ვითარებაში, რითაც
იგი განსხვავდება მცირე ენის სხვა ნაწარ-
მოებებთან. შემთხვევითი როდია, რომ ხში-
რად ანდაზებისა თუ შაირების კრებულში
შეტანილია აფოროზმები. ან კიდევ აფოროზმებ-
ში წარმოდგენილია შაირები და სასიმღერო
ტაეპები. მაგალითად, ანდაზების კრებულში
წარმოდგენილი ტექსტები:

არ ვარგა ქალი მეჭორე,
სოფლად — ვაჟაკი მკვებარი,
გაუჭირდება, შედგება,
როგორც უღელში მჭლე ხარი.

ან კიდევ:

არ უნდა კირში ვატეხა,
თუ კაცი გონიერია,
წავა და ყველგან დარჩება,
სოფელი ღონიერია¹.

პირველი ტექსტი საგმირო აფოროზმია, მე-
ორე — ფილოსოფიური. ცხოვრებაზე ხანგრძ-
ლივი დაკვირვების განზოგადება ხალხის მიერ
დაკანონებული თვალსაზრისის მიხედვით ერთ-
გვარად დამახასიათებელია აფოროზმისა და ან-
დაზისათვის, მაგრამ ისინი იდეტურით როდია.
ანდაზის სპეციფიკა ნართულობაა ე. ი. იგი
გადატანითი მნიშვნელობით ითქმის. ანდაზა
ერთ მოტივზეა აგებული და გადატანითი მნიშ-
ვნელობით იგი სხვადასხვა ვითარებაში გამოი-
ყენება. „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო
გვარი მისი“ ნართულად მრავალგვარ სიტუა-
ციას მიუღებდა. აფოროზმი კი პირდაპირი
მნიშვნელობითაა ნათქვამი. მასში ერთი რომე-
ლიმე დიდი შინაარსის აზრია განზოგადოებუ-
ლი. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ანდაზების
მსგავსად აფოროზმი, როგორც პოეტური ენა-
რი, შექმნილია აზროვნების განვითარების შე-
დარებით მაღალ საფეხურზე, მაშინ, როცა
ადამიანს ჰქონდა მოვლენათა განზოგადების და
მათი პოეტურად წარმოსახვის უნარი. შაირ-
თან აფოროზმს, როგორც ითქვამს, მისი მოცუ-
ლობა — ორ, ოთხ ან ექვსსტრიქონიანობა აახ-
ლოვებს. მაგრამ მათ შორის შინაარსითა და
ხასიათით არსებითი განსხვავებაა. შაირს არა-
იშვითად სალაღობო ხასიათი აქვს, რაც უც-
ხია აფოროზმისათვის. ამ გარემოების გაუთ-
ვალისწინებლობის გამო ხშირად აფოროზმის
მაგალითად წარმოდგენილია შაირი და პირი-
ქით, შაირებში შეტანილია აფოროზმები. არ
არის გამართლებული აფოროზმებში შეტანა
მხვილ სოციალურ მოტივზე აგებული სალა-
ღობო შაირისა:

ღმერთო, ღმერთო დიდებულო,
ფეხებ ჩამოკიდებულო,

¹ Краткая литературная энциклопедия,
I, М., 1962, გვ. 366.

² ქართული ანდაზები, თბილისი, 1955, გვ. 11.



გაჩინე მგლები,
დაპაემ მღვდლები³.

ასევე არ არის გამოართლებული აფორიზმებში შეტანა სამიჯნურო ხასიათის სასიმღერო ტაქებისა:

იალბუხი და წალკოტი
ნეტავი ეკლით შენარა,
მას რკინის კარი შავგობა,
კლიტე მე მომცა, შენ — არა⁴.

აფორიზმების, ანდაზების, შაირებისა და სასიმღერო ტაქების ერთიმეორეში არევის მაგალითების გავრდა კიდევ შეიძლება.

საწუთროსა სამი ვთხოვე:
ენა-პირი ხელოვანი,
ზედ საჯდომად მალი ცხენი,
წინ მინდორი ველოვანი,
საკოცნელად თეთრი ქალი,
ტანწვრილი და ფეროვანი⁵.

უკანასკნელი ლექსი იმითაც არ არის აფორიზმი, რომ მისი ბოლო სტრიქონები ქალის პორტრეტს წარმოგიდგენს. აფორიზმისთვის კი პორტრეტი უცხოა, მაშინ, როდესაც შაირისა და სასიმღერო ტაქისათვის იგი ჩვეულებრივი მოვლენაა. ამიტომ შემომოყვანილ ლექსს გარდა გაუმართლებელია აფორიზმებში შეტანა სასიმღერო ლექსისა:

წავეისისთანა ქალები
არ არის ქვეყანაზედა,
ასეთი დასუქებულან,
როგორც ირემი მთაზედა,
სუფრაზედ დამწკრივებულან,
როგორც ვარსკვლავი ცაზედა⁶.

აფორიზმი, რა თემაზედაც არ უნდა იყოს იგი შექმნილი, ადამიანის სულიერ სამყაროს, მის თვისებებს ეძღვნება. რაც შეეხება გამოცანებს, რომელიც აქსნის გარეშე არ არსებობს, აქ უფრო ნათელი სურათია. ცხადია, მის შერევას სხვადასხვა მცირე ეპიკურის ნაწარმოებებში და კერძოდ აფორიზმებში ადგილი არ აქვს.

შაირსა და სასიმღერო ტაქებს საფუძვლად უდევს კონკრეტული ფაქტი, აფორიზმს კი — განზოგადოებული აზრი. ამიტომაც არის, რომ საისტორიო პოეზიაში გვხვდება სასიმღერო ტაქები და შაირებიც, როგორცაა: #რეკლმ

³ პეტრე უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, 1937, გვ. 426.

⁴ იქვე.

⁵ ხალხური სიტყვიერება ეჭვთ. თაყაიშვილის რედაქ., გვ. 131.

⁶ პეტრე უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, 1937, გვ. 435.

ზატონიშვილი განა უბრალო კაცია? „შეცხვამი ამილახვარო“ და მრავალი სხვ. აფორიზმი კი, როგორც აღნიშნავს ქს. სიხარულიძე, „უცხოა საისტორიო პოეზიისათვის, რომლის საფუძველიც მუდამ კონკრეტული ფაქტია“. არ არის მიზანშეწონილი, უფრო მეტიც, შეცდომაა, აფორიზმებში შეტანა საისტორიო ლექსისა.

იმერეთს რათ გამთხოვე,
თემურაზ ჩემო მამაო,
ჭამა მომწყინდა ღომისაჲ,
ვაჟმე კახურო ყანაო⁷.

ეს ლექსი ქს. სიხარულიძემ შეიტანა ზურაბ ერისთავის ციკლის ნაწარმოებებში⁸. მეკლევარს აღნიშნული აქვს: „ლექსში გადმოცემულია ქართლ-კახეთის მეფის ქალიშვილის — დარეჯანის — ზურაბ ერისთავის ქვრივის ჩივილი მამისადმი იმერეთში გათხოვების გამო. როგორც ცნობილია, ზურაბის ქვრივი დარეჯანი მამამ იმერეთის მეფეს ალექსანდრეს მიათხოვა“⁹.

აფორიზმებს არ აქვს სიუჟეტები, მაგრამ აქვს თემები, რომლითაც გამოხატულია ხალხის შეხედულება გამოცანაზე, მეგობრობაზე, წუთისოფელზე, სიყვარულზე, ოჯახზე და ა. შ. აფორიზმებში თემები მკიდროდაა დაკავშირებული იდეასთან. საერთოდ კი აფორიზმების, ისევე როგორც ზეპირსიტყვიერების ყველა ეპიკურის ნაწარმოებთა, პოეტის საკითხის ძიებისას, ძნელია მისი ფორმისა და შინაარსის გათიშვა. ძნელია იმიტომ, რომ აფორიზმები ნიკო ხიზანაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ „სახელმძღვანელო ჭეშმარიტებად მიაჩნდა ხალხს, რომ აფორიზმი „ხალხს ისე სწამდა, ორგორც სახარების სიტყვა“¹⁰. ყოველივე ამან განაპირობა ამ ეპიკურის ნაწარმოებთა კატეგორიული ტონი და ფორმის ლაბიდარობა. ფორმა ხალხური აფორიზმებისა ერთფეროვანი როლია. ამავე დროს მრავალფეროვან აფორიზმებს აერთიანებს ცხოვრების სხვადასხვა მხარეზე ხალხის

⁷ ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, II, ტექსტების მოშაღდება, რედაქცია, შესავალი და შენიშვნები ქსენია სიხარულიძისა, 1964, გვ. 9, 15.

⁸ ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, II, 1968, გვ. 87.

⁹ პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, 1937, გვ. 432.

¹⁰ ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, II, გვ. 166.

¹¹ ნ. ხიზანიშვილი (ურბნელი), ეთნოგრაფიული ნაწერები, თბილისი, 1940, გვ. 111;

წალი გამაინიშვილი
ქართული ხალხური აფორიზმების კომბიკა





მიერ დაკანონებული ნორმის მტკიცედ შეკრუ-
ლი პოეტური ფორმულებით ვაღმოცემა. ერთი
ჯგუფი აფორიზმებისა ხალხის შეხედულებას
ადამიანისთვის სავალდებულო თვისებებზე,
სურვილისა და ნატურის გამოხატვისა ან მი-
მართვისა და შეკითხვის გარეშე გამოხატავს.
ამგვარი ფორმა დამახასიათებელია ყველა თემა-
ზე შექმნილი აფორიზმებისათვის. ამგვარ აფო-
რიზმებში ადგილი არ აქვს მსჯელობას, მათი
ტონი განსაკუთრებით კატეგორიულია. ისინი
თითქოს ადრესატების გარეშეა ნათქვამი. ხალ-
ხის მიერ შემუშავებული სავალდებულო კო-
დექსის ამგვარი ფორმით გამოხატვის ნიმუშე-
ბია საგმირო აფორიზმები:

ვაჯაცა გული რკინისა,
აბჯარი — თუნდა ხისაო,
თვალნი ქორებულ მხედავნი,
მუხლები შევარდნისაო.¹²
ხმა უმღერალი არ ვარგა,
ჭაბუკი — უხელებელი;
ჭაბუკსა უხელებელსა
ქალი სჯობს უხსენებელი.¹³

ეს ფორმა დამახასიათებელია ყოველგვარ
თემაზე შექმნილი აფორიზმებისათვის. ამგვარი
პოეტური ფორმულების შთამაგონებელ როლს
აძლიერებს კატეგორიული ტონი. ყოველგვარი
მსჯელობის გარეშე ხალხის დაკანონებული აზ-
რია გამოხატული ფილოსოფიურ აფორიზმში:

წუთისოფლის სტუმრები ვართ,
ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება,
რაც ერთმანეთს გვახარებთ,
იმის მეტო რა შეგვჩრება!¹⁴

ღრმად ემოციური და დიდი აღმზრდელობითი
ღირებულებისაა ამგვარივე ფორმით შექმნილი
აფორიზმი მეგობრობაზე:

ძმანაფიცისთვის სიკვდილი
სათემოდ შესამღერია,
მკერდჩანგრეულის სახელი
სამოთხის კარზე სწერია.¹⁵

ან კიდევ:

სწორს სწორის მოღალატესა
ხილნიმ წყლად ჩაუცივიაან,
მშვილდიმც ვაუვლუჯს სამბურსა,
ისარნიმც ჩაუცივიაან!¹⁶

¹² კაი ყმა, ქართული ხალხური საგმირო აფო-
რიზმები, შეადგინა ქსენია სიხარულიძემ, „ნა-
კადლო“, 1963, გვ. 9.

¹³ იქვე, გვ. 14.

¹⁴ ხალხური სიტყვიერება, I ექვთ. თაყაიშ-
ვილის რედ., გვ. 129.

¹⁵ კაი ყმა, გვ. 42.

¹⁶ იქვე, გვ. 43.

ამგვარი ფორმის აფორიზმები არ
ნურო პოეზიისთვისაა უცხო. ასეთია გავრცე-
ლებული ლექსი „სიყვარულსა მალეა უნდა“.
აფორიზმების ერთი ჯგუფი მიმართვის ფორ-
მითაა ნათქვამი. ისინი ყოველთვის ადრესა-
ტებს გულისხმობენ. მიმართვის ფორმა განსა-
კუთრებით დამახასიათებელია საგმირო აფო-
რიზმებისათვის. მიმართვას გარკვეული ფუნქ-
ცია აქისრია აფორიზმებში. იგი განსაკუთრებით
შთამბეჭდავს ხდის ხალხურ კოდექსს, ზრდის
ლექსის შემეცნებით ღირებულებას. მრავალთა-
გან ორ ნიმუშს მოვიყვანთ:

მშვილი გაგიტყდა, ვეჯაო,
მხართფერი, გოზა წითელი,
არ გაიტეხო ნამუსი,
არ მოგვხაროს კისერი.¹⁷

ვაქასა შენისთანასა
განა თუ აგრე სმა უნდა?
დილას ადგომა აღრიან,
გრილსა რკინასა სხმა უნდა.¹⁸

მიმართვის ფორმით შექმნილ აფორიზმებში
ხშირად დაპირისპირებულია ხალხის შეხედუ-
ლება დადებითსა და უარყოფითზე. მიმართვის
ფორმა დამახასიათებელია აგრეთვე ფილოსო-
ფიური აფორიზმებისთვისაც. ამგვარ აფორიზ-
მებში განსაკუთრებით საგრძნობია ხალხური
ესთეტიკა — საუკუნეთა მანძილზე გამომუშა-
ვებული შეხედულება ხალხისა კარგსა და ცუდ-
ზე. მუდამ შთამაგონებელი იქნება, არასოდეს
არ დაჰარგავს შემეცნებით ღირებულებას ხალ-
ხური სტიქიონები:

კარგი ვარ, იმას ნუ იტყვი,
თავს ნუ დაუწყებ ქებასა...
კარგი ჩვენც მოგვეწონება,
ცუდი — არც თავის დედასა!¹⁹

აფორიზმების გარკვეული ნაწილისათვის და-
მახასიათებელია შეკითხვის ფორმა. შეკითხვას
აფორიზმში შემეცნებითი ფუნქცია აქვს დაკის-
რებული. იგი გამოხატავს და შთამბეჭდავს ხდის
ხალხის დაკანონებულ აზრს. ამგვარი აფო-
რიზმის ერთი ნიმუშია მეგობრობაზე ნათქვამი
სტიქიონები:

ყმაწილო ბეწიყუაო,
დარბაისლობა იცია?
წინ ჩასვლა, უკან ამოსვლა,
ჩაშველებია იცია?
დავექმა სწორ-ამხანავა,
ჩასვლა-შაშველა იცია?²⁰

¹⁷ იქვე, გვ. 19.

¹⁸ იქვე, გვ. 26.

¹⁹ ფშური ლექსები შეკრებილი დავით ხიზა-
ნაშვილის მიერ, 1887, გვ. 135.

²⁰ აკ. შანიძე, ხალხური პოეზია, 1931, გვ. 121.

ასეთივე ფორმითაა გადმოცემული სავაჟაკო კოდექსი სავმრო აფორიზმით:

ვაქავ, რას მეგულდიდები,
რა სახელ მაგიტანია?
შენი ცხენი და აბჯარი
ომში როს შაგიტანია?
ლეკი როს მაჰკალ ქარელი,
ხელი როს მაგიტანია?²¹

ლექსის შინაარსის ნატვრის ფორმით გადმოცემა ქართული ხალხური ლირიკის ცნობილი ხერხია²². ეს ხერხი არაიშვითად გამოყენებულია ადამიანის სულიერი სამყაროს არა მხოლოდ ჩვენების, არამედ მისი გამდიდრების საშუალებად. იგია, ხერხი ხალხური კოდექსის დანერგვისა. ეს გარემოება იმიტად არის საგულისხმო, რომ ერთგვარად აჩვენებს აფორიზმის შექმნის გზას, მისი ჩამოყალიბების პროცესს. ქართულ ხალხურ პოეზიაში გვხვდება ნატვრის ფორმით ნათქვამი აფორიზმები. ამის ერთი ნიმუშია:

ნეტა რო ჩემი სასახლე
მალა მთაზედა აღმეგო,
გამვლეღ და გამოვლეღლისთვის
ღღე ყოველ კარი გამეღო,

სიტყვა არვისთვის მეწყინა,
სულ ყველას გული მომეგო,
რაც მეშოვნა და მეპოვნა,
სრულ გლახაკებზედ გარდმეგო!²³

ასეთივე ფორმითაა ნათქვამი აგრეთვე აფორიზმი:

ცხენ-კარგის დედას დაენატრი,
ლაშქარს წინაწინ წადგება!
მემრე თოფ-კარგის დედასა,
ერთის ნასროლით დარჩება!
მემრე ცოლ-კარგის დედასა,
ქმრის სწორთ ლამაზად დაჰხვდება!²⁴

აფორიზმებში მოცემულ ხალხურ კოდექსს განსაკუთრებით შთამბეჭდავს ხდის უარყოფის ფორმა. ეს ფორმა გამოყენებულია აფორიზმის დასაწყისშივე. აღსანიშნავია ისიც, რომ ამგვარი აფორიზმები ერთგვარი არ არის. უარყოფას აფორიზმებში სხვადასხვა ხასიათი აქვს. ერთ შემთხვევაში ამ ფორმას ერთგვარი მსჯელობის ხასიათი აქვს და აფორიზმი ხალხურ კოდექსს თითქოს უმისამართოდ გადმოგვცემს. სავმრო აფორიზმებიდან ამის ტიპიური ნიმუ-

შებია ზემომოყვანილი ტექსტი „არსებულად უნდა იქნებოდეს“ — აგრეთვე:

არ ვარგა იგი ვაქაკი,
შუა ქალბზი მჭდარია,
მან დიხუროს მანდილი,
იგივე ცოცხალი მკვდარია.²⁵

ასეთივე ფორმითაა ნათქვამი სავმრო-საყოფიერო აფორიზმი:

ქალი არ ვარგა ქურდ-კახა,
ვაქი — სოფელში მკვებარი,
გაუჭირდება, დაღვება,
როგორც გუთანში მკვლე ხარი.²⁶

მეორე შემთხვევაში ცუდის უარყოფაზე აგებული აფორიზმები აღრესატებს გულისხმობენ და მიმართვის ფორმითაა ნათქვამი. ასეთია:

ნუ გაუტუდები, მოყმეო,
გაბევრებასა მტრისასა,
ბერო, ბერობას ნუ შჩივი,
დაკლებას თვალებისასა,
ეცადე ჰკვა-გონებასა,
ჩივებას თემ-სოფლისასა.²⁷

ან კიდევ:

ნუ სცრუობ, ნუ ამპარტავნობ,
ნუ ელესები ქალთაო,
აგემ სად გამაგაქციონ
ამოღებულთა ხმალთაო!²⁸

დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ფსიქოლოგიური პარალელიზმები აფორიზმებისათვის ისე დამახასიათებელი არ არის, როგორც შაირებისა და სასიმღერო ტაგებისათვის. ფსიქოლოგიური პარალელიზმები შაირებისთვის, როგორც აღნიშნული აქვს ალ. ლლონტს, განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო მისი განვითარების აღრინდელ საფეხურზე. მკვლევარის სიტყვებით, „პარალელიზმი უფრო დამახასიათებელი იყო აზროვნების განვითარების პრიმიტიული საფეხურებისათვის.“²⁹ ამრიგად, ბუნებრივია, რომ ფსიქოლოგიური პარალელიზმი დამახასიათებელი ვერ იქნება აფორიზმისათვის, რომლის წარმოშობაც აზროვნების განვითარების მაღალ სტადიას მიეკუთვნება. თუ ზოგ შემთხვევაში მაინც გვხვდება პარალელიზმით შეკრული აფო-

²⁵ იქვე, გვ. 38.

²⁶ იქვე, გვ. 24.

²⁷ იქვე, გვ. 18.

²⁸ კაი ყმა, ქართული ხალხური სავმრო აფორიზმები, გვ. 65.

²⁹ ალ. ლლონტი, ქართული შაირები, თბილისი, 1941, გვ. 10-11, 145.

ლალე ბარქანევილი
ქართული ხალხური აფორიზმების კოლექცია

²¹ კაი ყმა, გვ. 29.

²² ელ. ვირსალაძე, ლირიკა, „ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება“, II, 1968, გვ. 300.

²³ პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, 1937, გვ. 420.

²⁴ კაი ყმა, ქართული ხალხური სავმრო აფორიზმები, გვ. 17.

რისში, უნდა ითქვას, რომ მას სულ სხვაგვარი ხასიათი აქვს, ვიდრე ამგვარი ხერხით შექმნილ შაირსა თუ სასიმღერო ტაქსს. ფსიქოლოგიური პარალელიზმებით შეკრულ შაირებსა და სასიმღერო ტაქსებში ორი ნაწილი ერთიმეორესთან აზრობრივად დაკავშირებული არ არის.³⁰ ამის ნიმუშად შევლევარს მართებულად ჰოაქეს შაირი:

აწყვრისა ღელეს შემოვყევე
ყინულის პირობაზეო,
გოგოვ, შენ რომ სიტყვა მითხარ,
ბოგორ ხარ პირობაზეო.³¹

ან კიდევ:

ქალი არკვედა ნარკვევსა,
ტურფად უქცევდა ცხრილსაო.
ომი არ გაუჭირდება
შენი ღედ-მამის შვილსაო.³²

აფორიზმებში პარალელები, როგორც ითქვა, აშვითად გვხვდება, სადაც გვხვდება, ისინი ერთგვარი წარმოსახვისთვისაა გამიზნული. ასე, მაგალითად, საუკეთესოს ხაზგასმა აკავშირებს ერთიმეორესთან აფორიზმის სტრუქტურებს:

ღვინო კი მათობელა სჯობს,
ძალი — თოზე მყუფარი,
ვაქკაცი წყნარი სჯობია,
რო გაჭირდება — მქეხარი.

ასეთივე ფუნქცია აქისრია პარალელიზმს აფორიზმში:

წინანდალს ვაზი ამშვენებს,
ახმეტას — ვაშლი წითელი,
ვაქკაცსა — ფარი და ხმალი,
მოიმწითუროს კისერი.³³

ასევე შეუძლებელს ხაზგასმითაა ერთიმეორესთან დაკავშირებული ფილოსოფიური აფორიზმის სტრუქტურები:

ცა მტკავლით, ქვეყანა ცილით
ნახე თუ გაოზომება,
ზღვა თუ აიწყვის პეშვითა
ან ცანი გადიწონება.³⁴

აფორიზმებისათვის არც სიმბოლიკა, ეპითეტიზმი და შედარებანი ისე დამახასიათებელი, როგორც შაირებისა და სასიმღერო ტაქსებისათვის. თუმცა ისიც უნდა ითქვას, ეს მხატვრული

ლი ხერხები უფრო არ არის ამ მტკავლითა პოეტური ფორმულებისათვის. ისინი შთამბეჭდავს ხელიან ნათქვამს და თავისებურად აძლიერებენ აფორიზმების შემეცნებით ლირებულებას. დავიმოწმეთ მაგალითები:

თავსა სევდასა ნუ მისცემ,
გულს ხავსი მეეციდება,
კაცი ცრუ, ამპარტავანი,
სილაღეს მეეციდება,
ის უფრო ცრუი იქნება,
ვინც იმას მეეციდება.³⁵

ხავსი ამ შემთხვევაში ცუდი განწყობილების სიმბოლიკა. სინტერესოა სხვა ხერხი ფილოსოფიურ აფორიზმში:

კაცი უნდა ხერხი იყოს,
გაჰქონდეს და გამოჰქონდეს,
არც უნდა რომ ხარბი იყოს,
სულ თავისკენ გამოჰქონდეს,
უნდა თავის ოფლსა სჰამდეს,
განა თუ არამი ჰქონდეს.³⁶

ამ შემთხვევაში ხერხის პოეტური სახე გამოყენებულია პატიოსნების ქადაგების მიზნით. ვაქკაცის მიერ საბრძოლო იარაღების ხმარების ოსტატობას განგვაცდევინებ საგმირო პოეტური სახეები: „ხმლების გაეღება, ისართა მოციქულობა, შუბთა ენების ქნევა, რაც გამოყენებულია აფორიზმში:

კარგი ყმა მაშინ კარგია,
ხმალი რომ შევლენ ელვასა,
მოციქულობდენ ისარნი,
შუბნი იქნევდენ ენასა.³⁷

აფორიზმებში გამოყენებულია უბედურების ტრადიციული სიმბოლიკა — შვის დაზნელება:

ტირილითა და ვიშითა
მტერნი არ შავვიბრალდენ:
მოვლენ დაგვწვენ და დავგდავენ,
მზე იყოს, დავვიბნელებენ.³⁸

სიმბოლიკას, ეპითეტიზმსა და შედარებებს ისეთივე ფუნქცია აქისრია აფორიზმებში, როგორც პოეზიის სხვა ქანრში. საერთოდ კი აფორიზმების დიდი შთამბეჭდავი ძალა, მისი შემეცნებითი ლირებულება ცხოვრებაზე ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად განზოგადოებული აზრის ლაქონიურად გადმოცემასა და მიმზიდველ ლაბიარულ ფორმასაში.

³⁰ იქვე, გვ. 10.
³¹ იქვე.
³² იქვე, გვ. 11.
³³ პეტრე უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, 1937, გვ. 410.
³⁴ იქვე, გვ. 416.

³⁵ იქვე, გვ. 423.
³⁶ იქვე, გვ. 424.
³⁷ კი ყმა, ქართული ხალხური საგმირო აფორიზმები, გვ. 9.
³⁸ იქვე, გვ. 19.

„ძარღვიანი ქართული“

დღეს ჩვენს პრესაში ხშირად იბეჭდება სტატიები პროფესიული კრიტიკის განვითარების აუცილებლობაზე. ზოგიერთი მეტისმეტად მკაცრი ავტორი ხელაღებით იწუნებს ლიტერატურული კრიტიკის დონეს, სხვები კრიტიკის ნაკლოვანებებზე მიუთითებენ და გზებს სახავენ ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. ერთი სიტყვით, ლიტერატურულ კრიტიკას ჩვენში ბევრი მოაპაგვე და ქომაგი ჰყავს. მით უმეტეს გულდასაწყვეტია, რომ კრიტიკის მესვეურთა ყურადღება მხოლოდ ორიგინალური მხატვრული ლიტერატურის კრიტიკის განვითარებისკენაა მიმართული. არსად, არც ერთ წერილში არ თქმულა სიტყვა მხატვრული თარგმანის პროფესიული კრიტიკის დღევანდელ დონესა და მისი განვითარების პერსპექტივებზე. მხატვრული თარგმანისადმი ასეთი გულგრილობა ქართული თარგმანის განვითარების თანამედროვე ეტაპზე შეუწყნარებელი ჩანს. მით უმეტეს, რომ მხატვრულ თარგმანზე შექმნილი კრიტიკული ლიტერატურა იოლობისა და ზერელობის ტყვეობიდან დახსნას მოითხოვს.

თუ გადავხედავთ მხატვრულ თარგმანზე დღემდე დაბეჭდილ კრიტიკულ ლიტერატურას, იგი შეიძლება ორ ძირითად ჯგუფად გავყოთ: თარგმანის განმაქიქებელ და სახობტო წერილებად. განმაქიქებელი წერილების აბსოლუტური უმრავლესობა თარგმანიდან ამოკრეფილი ენობრივი შეცდომების ნუსხას წარმოადგენს, ხოლო სახობტო წერილებში უკვე ტრადიციულადაც კი იქცა ყოვლად უგემოვნო და კონკრეტულ აზრს მოკლებული ფრაზები: „მთარგმნელს კეთილსინდისიერად უმუშავნა“, „ნაწარმოებმა ძარღვიანი ქართულითაა თარგმნილი“, „მთარგმნელს კარგი ქართულით უთარგმნია წიგნი“, და ა. შ. უკეთეს შემთხვევაში ამ ყოვლისმთქმელ ფრაზას „ძარღვიანი ქართულის“ რამდენიმე ნიმუშიც ახლავს ხოლმე თან.

ამგვარი ტიპის რეცენზიების მიხედვით თურმე საკმარისია მთარგმნელმა არ დაუშვას გრამატიკული შეცდომები, თარგმანში აქა-იქ გაურიოს ორიოდ, წმინდა ქართული ხალხური სიტყვა — თქმა, შეიძლება ერთი-ორი ანდა-ზაც ჩაუტოვოს და მის ქართულს შეიძლება „ძარღვიანი ქართული“ ვუწოდოთ. რაც მთავარია, ასეთი ქართულით ნათარგმნი წიგნი შეიძლება ბრწყინვალედ თუ არა, კარგ თარგმანად მაინც იქნეს მიჩნეული.

ისმება კითხვა: არის თუ არა საკმარისი თარგმანის მოსაწონებლად მისი „ძარღვიანი ქართული“ ან საერთოდ რამდენადაა გამართლებული თარგმანის კრიტიკოსების ინტერესთა სფეროს ენით შემოფარგლვა?

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ჩვენში დასტაბუღული თარგმანების უმრავლესობა მხოლოდ და მხოლოდ ენის დონეზე კრიტიკას იმსახურებდა, ეს თარგმანები ვერ აკმაყოფილებდნენ უმარტივეს პირობას: მათი ენ. ქართულს მსგავსებოდა. ასეთი ტიპის თარგმანების განმაქიქებელმა რეცენზიებმა, უფრო მეტად კი სხვადასხვა თარგმანებიდან ამოკრეფილი ენობრივი კუროსებისა და ლაფსუსების თავმოყრამ, სისტემაში მოყვანამ და ანალიზმა უდავოდ გააკეთა დიდი საქმე. გაზვიადებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ამ სახის წერილებმა (მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია რ. თვარაძის, თ. კობლაძისა და ზ. ტუმბურიძის ნაშრომები) მოამზადა საფუძველი იმისათვის, რომ დღეს ქართული თარგმანების უმრავლესობა მასალას აღარ იძლევა ზემოთ მოხსენებული ტიპის წერილებში თავმოყრილი ენობრივი და აზრობრივი კუროსების წყების გამდიდრებისათვის. მაგრამ ერთიც უნდა ითქვას: ამ გზით ჩვენში დამკვიდრდა თარგმანში მხოლოდ ენობრივი ლაფსუსების ძიების და საერთოდ თარგმანის მხოლოდ ენობრივი პოზიციიდან შეფასების



ერთგვარი ტრადიცია. რაც აუცილებელი და მოსაწონი იყო გუშინ, დღეს თარგმანის შეფასების იოლ გზად იქცა.

მაგალითად შეიძლება მოგვეყვანა ამ რამდენიმე ხნის წინ მწერალთა კავშირში ჩატარებული სხდომა, რომელზედაც უცხოური ლიტერატურის აღმზანის „ხომლის“ ხუთი ნომერი უნდა განეხილათ. „ხომლის“ პროდუქცია საქმათში მდიდარ მასალას იძლეოდა ქვეშაირი პროფესიული კამათის განსაზღვრის. მაგრამ ამის სპაგიეროდ დამსწრე საზოგადოებასა და „ხომლის“ ხსენებულ ნომრებში წარმოდგენილ ენობრივი ლაფსუსების ზერელედ კომენტარებული ნუსხის მოსმენა ხვდათ წილად. ამ ფაქტის გახსენებით ის კი არ გვინდა ვთქვათ, თითქოს ქართული მთარგმნელებს დღეს აღარ სჭირდებოდეთ ქართული ენის სიწმინდის დაცვაზე კვალიფიციური საუბრის მოსმენა. პირიქით, ასეთი სახის გამოსვლები პრესაში თუ ტრიბუნაზე საკრძოვ გახლავთ და აუცილებელიც, მაგრამ აქ საქმე თარგმანის შეფასების მცდარი პრინციპის არჩევას ეხება, თეოთ აღიარებულ მთარგმნელთა ნაწარმოებშიც არ არის ძნელი მოძებნო რამდენიმე ენობრივი ლაფსუსი (სხვათაშორის, ამგვარი შემთხვევისაგან არც ორიგინალური მხატვრული ნაწარმოებია დაზღვეული. მაგრამ მსგავს ფაქტებს ორიგინალურ მხატვრულ ნაწარმოებში რატომღაც სხვა კვალიფიციაცია ეძლევა), მაგრამ ენობრივი ლაფსუსების აღმოჩენა სრულიადაც არ არის გადაწყვეტი თარგმანის დასაწუნებლად, ისევე როგორც ე. წ. „ძარღვიანი ქართული“ ვერ იქცევა თარგმანის მაღალმხატვრობის ერთადერთ და გადაწყვეტი კრიტერიუმად.

მხატვრული თარგმანი შემოქმედების ფორმაა და მისი ღირსება არ შეიძლება წმინდა ენობრივ მხარეზე იმაზე მეტად იყოს დამოკიდებული, ვიდრე ეს ორიგინალურ მხატვრულ ნაწარმოებშია დასაშვები.

გრამატიკულად გამართული ენობრივი მხარე, ე. ი. ის, რასაც ხშირად „ძარღვიანი ქართული“ ვუწოდებთ ხოლმე, წარმოადგენს თარგმანის, როგორც ფაქტის, არსებობის საფუძველს, თარგმანის ლიტერატურულ ფაქტად მიჩნევა კი ამ ენობრივი საფუძვლის არსებობის შემდეგ იწყება და მხატვრული თარგმანის კრიტიკაც აქედან უნდა იღებდეს სათავეს. მხატვრულ თარგმანს შეფასების იმავე კრიტერიუმებით უნდა მივუდგეთ, როგორც თვით ორიგინალურ მხატვრულ ნაწარმოებს ვუდგებთ ხოლმე, ორივეს კრიტიკული ანალიზიც ძირითადად ერთი პრინციპით უნდა წარიმართოს, მაგრამ მხატვრული თარგმანის კრიტიკა აუცილებლად მოიცავს ისეთ სპეციფიკურ მომენტებს, რომელთა წარმოჩენა ორიგინალური მხატვრული ნაწარმოების ანალიზისას შეიძლება არასდროს დაგვიპირდეს.

მხატვრული თარგმანის კრიტიკული ანალიზის სპეციფიკა მის ორმაგ ბუნებას ემყარება. მხატვრული თარგმანი ორიგინალის თავისებურებებსაც გადმოსცემს და ამავე დროს სხვა ენობრივი საშუალებებით განსხვავების გამო ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხის კულტურის მონაპოვართა მატარებელიცაა. ამიტომ მხატვრული თარგმანის შეფასების კრიტერიუმში მასში უცხო და მშობლიური კულტურის შერწყმის ხარისხით განისაზღვრება, უცხო და მშობლიური კულტურის კონფლიქტით მით უფრო მაღალხარისხიანი აღმოჩნდება, რაც უფრო ჰარმონიულად იქნება მასში მათი ელემენტები შერწყმული.

გარდა ამისა, თარგმანის შეფასებისას უქვეყნულად გასათვალისწინებელია, ერთი მომენტი: დღეანში ასახული სინამდვილის წყდობა და ასახვა გართულებულია ამ სინამდვილის ასახვაზე საშუალებების მზა სისტემის არსებობით. თუ თარგმანში სწორედ ის მხატვრული საშუალებები არ იქნა აღდგენილი, რაც ორიგინალში იყო მოცემული, მაშინ დასაშვებ ნორმაზე გაიკლებით მეტად გაიზრდება დედნისაგან თარგმანის დაშორების კოეფიციენტი. დასაშვებ ნორმაში კი იფულისხმება ის ფაქტი, რომ ორიგინალისა და თარგმანის ენას შორის არსებული განსხვავების გამო თარგმანში ისედაც იკარგება ნაწარმოების სტილისტური სისტემის ზოგიერთი კომპონენტი და სტილისტური სისტემის კომპონენტების დანაკარგების რიცხვი ამ იძულებით ნორმას არ უნდა ასცილდეს.

თარგმანის კრიტიკული ანალიზი ორიგინალის ანალიზით იწყება, ოღონდ ორიგინალის ანალიზში არ ივლიხსმება მხოლოდ შინაარსის გადმოცემა, როგორც ეს კარგ თარგმანზე დაწერილ რეცენზიათა უმრავლესობაში გვხვდება ხოლმე, ორიგინალის ანალიზი ძირითადად სტილისტიკის სფეროში უნდა გადაწყდეს. აქ გამოიყოფა მწერლისა და პერსონაჟების ენა, ნაწარმოების კომპოზიცია, სახეთა სისტემა, მთელი ნაწარმოებისა და ცალკეული თავების რიტმი, ინტონაცია და განწყობილება, ორიგინალის ანალიზისას ყურადღება მახვილდება მხატვრული ნაწარმოების სტილისტური სისტემის იმ კომპონენტებზეც, რომელთა შესარჩენება ფუნქციური კომპენსაციის გზით შესაძლებელი და აუცილებელია მხატვრულ თარგმანში.

რას ვგულისხმობთ თარგმანში (კერძოდ, პროზის თარგმანში) შესანარჩუნებელ სტილისტურ ელემენტებში? პირველ რიგში ნაწარმოების რიტმულობას, რაც მხატვრული პროზის არსებობის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს წარმოადგენს. „პროზის იდუმალი და უძლიერესი მიზიდულობის ძალა მის რიტმულობაში იმალება, ხოლო პროზის რიტმის კანონები ნაწარმოების აშკარად გამოხატულ მეტრიკულ კანონებზე უფრო დელიკატურია“. (თომას მა-

წი) აქედან გამომდინარე, რიტმულობის შენარჩუნება წარმოადგენს თარგმანის მხატვრულობის ერთ-ერთ უპირველეს საფუძველსაც. ოღონდ თარგმანის რიტმულობაში, რა თქმა უნდა, არ იგულისხმება უცხო ნაწარმოების რიტმის აღდგენა მშობლიურ ენაზე. ეს შეუძლებელია თუნდაც მონათესავე ენების რიტმულ-ინტონაციური ხმოვნების აუცილებელი განსხვავების გამო. თარგმანში შესაძლებელია რიტმისა და ინტონაციის ცვალებადობის აღდგენა, რიტმულობის მახასიათებლების — მაგალითად, ეპიური, დინჯი თხრობისა და ექსპრესიულობის გადმოცემა. მაგორული და მინორული ინტონაციის ურთიერთშეინაცვლება, რაც მხატვრულ ნაწარმოებში განწყობილების შექმნის ერთ-ერთ ძირითად საშუალებას წარმოადგენს.

თარგმანის მხატვრულობის ცნება ასევე მოიცავს ორიგინალის სახეების სისტემის შესაძლებელი სიზუსტით აღდგენას, სადაც აუცილებლად უნდა გამოირჩეს ტრადიციული (ე. ი. ენაში დამკვიდრებული) და მწერლისეული მხატვრული საშუალებები. ტრადიციული მხატვრული სახეების აღდგენა ხშირად იოლდება ბევრ ენაში მათი მსგავსების გამო (მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ შედარებები: ტყვიასავეთ მძიმე, თოვლივით თეთრი, ქარივით სწრაფი და სხვა, რომელთა საფუძველი ხშირად საერთოა არამონათესავე ენებშიაც კი), მწერლისეული სახეები კი თავისი მოულოდნელობითა და ორიგინალობით გამოირჩევა, ისინი შეადგენენ მწერლის სტილისტური სისტემის ერთ-ერთ საფუძველს და მათი ზუსტი გადმოტანა აუცილებელია მხატვრულ თარგმანში.

ლიტერატურული ნაწარმოების მხატვრულობას ზემოთ დასახელებული კომპონენტების გარდა ხასიათების გამოყვეთის ხარისხი განაპირობებს, თარგმანის ანალიზისას კი აქ მხატვრებით ჩნდება უცხო ხასიათის ცნება. თუ ორიგინალურ მხატვრულ ნაწარმოებში ხასიათის ვაყალბების ერთი საფრთხე არსებობს, თარგმანში ხასიათის სიმართლეს ორგვარი საფრთხე ემუქრება. ორიგინალურ ნაწარმოებში ხასიათი შეიძლება ვაყალბდეს პერსონაჟისათვის შეუფერებელი სიტუაციებისა და ყალბი ენობრივი პორტრეტის შექმნით. თარგმანში კი გადაპარბებული ქართული კოლორიტის შეტანა, როგორც მთელი ნაწარმოების, ასევე პერსონაჟების ვაორებისა და ვაყალბების საფუძველი ხდება. სწორედ იმატომ რომ უცხო ხასიათს

მხოლოდ უცხო ენა კი არ ჰქმნის, არამედ უცხო სიტუაციებთან და გარემოსთან შეგუებული ხასიათია, იგი ვერც გარემოს კოლორიტის დარღვევას მოითმენს და ვერც ენობრივი პორტრეტის გაქართულებას გაუძლებს.

ზემოთ აღნიშნეთ, რომ მხატვრული ნაწარმოების სტილისტური სისტემის ზოგიერთი ელემენტი თარგმანში იკარგება ორ ენას შორის არსებული გრამატიკული და ლექსიკური სხვაობის გამო, მაგრამ ფუნქციური კომპენსაციის გზით თარგმანში შეიძლება გადმოიცეს სტილის აბსტრაქტიზებული ნიშნები: მაღალფარღოვანება თუ სისადაე, ლექსიკური სიუხვე თუ სიღარიბე, სტრუქტურული სირთულე თუ სიმარტივე, რიტმულობა, ინტონაცია და განწყობილება, რიტმულობა გრამატიკული და ლექსიკური საშუალებების განსაკუთრებული ორგანიზაციით მიიღწევა, განწყობილება კი მკიდროდ არის, როგორც ნაწარმოების სიუჟეტთან, ასევე მის რიტმულ და ინტონაციურ აღნაგობასთან დაკავშირებული.

რაც შეეხება თარგმანში სტილის სხვა აბსტრაქტიზებული ნიშნების აღდგენას, ეს საკითხი მთლიანად ლექსიკის სფეროში წყდება და მთარგმნელისაგან ლექსიკური მასალის შერჩევის ფაქტ ალღოსა და ზომიერების გრძნობას მოითხოვს. მხატვრული ნაწარმოების სტილისტურ სისტემაში გარკვეული როლი ეკისრება საკითხს, რთულ თუ მარტივ წინადადებებს ხმარობს უპირატესად ავტორი, ვინაიდან რთული თუ მარტივი წინადადება, გრძელი თუ მოკლე პერიოდი ავტორის აზრის მოძარბობასთან არის დაკავშირებული და, გარდა ამისა, იგი მთელი ნაწარმოების რიტმულ-ინტონაციურ აღნაგობასაც განაპირობებს. ამიტომ მთარგმნელისათვის ორიგინალის არც ეს მხარე შეიძლება იყო განუტრჩეველი.

ჩვენი აზრით, მხატვრულ თარგმანში აუცილებელია ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტების აღდგენა და თარგმანის შეფასებისას მხედველობიდან არც ერთი მათგანი არ უნდა გამოგვრჩეს. თორემ ევროე წოდებული „ძარღვიანი ქართულით“ თარგმნის დაუფლება ვარჯიშის გზით არც თუ ძნელი მისაღწევია — მას პირობითად შეიძლება „თარგმნის ტექნიკა“ ვუწოდოთ — ქეშმარიტად მაღალმხატვრული თარგმანი კი მაღალი ტექნიკისა და შემოქმედებითი ნიჭის ბედნიერი შერწყმის ნაყოფი გახლავთ.



კუბაისტიკა

კორნელი კინწკაშვილი

ინტელიგენცია ახალგაზრდობის აღზრდის სამსახურში

ახალგაზრდა ინტელიგენცია ყოველთვის იყო კომკავშირული ორგანიზაციების საიმედო დასაყრდენი იდეურ-პოლიტიკურ და ორგანიზატორულ მუშაობაში, თავისი ცოდნითა და მომზადებით ემზადებოდა და ეხმარება ჩვენს ხალხს, კომკავშირს, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქართველი ერის სოციალურ და კულტურულ განვითარებაში.

საკმარისია გავისხენოთ უფროსი თაობის ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენლების, ჩვენი მწერლების, ხელოვნების სხვადასხვა დარგებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს მუშაკთა მოღვაწეობა, ქართველი საზოგადოების ცხოვრებაში მომხდარი უდიდესი კულტურული გარდაქმნები, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ სამუშაოთა მასშტაბურობა და მნიშვნელობა ახალი საზოგადოების წარმატებით მშენებლობისათვის. ყოველივე ეს ამიღვრებ, საქართველოს კომკავშირის გამორულ მატრიანს.

ახლა იგი დიდი ხნის განვლილი ეტაპია, მაგრამ თუ მიანც ვისხენებთ, მხოლოდ იმიტომ, რომ მკითხველს მივანიშნოთ სოციალიზმის საფუძვლის ჩამყარული თაობის სასახელო საქმეებზე, რასაც ასე დიდი პასუხისმგებლობითა და საქმის ცოდნით ავრძელებენ სოფლის ახალგაზრდა ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები.

ამეამდ სოფლად ათათასობით ახალგაზრდა პედაგოგი, სოფლის მეურნეობის სპეციალისტი, მედიცინისა და კულტურის დარგის მუშაკი წარმატებით უძღვება არა მარტო მათზე მიწოდებით საქმეს, არამედ გვევლინება ბევრი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიების ინიციატორად.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ სოფლის ახალგაზრდა ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობენ კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის პოლიტი-

კურ, ზოგადსაგანმანათლებლო და კულტურული ღონის ამოღებაში, ამქავენივე საზოგადოებრივი მუშაობის ძვირფას თვისებებს.

მათი თაოსნობით ბევრ მოქველბულ ჩვეულებასა თუ რელიგიურ დღესასწაულს მოხერხებულად დაუბრისპირდა ფორმითა და შინაარსით მიმზიდველი სახალხო დღესასწაულები. გავისხენოთ თუნდაც ტრადიციულად ქცეული შოთაობა, გრემი-ქალაქობა, გელათში გამართული მასობრივი ღონისძიებები. ყოველივე ეს ახალგაზრდა ინტელიგენტების დიდ პატრიოტულ შემართებას და მართლაც მისაბაძი შემოქმედებითი ფანტაზიის უნარს უკავშირდება.

ახალგაზრდა ინტელიგენციის შათიონშიკის შეუპოვრობა, უდიდესი ენერჯია და საზოგადოებრივი მოღვაწეობისადმი უანგარო სიყვარული რომ არა, დღეს თელავის რაიონის სოფელ იყალთოში არ გვექნებოდა ასე სახელგანთქმული სახალხო უნივერსიტეტი, სადაც ლექციებს კითხულობენ და იქ გამართულ მასობრივ დღესასწაულებში მონაწილეობენ ქართული მეცნიერების, მწერლებისა და ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები.

ახალგაზრდა ინტელიგენციის დაუზარელი შრომის შედეგად უამრავი სასარგებლო საქმე ეთდება რესპუბლიკის სხვა რაიონებსა და სოფლებში. ისინი გვევლინებიან ყოველგვარი სი-ახლისა და მოწინავეს პროპაგანდისტად, მზარუნველად დასტრიალებენ თავს მატერიალური კულტურის ძეგლებს, მოსწავლეთა ძალებით აგროვებენ მხარის არქეოლოგიურ, ტოპონომიკურ, ზეპირსიტყვიერებისა და რევოლუციური წარსულის ამსახველ მასალებს.

ახალგაზრდა ინტელიგენტების დიდი მოქალაქეობრივი კულტურა და გამოცდილება კომკავშირულ ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს დარაზმოს სოფლის მშრომელი ახალგაზრდობა

სკვ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში განხორციელებისა და მეცხრე ხუთწლედის დავალებათა ვადადღე აღრე შესრულებისათვის.

დავიწყეთ იმით, რომ სოფლის ახალგაზრდა ინტელიგენტები სათავეში უდგანან კომკავშირული პოლიტიკური განათლების სისტემის წრეებსა და სემინარებს, მონაწილეობენ ლექციურ პროპაგანდაში, იცავენ საზოგადოებრივ წესრიგს, უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის ქმნიან კურსებსა და საკონსულტაციო ჯგუფებს, პროპაგანდას უწყვეტ სოფლის მეურნეობის მასობრივ პროფესიებს, ქმნიან საკონსტრუქტორო ბიუროებს, თვითოქმედ წრეებს, ავტობიატრულ ბრიგადებს, აწყობენ შაბათობებსა და კვირაობებს სოფლის გზებისა და ისტორიულ-რევოლუციური ძეგლების კეთილმოსაწყობად.

სოფლის კეთილდღეობისათვის ზრუნვაში ახალგაზრდა ინტელიგენციის როლის ამაღლებას დიდად შეუწყო ხელი საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მიერ ჩატარებულმა სოფლის ახალგაზრდა ინტელიგენციის რესპუბლიკურმა შეკრებებმა, სადაც შემუშავდა კონკრეტული რეკომენდაციები ამ მუშაობის გააქტიურებისათვის.

მსგავსი შეკრებები ტრადიციული უნდა გავხადოთ, რომ სოფლის ახალგაზრდა ინტელიგენტებს საშუალება ჰქონდეთ დასახონ ახალ-ახალი ამოცანები სოფლად მასობრივ-პოლიტიკური და კულტურული მუშაობის პერსპექტივებზე. საჭიროა ყოველმხრივ წაეხალისოთ ისინი მორალურად, უნდა ვეცადოთ სოფელშივე დავაკმაყოფილოთ ახალგაზრდობის სულიერი მოთხოვნილებები. ახალგაზრდა ინტელიგენტი ხომ მთელი თავისი ცხოვრებით, შრომით, ყოფაქცევით მავალითაა სოფლის მთელი მშრომელი ახალგაზრდობისათვის. მათი აქტივობა ამაღლებისათვის ზრუნვა არსებითად ესაა ზრუნვა სოფლის ხვალისდელი დღისათვის, ესაა ღონისძიებების დასახვა იმისათვის, რომ ახალგაზრდობა სოფლიდან გაქცევაზე კი არ ფიქრობდეს, არამედ სწორედ მშობლიურ სოფელში პოულობდეს თავიანთი სულიერი მისწრაფებების სათანადოდ დაკმაყოფილებას.

სოფლის კეთილდღეობისათვის გამოცხადებულ ამ დიდ ლაშქრობაში რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების მიერ მიღებული ზომები სასურველ შედეგებს ვერ გამოიღებენ, თუ ფართო პროპაგანდას არ გაუწყვეთ საზოგადოებრივი მუშაობის მოწინავე გამოცდილებას, შრომის ნოვატორების, სოფლის სამავალითო ადამიანების ცხოვრებას, თუ ახალგაზრდობაში არ აღვზრდით მუშებისა და კოლმეურნე გლეხობის წარმომადგენლებისადმი სიამაყის გრძობას. უფროსი თაობის გვირგვინი შრომითი ტრადიციების გახსენება, ამ ტრადიციებისადმი ყოველდღიური პატივისცემა უნდა ემსახურებოდეს

აღსაზრდობაში კომუნისტური მოძრაობის ნორმების, შეგნებულობისა და დისციპლინის განმტკიცებას, მათი ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას.

შრომისა და მშრომელი კაცისადმი პატივისცემა ჩვენი ხალხისათვის რომ მუდამ დამახასიათებელი თვისება იყო, ამაზე ქართული მწერლობისა და ხელოვნების საუკეთესო ნიმუშები მიუთითებენ. ქართველი მწერალი და ხელოვანი მუდამ უმღეროდა და ადიდებდა მშრომელი კაცის ბრძანებას, მის შეუთავრობასა და ერთსადმი ერთგულ სამსახურს.

ჩვენი დროში, როცა თითოეულ ადამიანს თავისი ნიჭისა და უნარის გამოვლენის ყოველგვარი პირობა აქვს შექმნილი, ამ დიდებულ ტრადიციებს თვალისჩინებით უფრთხილდება და ღირსეულად აგრძელებენ 70-იანი წლების კომკავშირელები და ახალგაზრდობა, რომლებიც იზრდებიან მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით, ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობის მაღალი გრძობით.

ახალგაზრდობაში იდეოლოგიური მუშაობის გაფართოებისათვის კომკავშირულ ორგანიზაციებს მუდამ მხარში უდგას შემოქმედებითი ინტელიგენცია, რომელსაც უნარი შესწევს ახალგაზრდობის გულამდე მიიტანოს მართალი, შთამბეჭობელი სიტყვა, აღაფრთოვანოს და ძალა შემატოს მათ დიდმნიშვნელოვანი ამოცანების შესრულებაში. მწერლებსა და პოეტებს, კომპოზიტორებსა და შემსრულებლებს, ფუნჯისა და საკრეტელის ოსტატებს, თეატრისა და კინოს მუშაკებს შეუძლიათ დიდი წვლილი შეიტანონ და შეაქეთ კიდევ მოზარდი თაობის სწორი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებასა და მორალურ სიწმინდესში.

ასე იყო ყოველთვის. ქართულმა მწერლობამ და ხელოვნებამ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პირველი დღეებიდანვე მიზნად დაისახა ახალი საზოგადოების შექმნა ხალხის შინაარსიანი ცხოვრების მემკვიდრეობის გამოხატავად.

ყოველგვარ ძიებასა და მიგნებაში კომკავშირულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით გაბედულ სიტყვას ამბობდა ახალგაზრდა შემოქმედებითი ინტელიგენცია. საქართველოს ახალგაზრდობის კავშირი ორგანიზაციულად შექმნის პირველი წლებიდანვე თავის ვარშემო იკრებდა პროლეტარული მწერლობისა და კულტურის მუშაკთა იმ ნიჭიერ წარმომადგენლებს, რომლებმაც თავიანთი შემოქმედებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სოციალისტური კულტურის განვითარებაში.

ასეთი ურთიერთ ხელისშეწყობით, ახალგაზრდა შემოქმედებისადმი კომკავშირული ორგანი-

კორნელი კინწურაშვილი
 ინტელიგენცია ახალგაზრდობის
 აღზრდის სამსახურში



ზაციების მხარდაჭერისა და მეგობრული დახმარების შედეგად ბევრი სასარგებლო საქმე გაკეთდა, მწერლობასა და ხელოვნებაში შეიქმნა მრავალი მხატვრული ტილო, რომლებიც ქართველი ახალგაზრდობის რომანტიკულ და სიძინელებით აღსავსე ცხოვრებას ასახვენ, უმღერაინ ქვეყნის დამცველ პატრიოტებსა და ზუთწლედების გმირებს. ლიტერატურისა და ხელოვნების პარტიულობის პრინციპები ყოველთვის იყო კომკავშირისა და შემოქმედებითი ინტელიგენციის აქტიური თანამშრომლობის საფუძველი. იგი ახლაც ემყარება პარტიის მოწოდებას — „შემოქმედებითი ახალგაზრდობის მთელი ძალები კომუნისმის საქმისათვის ბრძოლაში“.

როგორც ყოველთვის, საქართველოს კომკავშირი საზოგადოებრივი განვითარების თანამედროვე ეტაპზე ღრმად დაინტერესებული, რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა ნიჭიერი შემოქმედი დაიხლოვოს, იზრუნოს მათი დაოსტატებისათვის, ხელი შეუწყოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აქტიუობას და ახალგაზრდობის აღზრდაში ფართოდ გამოიყენოს მათი დიდი შესაძლებლობანი. კომკავშირის ცენტრალური კომიტეტსა თუ შრომით კოლექტივებში ხშირად იკრებიან ახალგაზრდა შემოქმედები, სადაც ისინი თანატოლებს უკეთხავენ და აცნობენ თავიანთ ახალ ნაწარმოებებს. კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მივლინებებით ახალგაზრდა მწერლები, მხატვრები, არქიტექტორები, თეატრისა და კინოს მუშაკები ხშირად იგზავნებიან რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში, დამკვეთურ კომკავშირულ მშენებლობებზე, საკავშირო აგებობიგადებსა თუ სხვადასხვა სახის შეკრებებზე.

ახალგაზრდა შემოქმედებითი ინტელიგენციის ბაკურიანის ტრადიციულმა სემინარებმა დადებითი როლი შეასრულა შემოქმედებითი ძალების დაახლოებასა და გაერთიანებაში. ლიტერატურისა და ხელოვნების ახალი თაობის წარმომადგენელთა რესპუბლიკურმა შეკრებებმა იმთავითვე მიიჭიეს ქართული საზოგადოების ყურადღება. ბუნებრივად არის, რადგან აქ მოიპოვა და გადაწყდა ახალგაზრდა ინტელიგენციის წინაშე მდგარი ბევრი აქტუალური საკითხი, სემინარები ყოველთვის ხასიათდებოდა ქართული კულტურის განვითარების პრობლემებზე პროფესიული მსჯელობით. მათ წიფელ შოლად ვასდევდა მისწრაფება — შემოქმედებითი ინტელიგენციის მთელი ძალები მოხმარდეს ახალგაზრდობის აღზრდის ინტერესებს. პარტიისა და ჩვენი ხალხის დიად მიზანდასახულობათა წარმატებით შესრულების საქმეს.

პროფესიული ოსტატობის სისტემატური სრულყოფით, ახალგაზრდობის ფიქრებისა და მისწრაფებების საფუძვლიანი შესწავლისა და განზოგადებით შესაძლებელი გახდა შექმნილიყო მაღალმხატვრული ნაწარმოებები, რომლებმაც საყოველთაო აღიარება მოიპოვეს ფართო

საზოგადოებაში. ახალგაზრდული პრობლემატიკით ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენციის ღრმად დაინტერესებას ისახავდა მიზნად ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში საქართველოს კომკავშირის სახელობის პრემიების დაწესება, რომლის იდეა თავის დროზე სწორედ — ბაკურიანის სემინარებზე ჩაისახა.

დღემდე ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში საქართველოს კომკავშირის სახელობის პრემიის ლაურეატის წოდება მინიჭებული აქვს 21 შემოქმედს, თეატრალურ თუ მხატვრულ კოლექტივს, სხვადასხვა თაობისა და დარგის 21 — რამდენიმე წარმომადგენელს, რომელთა შემოქმედება კეთილშობილებას უნერგავს ახალგაზრდობას, რწმენას მატებს მათ უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაში.

შემოქმედებითი ინტელიგენციის თვითეული გამარჯვება, ახალი მაღალმხატვრული ტილოების შექმნა კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის უდიდეს სისარულს იწვევს, მიანინათ რა იგი თავიანთ წარმატებად და საერთო კულტურული წინსვლის გამოხატულებად.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის შუამდგომლობის საფუძველზე რესპუბლიკისა თუ საკავშირო საგამომცემლო გეგმებში არა ერთი და ორი ნიჭიერი ავტორის წიგნი იქნა შეტანილი, არა ერთი და ორი ახალგაზრდა მხატვრისა და არქიტექტორის ნამუშევარის მიეცა რეკომენდაცია სხვადასხვა გამოფენებზე, ათობით ახალგაზრდა გაიგზავნა შემოქმედებითი მივლინებით დამკვეთურ კომკავშირულ მშენებლობებზე, მოკავშირე რესპუბლიკებისა თუ საკავშირო ფესტივალებზე.

ახალგაზრდა მხატვართა წარმატებად უნდა ჩაითვალოს საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური გამოფენა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 170-მდე მხატვარმა, მათი საშუალო ასაკი 27-30 წელს არ აღემატება. ახალგაზრდა მხატვართა საკავშირო გამოფენაზე ჩვენი რესპუბლიკიდან წარდგენილი იყო 150-მდე ნამუშევარი ფერწერის, გრაფიკის, ქედურობის, კერამიკის, ქანდაკებისა და სხვა ეანრებიდან. სასიხარულოა, რომ საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მიერ დაწესებული 15 პრემიიდან 5 ახალგაზრდა ქართველმა მხატვრებმა დაიმსახურეს. მათ შორის მხატვარმა-გრაფიკოსმა გიორგი წერეთელმა მეორე პრემია მიიღო, ხოლო დანარჩენმა ოთხმა — თამაზ დედაძარიანმა, ზაურ დავითაიანმა, ზაურ გოლაყამ და თემურ თხელიძემ — მესამე წმახალისებელი პრემია. სასიამოვნოა აღინიშნოს საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში მცხოვრებ ახალგაზრდა მხატვართა წარმატებები, რომლებიც სულ უფრო აქტიურობენ რესპუბლიკურ გამოფენებში. შეიმჩნევა მათი სწრაფვა თემატური მრავალფეროვნებისაკენ.

ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდა მხატვრები დახმარებას საჭიროებენ შესაფერისი სამუშაო პირობების შესაქმნელად, ზოგ შემთხვევაში სახელოსნოების გამოყოფამდეც კი, გადასაწყვეტია სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში გამოყენებითი ხელოვნების მხატვარ-სპეციალისტების ფართოდ მონაწილეობის საკითხი. მაშინ, როდესაც სამხატვრო აკადემია ამ დარგში ათობით სპეციალისტს ამზადებს, ხოლო დაწესებულებებსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში მათი შესაძლებლობების გამოყენება ჯერ კიდევ სათანადოდ არ წარმოებს.

ასევე მიზნობრივად არ გამოიყენება მხატვარ-პედაგოგები რესპუბლიკის ზოგადად განმანათლებლო სკოლებში, სადაც ხატვის სწავლება, ისე როგორც მუსიკისა, დღესდღეობით სათანადო სიმძლავრე როდია. ამ საქმეს რატომ არ უნდა ჩაუდგეს სათავეში, მავალითად, ჩვენი ახალგაზრდა შემოქმედლები?

საქართველოს კომკავშირის, შესაბამის შემოქმედებით კავშირებს, ახალგაზრდული პრესის, ტელევიზიისა და რადიოს მუშაებს მეტი მუშაობა მართებთ ახალგაზრდა კომპოზიტორებთან, არქიტექტორებთან, კინოსა და თეატრალურ ახალგაზრდობასთან მათი რეპერტუარის, თემატიკისა და პროფესიული ზრდის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. მათ უფრო მეტი შესაძლებლობა უნდა მიეცეთ ახალი ნაწარმოების ბეჭდვის, ნამუშევართა გამოფენის, წამყვანი როლების შესრულებისათვის თუ ახალი კინოფილმების გადაღებისათვის.

კომკავშირული ორგანიზაციებიდან ნიჭიერ შემოქმედებს ყურადღება მიმავალშიც არ მოაკლდებათ. ახალგაზრდა მწერლებს, მხატვრებს, არქიტექტორებს, კომპოზიტორებს, თეატრისა და კინოს მუშაებს ყოველნაირად შეეწყობათ ხელი ჩვენი თაობის სასახელო საქმეების ღრმად შესწავლისათვის. მთავარია, რომ ქართული კულტურის ახალგაზრდა წარმომადგენლებმა, თავიანთი შემოქმედებით აჩვენონ ღრმა დაინტერესება რევოლუციური თემატიკისადმი, მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის გმირული შრომისადმი. მათ მაღალ ნიჭიერებას ელის ენგურბესი, ჟინვალბესი, ჩვენი ფაბრიკ-ქარხნების ახალგაზრდა მუშების თავდადებული შრომა, მეცხრე ხუთწლიანი ახალგაზრდა გმირები, უფროსი თაობის სასახელო ტრადიციების დარსებული გამგებლებელი ქალიშვილებისა და ჰაბუეების ცხოვრება.

საბჭოთა საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე კიდევ უფრო იზრდება და მტკიცდება მუშათა კლასის გავლენა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, უფრო მეტ აქტივობას იჩენს იგი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ პროცესს ღრმა სოციალური ფესვები აქვს და მასზე პასუხის გაცემა იქნება თუკი ახალგაზრდა შემოქმედები შექმნიან და-

სამასსოვრებელ მხატვრულ სახეებს კლასისა და კოლმეურნე გლეხობის ახალგაზრდა წარმომადგენლების პორტრეტებს.

ნათქვამია, დიდი ხელოვნება დიდ მიზნებს ემსახურებაო. ეს კი წარმოუდგენელია ეპოქის მთავარი მოთხოვნების ღრმად წვდომისა და მისი მხატვრული ასახვის გარეშე. ახლა, როცა მთელი ჩვენი ხალხი ენერგიულად იღვწის მეცხრე ხუთწლიანი მესამე გადაწყვეტი წლის იავალებათა ვედად აღერ შესრულებისა და სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, ახალგაზრდა შემოქმედებით ძალებს ბევრი რამ შეუძლიათ გააცეთონ ქალიშვილებისა და ჰაბუეების ესთეტიკური აღზრდისა და სოფლად კულტურული დონის ამაღლებისათვის. შემოქმედებით შრომისა და ყოფაცხოვრებაში პირადი მავალითით უნდა აღაფრთოვანონ თანატოლები დიდმნიშვნელოვანი ამოცანების გადასაწყვეტად. რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მშენებლობებზე მივლინებით წარგზავნილ შემოქმედებს მოეთხოვებათ ფართო პროპაგანდა გაუწიონ ქართული მწერლობისა და ხელოვნების მოღწევებს, ჩვენი ხალხის კულტურულ მონაპოვრებს.

რადგან მივლინებები ვახსენეთ, აქვე იმასაც ვიტყვი: უთუოდ მხარდასაჭერია აზრი ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების პროპაგანდა ბიუროს შექმნის თაობაზე. დიდი ხანია აუცილებლობა მიიზიოვის, როგორც რესპუბლიკის, ისე მის ფარგლებს გარეთ ახალგაზრდობის მასებში გეგმაზომიერად და კვალიფიციურად ვეწოდეთ ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების ახალი მიღწევების სწორ პროპაგანდას. მაშინ აღბათ ადგილი აღარ ექნებოდა საწარმოო-დაწესებულებებსა და მშენებლობებზე არც თუ ისე სამავალითო ხალხის ხშირ მოგზაურობას. უკეთესი იქნება ახალგაზრდობასთან ასეთი და სხვა სახის შეხვედრებისათვის, საკავშირო პრესაში, საგამოფერო დარბაზებსა და სხვაგან რეკომენდაცია ეძლეოდეს მაღალი მოქალაქეობრივი თვისებებითა და შემოქმედებით გამორჩეულ მოღვაწეებს. ამას თვით ცხოვრება გვეკანახობს. შემოქმედი, უწინარეს ყოვლისა, სანიმუშო მოქალაქე უნდა იყოს. ეს რა თქმა უნდა, მის ყოველდღიურ ქცევისათან და საზოგადოებაში თავის დაქერასთან ერთად გულისხმობს, რომ ის თავისი ქვეყნის, თავისი ხალხის ცხოვრებით ცხოვრობდეს, იბრძოდეს მისი გაუმჯობესებისათვის, თავისი შემოქმედებით რწმენას მატებდეს მშრომელ აღამიანებს.

პარტიის XXIV ყრილობის დოკუმენტებში ხაზგასმულია, რომ კომუნისტური მშენებლობის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად პარტიას მიანჩია

კომუნალი კინეზოპიონი
ინტელიგენცია ახალგაზრდობის
აღზრდის სამსახურში

ახალი ადამიანის აღზრდა, პარმონიულად განვითარებული ზნეობრივად სრულყოფილი პიროვნების ჩამოყალიბება, რადგან „ადამიანის ყოველმხრივი განვითარების გარეშე, მისი კულტურის, განათლების, საზოგადოებრივი შეგნების, შინაგანი სიმწიფის მაღალი დონის გარეშე კომუნისში შეუძლებელია ისევე, როგორც შეუძლებელია იგი შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გარეშე“.

აქედან გამომდინარე, დიდი ამოცანებია დასახული ახალგაზრდა ინტელიგენციის წინაშე. ამ ამოცანას ის უკეთ შეასრულებს, ვინც კარგად ერკვევა თანამედროვეობის სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებში, ფლობს მარქსისტულ-ლენინურ თეორიას და განუხრელად ახორციელებს მის ინტერნაციონალურ პრინციპებს. ამით შეძლებულია ღრმად ჩასწვდნენ ისინი თავიანთი თანატოლების სულიერ მისწრაფებებს, იმ გარდაქმნების სიღაღეს, რომელიც საბჭოთა ხალხმა თავდადებული შრომისა და შემოქმედების შედეგად განახორციელა.

ყოველი წარმატება ურღვევი ძმობისა და მეგობრობის დაიდი მონაპოვარია. ამიტომ ეს თემა ისევე აუცილებელი და განუყოფელია თანამედროვე ქართული მწერლობისა და ხელოვნებისათვის, როგორც, ვიქვათ, ენგურჩესის მშენებლობა, ინდუსტრიული რუსთავი თუ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მშრომელთა გმირული შრომის ასახვის ამოცანა. ქართული შემოქმედისათვის მთავარი თემა მუდამ იყო ადამიანი თავისი მრავალმხრივი საქმიანობით, მორალური სიწმინდითა და კეთილშობილებით, ისინი ხელს უწყობდნენ ცხოვრებაში ახლის აღმოჩენას, ხალხსა მეგობრობის სულისკვთებით მშრომელთა აღზრდას. ეს საკითხები ახლა კიდევ უფრო დიდ პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას იძენენ.

უფროსი თაობების ინტერნაციონალური ტრადიციების შემდგომი განმტკიცებისაკენ მოვითხოვთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“.

ახლა, როცა იდეოლოგიური მტრები ყოველნაირად ცდილობენ შეასუსტონ საბჭოთა ახალგაზრდობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობა, მათი ინტერესი რევოლუციური მონაპოვრებისადმი, თვითუღელ ახალგაზრდა შემოქმედის მოქალაქეობრივი ვალის საფუძვლიანად შეისწავლოს ქვეყნის განვითარების პერსპექტიული გეგმები და მთელი შესაძლებლობით იზრუნოს ეპოქის მიერ დასმული ამოცანების შესრულებისათვის. თვითუღელ პარტიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი, მოქალაქეობრივი მოვალეობის ღრმა შეგნება, უწინარეს ყოვლისა, გლინდება კეთილსინდისიერ შრომასა და შემო-

ქმედებაში, მაღალ იდეურ მხატვრულ მომბეზარებაში, კულტურულ ფასეულობათა შესწავლასა და განმტკიცებაში.

როგორც ცნობლია, დიდი ლენინი გვასწავლიდა საზოგადოების წევრთა „ემოციური გულისხმიერების“ შესახებ. უკანასკნელ წლებში ეს ემოციური გულისხმიერება შესამჩნევად მოდუნდა, გახშირდა შემთხვევები, როცა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში შეუფასებელი რჩებოდა ისეთი ფაქტები და მოვლენები, რომლებიც საზოგადოებრივი აზრის შექმნას იმსახურებდნენ. თამამად შეიძლება ითქვას, ყოველივე ეს პირადი პასუხისმგებლობის მოდუნებით, გულგრილობითა და ნაკლები მომხიბვლელობით უნდა აიხსნას. საერთო წინსვლაში ამჟამად არავითარ ძალას არ შეუძლია ხელი შეუშალოს ჩვენს ხალხს, თუ იქნება დაძლეული მოვალეობისადმი უპასუხისმგებლობა და უღრმად გულგრილობა. თანამედროვეობის ყველაზე საშიშ სენად გულგრილობა იმტომად მიჩნეული, რომ სწორედ აქედან მომდინარეობს ყოველგვარი დანაშაული, საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველგვარი სიმანჩხე.

სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ სხდომაზე, ეხებოდა რა საბჭოთა საზოგადოებისათვის უცხო მოვლენებს, ამხანავი ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავდა, რომ „ჩვენში ღრმადვე კვირდევ არც თუ იშვიათად თავს იჩენენ წარსულსაგან შემკვიდრებით მიღებული, თავისი თვისით სოციალისტური უცხო სოციალური წყლები, როგორც არის არაკეთილსინდისიერა დამოკიდებულება შრომისადმი, მოშვებულობა, უდისციპლინობა; მომხვეჭელობა, სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმებს სხვადასხვა დარღვევა. პარტიას თავის მოვალეობად მიაჩნია მთელი ჩვენი საზოგადოების ყურადღება მიაპყროს ამ მოვლენებს, ხალხი დარაბამოს მათთან გადაწყვეტი ბრძოლისათვის, მათი დაძლევისათვის, რადგან უამისოდ კომუნის ვერ ავაშენებთ.“

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტემა თავის პლენუმზე გასული წლის ნოემბერში, რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივზე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, ბუღოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე პრინციპული შეფასება მისცა ჩვენს სინამდვილეში არსებულ ნაკლოვანებებს და მოუწოდა კომუნისტებსა და კომკავშირელებს, ყველა მშრომელს მტკიცედ და თანმიმდევრულად იბრძოლონ მათ დასაძლევად, პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ცხოვრების ყველა დარგში, საქმიანობის ყველა სფე-



როში, მუშაობის ყველა უბანზე დისციპლინის ყოველმხრივ განმტკიცების საკითხებს.

ახლა ყველგან იგრძნობა თუ რა დიდი მუშაობა მიმდინარეობს თბილისის პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების შესასრულებლად. აშკარა გახდა, რომ პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის დაცვა კამპანიური მოვლენა არაა. წესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლა სისტემატურ ხასიათს უნდა ატარებდეს და მასში ყველა მთელი თავისი შესაძლებლობით მონაწილეობდეს.

მიმდინარე წლის იანვარში გამართულ პარტიულ საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების — რესპუბლიკის მშრომელთა კოლექტივების წარმომადგენელთა აქტივზე განხილულ იქნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით 1973 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების ვაშლის საქმეში რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანები, მიიღეს მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ქალაქის მეურნეობის, მომსახურების სფეროს, მეცნიერებისა და კულტურის, საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების ვალდებულებანი 1973 წლის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის.

ამ პარტიულ მოძრაობაში აქტიურად ჩაებნენ რესპუბლიკის კომკავშირელები და ახალგაზრდები. საკმარისია ითქვას, რომ ზაფხულის არდადეგების პერიოდში 200 ათასი სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდა თავის წვლილს შეიტანს ენგურპეისის მშენებლობასა და ფაბრიკა-ქარხნების შრომით საქმიანობაში.

ნიშანდობლივია ისიც, რომ საყოველთაო-სახალხო დაშრობას ერთ-ერთი პირველები გამოესაურნენ ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, რომლებმაც მოწოდებით მიმართეს ქართველი კულტურის ყველა მუშაკს — სრულად გამოიყენონ თავიანთი ნიჭი და მხატვრული შესაძლებლობანი პასუხსავე ამოცანების გადასაწყვეტად. „ჩვენი პოეზიასა და პროზაში, სახეით ხელოვნების ნაწარმოებებში, თეატრის სცენაზე, კინოში და ტელევიზორებზე, — ნათქვამია მიმართვაში, — მჩქედარე ცხოვრებით უნდა ცხოვრობდეს ჩვენი თანამედროვე, მეცხრე ხუთწლეულის გმირი, რომელიც სინამდვილედ აქცევს პარტიის დიად წინასწარდასახულობებს...“

ხუთწლეულის მესამე ვადამწყვეტ წელს ყველა კოლექტივში ერთ-ერთ მთავარ ამოცანად მიჩნეულია იმის აუცილებლობა, რომ უზრუნველყოფილ იქნას მინდობილი საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობა, კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარება, შეურიგებელი ბრძოლა გამო-

ეტყვადოს სოციალისტური თანაცხოვრების პრინციპების, კომუნისმის მშენებლის მორალური კოდექსის პრინციპების ყოველგვარ დარღვევას. ამ საქმეში პარტია ახალგაზრდობაზე დიდ იმედებს ამყარებს. ამიტომ კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მტკიცედ და საქმის ცოდნით, პრინციპულად და გეგმაზომიერად უნდა იზრუნონ, რომ შესრულდეს ახალგაზრდობის წინაშე დასახული ამოცანები, ფართოდ გამოიყენონ აღმზრდელი მთელი და ორგანიზატორული მუშაობის ნაწილი ფორმები.

ამ საქმეში ახალგაზრდა შემოქმედებით ინტელიგენციასთან ერთად თავიანთი სიტყვა უნდა თქვან ახალგაზრდული პრესის, ტელევიზიისა და რადიოს მუშაკებმა, რომლებსაც დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ თვითვეულ შრომით კოლექტივამდე, თვითვეულ ახალგაზრდამდე დაიყვანონ პარტიის მართალი სიტყვა და საქმე, პარტიისა და მთავრობის დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი, რომლებიც მიმართულია ხალხის მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისა და სახალხო დოვლათის შექმნისათვის. სიმართლესა და მხოლოდ სიმართლეს თქმა, სიზოვრებაში მისი განხორციელებისათვის ზრუნვა ახალგაზრდა ჟურნალისტებს ავალდებულებს კომუნისტური პირდაპირობითა და წუთპოვრობით მიუთითებდნენ ნაკლოვანებაზე და იბრძოდნენ მათ დაძლევისათვის. მათ ფართო პრიზიანდა უნდა გაუწიონ ხუთწლეულის ახალგაზრდა გმირებს, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებს, განაზოვადონ მოწინავეთა გამოცდილება. თავიანთ ნარკვევებსა თუ წერილებში უფრო მეტს უნდა წერდნენ არა მარტო ახალგაზრდობის უფლებებზე, არამედ აგრეთვე მათ მოვალეობებზე ქვეყნისა და ხალხის წინაშე, იმ დიდ როლზე, რაც მათ დაკისრებული აქვთ კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ რესპუბლიკის ახალგაზრდული პრესა, ტელევიზია, რადიოცენტრები მთელი შესაძლებლობით ვერ უწყობს ხელს ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის წინ წაწევას, ვერ ახერხებს დროულად გამოეხმაროს ახალ მხატვრულ ნაწარმოებებს, ცალკეულ შემთხვევაში უყარადღებობას იჩინოს ახალი თეატრალური დადგომის, კინოფილმების, მუსიკალური ნაწარმოებებისა თუ მხატვრული ტილოებისადმი, მათ შესახებ სისტემატურად როდი იბეჭდება კვალიფიციური რეცენზიები.

ამასთანავე შეუძლებელია ასეთი მდგომარეობისათვის მთელი სიმძიმე მარტო ახალგაზრდულ პრესას, ტელევიზიასა და რადიოს დაბ-

კორნელი კინწურაშვილი
ინტელიგენცია ახალგაზრდობის
ალწრდის სამსახურში

რადეს და არაფერი ითქვას ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკოსებზე, თეატრმცოდნეებზე, კინომცოდნეებსა და ხელოვნებათმცოდნეებზე, რომლებიც ყოველთვის ცხოველ დაინტერესებას ვერ იჩენენ ახალგაზრდული პრობლემებისა და უკანასკნელ ხანებში შექმნილი მხატვრული პროდუქციისადმი. ეს იმიტაც აიხსნება, რომ იშვიათად ქვეყნდება ისეთი პრობლემური სტატია თუ ნაშრომი, რომელშიც მთელი პირდაპირობით, მაღალი პროფესიული ოსტატობით სრულად აისახებოდა სალიტერატურო ცხოვრებასა და კულტურის ფრონტზე მიმდინარე პროცესები. რატომღაც დავიწყებას მივცა მიმოხილვითი წერილების გამოქვეყნება ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდული პროდუქციის შესახებ, არადა ამის აუცილებლობა კი არის.

ლიტერატურულმა-მხატვრულმა კრიტიკამ, — როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაშია აღნიშნული, მთავარ ამოცანად უნდა გაიხადოს შეუფასებელი არ დარჩეს ესა თუ ის მოვლენა. ყოველწლიურად ბევრი ახალგაზრდა ავტორის წიგნი გამოდის, იღვმება კინოფილმები, იქმნება არქიტექტურული ნამუშევრები, მუსიკალური ნაწარმოებები, მაგრამ

ყოველივე ეს სათანადო კვალიფიციენტის ვერ იღებს კრიტიკის მიერ, და თუ რეცენზია ქვეყნდება, არც თუ იშვიათად ვკითხულობთ ამა თუ იმ ნაწარმოების უკადრის გინებას ან დაუსაბუთებელ ქება-დიდებას, რეცენზენტები ამით გვაგებებენ და შეცდომაში შეპყავთ მასობრივი მკითხველი თუ მასურებელი. ასეთ დამოკიდებულებას, ცხადია, სარგებლობის მოტანა არ შეუძლია როგორც ავტორების, ისე საერთო საჭმისათვის. უთუოდ მისასაღმებელი მოვლენაა აღმანახ „კრიტიკის“ პირველი ნომრის გამოსვლა. უნდა ველოდოთ, რომ იგი თავის ირგვლივ შემოიკრებს კრიტიკოსების დიდ რაზმს, რითაც ხელს შეუწყობს ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის დონის შემდგომ ამაღლებას, ახალგაზრდა შემოქმედებითი ძალების პროფესიულ ზრდას.

იდეოლოგიური მუშაობის სიღრმე და სიეზაღე, დამრავლებელი ფორმებისა და საშუალებების შემოქმედებითი ძიება მთავარი პირობაა პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებასა და კომუნისტური სულისკვეთებით მოზარდი თაობის აღზრდის საპატიო საქმეში.



თანამედროვე რევოლუციური და გუგუნიური ხელოვნება

რაც უფრო აშკარა გახდა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის პერსპექტიული გზები, მით უფრო ამწვავებენ ბრძოლას ბურჟუაზიული იდეოლოგიის წარმომადგენლები მარქსისტული ფილოსოფიისა და ესთეტიკის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა ესთეტიკაში და საერთოდ ფილოსოფიაში ცნობილია დღეს თანამედროვე რევოლუციონიზმის სახელწოდებით. მართალია, რევოლუციონიზმის მამამთავარი ე. ბერნშტეინი იყო და რევოლუციონიზმს დასაბამი მიეცა გასული საუკუნის 80-90-იან წლებში, მაგრამ მისი გრძელი საბრძოლო პროგრამით თანამედროვე რევოლუციონიზმი არაფრით არ განსხვავდება ძველისაგან.

როგორც თანამედროვე რევოლუციონიზმი, ისე მათი წინამორბედნი თავს როდი აცხადებდნენ მარქსიზმის აშკარა მტრებად. ისინი გამოდიოდნენ მარქსიზმის მხოლოდ „გადასინჯვის“, „შესწორებისა“ და „შევესების“ წინადადებებით. რომ, თითქმის, მარქსიზმის დებულებები „მოძველდა“ და საჭიროებს „განახლებას“ თანამედროვე პირობების შესაბამისად. რევოლუციონიზმი მარქსიზმს უტევს ყველაზე რეაქციული სახის იდეალისტური წყაროებზე დაყრდნობით. მარქსიზმის რევოლუციონისტული კრიტიკის ცდა ფაქტიურად მის უარყოფას წარმოადგენს მარქსიზმის მტრების წინააღმდეგ ბრძოლა ვაცილებით იოლი იქნებოდა, რომ თანამედროვე რევოლუციონიზმი ამ თავისებურ ფანდებსა და ხერხებს არ მიმართავდნენ: ფორმალური აღიარებით ანდა კრიტიკის ნიღბით უმთავრეს დებულებათა უარყოფა.

რევოლუციონიზმის სულიერი „მამები“ ე. ბერნშტეინი, კ. კაუცკი, მ. ადლერი, ო. ბაუერი და სხვ. მოითხოვდნენ მარქსიზმის „შევესებას“

კანტიტ. მარქსიზმის რევოლუციონის სურვილით გატაცებულმა თანამედროვე ბურჟუაზიული იდეოლოგიამ წამოაყენეს ლოზუნგი „უკან კანტისაკენ“. ეს კი ნიშნავდა ესთეტიკაში ასახვის ლენინური თეორიის სრულ უარყოფას, ხელოვნებაში კი შემეცნებითი როლის უგულვებელყოფას, ანტისაზოგადოებრივი თეორიების „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ და „წმინდა ხელოვნებისათვის“ გზის დათმობას მხატვრულ შემოქმედებაში. ფორმალისმის ისეთი უმალესი სახესხვაობის დამკვიდრებისათვის ბრძოლას, როგორცაა თანამედროვე რევოლუციონიზმის უმთავრესი ფილოსოფიური თეორიის წარმოადგენს სუბიექტური იდეალიზმი და აგნოსტიციზმი. ძირითადად ამ იდეალისტური ფესვებით იკვებება დღეს ბურჟუაზიული ესთეტიკაში ფეხმოკიდებულ მიმდინარეობანი: ნეოთომიზმი, ეგზისტენციალიზმი, ფრეიდიზმი, პოზიტივიზმი, ინტუიტივიზმი და სხვ.

თანამედროვე რევოლუციონიზმის ახალგაზრდა წარმომადგენლები და მისი ისეთი ლიდერი მამამთავრები როგორცაა ლუკაჩი, ლენინური და მრავალი სხვა განუხრელად მიჰყვებიან იდეოლოგიური ბრძოლის ანტიმარქსისტულ, რეაქციულ გზას და საბოლოოდ მიდიან მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის როგორც მეცნიერების სრულ უარყოფამდე.

რას ებრძვის თანამედროვე რევოლუციონიზმი ესთეტიკაში?

პირველ ყოვლისა, იერში მიაქვს ასახვის მარქსისტულ-ლენინური თეორია და მისი უარყოფითი, როგორც მეცნიერული ესთეტიკის ფილოსოფიური საფუძვლისა, ჰგომბს მოწინავე მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისის როლს



მხატვრულ შემოქმედებაში, უარყოფს ხელოვნების პარტიულობის პრინციპს და პარტიულ ხელმძღვანელობას ხელოვნებაზე, გმობს სოციალისტური რეალიზმის შემოქმედებით მეთოდს, მისთვის უცხოა მხატვრული იდეალი რეალისტურ შემოქმედებაში, კერძოდ კი საბჭოთა ხელოვნებაში. თანამედროვე ბურჟუაზიული რევოლუციონისტული ესთეტიკა ხელოვნებაში გზას უხსნის ფორმალიზმს, მოდერნიზმსა და ფორმალიზმის უვიდურეს გამოვლინებას — აბსტრაქციონიზმს.

მარქსისტული ესთეტიკა წინააღმდეგია სინამდვილიდან უსიცოცხლო ასლების გადაღებისა. ეს არაფრისმეტყელი, პასიური ხელოვნებაა. მაგრამ არც იმის მომხრეა, რომ ხელოვნება სრულიად განუღვავს სინამდვილს და მხატვრული განზოგადების ნაცვლად აგვისახავდეს მხატვრის განდგომილ ფიქრებს, მის სუბიექტურ მისწრაფებებს და ზოგ შემთხვევაში რაღაც უცნაურ, არარეალურ, მისტიკურ შეგონებებს. მართალია, რეალიზმი თავისი ისტორიული განვითარების ყველა ეტაპზე სინამდვილის ჭეშმარიტ ასახვისას მხატვრის ფანტაზიის ჩართვას, და მით ასახულის ვაჟიკიუტრების აუცილებელ პირობად თვლიდა, მაგრამ ეს არ იყო ცხოვრების განვითარებას მოწყვეტილი, რაღაც ზეპუნებრივი განუხორციელებელი ფანტაზია, უპერსპექტივო, განყენებული ან მისტიკური ფიქრები. მხატვრის ფანტაზია, მომავლის ფიქრი იმ იდეალების გამოსახვის ფორმები იყო, რისკენაც ყოველთვის მიისწრაფვის საზოგადოება. ხელოვნება მაშინ არის ხალხისათვის საინტერესო, მიმზიდველი და დამაჭერელი, თუ მასში ცხოვრებას ვხედავთ არა მხოლოდ ისეთს, როგორც არის, არამედ ისეთს, როგორც გვსურს, როგორც უნდა იყოს იგი. ზომიერება მაშინვე დირღვევა, ხელოვნება აფართოვდება, ფორმალისტური გახდება, თუ ეს იდეალი — ოცნება, ხალხის სანუგავარი ფიქრი მომავლის შესაძლებლობით არ არის გაიცხროვებული. იდეალები ცხოვრებაში არ არსებობდნენ, რადგან მხატვრის ოცნება, ფანტაზია წინ უსწრებს სინამდვილეს. მათ კონკრეტულ-პრაქტიკულ სახეს მხოლოდ ხელოვნება გვაძლევს. ასეთია ჭეშმარიტად რეალისტური ხელოვნების ესთეტიკური ნორმა. აი, ასეთ ხელოვნებას შეუძლია შეასრულოს დიდი საზოგადოებრივი მისია: გაათავინებოვიეროს ადამიანები, შეუქმნას ღრმა რწმენა მომავლისა, დარწმუნოს ხალხი უსამართლობისადმი შეურიგებელი ბრძოლის სულისკვეთებით.

რეალისტური ხელოვნების სრულ დაპირისპირებას წარმოადგენს თანამედროვე რევოლუციონიზმის თეორიაზე დამყარებული ბურჟუაზიული ხელოვნება. მაღალი საზოგადოებრივი მოთხოვნები დაყვანილია ქვეცნობიერ ეროტულ ემოციებზე, მხატვრულ ტილოზეა გადატანილი

მოჩენებები და ზოდების ასოციაციები. სამყარო წარმოდგენილია კატასტროფული ნგრევისა და ვანდღუტების სახით, მის მახურებელს, მსმენელსა და მკითხველს გადაეცემა „სამინელი სამყაროს“ ვანცდის შინაგანი მოტივი, მომავლის შიში, რადიკალური კრიზისის განცდა, გამოუვალ მდგომარეობიდან თავდახსნის შეუძლებლობა. ასეთი სახით ბურჟუაზიული ხელოვნება გვევლინება მეტყობიერ საუკუნის მეორე ნახევრიდან. მასში ადრევე იჩინა თავი ასახვის ანტირეალისტურმა და ანტიუმანიტურმა ტენდენციებმა. გამოსცა რა 1925 წელს ესპანელმა ფილოსოფოსმა ორტეგა-ი-გასკეტმა თავისი წიგნი „ხელოვნების დეპრეზიანიზაცია“ ბურჟუაზიულმა ხელოვნებამაც მყისვე აღასრულა ადამიანურ შინაარსისგან ხელოვნების დაცვის ორტეგასეული მოთხოვნა. რეაქციული ბურჟუაზიული ხელოვნება ორი ვანტოებით ვითარდება. პირველ უწოდებენ ავანგარდულს ანუ „თანამედროვე ხელოვნებას“. სხვანაირად მას ელიტარული („ჩრეულთა“) ხელოვნება ჰქვია. ეს არის ვერტიკალური ხელოვნება, რომელიც შექმნილია „სულის არისტოკრატიისათვის“. მოდერნიზმის დამცველებს მხოლოდ იგი მიიჩნიათ ნამდვილ ხელოვნებად. არ არის ვასაკვიროს თუ ეს ხელოვნება მიუწოდებელი და გაუგებარია მრავალთათვის, რადგან ავანგარდის პირობამაც სწორედ ხალხისაგან, მისისგან განდგომასა და განყენებულობას ითვალისწინებს. ხალხის ფართო მასებისათვის შექმნილი ევროპული წოდებული „მასიური კულტურა“ გამოიხვეწილია სრულიად უპრეტენზიო მკითხველთა, მსმენელთა და მახურებელთათვის. პირველისაგან განსხვავებით ეს არის ჰორიზონტალური ხელოვნება.

ინგლის-ამერიკის და ევროპის კაპიტალისტებს სასწაულოდ მოეწონებოდა ტექნიკური შესაძლებლობანი საშუალებას უქმნის ერთბაშად ხელმისაწვდომი გახადონ მილიონთათვის ყველა მასტის ცრუმხატვრული ნაწარმოები. საფაბრიკო გზით სტანდარტიზებული „კულტურის“ ასეთი მასიური გავრცელება არა მარტო მოგების უდიდესი წყაროა, არამედ ხალხის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის სულიერი დეფორმირების საშუალებაცაა. „მასიური კულტურის“ სხვადასხვა ფორმების გავრცელებით ბურჟუაზია ბავშვობიდანვე უნერგავს რწმენას ახალგაზრდებს არსებული წესწყობილების მარადიულობის შესახებ, წამლავს მათ მილიტარისტული ფსიქოზით და ანტიკომუნისტური სულისკვეთებით. რადიოს, ტელევიზიის, პოლიგრაფიული წარმოების, კინოს, ფოტოსურათებისა და ფირფიტების საშუალებებით ბურჟუაზიული იდეოლოგიის მეხოტბე ავტორები ქადაგებენ გულცივობას, მოძალადეობას, მაცდუნებელი მხატვრული ხერხებით განადიდებენ ბანკის მძარცველებს,

ამყარა დამნაშავეებს, სექსუალურ მისწრაფებებს და სხვ.

„მასიური კულტურის“ ერთ-ერთ ასეთ გავრცელებულ სახეს წარმოადგენს კომიქსი ანუ „ისტორია სურათებში“. ტექსტს თანდართულა აქვს ნახატების მთელი სერია. ტექსტი გადმოგვცემს სათავგადასავლო ამბავს. ამზარუნია სურათებში გამოხატული მთელი სერია საშინელი ეპიზოდებისა. კომიქსი თვით სიტყვა სამხიარულსა და სასაცილოს უნდა ნიშნავდეს, მაგრამ აქ ეს სახელწოდება სრულად საპირისპირო აზრითაა გამოყენებული. კომიქსის სურათებისათვის უცხოა ლირიზმი, ადამიანური სიმშვიდე მისი პერსონაჟები, ეს იქნება სულგამომშრალი სუბერენი, განვსტერები, საიდუმლო აგენტები თუ სხვა, სწადიან ენითუთქმელ საშინელ სისხლის დანაშაულს. გაუგონარი ხერხებითა და და სპეციალურად შექმნილი სასიკვდილო მანქანებით აწამებენ ადამიანებს. დანით სთხრიან თვალს, სკამზე მიკრულ შიშველ ქალებს ცეცხლით შანთავენ, ახდენენ ავარიებს, მასიურად სპობენ ადამიანებს. კომიქსის სურათებში ადამიანები უაღრესად დამახუთვნი არიან, თვალებგამოკალულნი, გავიწყებულნი, ფსიქოზის აგონიით შეძრწუნებულნი, უსაზღვრო შიშით შეპყრობილნი და ა. შ. ცხოვრებისეული ჩვეულებრივი განწყობა კომიქსის სურათებისათვის უცხოა. ყველაფერს უღარესი ფსიქიური დამახუთვლების დადი აზის. დამახუთვლა, ძრწოლა თუ შიში კომიქსური სურათის ერთი საერთო დამახასიათებელი ტიპიური ნიშანია. ცხადია, ეს შემზარუნენი ეპიზოდები მის აღმქმელ სუბიექტშია აბასისამოგონო, უარყოფით ასოციაციებს აღძრავს. კომიქსის ფანტასტიკურ გმირებს კიდევ უფრო დიდი პოპულარობა მოუპოვა და — ახალგაზრდებისათვის საინტერესო და მიზიდველი გახდა ამერიკულმა ე. წ. „გესტურნებმა“ (საგმირი ფილმებმა) სადაც გმირი ჰკლავს ყველას და თვითონ კი სრულიად უვნებელი რჩება. იმდენად საშინო ზომებს მიადრწია კომიქსების გავრცელებამ ამერიკაში, რომ მთავრობა იძულებული გახდა აეკრძალა იგი. სტატისტიკური მონაცემებით 1948 წელს 800 მილიონი გამოცემული წიგნიდან 700 მილიონი კომიქსი იყო, რომელსაც რვიდან თორმეტი წლის ასაკამდე ბავშვი კითხულობდა და ისინი მკითხველთა 98% შეადგენდნენ. იმის გამო, რომ კომიქსების გავრცელების შედეგად შეირყვნა ახალგაზრდების ფსიქიკა, სახელმწიფოში იმატა ბავშვთა დანაშაულებებმა — ინგლისში, შვეიცარიაში, საფრანგეთში, ნიდერლანდებში და სხვ. შეწყვიტეს კომიქსების გამოშვება და საერთოდ აკრძალეს იგი. ზოგ ქვეყანაში კომიქსის ფორმას პროგრესული შინაარსი მისცეს. იგი გამოიყენეს კლასიკური ლიტერატურის შემოკლებული ტექსტების გასაცნობად, სათავგადასავლო-ფან-

ტასტიკური და ზოგიერთ საინტერესო სასაცილო კომიკურ პერსონაჟთა პოპულარობის მზატურულ საშუალებად.

თანამედროვე მოდერნიზმის მომდევნო სახესხვაობას წარმოადგენს „ახალი რომანი“. მეოცე საუკუნის ორმოცდაათიან-სამოციან წლებში საფრანგეთში აღდიოა ჰქონდა უნიკალი ცდებს შეეტანათ „სიახლე“ თანამედროვე პროზის სტრუქტურაში, რომელიც თითქოს კრიზისის განიცდიდა. ამ ცდების ერთ-ერთი წარმომადგენელი ე. სარტრი თვლის, რომ თანამედროვე პროზას ამა აქვს უნარი პასუხობდეს დღევანდელ ადამიანთა ცოდნის დონეს, რადგან იგი განიცდის შემეცნებით „სკლეროზს“, დღეისათვის მოძველებულია მეოცე საუკუნის კლასიკური პროზის ტექნიკური ხერხები. სარტრის აზრით, მწერალი რომი უნდა იყოს ვატაკელები სოციალური შინაარსის შემეცნელი მოვლენებით. „ახალი რომანი“ უნდა ჰქადაგებდეს ცხოვრების უმიზნობასა და უპერსპექტივობას, ამბები უნდა ხდებოდეს განუსაზღვრელ დროსა და ეპოქაში. გმირის ნაცვლად მასში გამოყვანილია ქაოსურ საყვაროში უაზროდ მოქმედი სიმბოლო.

თეატრალურ ხელოვნებაში „ახალი რომანის“ ანალოგიას წარმოადგენს აბსურდის ხელოვნება, ანუ „აბსურდის თეატრი“. ამ ხელოვნების, უაზრობაზე მეტყველებს თვით სათაური. „აბსურდის თეატრის“ ფუნქციონირება რეჟიმული ექვენ იონესკუ და ირლანდიელი სემუელ ბექეტი. ორმოცდაათიან წლებში მისი საშუალო გახდა საფრანგეთი, ხოლო შემდეგ ფართოდ გავრცელდა კაპიტალისტურ ქვეყნებშიაც. „აბსურდის თეატრის“ დამატურგებმა თავიდანვე მიზნად დაისახეს პიესების შექმნა დრამატურგიაში აღიარებული ტრადიციების სრულიად საპირისპირო ხერხებით. ამიტომ მათი პიესები იწოდება „ანტიპიესებად“. გადმოცემული ვითარება არ ექვემდებარება რაიმე ლოგიკურ შინაარსს. სიტყვას თუ დიალოგს არ გაანინია შინაარსი. მთავრობად, ე. იონესკოს სკეტჩის „საავტომობილო სალონის“ პერსონაჟი, რომელსაც სურს ახალი ავტომანქანის შექმნა, ასე მიმართავს გამყიდველს: „ქალიშვილო! ხომ ვერ მათხოვებთ თქვენს ცხვირს, რომ მანქანები უფრო შევთავალოდით“. ვასკლისას უსთაუოდ უკან დაგიბრუნებთ!“ გამყიდველი ქალი „გულგრილი ტონით“ უპასუხებს: „აჰა, ინებეთ! საერთოდ მიჩუქნია თქვენთვის“. უაზრო სიტყვები, უმიზნო შესიტყვება, ლოგიკური შეუსაბამობა მდგომარეობისა აბსურდულ აქტებს ჯერ თვით სიტყვებს. შემდეგ თვით დიალოგსაც.

მოდერნიზმა თავისი გამოვლინების უკიდურ-

ზანტანაჟ მუთათელაძე
თანამედროვე რეჟიმორიზმი და
ბურჟუაზიული ხელოვნება



რეს ფორმას აბსტრაქტულ ფერწერაში მიად-
წია. აბსტრაქტული ხელოვნების უკიდურეს ფორ-
მებში საერთოდ სურათიდან გაქრა ადამიანი.
სხვანაირად მას უსაგნო ხელოვნება უწოდეს.
ასეთია თანამედროვე ბურჟუაზიულ სამყაროში
საკმაოდ გავრცელებული ობტიკური ხელოვნე-
ბა („ობ-არტი“) ამ მიმდინარეობის მხატვარი
როდი ფიქრობს ღრმად განზოგადებულ მხატვ-
რულ სახეში გადმოსცეს ადამიანთა სანუკეარი
ფიქრები და სურვილები. იგი შორსა დგას სი-
ნამდვილისგან. მისი სურათი აგებულია წმინდა
ობტიკურ, მხედველობით ეფექტზე. ეს თვალის-
მომჭრელი ილუზია შექმნილია შავ ფონზე და-
ხატული სხვადასხვა ფერებით შესრულებული
კვადრატების, წრეების, მკვეთრი ხაზების ფო-
კუსებით. აქ აეტორი სრულიად ითავისუფლებს
თავს იდეებისა და გრძნობების გამოხატვისაგან
და საერთოდ გმობს სინამდვილის სივანთა ასახ-

ვას. მეორე მიმდინარეობის ე. წ. „პოპ-არტი“
ლი ხელოვნების“ („პოპ-არტის“) ავტორებს სი-
ნამდვილის საგნებთან კავშირის აღდგენის მიზ-
ნით სურათში უაზროდ შეხამებული ფერების
ფონზე მიმაგრებული აქვთ ნატურალური ზო-
მის სკამი, უანგმოკიდებული ძველი თუნუქის
ნაჭრები, მინის ნამსხვრევები, ძველი გაზეთის
ნახევები და სხვ. „პოპ-არტი“ საათის ძველი
მექანიზმებით, ტომრის ნაჭრებით და ჭართის
ნაწილებით შეაკოწიწებულ ფიგურებს „ქანდა-
კებებად“ ასაღებს.

ასე ვლინდება პრაქტიკულად ბურჟუაზიული
ესთეტიკის თეორია „მხატვრულ შემოქმედება-
ში“. ასეთია თანამედროვე მოდერნისტული
ხელოვნების უგვანო გამოვლინებანი, რომლე-
ბიც მიუნიშნებენ გამოუფელ კრიზისზე და ჩიხ-
ში ამწყვედვენ თანამედროვე კაპიტალისტურ
კულტურასა და ხელოვნებას.



ლითონი ქაღალდი

ისევ პროლოგის გამო

რუსთაველოლოგიაში დამკვიდრებულია აზრი იმის შესახებ, რომ შოთა რუსთაველის კალამს სხვა ნაწარმოებებიც ეკუთვნოდა, რომლებიც მას „ვეფხისტყაოსანზე“ ადრე შეუქმნია, და რომელთაც ჩვენამდე არ მოუღწევია.

რუსთაველის ამ ნაწარმოებთა შესახებ არავითარი პირდაპირი ისტორიულ-ლიტერატურული ცნობები არ არსებობს და არც მათი რაიმე კვალი ან ფრაგმენტია დარჩენილი.

მკვლევარები, რომლებიც ამ აზრს იზიარებენ, გამოდიან იმ ფაქტიდან, რომ შეუძლებელია რუსთაველს ესოდენ სრულყოფილი და დიდი ნაწარმოებით დაეწყო თავისი პოეტური მოღვაწეობა. გარდა ამ ზოგადი მოსაზრებისა, გვაქვს თეიმურაზ ბაგრატიონისა და ანტონ კათალიკოსის ბიბლიოგრაფიული ხასიათის ცნობები.

თეიმურაზ ბაგრატიონი წერდა: „ვეფხისტყაოსნის გარდა სხუანაცა წიგნნი, მსმენიეს მრავალთაგან, შოთა რუსთაველისა ნათხზენი არიანო“...¹

ანტონ კათალიკოსი „ქართულ ღრამატიკაში“ ასახელებს შოთა რუსთაველს, როგორც „გამომცემელსა მეფის თამარის ცხოვრებისასა“ და მოჰყავს ნაწყვეტი ამ ნაწარმოებიდან.

მარი ბროსე „ვეფხისტყაოსნის“ შესავლის მეოთხე და მეცხრამეტე სტროფის მიხედვით ასკვნის, რომ შოთა რუსთაველს ეკუთვნოდა „ვეფხისტყაოსნის“ გარდა „ქებანი“, რომელიც ჩვენთვის „თამარიანის“ სახით არის ცნობილი.

აზრს იმის შესახებ, რომ რუსთაველს „ვეფხისტყაოსნის“ გარდა დაუწერია სხვა ნაწარმოებები თავგამოდებით იცავენ პ. ინგოროყვა, შ. ნუცუბიძე და ივ. ლოლაშვილი. სამივე მკვლევარი თავის მსჯელობაში ეყრდნობა „ვეფხისტყაოსნის“ შესავლის მე-4 და მე-19 სტროფებს.

¹ თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, გვ. 294.

პავლე ინგოროყვა მე-4 სტროფს შემდეგნაირად განმარტავს: „მეფე თამარის ქებას ვიწყებ („თამარს ვაქებდე“) — მე დამფრქვეველი სისხლისა ცრემლთა! თამარის ქებანი მე უწინაც მითქვამს („ვეთქენი“), და იგი ქებანი არ იყო ცუდად შერჩეული: მელნად მე მაშინ მქონდა გიშრის ტბა (თამარის თვალები, რომლის ხილვის იმ დროს ღირს ვიყავ); ხოლო კალამი თვით მე ვიყავ, რხეული ლერწამა! („ნაი რხეული“), ვინც მოისმენს (იმ პირველ ქებათა), მისი გული ლახვარით განვიმირება“.

მეოთხე სტროფის ასეთი განმარტება პ. ინგოროყვას იმისათვის დასჭირდა, რათა „მეცნიერული“ საფუძველი მოეხაზა თეორიისათვის, ვითომ, შოთა რუსთაველს „ვეფხისტყაოსნის“ გარდა დაუწერილი აქვს პოემა — რომანი — „ქებანი“. ინგოროყვა წერს: „ამრიგად, თვით შოთას იმ ჩვენებათა მიხედვით ცხადი ხდება, რომ შოთას ვეფხისტყაოსანზე ადრე დაუწერილი ჰქონია სხვა პოეტური ნაწარმოები, რომელიც ვეფხისტყაოსნის მსგავსად, თამარისადმი ყოფილა მიძღენილი, თამარის „ქებას შეიცავდა“².

შესაძლოა, შოთა რუსთაველის კალამს, ვეფხისტყაოსნის გარდა, სხვა თხზულებაც ეკუთვნოდა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ მეოთხე სტროფი ასეთი დასკვნისთვის საჭირო და აუცილებელ მასალას არ იძლევა. თავდაპირველად პროლოგის მეოთხე სტროფებზე დაყრდნობით, ასეთი პიპოთეზა მარი ბროსემ გამოსთქვა. იგი ფიქრობდა, რომ აქ ლაპარაკი იყო იმ „ქებანის“ შესახებ, რომელმაც ჩვენამდე „თამარიანის“ სახით მოაღწია.

დღეს საბოლოოდ დადგენილია, რომ „თამარიანი“ შოთას არ ეკუთვნის, მაგრამ ზოგიერთი მკვლევარი მაინც ვანაგრძობს მტკიცებას,

² პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტ. 1, გვ. 194. (ხაზი ჩვენია, დ. ქ.).



რომ „ქებანის“ სახით ჩვენამდე არმოღწეული შოთას რომელიღაც ნაწარმოები იგულისხმება.

1961 წელს, აწ განსვენებული აკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე წერდა:

„რუსთაველის პოემის შემადგენელ ნაწილთა შორის ყველაზე რთული არის მისი შესავალი, რომელსაც ჩვენში ხანდახან მის „პოეტიკას“ ეძახიან, რაც არაა სწორი, თუნდაც იმიტომ, რომ ნამდვილად „პოეტიკურს“ მასში უმნიშვნელო ადგილს უჭირავს. ეს პროლოგი, როგორც იტყვიან, შეერთებულია ეპილოგთან და მათი გაყოფა ძნელია. აქ არეულადაა მიცემული სხვადასხვა ნაწილები, რომლებიც პოემაა თვითონ პოემა „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ. სწორად ამ პროლოგში უდავოდ ჩანს რუსთაველის განდევნის ამბავი. მეოთხე სტროფი გვეუბნება: „თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლდათხეული.“ სისხლიანი ცრემლი ცნობილი უდრამე-სი მწუხარების ემბლემაა რუსთაველის შემოქმედებაში. რა ამის მიზეზი? მეორე ბუკარში სწერია: „ვთქვენ ქებანი ვისნი მე არ ავად გამორჩეული“ აშკარაა, რომ პოეტი სისხლიან ცრემლებს უჯავიერებს თამარისათვის დაწერილ ლექსებს, რომელთა შინაარსიც კი ჩანს შემდეგი ბუკარიადა: „მოდუნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მე ნა რხეული“, ე. ი. პოეტი შეხეზბია თამარის აღწერას, თვალთა და სხეულის სილამაზეს, რის შედეგად მას სატირლად გახდომია საქმე, ეს და არა თვით სილამაზის ამბავი ყოფილა „ლახვარი გულისა ხეული“.

მეათე სტროფიდან უკვე აშკარაა, რომ შოთა განდევნილია სასახლიდან მისი თვალები განშორებისას მოკლებულია ნათელს, და მას სანატრელად ურჩება თამარის ხედვა. „თვალთა მისგან უნათლოთა ენატრამცა ახლად ჩენა“. პოეტი ითხოვს, რომ ვინმე უაჯოს მას თამარის წინაშე, რომ საკვარისია მისთვის „ხორცთა დაწვა“ და მისციეს „სულთა ღხენა“.

ამის შემდეგ მიჯნურობის შესახებ გრძელი მოსაწყენი ლექსები მობოდიშებაა და ყველაფერი თავდება დაპირებით მიჯნურობის არ დაჩენისა და „შეფრფინეთ ქებისა“.

მობოდიშების შემდეგ, პოეტი დაუბრუნებით სასახლეში...³

ივანი ლოლაშვილი თავის ნაშრომში — „რუსთაველი და თამარის ისტორიკოსთა ვინაობის პრობლემა“ წერს: „პ. ინგოროყვას და შ. ნუცუბიძის საერთო დებულება მისაღებია: „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის მე-4 და მე-19 სტროფებში ნამდვილად დატულია ცნობა რუსთაველის სახორტო თხზულების შესახებ და საკუროა მას მეტი ნდობა გამოუტყხადოთ. პოეტი გარკვევით წერს (4. 1-2 და 19. 1-2).

ა) ჩვენ (სისხლისა ცრემლ-დათხეული ვაქებ-

³ შალვა ნუცუბიძე, რუსთაველის ცხოვრების მეორე ნახევარი და იერუსალიმის სამეცნიერო ექსპედიცია, 1961 წ., გვ. 38-39.

დეთ თამარ მეფეს, რომლის — ვისნი? ქებანის არ-ავად გამორჩეული. (უწინაც) ვითქმუნდა წერი, შევთხე)“.

ბ) აწ ყველამ ვაიგეთ ჩემი (ნათქვამი): ვინც მე (უწინ) შემიქია (ახლაც) იმას ვაქებ. ეს მე დიდ სასახელო საქმედ მიმანია, (ამიტომ თამარისადმი ქებაში თავი არ შემირცხვენია). ორივე შემთხვევაში რუსთაველი უნდა გულისხმობდეს არა მარტო „ვეფხისტყაოსანს“, არამედ თავის ადრინდელ თხზულებასაც — ე. წ. ქებას, რომელიც მას „ვეფხისტყაოსნის“ მსგავსად თამარისადმი მიუძღვნია.

„ქებაში“ თამარი ყოფილა შექმნილი, მას წერის დროს, როგორც თვით პოეტი ამბობს, გელნად უხმარია გიშერივით შავი ტბა (თამარის თვალები) და კალმად — რხეული ლერწამი (თამარის წერწეტი და რხევადი ტანი)⁴.

ეს ძირშივე არასწორი დებულება, მკვლევარებს აძლევს ფანტაზიის გაშლის განუსაზღვრელ საშუალებას. ასე, მაგალითად: აქედან გამომდინარე, მარი ბროსე ჩაბრუნაძის „თამარიანს“ „ქებანად“ აცხადებს, ამავე მოსაზრების იყო ნიკო მარიც. მოსე ჯანაშვილმა, „თამარიანის“ გარდა, რუსთაველის კალამს „აბდულუმესიანიც“ მიუკუთვნა. პ. ინგოროყვას აზრით, ეს „ქებანი“ ყოფილა პოემა-რომანი დაწერილი „ვეფხისტყაოსანზე“ ადრე და პოეტი მასში გამოხატული ჰქონია მანიქეულური იდეები, რის გამოც რუსთაველი სამშობლოდან განუდევნიათ, ხოლო თვით „ქებანი“ კი მოუხპიათ.

ივ. ლოლაშვილი კი ცდილობს პროლოგის მეოთხე სტროფის არასწორი ინტერპრეტაციით, მასში სიტყვების დამატებით „უწინაც, უწინ, ახლაც“, დაასაბუთოს არანაკლებ ფანტასტიკური ჰიპოთეზა, რომ რუსთაველს სხვა ნაწარმოებშიც ჰქონია, და კერძოდ, რომ მის კალამს ეკუთვნის „ისტორიანი და აზმანის“ ტექსტი.

ივ. ლოლაშვილის აზრით, რუსთაველი „ვეფხისტყაოსანამდ“ დაუწერია „ქებანი“. ეს „ქებანი“ პროზად ყოფილა დაწერილი და ეს პროზაული ნაწარმოები ყოფილა „ისტორიანი და აზმანი შარავანდელთან“.

მეორეგან კი ივ. ლოლაშვილი გვემცნობს, რომ რუსთაველი სამწერლო მოღვაწეობაც თამარის გარდაცვალების უმაღვე დასრულდა (ჩვენი აზრით, საისტორიო თხზულება „ისტორიათა და აზმათა“ დაწერით)⁵.

თუ „ისტორიანი და აზმანი“ შოთა რუსთაველს ვეფხისტყაოსანზე ადრე დაუწერია, ხოლო ეს ისტორიული თხზულება პოეტის უკანასკნელი ნაწარმოები ყოფილა, მაშინ გამოდის, რომ შო-

⁴ ივ. ლოლაშვილი, რუსთაველი და თამარის ისტორიკოსთა ვინაობის პრობლემა, 1961, გვ. 8.

⁵ ივ. ლოლაშვილი, რუსთაველის მსოფლმხვედლობის ისტორიული და ეროვნული საწყისები, 1966 წ., გვ. 34.

თე რუსთაველს ვერ მოუსწრია „ვეფხისტყაოსნის“ დაწერა.

თი სადამდე შეიძლება მიიყვანოს „მკვლევარი პროლოგის“ მეოთხე სტროფის არასწორმა გაგებაში.

ამრიგად, გვრჩება შოთა რუსთაველის ჩვენამდე არმოდღეული, არ არსებული ნაწარმოებები, „ვეფხისტყაოსანი“ კი ხელსა და თვალს შუაჭრება.

პროლოგის მეოთხე სტროფის შესახებ საპირისპირო შეხედულება გამოთქვა აკად. კორნელი კეკელიძემ, რომელმაც საკმაოდ დამაჯერებლად და საფუძვლიანად უარყო პ. ინგროსთვის და სხვათა მოსაზრებანი და ამ სტროფის შემდგომი ინტერპრეტაცია მოგვცა: „თამარი იმის ღირსია, რომ მას ყველა ვაჭებდეთ: მე უკვე ვთქვი, დაწერე მისი ქება „ვეფხისტყაოსანში“. მელნად ვიშრის ტბა, თამარის თვალები ვიხმარე, კალმად ნაი რხეული მისი ლერწამით ტანი. ვინც ამ ქებას, „ვეფხისტყაოსანს“ მოისმენს, მისი გული ლახვარით განვიგირება.“⁶

მართლაც, პროლოგის მე-4 სტროფი არავითარ საბაბს არ იძლევა ვიფიქროთ, რომ შოთა რუსთაველის სხვა რაიმე ნაწარმოებში და კერძოდ „ქებაში“ აქონდეს შექმნილი, არც იმისას, რომ რუსთაველი ამ ნაწარმოების გამო ღვენილი იყო სამეფო კარიდან, და არც იმისას, რომ აქ ავტორი თავის პირად ინტიმურ გრძობებზე ლაპარაკობს.

ეს თუ ასე, მაშ რაგორ უნდა გვესმოდეს მეოთხე სტროფი? რაში მდგომარეობს მისი შინაარსი და რა კავშირშია იგი საკუთრივ-ვეფხისტყაოსანთან?

პოემასა და პროლოგს შორის მჭიდრო, ურღვევი, ორგანული კავშირი არსებობს, მაგრამ პროლოგი, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ წინასიტყვაობას წარმოადგენს, უდავოდ დაწერილია პოემის საბოლოოდ თუ არა, ძირითადად ჩამოყალიბების შემდეგ.

ამას ის გარემოება გვაფიქრებინებს, რომ პროლოგში ნახსენებია ნაწარმოების მთავარი გმირი ტარიელი, სამი ძმადნადიცი და პოემის შინაარსისათვის დამახასიათებელი — სიყვარული და მეგობრობა.

ამრიგად, რუსთაველს უკვე ჩამოყალიბებული ჰქონია და გათვალისწინებული პოემის მთავარი ელემენტები. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, იგი პროლოგში ასე ნათლად და გარკვევით ვერ ილაპარაკებდა მათ შესახებ. ეს შენიშვნა აქ იმიტომ გვაკეთე, რომ პროლოგის განხილვისას ჩვენთვის ნათელი იყოს, თუ რატომ ლაპარაკობს რუსთაველი წარსულ დროში. ჩვეულებრივად ჭერ საკუთრივ ნაწარმოები იწერება, ხოლო შესავალი შემდეგ.

პროლოგის პირველ და მეორე სტროფებში

რუსთაველი მიმართავს ღმერთს, რათა მან მისცეს ძალა, განიწმინდოს ყოველგვარი ბუჩქნაობისაგან, მიანიჭოს დაუძლეველი სწრაფების მიღწევაში — „ვეფხისტყაოსნის“ შექმნაში. პირველ სტროფში ავრთვე განსაზღვრულია იმ ღმერთის არსი, რომელსაც იგი დახმარებისათვის მიმართავს.

მესამე სტროფში შოთა რუსთაველი ქებით იხსენიებს თამარ მეფის მეუღლეს — დავით სოსლანს, რომელსაც დიდი პოეტის ლომს უწოდებდნენ, მეოთხე სტროფში კი სრულიად კანონზომიერად, და რაც მთავარია, თანმიმდევრულად ლაპარაკია თამარ მეფის ქებაზე. ვაგვისნოთ ეს სტროფი.

4. თამარს ვაჭებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეული. ვთქვენი ქებანი ვისნი მე არ ავად გამორჩეული (წარსული დრო) მელნად ვიხმარე ვიშრის ტბა და კალმად მე ნა რხეული, ვინმეცა ისმინოს დაესვას ლახვარი გულსა ხეული (მომავალი დრო)

ამ სტროფის პირველი სტრიქონი წარმოადგენს მიმართვის მკითხველისადმი, პოეტთან ერთად აქონ თამარი — ეს ცხადზე ცხადია, მაგრამ რატომ „სისხლისა ცრემლ-დათხეული?“ კითხვას ვასუხს თვითონ შოთა რუსთაველი იძლევა მომდევნო ტექსტში. ეს სტრიქონი ისე უნდა გვესმოდეს, როგორც გულში ჩაწვილობა და ტრაგიკულის საშუალებით მსმენელზე ზემოქმედება. ეს პროლოგის მეოთხე სტრიქონიდანაც კარგად ჩანს („არ ძალ-უც სრულქმნა სიტყვათა, გულისა ვასაგმირეთა“).

მე-4 სტროფის ბოლო სტრიქონში ლაპარაკია იმაზე, რომ მან, რუსთაველმა შექმნა ტრაგიკული სიბრალული, სისხლის ცრემლები უნდა გამოიწვიოს, ანუ ღრმა ზემოქმედება იქონიოს, გული გაუცვიროს.

ახლა ისმის კითხვა, რატომ არის „ვეფხისტყაოსანი“ თამარის ქება „სისხლისა ცრემლ-დათხეული“, რომელმაც მსმენელთა გული, როგორც ლახვარით ისე უნდა განვიგიროს?

პასუხს ამ კითხვას მომდევნო სტროფები შეიცავს.

მე-5 სტროფში რუსთაველი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მას დავალებული აქვს თქვას თამარ მეფის ქება, ხოლო მე-6-7 სტროფში კი უკვე ლაპარაკია იმაზე, თუ რა საშუალებით აქვს იგი თამარ მეფეს. კერძოდ, შოთა რუსთაველი გვამცნობს, რომ ტარიელის შეწევისა, მისი ტურფად ხსენება. ტარიელისთვის ცრემლის დენა იქნება თამარ მეფის ქება-დიდება — „მო,

⁶ ძველი ქართული მწერლობის ისტორია, 11, თბილისი, 1952, გვ. 119.



დავსდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გვდის შე-
უშრობელი“. ამბობს იგი მემვიდე სტროფში.
რატომ წარმოადგენს ტარიელის შეწყვენა, მის-
თვის ცრემლის ღენა თამარ მეფის ქება-დიდუ-
ბას?

ტარიელის და სამი გვირის ამბავი პირდაპირ
და ორგანულ კავშირშია თამარ მეფის ქებასთან,
რადგან სწორედ ტარიელისადმი თანაგრძნობა.
მისთვის სისხლის ცრემლების დათხევა თამარ
მეფის ქებას წარმოადგენს, მის სამეფო ტახტზე
ყოფნის გამართლებას და კანონზომიერებას, მი-
სი სამეფო უფლებების დაცვას.

ამიტომაც, სტროფი, რომელშიც ლაპარაკია
ტარიელისა და სამი ძმადნაფიცის შესახებ უშუ-
ალედ მოთავსებულია თამარ მეფის ქების შემ-
ცველ სტროფებს შორის (4-8).

მე-8 სტროფი წინა სტროფებში თქმულის
ლოგიკურ დასკვნას წარმოადგენს.

აი, ეს სტროფი:
მე, რუსთველი ხელობითა, ვიქმ საქმესა ამა
დარი:
ვის ჰმორჩილებს ჯარი სპათა, მისთვის
ვხელობ, მისთვის მკვდარი;
დავუძღურდი მიჯნურთათვის, კვალა წამალი
არსით არი,
ანუ მომცეს განჯურება, ანუ მიწა მე
სამარი.

მე-8 სტროფის პირველი ორი სტრიქონი შემ-
დგენიარად უნდა გვესმოდეს!

მე, რუსთაველი შეპყრობილი უჩვეულო აღ-
ტყინებით (ხელობითა) მოვიმოქმედებ ამდაგვარ
საქმეს: იმისათვის ვხელობ ანუ ვარ ექსტაზის
მდგომარეობაში ვისაც ჰმორჩილობს ჯარი სპა-
თა, ანუ მეფეთათვის, მისთვის ვარ მკვდარი ანუ
სიკვდილადე თავდადებული.

შემდეგ ორ სტრიქონში ავტორი უკვე ისევ
ლაპარაკობს, თავისი „ქების“ ანუ ნაწარმოების
გვირების მიჯნურობაზე, რაზეც არ ღიღი იმე-
დებს ამყარებს, რადგან ფიქრობს, რომ ამ გზით
იგი შექლებს ღირსეულად შეაქოს თამარი, მიჯ-
ნურობის გარდა, მან სხვა ხერხი, სხვა წამალი
არ იყის, და იგი მისგან მოეღის განჯარგულე-
ბას ანუ თავისი მისიის შესრულებას.

მე-8 სტროფის ბოლო ორ სტრიქონში, რომ
სწორედ იმ მიჯნურობაზეა ლაპარაკი, რომელიც
„ვეფხისტყაოსანს“ წითელ ზოლდ გასდევს, და
არა პოეტის პირად გრძნობებზე, პირად მიჯნუ-
რობაზე თამარ მეფისადმი ეს იქიდანაც ჩანს,
რომ რუსთაველი ლაპარაკობს არა იმას, რომ
იგი დაუძღურდა მიჯნურობისაგან, არამედ თა-
ვისი გვირების მიჯნურობას განიცდის, განიც-
დის ბოლომდე მთელი თავისი არსებით — „და-
ვუძღურდი მიჯნურთათვის“ — ამბობს იგი.

შოთა რუსთაველს რომ თავისი ნაწარმოები
და „ვეფხისტყაოსნის“ გვირთა თავგადასავალი
აქვს მხედველობაში, ეს მე-9 სტროფიდან კარ-
გიდ ჩანს.

უშუალოდ ზემოთ გარჩეულ სტრიქონებს მო-
კვება სიტყვები:

ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,
ეთი მარგალიტი ობოლი, ხელი-ხელ

საგოგმანები,
ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ
საყოვემანები,
ჩემმან ხელ-მქმნელმან დამმართოს ლღმან და
ლაშაზმან ნები.

ამ სტროფში „ვეფხისტყაოსანზე“ ლაპარაკი
— ეს ყოველგვარ ექვს გარეშეა, ამიტომ მე-8
სტროფის ორ უკანასკნელ სტრიქონში საკვირ-
ველი იქნება, რომ ლაპარაკი არ ყოფილიყო ვე-
ფხისტყაოსანთან დავაწირობებულ მიჯნურობაზე.
ეს რომ ასე არ იყოს, რუსთაველი ვერ იტყო-
და, ყოველგვარი გადასვლის გარეშე „ესე ამ-
ბავი სპარსულიო“.

ამრიგად, მეოთხე სტროფის პირველი და მე-
ოთხე სტრიქონი შემდგენიარად უნდა იყოს გა-
გებული: „მე რუსთველმა დავეწერე ვეფხისტყა-
ოსანი“ — თამარის ქება, თამარის სადიდებლად
და ეს არის ღირსეული ქება. ვინც მას, თამარის
ქებას — „ვეფხისტყაოსანს მოისმენი“, გულს
დაუტყის, გულში ჩასწვდება, ღრმა კვალს დაა-
ჩენს და ეს იქნება თამარის ქება, სისხლისა
ცრემლდათხეულიო“.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „ვეფხისტყაოს-
ნის“ პროლოგის მე-4 სტროფი დიდი ხანია რუს-
თველოლოგთა ყურადღების ცენტრშია. ამ
სტროფს რუსთაველის მკვლევარნი სხვადასხვა-
ნაირად კითხულობენ და, აქედან გამომდინარე,
მრავალ ჰიპოთეზასა და ვარაუდს გამოთქვამენ.

სტროფის — „თამარს ვაქებდეთ მეფესა სი-
სხლისა ცრემლ-დათხეული“.

ვთქვენი ქებანი ვისნი მე, არ-ავად
გამორჩეული,
მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმალ-მე
ნა რხეული,
ვინცა ისმინოს, დაეცვას ლახვარი გულსა
ხეული“.

პირველი კომენტარი ეკუთვნის მეფე ვახ-
ტანგ VI. იგი წერდა: „თამარს ვაქე: უბნობს
თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლის ცრემლდა-
თხევით: ჰამს პატრონის სამსახურისათვის კაცი
სისხლის ცრემლითაც ტიროდეს და სისხლსაც
აქცევდეს: და აწ ამას უბნობს თამარს ვაქებდეთ
იმისი ყმანი: რომელსაც მისის სამსახურისათვის
სისხლის ცრემლი გვექცევა და ჰიროდი გვინა-
ხავს: და აწ უბნობს ეს თამარის ქება რომ
ესთქვით არ ავად გამორჩეული არისო: მელნად
იტყვის თამარის თვალსა და გიშრის ტბად გუ-
გახა: რომ ის მელნად იხმარა იმის ქებისათვის
სწერს თვარა თუ ის თამარის თვალს საქებარი
არ იყოს მელნად რას დასწერს: კალმალ მინა
რხეულად წამწამებს ამბობს მინა რხეული შერ-
ხეულად ითქმის: აწ ასრე უბნობს ეს წამწამი



ასრე მიჭია ვინც მომისმინოს წამწამი ლახვრად უთქვამს რომ გულს ლახვრად დავსოს ქებაო⁷.

მე-4 სტროფის პირველი ტაქვის განმარტება სუბიექტურია. ვახტანგ VI მიაჩნია, რომ აქ რუსთაველი ლაპარაკობს იმ ვირზე და დაღვრილ სისხლის ცრემლებზე, რომელიც ქვეშევრდომმა უნდა გადაიტანოს და გაიღოს მეფის სამსახურში.

სინამდვილეში კი აქ ნათლად არის ნათქვამი, რომ პოეტი მოუწოდებს მკითხველს მასთან ერთად აქოს თამარი, და რომ მის მიერ ნათქვამ-მა ქებას მკითხველის გულიც უნდა განგებროს და სისხლის ცრემლებიც კი გამოიწვიოს. ეს ტაქ-ები ჩვენ დაწვრილებით სხვაგან გვაქვს განხი-ლული. აქ კი შევჩერდებით მესამე ტაქვის ვახ-ტანგისეულ განმარტებაზე, რადგან, შემდგომში, ყოველგვარი კრიტიკული მიდგომის გარე-შე, მრავალი რუსთაველოლოგის მიერ იქნა იგა-განმეორებული.

ამ ტაქვს განიხილავს თეიმურაზ ბაგრატიონ-იც. მოგვყავს მისი განმარტება:

„4/4 3 მელნად ვიხმარე ვიშრის ტბა და კალ-მად მინა რხელუა“ — აღმოსავლეთის მოშაირე-ნი მშვენიერთა შოთა თვალთა მელნის ტბასა უწოდებენ და მოძრავსა ტანსა მშვენიერისასა კალმად ბროლისა იტყვიან. ხოლო ქარტად გუ-ლსა მას, რომელსა ზედაცა გამოიწერების სი-ყვარული სატრფიალო, რუსთაველს მალას აღსავლობაში აწყავს თავისი პოიტეოსობა და გენიასა მისსა აძლევს ძალსა. ესე ვითარი სახე, მელანი და კალამი მშვენიერისა სახე არიანო და მე ესე ვითარითა მელნითა და კალმითა ვიმოქმედებო⁸.

როგორც ვხედავთ, თეიმურაზ ბაგრატიონიც ფიქრობს, რომ რუსთაველი ვიშრის ტბაში გუ-ლისხმობს შავ თვლებს, კალამი ვითომ მშვე-ნიერი, ქალის ტანია.

თეიმურაზ ბაგრატიონის ინტერპრეტაცია იმით განსხვავდება ვახტანგ VI კომენტარისაგან, რომ მან უკუაგდო თამარ მეფის თვლები და წამ-წამები. ვახტანგ VI თვლის, რომ „მინა რხელ-ული“ — თამარ მეფის წამწამებია. თეიმურაზ ბაგრატიონი კი „მინა რხელუში“ ქალის ტანს გულისხმობს.

მეოთხე სტროფის მესამე ტაქვში შოთა რუს-თაველი ნათლად და გასაგებად ამბობს: ვეფხის-ტყაოსნის წერისას მელნად ვიშრის ტბა ვიხმა-რეთ, ხოლო კალმად ლერწმის ღერო და აქ არა-ფერ შუაში არ არის არც თამარის თვლები და არც მისი ლერწამივით ტანი, რომელიც ვი-თომ კალმის მაგივრად ხელში სჭერია პოეტს. ეს ყველაფერი ვახტანგ მეფემ რუსთაველს მიაწერა. ამრიგად, მან ახალი დეტალები შეი-

ტანა რუსთაველის მიერ შექმნილ ტრეპში და-ამღერია იგი.

მესამე ტაქვში მოცემული სტროფის ვახტან-გისეული გაგება უკრიტიკოდ გაიმეორეს პ. ინ-გოროყვამ, ალ. ბარამიძემ, ივ. ჭავჭავაძემ და სხვებმა.

პ. ინგოროყვასთან ვკითხულობთ: „მელნად მე მამის მქონდა ვიშრის ტბა (თამარის თვალე-ბი, რომლის ხილვას იმ დროს ღირს ვიყავ) ხო-ლო კალამი თვით მე ვიყავ, რხეული ლერწამი (ჯალეული ლერწმის მსგავსად მიჯნურობის სევე-ლით).⁹“

პოეტისადმი საკუთარი აზრების მიწერის კლა-სიკური ნიშნუა. არავითარი საფუძველი არ არსებობს ვიშრის ტბის — თამარის თვლებად გამოცხადებისა, ხოლო საკუთარი თავის (რუს-თაველის მიერ) რხეულ ლერწმად, კალმად წარ-მოღვევნისა.

ალ. ბარამიძემ ოდნავ შეცვალა ინგოროყვა-სეული ინტერპრეტაცია ამ ტაქვისა და გვო-უწყა:

„პოეტის მეტაფორული გამოთქმით, თავის პო-ემაზე მუშაობის პროცესში მას მელნად ჰქონია თამარის ვიშერივით შავი თვლების ტბა, ხოლო კალმად — თამარისავე ლერწამივით წერწეტი, მაღალი, წვრილი და მოქნილი (რხევალი) ტანი“¹⁰.

როგორც ვხედავთ, ალ. ბარამიძის გაგებით შოთა რუსთაველს, „ვეფხისტყაოსნის“ წერისას კალმის მაგივრად ხელთ ჰქონია თამარ მეფის „ლერწამივით წერწეტი, მაღალი, წვრილი და მოქნილი ტანი“. ინგოროყვას აზრით კი კალ-მად რუსთაველს საკუთარი ტანი ჰქონდა (მთე-ლი ტანით წერდა „ქებას“ ან რომანს იოსებ მშვენიერზე და არა ვეფხისტყაოსანს).

ივ. ლოლაშვილიც ეყვრს უყრავს პ. ინგოროყ-ვასა და ალ. ბარამიძეს და წერს:

„ქებაში“ თამარი ყოფილა შექებული. მას წერის დროს, როგორც თვით პოეტი ამბობს, მელნად უხმარია ვიშერივით შავი ტბა (თამა-რის თვლები) და კალმად — რხეული ლერწა-მი (თამარისავე წერწეტი და რხევალი ტანი)¹¹.

ივ. ლოლაშვილს რამდენიმე შეცდომა აქვს დაშვებული: ჯერ ერთი, რუსთაველი ამბობს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ წერისას ვიშრის ტბა უხმარია მელნად, კალმად — ლერწმის ღერო, ხოლო რაც შეეხება თამარის თვლებსა და ლერწამ ტანს ივანე ლოლაშვილის ვახტანგ VI, პ. ინგოროყვასა და ალ. ბარამიძისაგან

⁹ შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1970, გვ. 129.

¹⁰ ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, 1960, გვ. 56.

¹¹ ივ. ლოლაშვილი, რუსთაველი და თამარის ისტორიკოსთა ვინაობის პრობლემა, 1961, გვ. 8.

⁷ შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ვახ-ტანგისეული გამოცემა, გვ. სპთ-სკ.

⁸ თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსანისა, თბ. 1960 წ. გვ. 4.

ლიბინარი ქაშისიშვილი
კვლავ პროლოგის გამო

უსესხებია და რუსთაველისათვის მიუწერია. მეორეც ის, რომ მელნად „გიშრის ტბა“ და კალმად „ნაი რხელი“ შოთა რუსთაველს „ქე-ბანის“ დასაწერად კი არ უხმარია არამედ „ვეფხისტყაოსნისა“.

აკად. ნ. მარის თავის ცნობილ ნაშრომში «Вступительный и заключительный строфы Витязя в барсовой коже» იძლევა მეოთხე სტროფის რუსულ თარგმანს, რომელიც სწორად გადმოგვეცემს ღედნის შინაარსსა და მეტაფორებსაც.

«Царицу Тамару воспоем, проливая кровавые слезы [тоски]; в честь ея у меня сложены песни, недурно оне выбраны; чернилом мне служили гишеровыя озера, пером — колеблющийся тростник. Копье, возвысившись раздерет сердце того, кто услышит те песни»¹².

მაგრამ, როდესაც აკად. ნ. მარი ცდილობს მეოთხე სტროფის მესამე ტაქვის მეტაფორის გახსნას, სიტყვებში — „მელნად ვიხმარე გიშრის ტბა“, თამარის თვალბეჭე მანიშნებს ხედვს. იგი წერს: „5. 3, 4. მელნად ვიხმარე გიშრის ტბა чернилами мне служили гишеровыя озера] букв. чернилами я употребил гишеровое озеро. Двойкий намек. Прежде всего намек на глаза Тамары, собственно на образныя выражения, употребленныя поэтом при описании очей Тамары в Одах»¹³.

ნ. მარი ფიქრობდა, რომ „გიშრის ტბა“ იყო მანიშნება თამარის თვალბეჭე. ამავე დროს ნ. მარი მაშინ ამტკიცებდა, რომ „თამარაანი“ ჩახრუნხაქის კი არ ეკუთვნის, არამედ შოთა რუსთაველსო. მას თავის ამ ვარაუდის დასამტკიცებლად მოყვანილი აქვს სტროფები „თამარა-ანიდან“ სადაც თამარის თვალბეჭე მელნის ტბებს არის შედარებული. აი ეს სტროფებიც:

ღაწვთა არესა შუქნი მოვარესა,
მელნისა ტბანი, ღგანან მორევად. (7. 50)
ვინ მელნის ტბებად გოქვეს დასახებად,
გიშრისა სარო დანატრებულად. (15, 25).

ამ სტრიქონებში, მართლაც, თამარის თვალბეჭე პოეტს ჩახრუნხაქე (და არა რუსთაველი, როგორც ნ. მარს ეგონა) მელნის ტბებს ადარებს მაგრამ რა შუაშია „ვეფხისტყაოსნის“ შესავალში ნახსენები „გიშრის ტბა“ რომელიც მელნად უხმარია რუსთაველს?

საინტერესოა აღინიშნოს, რომ რუსთაველი „გიშრის ტბას“ მხოლოდით რიცხვში ხმარობს.

¹² Н. Марр, Вступ. и заключ. строфы Витязя в барсовой коже, Санкт-Петербург, 1910, стр. 7.

¹³ Н. Марр, Вступ. и заключ. строфы Витязя в барсовой коже, Санктпетербург. 1910, стр. 24.

ჩახრუნხაქე კი მრავლობითში — „ტბებდას“ ტბა-ნი“, სხვათაშორის შოთა რუსთაველიც უხმარებდა. სი „ვეფხისტყაოსანში“ შედარებისათვის მელნის ტბას მიმართავს, რათა თვალთა შესატყვისი მეტაფორა შექმნას, „ტბას“ მრავლობითი ფორმით იძლევა — „მელნისა ტბათა მიჯარვით ჰბურავს გიშრისა კერითა“ (1009). ან კიდევ „მელნისა ტბათა იღვრების სავსე სათისა რუბები“ (1146). ხოლო, როდესაც მელნის ტბას თვალბეჭის აღსანიშნავად არ იყენებს მაშინ „ტბა“ მოცემულია მხოლოდითში: „მელნად მოცემე ცრემლთა ტბასა“. სადაც ადგილასაც იგივე მდგომარეობა გვაქვს: „გიშრის ტბა“. „ტბა“ აქ მხოლოდით რიცხვშია, რუსთაველი მეტაფორულად თვალბეჭის აღსანიშნავად რომ მიმართავდეს ტბას — მაშინ გვექნებოდა „გიშრის ტბები“ ან „გიშრის ტბანი“.

აკადემიკოსი სალვა ნუცუბიძე ასე განმარტავს მეოთხე სტროფის მესამე ტაქვს: „მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მე ნა რხეული“, ე. ი. პოეტი შეხებია თამარის აღწერას, თვალთა და სხეულის სილამაზეს, რის შედეგად მას სატირლად გახლამია საქმე, ეს და არა თვით სილამაზის ამბავი ყოფილა „ლახვარი გულსა ხელი“¹⁴.

ამ ტაქვს შ. ნუცუბიძე ასე თარგმნის: «Глаз-озер писал я чернью и пером, как стан прекрасным. ნუცუბიძისეულ თარგმნიდან სრულიად ამოვარდა „გიშრის“, „მელანი“ და ლერწამი (ნაი)“. სამაგიეროდ „ტბა“, რომელიც ღედნაში მხოლოდით რიცხვშია თარგმანში მრავლობით რიცხვად იქცა. მთარგმნელმა ღედნაში თვითნებურად შეიტანა „თვალბეჭე-ტბები“ (Глаз-озер) აგრეთვე მან თვითნებურად შეიტანა „მშვენიერი ტანი“ (стан прекрасный).

ამრიგად, ვახტანგ მეექვსედიან მოყოლებულს რუსთაველილოვთა დიდი ნაწილი მეოთხე სტროფის მესამე ტაქვში მოცემულ მეტაფორას „მელნად ვიხმარე გიშრის ტბა“ თვითნებურად ართულებენ და თვლიან, რომ აქ რუსთაველს მხედველობაში აქვს თამარ მეფის გიშრითი შავი თვალბეჭე, რომელიც მას „ვეფხისტყაოსნის“ ან და ჩვენამდე არამოღწეული ნაწარმოებების „ქე-ბანის“ დაწერის დროს მელნად უხმარია.

აღნიშნული მეტაფორის ამრიგად გაშიფვრა მიუღებელია. საერთოდ ძნელად დასაშვებია, რომ რუსთაველს ამ შემთხვევაში მხედველობაში ჰქონოდა თამარ მეფის თვალბეჭე და ტბანი.

ეს პოეტის მხრივ, რბილად რომ ვთქვათ, მეტისმეტი ფამილიარობა იქნებოდა მეფე ქალის მიმართ, და თანაც, ისეთი მეფე-ქალის მიმართ, როგორც თამარი იყო.

რუსთაველი ვერ იტყოდა — თამარ შენი თვალბეჭე მელნად ვიხმარე, ხოლო შენი ტბანი კალ-

¹⁴ შალვა ნუცუბიძე, რუსთაველის ცხოვრების მეორე ნახევარი. 1961 წ., გვ. 38-39.

მალაო. ეს უდავოდ საკარო ეთიკის დაბრუნება იქნებოდა.

მეორე მხრივ, რუსთაველი გიშერს წამწამე-მგბის, თმის, თვალის კრილის მეტაფორული განსაზღვრებისათვის იყენებს და არასდროს არ ამბობს „გიშერივით შავი თვალებით“.

ამის დამადასტურებელი რამდენიმე მაგალითი:

1. „უი გიშერი აწამწამე“ (134, 1); 2. „თმა გიშერი“ (694, 2); 3. თვალთა გიშერი აშვენებს (წამწამები) (835, 3); 4. „ჰვია გიშრისა ღარი სელ“ (86, 3); 5. „გიშრისა ტევრსა მოჰოცხდა“ (1623, 4); 6. „ღაწვ-ზღაწვ თმა-გიშერისა“ (3, 2) და სხვ.

მესამე, რუსთაველი მეტაფორისათვის იყენებს მელნის ტბას (და არა გიშრის ტბას) რათა გვიჩვენოს თვალთა სიტუტფე, ანდა ცრემლთა სიუხვის აღსანიშნავად. მაგალითად: „მელნად მოცემ ცრემლთა ტბასა“ (962, 3); „მელნისა ტბათა მიჯარეთ ჰბურავს გიშრისა კერითა“ (1009) აქ „მელნის ტბები“ თვალეზია, ხოლო „გიშრის კერი“ წამწამები.

ან კიდევ: „მელნად მოცემ ცრემლთა ტბასა“ 962). აქ კი, როგორც ვხედავთ, მელნად ცრემლთა ტბაა გამოყენებული და არა თვალეზია.

ამრიგად, რუსთაველის მიერ შექმნილ მეტაფორის — „მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მე ნა რხეული“-ს გართულება, მასში თამარ მეფის თვალეზიისა და ლერწამივით ტანის შეტანა, არაფრით არ არის გამართლებული. ეს მეტაფორა ისე უნდა იყოს გაგებული, როგორც ივით რუსთაველსა აქვს მოცემული — უბრალოდ ყოველგვარი დამატებებისა და მკითხაობის გარეშე („ნა რხეული“ თამარის ლერწამივით ტანისა, თუ რუსთაველისა).

მაშ როგორია ამ მეტაფორის უმშარიტი აზრი? რის თქმა უნდოდა დიდ პოეტს ამ სტრიქონში? სხვა არაფერი გარდა იმისა რაც თქვა. „ვეფხისტყაოსნის“ წერის დროს იმდენი მელნის ვიხმარე, რომ გიშრის ტბა შექმნილობდა. ან აგრეთვე მითითებულია იმაზეც, თუ რამდენად ძვირფასია მისთვის ის, რასაც იგი წერს, რასაც აქებს და აღიდებს. შესაძლოა რუსთაველს მხედველობაში აქვს ის გარემოებაც, რომ პოემის ვასელებს მეტი ნაწილი თაღის ვაჭრებით არის დახატული. რაც შეეხება „ნაის“ ანუ ლერწამს რომელიც რუსთაველს კალმად უხმარია, ბატის ფრთის მაგივრად — ეს უკვე მისი პოემის მუსიკალურ მხარეზე, მის დამატებობელ მხარეზე ლაბრაკობს. რუსთაველს თავისი კალამი მუსიკალურ ინსტრუმენტთან — სალამურთან აქვს გაიგივებული (სალამური და საერთოდ ხმატკბილი სხვადასხვა ჩასაბერი საკრავი ხომ ლერწმისაგან ანუ „ნაისაგან“ ეთოდება).

აკადემიკოს ნ. მარს მოყავს საინტერესო ცნობა იმის შესახებ, რომ „ნაი на — i — სპარსული სიტყვაა და ლერწამს, სალამურს, ფლეიტას, სა-

ყვირს (труба) ნიშნავს.“¹⁵ იგი აქვე აღნიშნავს, რომ „ნა“ მუსიკალური ინსტრუმენტის ნიშნავს ნელობით ვეფხისტყაოსნის 178-ე სტროფშიც გვხვდება: „მოვშორდი ლხინსა ყველასა, ჩანგსა. ბარბითსა და ნასა“ (178). მაგრამ, ჩვენ არ დავეთანხმებით აკად. ნ. მარს იმაში, რომ „...в нашем полустииши (5,3,5-8) слово употреблено в значении тростника, образного символа тонкой гибкой талии“¹⁶.

ამ სტრიქონში არსაიდან არ ჩანს, რომ „ნა“ არის სახეობრივი სიმბოლო წვრილი და მოქნილი წელია, როგორც აკად. ნიკო მარი ფიქრობს.

პოეტი აქ თავის შემოქმედების რაობის შესახებ ამცნობს მკითხველს. ამიტომ უფრო მართებული იქნება ვიფიქროთ, რომ იგი თავის კალამს ადარებს რაიმე საკრავს და არა საკუთარ ანდა თამარ მეფის ტანს. პოეტური მუსის აღმნიშვნელად, ცნობილია, რომ ხშირად იხმარება ჩანგი, ჩონგური, სტვირი და სხვა.

ამრიგად, ტაეპი

„მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მე ნა რხეული“

უნდა შემდეგნაირად გვესმოდეს:

მელანს, რომლითაც დაიწერა „ვეფხისტყაოსანი“, რუსთაველი გიშრის ტბას ადარებს და ამით მიგვანიშნებს იმ დიდ შემოქმედებით შრომაზე, რომლის ვაწევეც მას მოუხდა, ხოლო კალამს ადარებს რა „ნაი რხეულს“ იმ ლექსების კეთილსმოგვანებაზე მიგვითითებს, რომლითაც დაწერილია ქება თამარ მეფისა — პოემა „ვეფხისტყაოსანი“.

ახლა გადავიდეთ მე-18 და მე-19 სტროფების შინაარსის გარკვევაზე. მაშ ავიღოთ მე-18 სტროფი და ვნახოთ რას წარმოადგენს იგი:

18. ხამს მელექსე ნაჰირებებსა მისსა ცუდად არ
აბრკობდეს,
ერთი უჩნდეს სამიჯნურო, ერთსა ვისმე
ამიკობდეს,
ყოვლსა მისთვის ხელოვნებდეს, მას აქებდეს,
მას ამკობდეს,
მისგან კიდე ნურა უნდა, მისთვის ვნა
მუსიკობდეს.

ამ სტროფში რუსთაველოლოგებს შორის ექვს იწვევდენ სიტყვები ნაჰირებები და აბრკობდეს. მათი სწორი განმარტება მოცემული აქვს პროფ.

¹⁵ Н. Марр, Вступ. и заключ. строфы Витязя в барсовой коже, 1910 г., стр. 26.

¹⁶ Н. Марр, Вступ. и заключ. строфы Витязя в барсовой коже, 1910 г.

ლინობრი ქუმსიზვილი
კვლავ პროლოგის ბაშო



ეუკ. ბერიძეს. იგი წერს: „ჩაშს მეღვექე, ნაკირებები მისსა ცუდად არ აბრკობდეს“, ე. ი. საპრობა, რომ პოეტი იმას, რაც კირით, ტანჯვით მოუპოვებია, რაც ნაკირებებია, ფუქად არ აბნევდეს, არ ფანტავდეს, არამედ: ერთი უჩნდეს სამიჯნურო, ერთსა ვისმე აშოკოდესსა.¹⁷

ასევე კარგად აქვს განმარტებული პროფესორ ვუკ. ბერიძის სიტყვა „ნები“, „ნები“ ვუკოლ ბერიძის განმარტებით ხელის გულია, რაც მე-9 სტროფში ნიშნავს დასტურის მიცემას. დადასტურებას, ნებართვას. ე. ი. თამარ მეფემ ნება დამართოს ჩემი ნაკირებები მას ვუძღვნათ.

მაშ, როგორ უნდა გვესმოდეს მე-18 სტროფი?

ჭერ ეს ერთი, ამ სტროფში რუსთაველი ზოგადად ლაპარაკობს, თუ როგორი უნდა იყოს პოეტი საერთოდ და რას უნდა ემსახურებოდეს იგი.

მე-19 სტროფში კი იგი პირადად თავის თავზე, როგორც პოეტზე ლაპარაკობს.

ამრიგად, მე-18 სტროფი ასე გამოიყურება: „საპრობა, აუცილებელია, რომ პოეტი, მეღვექე თავის შემოქმედების ნაყოფს ფუქად არ აბნევდეს, არ ფანტავდეს, არამედ ერთი საგანი ჰქონდეს თავისი ალტყინებული შთაგონებისა და ერთს რასმე ეტრფოდეს; მთელ თავისი ხელოვნებას მის სამსახურს უნდა ახმარდეს, მას აქებდეს, მას ამკობდეს და ამის მეტი მას არააფერი არ უნდა აინტერესებდეს, გარდა იმისა, რომ მთელი თავისი ხელოვნება მას შესწიროს“.

მე-19 სტროფი დამაგვირგვინებელი, შემაჯამებელი სტროფია, როგორც შინაარსის, ისე წინასიტყვაობაში მიჩენილი ადგილის მიხედვით. იგი მოთავსებულია იმ სტროფების შემდეგ, რომლებშიც რუსთაველი ლაპარაკობს პოეზიის და, კერძოდ, თავისი ეპიური პოემის საგანზე, თემაზე, იდეაზე, მიზანდასახულობაზე, გამოსახვით ზერხებზე, სინამდვილის ასახვის სხვადასხვა ფორმებზე ანუ ყანრებზე. მე-19 სტროფით შესავალში დასრულებულია საუბარი პოეზიის არსსა და რაობაზე და ამის შემდეგ რუსთაველი 12 სტროფს უძღვნის მიჯნურობის თეორიის დალაგებას. ამრიგად, მე-19 სტროფი ორად ყოფს „ვეფხისტყაოსნის“ შესავალს.

ახლა ვნახოთ, რა არის ნათქვამი ამ სტროფში:

ჩემი აწ სცანით ყოველმან, მას ვაქებ ვინცა,
 მიქია;
 ესე მიჩნს დიდად სახელად, არ თავი გამთქიქია!
 იგია ჩემი სიცოცხლი, უწყალო ვითა ჭიქია:
 მისი სახელი შეფარვით ქვემოზე მითქვამს,
 მიქია.

¹⁷ პროფ. ვუკ. ბერიძე, რუსთაველოლოგიური მტკიცებები, გვ. 115.

1) რა მიზანია სასახლოდ? თამარიძის მიხედვით დიდ სასახლო სექმედ მას მიზანია თამარის ქება, ანუ „ვეფხისტყაოსნის“ დაწერა.

2) ის, რაც უფ სასახლო სექმედ მიზანია, იგია აგრეთვე ჩემი სიცოცხლის მიზანი — სიცოცხლისა, რომელიც უწყალოა როგორც ჭიქი).

ამ სტროფის შინაარსი ასე უნდა გვესმოდეს: „ახლა კი ყველამ გაიგეთ, რომ მე ვაქებ იმას, ვინც მყავს შექმებული (თამარი) და სხვას არავინ: ეს მე მიზანია დიდ სასახლო სექმედ და არა თავის შერცხვენად. ეს არის ჩემი ცხოვრების, სიცოცხლის არსი, უწყალო ვითარცა ჭიქი. მისი, თამარის სახელი ქვემოდ, ვეფხისტყაოსანში შენიღბულად მაქვს მოხსენებული, შემკობილ და განდიდებული“.

პირველი დასკვნა, რომელიც ზემოდახსენებულ სტროფებიდან კეთდება. შეეხება ხელოვნების საგანს და კერძოდ, „ვეფხისტყაოსნის“ თემას...

შოთა რუსთაველი აცხადებს პოემის წინასიტყვაობაში, რომ ვეფხისტყაოსნის ქების საგანია თამარ მეფე („თამარს ვაქებდეთ მეფესა“) „ჩემი აწ სცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია“. რუსთაველი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ იგი აქებს არა თამარ მეფის, როგორც ქალის მშვენიერებას, მის წარბა და წაშაშაობა, არამედ მას აქებს, როგორც მეფეს, რომელსაც „ჰმორჩილობს ჭარი სპათა“. და, მართლაც, „ვეფხისტყაოსანი“ წარმოადგენს თამარის, როგორც მეფის ქებას, მისი მეფედ ყოფნის აუცილებლობის გამართლებას.

მეთორმეტე საუკუნის დამლევს და მეცამეტე საუკუნის დასაწყისში საქართველოში ყველაზე აქტუალურ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ საჭირობოტო პრობლემას წარმოადგენს ერთმართველობის გაძლიერების საკითხი. ცნობილია, რომ დიდებულების და მსხვილი ფეოდალების ბრძოლა ხელისუფლების ხელში ჩაგდებასათვის, სამეფო უფლებების შეზღუდვისათვის და მდამლუბველად მოქმედებდა საქართველოს მთლიანობაზე, ხალხის მთელ ცხოვრებაზე და ასუსტებდა სახელმწიფოს ძლიერებას. ამ ბრძოლაში გიორგი III და თამარ მეფის დროს გარკვეული ხასიათი მიიღო; თამარ მეფის, როგორც ქალის ტახტზე ყოფნის და მისი სამეფო უფლებების კითხვის ქვეშ დაყენების სახით.

ამრიგად, შოთა რუსთაველი, რომელმაც თავისი გენიალური ქმნილება მიუძღვნა ამ უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტას, სხვასაც მოუწოდებდა „ეჭით თამარი“, ჰქადაგებდა ხელოვნების სახელმწიფო ინტერესების სამსახურში ჩაყენებას.

აქედან კი კეთდება საკმაოდ ფართო განზოგადების დასკვნა იმის შესახებ, რომ ხელოვნების და, კერძოდ, პოეზიის მიზანია მნიშვნელოვანი სახელმწიფოს და ქვეყნისათვის საპრობა იდეების პროპაგანდა და განმტკიცება. ამრიგად, რუსთაველი პოეზიის მოქალაქობრივობას, პოეზი-

ის საქვეყნო ინტერესების სამსახურში ჩაყენებას ქადაგებდა და თანაც მთელი თავისი მხატვრული შემოქმედებით პრაქტიკულად ანხორციელებდა. აი, რაში ზედადგა რუსთაველი პოეზიის საგანსა და დანიშნულებას.

მაგრამ, რუსთაველი უფრო ფართო განზოგადებას აღწევს ხელოვნების და კერძოდ, პოეზიის დანიშნულების განსაზღვრაში. თამარ მეფის ქება, მისი სამეფო უფლებების დაცვა და განმტკიცება მას წარმოუდგენია, როგორც სიკეთის გამარჯვება ბოროტებაზე. სინათლისა — სინეულზე. ამაზე ნათლად მეტყველებს „ვეფხისტყაოსნის“ მთელი შინაარსი და ის ტრაგიზმით აღსავსე ბრძოლა, რომელიც სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვებით დაგვირგენდა ამიტომ არის, რომ შოთა რუსთაველი არა ერთგზის ხაზს უსვამს ბოროტზე კეთილის გამარჯვების ფაქტს.

მოვიტანოთ ეს სტროფები:

1361. ავთანდილ უთხრა: ნუ გეშის, ეგე ამბავი
 მრთელია,
 ლხინი მოგვეკა, მოგვშორდა ყოველი ჰირა
 ძნელია,
 მზე მოგვეახლა, უკუნი ჩვენთვის აღარა
 ბნელია
 ბოროტსა სძლია კეთილმან, — არსება
 მისი გრძელია.

ამასვე ლაპარაკობს ფატმანი ნესტანის ქაჯეთის ციხიდან გამოხსნის გამო:
 1435: „იტყვის: „ღმერთო, რა გამსახურო,
 განმინათლდა რადგან ბნელი!
 ვცან სიმოკლე ბოროტისა, კეთილია
 მისი გრძელი“.

ამასვე ამბობენ ერთობლივად ყველანი, მაშინ, როდესაც როსტევეან მეფე ჰირგადახდილ ძმადნაფიცებს მიეგება:

1509. მეფე შეჭდა, გაეგებნეს თავადნი და
 სრულად სპანი,
 ვისცა ესმის, მოვიდიან მას წინაშე
 სხვაგვით სხვანი.
 ყველაკაი ღმერთსა ჰმადლოს,
 გაამაღლე მთინი ხმანი,
 თქვეს: „ბოროტსა უმყოფოო, კეთილნია
 შენთვის მხანი!

ვეფხისტყაოსნის გმირების გამარჯვება, მათ მცერ მტრების დათრგუნვა, რუსთაველის მიხედვით სიკეთის ბოროტზე გამარჯვებაა, ხოლო თავის მხრივ, ტარიელის და ნესტანის მთელი ისტორია, ხომ თამარ მეფის ქებაა „სისხ-

ლისა ცრემლდათხეული“, მისი სამეფო უფლებების დაცვა და განმტკიცება.

ამრიგად, შოთა რუსთაველის აზრით, პოეზია უნდა ემსახურებოდეს ბოროტის დათრგუნვას, კეთილის დამკვიდრებას და გამარჯვებას.

ვეფხისტყაოსანის შესავალის მე-15 და მე-13 სტროფებიდან ზოგადი ხასიათის კიდევ ერთი პრინციპული დასკვნა კეთდება პოეზიის იდეურობისა და გამიზნულობის შესახებ.

შოთა რუსთაველი თვლის, რომ პოეტის შემოქმედება ერთი მთლიანი იდეით, ერთი მიზნისადმი სამსახურით უნდა იყოს განმსჭვალული, თუ პოეტი თავის იდეალს ხშირ-ხშირად განმოცდის და ხან ერთს უმღერებს, ხან მეორეს, მის ასეთ შემოქმედებას არავითარი ფასი არ ექნება. ამას შოთა რუსთაველი „შორი შორ“ უმსგავსო თქმას უწოდებს. ასეთ ნელექსეს არა აქვს უფლება თავის თავს კარგი პოეტი უწოდოს. იგივე აზრი ხაზგასმულია მე-13 სტროფის პირველ სტრიქონშიც: „ხამს მელექსე ნაჰირვებას მისსა ცუდად არ აბრკობდეს“. პოეტს უნდა ჰქონდეს ერთი გარკვეული იდეური ხაზი და მას არ უნდა ჰღალატობდეს. მისი შემოქმედების ნაყოფი ერთ რაიმე დიდ აზრს უნდა ემსახურებოდეს, მას არა აქვს უფლება ხან ერთი აზრი დაიკვას, ხან მეორე, ხან ერთი ობიექტი „შეაქოს“ ხან მეორე.

ამრიგად, რუსთაველი პოეზიაში იდეურ მთლიანობას, ურყევობას ქადაგებს, ამის გარეშე მას ჰეგემონიტი პოეზია ვერ წარმოუდგენია. ამრიგად, ხელოვნების, კერძოდ, პოეზიის მიზანსა და დანიშნულებას შოთა რუსთაველი დიდ-მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ საჭირობორიტო პრობლემის გადაწყვეტაში ზედებს. ასეთ ძირითად საჭირობორიტო პრობლემას ვეფხისტყაოსნის შექმნის დროს თამარ მეფის ტახტზე ყოფნის კანონზომიერების გამართლება, მისი სამეფო უფლებების დაცვა და განმტკიცება წარმოადგენდა.

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ამ დებულების მხატვრული განხორციელებაა.

შოთა რუსთაველის აზრით, პოეტი არ უნდა განიცდიდეს იდეურ მერყეობას. მხატვრის გატაცების, შემოქმედებითი მისწრაფების საგანა რაღაც ერთი განსაზღვრული რამ უნდა იყოს და ამ ერთისათვის სამსახურს უნდა შეუღობოს. გული, გონება და ხელოვნება, ერთი სიტყვით, როგორც ეხლა ვიტყვით, მტკიცე იდეურ პოზიციაზე უნდა იდგეს, არ უნდა იცვლიდეს თავის აზრს ამა თუ იმ მოვლენის შესახებ, არ უნდა ჰღალატობდეს ერთზე აღჩეულ თავის იდეალს. „ვეფხისტყაოსანი“ თავიდან ბოლომდე დაწერილია თამარ მეფის საქებრად და განსაღიდებლად, მის ხოტბას წარმოადგენს.



საბჭოთა

ღათო აგიაშვილი

მიხეილ მესხი გუშინ, ღვთს, სკალ

იყო შაშვი მგალობელი... ჩემი თაობის ფეხბურთის მოყვარულები მომსწრენი ვართ იმ 15-წლიანი ბატალიებისა, მიხეილ მესხმა რომ გვანახა და განგვაცდევინა მწვანე მინდორზე.

დღეს, როდესაც ბურთის მარცხენა ფრთაზე გადანაცვლებისას ქართველი გულშემატკივარი, ბურთის მიმღების თამაშში ცდილობს მიშასეული ხელწერის მცირედი დეტალი მაინც დაინახოს, როდესაც დუბლშემადგენლობაში ახლადგამოჩენილი თავდამსხმელის შემყურენი ჩვენდა უნებურად ვჩურჩულებთ: — იქნებ... გავიხსენოთ, როგორ „იწყებოდა“ მიხეილ მესხი.

მიშას მამა — შალვა და ბიძა — გიორგი მესხები ბურთის ტრფილნი გახლდნენ, მათ შეაყვარეს გვარის გამგრძელებელს ფეხბურთი. ნაძალადეგში გაზრდილ ბიჭს სპორტის სხვა სახეებიც იტაცებდა. კლასიკურ ჭიდაობაში სცადა ბედი და მოკლე ხანში წარმატებებსაც მიაღწია. ზოგი ამბობს, ჭიდაობას თავი ტრავმის გამო დაანებაო. ფეხბურთში მიშას შეჩერებას ბევრჯერ არასპორტული გზით ცდილობდნენ, ბევრჯერ დაშვებულა კიდევ, მაგრამ ფეხბურთის ღალატი არც კი უფიქრია. ერთია ვატაცება და სხვაა ცხოვრების მიზანი. მიხეილ მესხი, მართლაც ფეხბურთს არის შეწირული. მას არ წარმოუდგენია უბურთოდ არც ერთი დღე.

...მიშა დიდი ფეხბურთისათვის ემზადებოდა. ოცდამეოთხეულეტი სკოლა...

აქ ხვდება მრავალ მესხი მწვრთნელ ჯონდო შავდიას. მიუხედავად ასაკობრივი განსხვავებისა, ჯონდოს იგი უფროსთა პირველ გუნდში გადაყავს.

1954 წელი. მოსკოვი. „დინამოს“ სტადიონზე ერთმანეთს ხვდებიან ჩვენი ქვეყნის ფეხბურთელთა სკოლები. ქართველი ფეხბურთელები თასს და პირველ ადგილს იღებენ. თბილისელთა მე-11 ნომერი შეამჩნიეს და შეიყვარეს ფეხბურთის სპეციალისტებმა, ამ დროს მისი პარტნიორები არიან: შ. იამანიძე, ს. კოტრიკაძე, ა. ხელაძე, ა. ჩიჩუა და სხვები; მწვრთნელი კი — სპორტის დამსახურებული ოსტატი არჩილ კიკნაძე. სწორედ ამ პერიოდს ეკუთვნის იმ დოკუმენტის დაბადება, რომელსაც ხელს აწერს მხატვარ-გულშემატკივართა ერთი ჯგუფი და, რომელიც უწინასწარმეტყველებს მიშა მესხს მსოფლიოს № 1 გარემარობას. გავა დრო და მიშა მესხი დაწერს: — „სპორტული ბედისგან განუბიერებელი არასოდეს ვყოფილვარ. თუ რამე შევძელი, ეს ყოველდღიური დაძაბული შრომის, ბრძოლის შედეგია. ფეხბურთი 25 წელი ვითამაშე და ახლა იმ წლებს ვიგონებ დიდი სიყვარულით, როცა ჩემი უბნის ბიჭებთან ერთად დავდევი ბურთს. ეს ფეხბურთი ხალასი ფეხბურთი იყო.“

სპორტული კარიერის დასაწყისში მესხს მწვრთნელებში ბედი წყალობს... — „მაგრამ ყველაზე უფრო საყვარელი და საუკეთესო, რასაკვირველია, ანდრო ყორღანია არის“, — წერდა მიშა.

შეიძლება ითქვას, რომ იზადებიან ნიჭური თაობები; ასეთები იყვნენ 1937 წელს დაბადებული ფეხბურთელები, მაგრამ ანდრო ყორღანია, რომ არა, ბევრი მათგანი ვერ ითამაშებდა იმ დიდ ფეხბურთს, ასე შორს რომ გაუთქვა იმდროინდელ თბილისის „დინამოს“ სახელი.

1955 წლის 10 აპრილს „დინამოს“ სათადარიგო შემადგენლობაში მესხი პირველ თამაშს



ატარებს ლენინგრადის „წინაღმდეგ-ამავე წელს ორჯერ იცვამს ძირითადი შემადგენლობის მაისურს: კიევიში და თბილისში — მოსკოვის „სპარტაკის“ წინააღმდეგ. ამ მატჩს მიშა აღმავლობით ატარებს. „სოვეტსკი სპორტი“ წერს: „განსაკუთრებით გამოირჩეოდა ახალგაზრდა მარცხენა გარემარბი მესხი“.

1956 წელი. „დინამო“ თბილისი — „ატლეტიკო პორტუგეზა“, რიო-დე-ჟანეირო: 2:2 ორივე გოლის თანავეტორი მიშაა. მარჯვენა ფრთაზე თამაშობდა ავთანდილ ჭკუასელი. თამაშის დამთავრების შემდეგ სტუმრებმა განაცხადეს: „ასეთი ფრთებით ბრაზილიის ნაკრები 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ეიულ რიშის თასის მფლობელი გახდებოდაო. ვახსენეთ, განვიცდიდა თუ არა მამინდელი ბრაზილიის ნაკრები ვარსკვლავთა სიმეირს.“

1956 წელსვე ხედება თეირანისა და ეთიოპიის გუნდებს, მიემგზავრება ბულგარეთში, სადაც აქუშაევს იმ ილუთს, დღეს რომ „მესხას ფიტლ“ არის მონათლული.

1958 წელს ორმაგი სიხარულის წელია, — სპორტის ოსტატის წოდება და საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრობა.

1959 წლის ათ ივნისს, საბჭოთა კავშირის პირველ და ოლიმპიურ ნაკრებთა მატჩში მიშამ თავი ისახელა. ამ მატჩმა გადაწყვიტა, თუ ვის ეყუთვნოდა ნაკრების მარცხენა გარემარბობა.

მიშას დებიუტი ნაკრებში საზღვარგარეთის გუნდთან 6 სექტემბერს: ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთან 3:1. მატჩის გმირია მიხეილ მესხი. თამაშის შემდეგ მათურებლები დიხანს უცდიდნენ მას ქუჩაში და გამოჩენისთანავე ხელში აიტაცეს. „სოვეტსკი სპორტი“ მიშას ამ მატჩის საუკეთესო თავდამსხმელს უწოდებდა. 27 სექტემბერი, ბუდაპეშტი: უნგრეთის ნაკრებთან მატჩშიც მიშამ თავი ისახელა.

„მიშა მესხი“ მიემგზავრება საფრანგეთს. „დინამოს“ „საბჭოეთის ბრაზილიელებს“ უწოდებენ გაზეთები. „პარკ დე პრენსის“ სტადიონი კი ერთხმად გულუხვნებს „ვივა მესხი!“.

ამავე წელს მიშა ბრწყინვალედ თამაშობს „შეფილდ უენდსის“ წინააღმდეგ. ერთადერთი ბურთიც მას გააქვს.

1960 წლის მაისში საბჭოთა კავშირის ნაკრები მოსკოვში იმარჯვებს პოლონეთის ნაკრებზე — 7:1. მატჩს ესწრება ევროპის თასის გათამაშებაში სსრ კავშირის ნაკრების მთავალი მოწინააღმდეგის, ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი, ცნობილი ელენიო ერერა. იგი ამბობს: „პირველი ტაიმი შოიგო მეტრეველმა, მეორე კი — მესხმა“. მარცხელში ჩეხოსლოვაკიის და საბჭოთა კავშირის ნაკრებთა თამაშის შემდეგ ჩებთა მწვრთნელმა რუდოლფ ვიტლანჩილმა თქვა „მიხეილ მესხი ყველაზე საშიში ფეხბურთელია. იგი მეტოქის რისხვააო“. ოთხმა დღემ მალე გაიარა, პარიზი. ცნობილი მატჩი: იუგოს-

ლავიისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები ვარსკვლავი ევროპის თასისათვის ერკინებოდნენ ერთმანეთს, 90 წუთი დამთავრდა, ანგარიშია 1:1. დანიშნა დამატებითი დრო. ასმეთერთმეტე წუთზე მიშას მოწოდებულ ბურთს ვ. პონდელნიკი თავით აგზავნის მეტოქის ბაღში.

თბილისი ელადებოდა გამარჯვებულ სპორტსმენს.

იმავე წელს თბილისის „დინამო“ ტურნეს მართავს ინგლისში. „ვულვერჰემპტონ უონდერერსთან“ თამაშის შემდეგ „დეილი ჰერალდი“ წერდა: „გუნდის კაპიტანს, მარჯვენა დამცველ ელი სტუარტს 90 წუთიანი კომპარის გადატანა მოუხდა იმის გამო, რომ იგი ელვასავით სწრაფი მესხის წინააღმდეგ თამაშობდა. სწორედ მან ჩაჰკიდა ბურთი მეთორმეტე წუთზე, რომელიც უძლიერესი დარტყმით გაიტანა მარცხენა ინსაიდმა ლოლობერიძემ“.

თბილისში ჩამოდის ბრაზილიის თასის მფლობელი „ბაიას“. ეს მატჩი კარგად ახსოვთ თბილისელ გულშემატკივრებს, მე მხოლოდ სტუმართა რამდენიმე გამონათქვამს გავასხენებთ: „ბაიას“ კლუბის პრეზიდენტი ოზორიო ვილასობასი: „არ შემიძლია გვერდი ავუარო ასეთ მოთამაშეს, როგორიცაა მიხეილ მესხი; იმ დიდ ანგარიშში, რომლითაც ჩვენ წავევთ თბილისელებთან, მესხი უფრო დამნაშავეა, ვიდრე „ბაიას“ მთელი დაცვის ხაზი“.

„ბაიას“ მწვრთნელი კ. ვოლანტი — „თბილისელთა მარცხენა გარემარბი უდავოდ საერთაშორისო კლასის ფეხბურთელია და შეიძლება თამაშად დაეყენოთ ბრაზილიის საუკეთესო თავდამსხმელთა გვერდით“. „ბაიას“ კაპიტანი ემანუელ ბრიგალი: „—მესხი ბურთის ნამდვილი ვირტუოზია და მანერით მოგვაგონებს ჩვენს ვარინჩას, მაგრამ იმისგან განსხვავებით, მესხი ფლობს დიდ ტაქტიკურ აზროვნებას“.

1961 წელს შედგა მატჩი, რომელსაც აუღელვებლად დღესაც ვერ იგონებს მრავალბრძოლაგადატანილი მიხეილ მესხი.

საბჭოთა კავშირის ნაკრები საშხრეთ ამერიკას ეწვია. პირველი თამაში არგენტინის ნაკრებთან ჰქონდათ 18 ოქტომბერს. როდესაც ბუენოს-აირსელმა გულშემატკივარმა წაიკითხა ორი უპოპულარულესი ფეხბურთელის პროგნოზი, იგი გულდამშვიდებული წავიდა „რივერ პლეიტის“ სტადიონზე.

ალიარებულ ფორვარდ სან ფილიპოს ნავარაუდევ 4:1-ს დამცველი სიმეონე არ ეთანხმებოდა. მას არ წარმოედგინა, რომ დაცვის ხაზი ბურთს გაუშვებდა და 4:0-ს წინასწარმეტყველებდა.

დიწყუო თამაში: სან ფილიპო ცდილობს შეასრულოს დანაპირები და რამდენიმე საშიშ

ღათო აბიჯუვილი

მიხეილ მისხი ბუშინ, დღეს, ხვალ



წუთს განაცდევინებს საბჭოთა ნაკრების დაცვას.

ბურთს იღებს მიშა, მის შეჩერებას ვერ ახერხებს სიმონე და მისი სურვე ეკიდება. ეს ის სიმონეა, არგენტინაში რომ „დამცველი პე-ლუს განხრით“ დაარქვეს, მიშას ჩაწოდებულ საგარეო ვიქტორ პონედელნიკი კარისაყენ აგზავნის — 1:0. საბჭოთა ნაკრებმა ეს თამაში მოიგო ანგარიშით 2:1. ეს იყო ევროპის გუნდის პირველი გამარჯვება ბუენოს-აირესში. გულშემატკივართა შეჩერება ვერ შეძლო პოლიციამ. მიშას მთელი თავისი არსენალის გამოყენება დასჭირდა, ალტაცებულად და გოგონებულ მასურებლებიდან თავის დასაღწევად.

ამ მატჩის სამახსოვრო ეტრონს მიშა არც ახლა იშორებს, ზშირად ათამაშებს ხელში და სევდანარები ღიმილით დასცქერის.

იმ წლის 19 ნოემბერს კი ბუენოს-აირესში ვაზეთი და ყურნალი არ ღარჩენილა, ამ თამაშს, რომ არ გამომხატურებოდა, მესხს ერთხმად შეარქვეს „ქართული გარინჩა“.

ყურნალი „გოლესი“; ჩვენ გვეუბნებოდნენ მესხზე, ის მხოლოდ სწრაფიაო. ამ აზრს სანახევროდ უნდა დავთანხმდეთ, მისი სიძლიერე მხოლოდ სისწრაფეში რომ იყოს, სიმონე ადვილად აღუღებდა ალიოს, მაგრამ მისი ვირტუოზობა სწორედ აქ გამომჟღავნდა, მან კვიციანა არნახული, ლამაზი, ძლიერი და დახვეწილი ტექნიკა. ჩვენი დამარცხების მიზეზიც სწორედ ეს იყო“.

არგენტინის პრესის ფურცლებზე გამოჩნდა ცნობა: 50 მილიონი არგენტინული პესო, — აი ის თანხა, რითაც შეიძლება შეფასდეს მესხის თამაში. მეორე ვაზეთი 1 მილიონ ამერიკულ დოლარად აფასებდა ქართველ სპორტსმენს.

როდესაც მიშა მესხს ხუმრობით ამ თანხაზე ჩამოუდგებ ლაპარაკს, იგი სრული სერიოზულობით ამტკიცებს, რომ ყოველთვის მზად იყო ყოველგვარი ანაზღაურების გაიწვევით თამაშა ფეხბურთი, რადგან უფეხბურთოდ მისი სიცოცხლე არარაობად იქცევა.

62 წლის პირველობა ჩათავდა თუ არა, ჩილის ვაზეთ „ლიტერატურა დე ლა ორასი“ მსოფლიოს იდეალური ნაკრების სია გამოქვეყნდა. თავდასხმაში გარინჩასთან, ზეილერსა და პელესთან ერთად მესხიც იყო დასახლებული. ჩეხოსლოვაკიის ყურნალ „კოპანაში“ გამართულ კონკურსზე მიშამ ორჯერ მეტი ხმით გამარჯვა ესპანელ პენტოზე. გაბრიელ ანომ თქვა: „მესხი დიდი მომავლის, ვირტუოზი ფეხბურთელია“. ეს მსოფლიო აღიარება იყო.

1963 წელი მიშას ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მოგონებით ახსოვს. პირველი იყო მიწვევა მსოფლიო ნაკრებში ინგლისის ნაკრებთან სათამაშოდ და მეორე, მისდაუეითხავედ უარის

თქმა ლონდონში ვაგზავნაზე. ამ ღარინჩაში მესხს ზოგი ვაზეთის მიმომხილველმა დასცხმეს რიტის ბიუროკრატები“ დაარქვა, ზოგმა გრძობებს აყოლოდ უვცილებად ჩათვალა. ფაქტი კი ფაქტად რჩება: რამდენი სასიამოვნო, წლებს-გატოლებული წუთი დაკარგა ფეხბურთის გულშემატკივარმა ამ უარით და რამდენი მძიმე წუთი გადაატანინა ფეხბურთელს. ამ პერიოდზე წერდა ანდრო ყორღანი: „ჩანს, მესხის „ვაცილება“ ადრე დაიწყო“.

უმუხთლეს და არ გატყდა, უფრო ვაჭიქდა და 1964 წელს ისეთი ცეცხლი დაანთო მწვანე მოედანზე, ყოველი თამაშის შემდეგ ანთებულ ჩირადნიანი გულშემატკივრები მის სახელს ვაჭყვიროდნენ. ის ცეცხლი ყველაზე ძლიერად ტაშვენტში ავიზიზდა, მისი ელვარე ნაპერწკალი თბილისსაც გადმოწვდა იმავე დღეს და მთელი ქალაქის ქუჩებს მოედო. იწერებოდა ლამარები სტატია, სიმღერა, ლექსი, იხატებოდა მეგობრული შარტები. მათ „ოქროს ბიჭები“ უწოდეს და სადღეგრძელო ყველა ოჯახში ისმებოდა. კიროვის ბაღის გულშემატკივრებმა კი ოპერისაში გადმოინაცვლეს და კვლავ გათენებამდე გრძელდებოდა დავა-კამათი.

ღრო კი ვიდოდა. არაფერი არ არის მუდმივი, და იცვლებოდნენ პარტნიორები, მწვრთნელები, მოწინააღმდეგეები.

ახლა კი თვით მესხის მიერ დაწერილ განცხადებას ვავეცნობ: „ვინაიდან ჩემი თამაშის დონე არ აკმაყოფილებს გუნდის ხელმძღვანელობას და აღარ მაყენებენ ძირითად შემადგენლობაში, გთხოვთ გამანთავისუფლოთ“. გუნდის ხელმძღვანელობამ დააკმაყოფილა ეს თხოვნა, აი, რატომ ივინებდა მიშა უზნის ბიჭებთან ნათამაშვე ხალას ფეხბურთს.

ყოველი ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის ვერაფერი სტიმულია, თუ იფიქრებს: 32 წლის ასაკში, გინდაც მესხი ვიყო, გუნდის ხელმძღვანელობა „დააკმაყოფილებს“ ჩემს „თხოვნას“.

მიხელო მესხი ნადრევედ დაემშვიდობა მწვანე საბიელს, როგორც ფეხბურთელი. დაიწერა ბევრი სტატია, თბილი, სიყვარულით აღსავსე სიტყვები, აი მათი სათაურები:

„გულითადი სამადლობელი“.
„მშვიდობით, მოთამაშვე, გამარჯობა, მწვრთნელი“.

„დიდოსტატი ეთხოვება მინდორს“.
„წარმატებით თამაშობდა მიხელო მესხი“.

ყველაზე გულშიჩამწვდომი კი მაინც ურუგაველთა მეკარის მანგას სიტყვები იყო: — „მიხელო მესხი თქვენ გააცილეთ, როგორც დიდი სიკაშკაშის ვარსკვლავი. ასეთებს ჩვენს ქვეყანაში დიდხანს არ ელევინა“.

სოფელ დილოში მიშას მარნის ქვაზე ამოტვიფრულია: „იყო შაშვი მგალობელი“.

„საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის სახ. კომიტეტის გადაწყვეტილებით მ. მესხი დანიშნულია ნორჩ ფეხბურთელთა სპეციალიზირებული სკოლის ხელმძღვანელად“.

მშენი ჩაბატული, წელგაზნეპილი ავაზის თავზე ბურთია მოთავსებული. ემბლემა ფინლრ სახლში კიდა. სახლის გვერდზე ერთი მოედანია. ამ მოედანზე ორასი ბავშვი იწვრთნება. არა, მარტოოდენ კი არ იწვრთნება, — იზრდება, ვაჟკაცდება, კაცდება, სწავლობს ავისა და კარგის გარჩევას, მწუხარების გადატანას, ტკივილის დაძლევის; მკითხველი იკითხავს: ბევრი ხომ არ არის ამ პატარა მოედნისთვისო. არა, იმიტომ, რომ მ. მესხი, გ. რამიშვილი, დ. ხუნდაძე და მ. მინაევი სათანადო ყურადღებას აქცევენ მათ. მოკლე ხანში კი ბავშვთა რიცხვი 800-ს მიაღწევს. მაშინ ერთი მოედანი ვერ დააკმაყოფილებს მათ. ასაშენებელია საშხაპეები. მთელი ბაზა კეთილმოსაწყობია. ენთუზიაზმი დიდია, მაგრამ მხოლოდ იგი არ კმარა, თუ ზემდგომი ინსტანციები დახმარებას არ გაუწევენ მწვრთნელებს.

ბაზის გვერდზე სკოლაა. მიშას სურვილია, იგი გახანგრძლივებულად გადაკეთდეს თბილისელებისათვის, რომლებიც იქ ერთად, დღეში ერთხელ ისადილებენ. ჩამოსული სპორტსმენებისათვის კი 80-ადგილიანი ინტერნატიც საკმარისი იქნება.

მიშას ყურადღებას გრძნობს ორასივე ბავშვი, მწვრთნელები იცნობენ მათ შობლებს, იციან მათი ოჯახური ამბებიც კი.

ქართველ სპორტსმენთა დიდი ნაწილი, ანე-

ბებს თუ არა სპორტს თავს, ვაჭრობის მუშაობაზე გადადის. მიხეილ მესხი ინჟინერ-ეკონომისტი და დიპლომით ბურთის დაუბრუნდა. არა, იგი არ დამდგარა უფროსთა საკლებო გუნდის მწვრთნელად, რადგან კარგად ახსოვს ანდრო ჟურდანიას სიტყვები: როგორც ყველა მსახიობი რეჟისორად ვერ ივარგებს, ისე ფეხბურთელი მწვრთნელი ვერ იქნება, გამოცდილების გარეშეო.

— თქვენი ოცნება?


— ვიყო იმ გუნდის მწვრთნელი, რომელშიაც ითამაშებენ 1959-61 წ.წ. დაბადებული ბიჭები. ეს სულ 5-6 წლის მერე მოხდება, მანამდე ერთად გავიზრდებით მე — მწვრთნელი, ისინი — ფეხბურთელები.


როცა ბაიზრდება

მე არ ვიცი, რომელს ველაპარაკებ: ვაჟა არქანიას, ვაჟა ჟვანიას, ვია ომიასეს თუ მიშა მესხს. შეიძლება ოთხივეს, ან თქვენს ორასივე მეგობარს. შეიძლება, რომ თქვენგან ყველა ფეხბურთელი, და ისიც კარგი. ვერ გამოვიდეს, მაგრამ თქვენ იქნებით კარგი მოქალაქეები. ეს პირველი ვალდებულებაა, რომელსაც მიშა მასწავლებელი გიყენებთ. თქვენგან ერთი მაინც თუ დაემსგავსა მიხეილ მესხს თამაშის მანერით, ტექნიკური არსენალით და გამჭრიახობით, მაშინ ტყუილად არ ჩაუვლია მიშას წვალებას, თავის ხელით რომ კიდდება ალაყაფის კარებს, წინააღმდეგ ვიღაც არაკაცის მიერ ჩამტვრეულ შუშას რომ სვამდა.

ხუთი წელი მალე გაივლიდა. თქვენთან ერთად ხუთ წელს ქართველი გულშემატკივარიც მოითმენს. მერე კი...

თორემ მოგვენატრა „ვივა მესხის“ გაგონება. ჩირაღდნების ანთება მოგვენატრა..





პენსიონ

ბელგია

საბჭოთა ფილმების
წარმართვა

შარშან, წლის დამლევს, ბელგიის დედაქალაქში — ბრიუსელში, ჩატარდა საბჭოთა ფილმების კვირეული. პრესა აღფრთოვანებით გამოხმობაურა ამ მოვლენას.

აი, უფრონაღ „კლე პურ ლე სპექტაკლის“ შეფასებანი: ა. მიხალკოვ-კონჩალოვსკის ფილმი „ძაა ვანია“ — „წარმატოვ, კეთილადმისაღები და წარმოუდგენელი აქტიორული შესრულებით, სადაც ტონს სმოკტუნოვსკი და ბონდარჩუკი იძლევიან“. „ანდრე რუბლიოვი“ — „ა. ტარკოვსკის შედევრი“. „მეფე ლირი“ — „შექსპირის საოცრად ორიგინალური და ახლებური გაგება“.

მოწონება დაიმსახურა აგრეთვე რ. ტიხომიროვის „თავადმა იგორმა“ და ვ. მოტილის „უდაბნოს თეთრმა მზემ“.

გ დ რ

პაინეს სახელწოდების
პრემიები

პაინეს სახელობის პრემიის ლაურეატობა მიენიჭათ პოეტ სტეფან პერმლინს — „გერმანული ლიტერატურის განვითარებასათვის“ და ჰანს კაუფმანს — „ლიტერატურული პუბლიცისტიკისათვის“.

„პერმლინის ლირიკა, — აღნიშნავს ყოველკვირეუ-

ლი „ზონტაგი“, — შვიდროდაა დაკავშირებული პაინეს ტრადიციებთან. იგი დიდი პოეტის ლირიკას სტილით, ენით, აზრის სიღრმითა და პოეტური ძალით. ენათესავება, ხოლო მეორე ლაურეატი — პროფესორი კაუფმანი, პაინეს შემოქმედების ერთ-ერთ დიდ მცოდნეთაგანია გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, მის შრომებს მთელი მსოფლიო იცნობს“.

კულტურის სამინისტროს მიერ მოწუბილ ზეიმზე გულთბილი მისასაღმებელი სიტყვა წარმოსთქვა პაინც კნობლოხმა. დამსწრე პოეტებმა, მწერლებმა და კულტურის მოღვაწეებმა წაითხეს ნაწყვეტები პაინეს ნაწარმოებებიდან, აგრეთვე დიდი პოეტისადმი მიძღვნილი ლექსები.

იტალია

კინორემისორი,
მწარალი, კუბლიცისტი

პიერ პაოლო პაზოლინიმ უკანასკნელ წლებში მთელი თავისი შემოქმედება კინორეჟისურას მიუძღვნა, ახლახან კი მან გამოცა რჩეულ იტალიურ სიმღერათა დიდი ორტომეული. პაზოლინიმ შეარჩია და კომენტარები დაურთო მრავალ ხალხურ ლექსს, რომელიც იტალიის სხვადასხვა კუთხეში შექმნილა. პაზოლინიმ დაამტკიცა, რომ იგი არა მარტო პოეტია და

რომანისტი, არამედ კინოსცენარისტიც, კინორეჟისორიცა და სწავლული ფილოლოგიც.

პაზოლინის მიერ შედგენილი „იტალიური სიმღერების“ გამოცემა ადასტურებს საზოგადოებრიობის ფართო ინტერესს ხალხური პოეზიისა და სიმღერისადმი, სწრაფვას პოეზიისა და მუსიკის დემოკრატიზაციისაკენ.

პოლონეთი

მძღვნება საბჭოთა
ლიტერატურას

უფრონაღ „ლიტერატურა ნა სვეტის“ 1972 წლის მე-12 ნომერი მთლიანად საბჭოთა ლიტერატურას მიძღვნა. ნომერი იხსნება ნიკოლოზ ტიხონოვის წერილით — „მრავალეროვანი ხალხის ლიტერატურა“.

უფრონალი აქვეყნებს სხვადასხვა თაობის მწერალთა ნაწარმოებებს, მრავალი მწერალი ადრეც ცნობილი იყო პოლონელებისათვის, ბევრს მკითხველი პირველად გაეცნობა.

ნომერში წარმოდგენილ მწერალთა და პოეტებს შორის ვხვდებით: ვლადიმერ შაიკოვსკის, იური ტინიაოვს, ნიკოლოზ ზაბოლოცკის, სემიონ კირსანოვს, კონსტანტინე სიმონოვს, ნიკოლოზ გრიბაჩევს, დმიტრო პავლიჩკოს, მიხეილ ქვიცივიტს, გენადი აივის.

რენე სლივოვსკის წე-



რილში ვრცელადაა გარჩეული საბჭოთა პროზა, ამასთან ერთად აქ ლაპარაკია იმ მრავალმხრივ მოღვაწეობაზე, რასაც ეწევა შურნალი „ვოპროსი ლიტერატური“.

ზიგმუნდ სტობერსკის წერილი — „მიცევინი ლიტერაში“, გვიდასტურებს დიდი პოლონელი პოეტის შემოქმედების გავლენას ლიტერატურული ლიტერატურაზე, ხოლო რიშარდ პოტროვსკი მკითხველს ესაუბრება ჩინგო აიტმატოვის შემოქმედების შესახებ.

შურნალის ეს ნომერი ადასტურებს პოლონეთის ლიტერატურული საზოგადოებრიობისა და პოლონელი მკითხველის ფართო ინტერესს საბჭოთა ლიტერატურისადმი.

საზრუნავთი

1972 წლის ლიტერატურული პრემიები

როგორც ყოველთვის ლიტერატურული პრემიების მინიჭება ამჯერადაც წლის დამლევს მოხდა. ყველაზე მნიშვნელოვანი — გონკურის პრემია, მიენიჭა უან კარიერს რომანისათვის — „შიოელი არწივი“.

უან კარიერი 40 წლისაა. იგი სევენში — ცენტრალური საფრანგეთის მთიანეთში ცხოვრობს. უან კარიერის პირველი რომანი 1968 წელს დაიბეჭდა და ფრანგული აკადემიის პრემია მიიღო. რომანში — „შიოელი არწივი“ ვეცნობით მთიან მხარეს — სევენს.

უხალხო მთები, ზამთრის ქარბუქები, ზაფხულის აუტანელი სიცხე — რომანის ისეთივე პერსონაჟებია, როგორც პატარა სოფლის — მაიოს მცხოვრებნი.

სოფლის მოსახლეობა დღითიდღე მცირდება, მოხუცები იხოვებიან, ახალგაზრდობა ქალაქს ეტანება, რჩება მხოლოდ კარ-ფანჯრებ-ამოგანაწილი ცარიელი სახლები.

რომანში მოთხრობილი ერთ ოჯახზე — მამაზე, დედასა და მათ ორ ვაჟზე. შვილზე, დედ-მამა ბუნებასთან ბრძოლას მიჩვეული ადამიანები არიან. უმცროსი ვაჟიშვილი — ჟოზეფი, ავადმყოფი, სუსტი ახალგაზრდა, ქალაქს მიემგზავრება. იგი მიიწიდა იმ ზილი-პიპილოებმა და კომფორტმა, რაც „ღვთის ანაბარა“ დარჩენილი სოფლისათვის მიუწვდომელია. ჟოზეფი სამუდამოდ შეეხიზნა ქალაქს. უფროსი ძმა — ბენედი, ჟოზეფის საპირისპირო პიროვნებაა, მას ფანატიურად უყვარს სოფელი. ახელს ერთი მანია სჭარს — ცაში არწივს რომ დაინახავს, უმაღლვე თოფს ესვრის, თუმცა იცის, რომ ფრინველს ვერაფერს დააკლებს, რადგან იგი დიდ სიმაღლეზე ფრინავს. ეს მიუწვდომელი არწივი სიმბოლოა აბელის ტრაგიკული ბედისა. დედ-მამა მიიცვალა, ჟოზეფი სამუდამოდ გაემგზავრა, სოფელს სხვა მცხოვრებნიც სტოვებენ. ბოლოს აბელი ცოლმაც მიატოვა. იგი მარტოდმარტო ცხოვრობს, იბრძვის არსებობისათვის, მერე კი ეს მარტოსული ჭკუაზე ირყევა და კვდება.

კრიტიკები აღნიშნავენ მწერლის მაღალ ოსტატობას. ერეკ ბაზენმა, როჟელმაც ხმა მისცა უან კარიერის რომანს, შურნალის ტექსტს განუცხადა: „ნაწარმოები ძალზე აქტუალურია, იგი ავვისახავს, მთებში, საოცრად რთულ ვითარებაში მცხოვრებ ადამიანებს, რომლებიც ცდილობენ გამოაცოცხლონ დაღუპვის

პირამდე მისული მიწათმოქმედება“. გონკურის აკადემიის მეორე წევრის — როზერ საბატის აზრით ავტორის შეიძლება ბრალად მხოლოდ ის დავდოთ, რომ მის მიერ შექმნილი სურათები ძალზე ტრაგიკულია... რომანის ენა კი მთის მცხოვრებთა მეტყველების ყველა თავისებურებას გადმოგვცემს.

რენადოს პრემია რომანისათვის — „ამერიკული დამე“, მიენიჭა ჭრისტოფერ ფრანკს.

ჭრისტოფერ ფრანკი 30 წლისაა. ეროვნებით იგი რანგლისელია, კარგა ხანია, რაც საფრანგეთში ცხოვრობს და ფოტოკორესპონდენტად მუშაობს. მწერლის ორი პიესა პარიზში დაიდგა, ხოლო პირველ რომანს — „სიკვდილიანი ქალს“, 1968 წელს „გერმისს“ პრემია მიენიჭა.

„ამერიკული დამე“ მწერლის მეორე რომანია. ნაწარმოები ნაწილობრივ ავტობიოგრაფიულია: ფოტორეპორტიორი იბრძვის თავის პიესის დასადგმელად, მერე კი შეუწყარვებდა ნთავარი როლის შემსრულებელი ქალი. რომანში სახელწოდება თეატრისა და დათაინური კვარტლის არტისტული ფენის საყარო.

„ფემინას“ პრემია როჟე გრენიე მიენიჭა წიგნისათვის „კინორომანი“.

როჟე გრენიე 1919 წელს დაიბადა, მონაწილეობდა პარიზის გათავისუფლებაში, ომის შემდეგ კი ეწეოდა შურნალისტურ და ლიტერატურულ მოღვაწეობას, აშუამდ გალემარის გამომცემლობის ლიტერატურული დირექტორია. როჟე გრენიე სახელგანთქმული მწერალია, მრავალი რომანისა და ნოველის ავტორი.

„კინორომანი“ თხრობა პირველი პირით მიმდინარეობს, გმირი იგონებს ბავ-

შეზობასა და სიჭაბუკეს. ოც-დაათიანი წლები. სამხრეთ-აღმოსავლეთ საფრანგეთის პატარა ქალაქი. წვრილი კომერსანტის ლორენის ოჯახი არსებობისათვის იბრძვის. ლორენებმა შეიძინეს პატარა კინოთეატრი „მეჯეკ პელისი“, რომელიც შესყიდვისთანავე არ იძლეოდა არავითარ მოგებას.

„კინორომანის“ მთავარი გმირი, ფრანსუა კორანი — 16 წლისაა. იგი ვახდა კინოს მოყვარული და მცოდნე. ვერც ცარიელი სალა-რო, ვერც ნახევრადმათხოვრული არსებობის სიმწარე, ვერ ახშობს ხელოვნებით

მინიჭებულ სიხარულს. მაგრამ ფრანსუა მარტო კინოფილმებს როდი უყურებს, იგი 30-იანი წლების რეალურ ცხოვრებასაც შეიცნობს. და ხვდება, რომ „მუსიკალური კომედიის მიღმა იჩქმალება სხვა სიუჟეტი — უმუშევრობა და კრიზისი“.

კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ კვლავ გამოჩნდა როყე გრენიესათვის დამახასიათებელი ასახვის რბილი მანერა, ყოველგვარი გარეგნული ეფექტების გარეშე გადმოცემულია ყმაწვილის შინაგანი სამყარო, ყმაწვილისა, რომელსაც ბეყოი

რამ აჯადოებს, აფრთხობს.

„მედიის“ პრემია რომანისათვის „აღსარება ვარსკვლავებს“ მიენიჭა შორის კლაველს.

შორის კლაველი 1921 წელს დაიბადა. იგი წინააღმდეგობის მონაწილეა. ომის შემდეგ მოღვაწეობდა მემარცხენე ბურჟუაზიულ პრესაში („კომპა“, „ნუველ ობსერვატორი“), რადიო-ტელევიზიაში, ცნობილია როგორც მწერალი, და ლიტერატურული კრიტიკოსი.

რომანში ასახულია უიმედო სიყვარულის ფსიქოლოგიური დრამა.



ტექნიკური ხელმძღვანელი ჟ. ტყარაძე.

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილება მასალებს მიიღებს არა უმეტეს ერთი საავტორო თაბახისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლესანოვის პრ. № 91.

ტელეფონები: რედაქტორის — 95-08-75. პ. მგ. მღვინის — 95-08-85. განყოფილებების: პოეტის კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-08-85, პროზის, ნარკვევისა და კულტურის — 95-08-86.

გადაეცა ასაწყობად 19/II-73 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/III-73 წ., ქალაქის ზომა 70x108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. საიდრ-საგ. თაბახი 14,5 შეკვეთა 659 უე 01804 ტირაჟი 29000

საქ. კვ. ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

0 170



ფან 60 333.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ
ИНДЕКС 76236